ფაქსიმილე ილია ჭავჭავაძისა.

ილიას უკანასკნელი სურათი, გადაღებული პეტერბურგში 1906 წ



« სულ გადამწმარა მდელო,
მთები მობურგილია ;

მამულო უბედურო,
რად მოგჭკალი ილია ? »

გამოცემა (მაშო სალარიძის დახმარებით) ბაქოს
ქართველთა ამხანაგობის „კალამი“-სა.

№ 9.

ილია ჭავჭავაძის

სიკვდილი და დასაფლავება.

ბრონი

რედაქცია «მიწისა».

25% ამ გამოცემის შემოსავლისა გადაიდება ილიას სახელობაზე განზრახულ „ეროვნულ ფონდისათვის“.

ტფილისი.
სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა), ნიკოლოზის ქუჩა № 6.
1907

წინასიტყვაობა.

ამ წიგნის დანიშნულებაა მკითხველს ის საერთო აღშფოთება, უსაზღვრო გლოვა და მწუხარება, რომელიც გამოიწვია ილია ჭავჭავაძის მოწამებრივმა სიკვდილმა და ის დიდებული სურათი, რომელსაც წარმოადგენდა მისი დასაფლავება.

ილია უკვდავია თავისი ნაწარმოებით, რომელიც თავისი სისხლითა და ნაღვლით აღბეჭდა. ბევრს ცვლილებას და განსაცდელს განიცდის კიდევ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მუდამ შეურყეველი იქნება კლდესავით: « კაცი ადამიანი », « ოთარაანთ ქვრივი », « კაკო ყაჩაღი », « განდეგილი ». ვერავითარი ძალა, დრო და ჟამი ვერ წაშლის ოთარაანთ ქვრივის, ლუარსაბის და დარეჯანის სახეებს : ისინი იცოცხლებენ, მთელი ერი რომ გადაშენდეს და გაჰქრეს ქართველის სახსენებელი...

გამოგვერია ვერაგი მოდალატე, რომელმაც ძალით მოუსპო სიცოცხლე ასეთს სახელოვანს ადამიანს, რომელმაც ძალით შეაჩერა კეთილშობილი გულის ცემა და უდროოდ დააღუმა ჭეშმარიტების მეტყველი ენა.

ამ მხეცურმა მოქმედებამ თავს ზარი დასცა და გული მოუკლა მთელს საქართველოს. სამაგიეროო მტრები იცინოდნენ, ხარობდენ... მაგრამ ქართველს ერს არ მოუკლავს დიდებული მამულიშვილი. ქართველი ერი მწარე ცრემლებით მოსთქვამდა ილიას სიკვდილის გამო; საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსული შვილები ეამბორეს მის წმინდა გვამს და ყვავილებით და დიდებით შე-

ამკვეს მისი უკანასკნელი გასასვენებელი ადგილი, არამც თუ საქართველოს, რუსეთსაც არ უნახავს ასეთი დიდებული, ბრწყინვალე დასაფლავება მამულიშვილისა. განსვენებული მგოსნის კუბოს გარშემო შეიკრიბა მთელი ერი, ერთი მწუხარებით გამსჭვალული, ძლიერი და მრისხანე !...

დეე, ნუ გაიხარებს მტერი : თუ ქართველ ერში გამოერია ერთი და ოცი ი. ჭავჭავაძის მკვლელი, ასი და ოცასი ათასია მისი თაყვანის მცემელი და ერთგული აღმასრულებელი მისი ანდერძისა « მოღობის დასათრგუნავად ».

IX — 22. 1907 წ.

I.

ილიას მოკვლა

ხუთშაბათი, 30 აგვისტო 1907 წ.



ოლგა თადეოზის ასული, ი. ჯავჯავაძის მეუღლე..

საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე.

„ისარი“ 31 აგვისტო 1907 წ.

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს 6 საათზე მოვიდა; „ისრის“ რედაქციამ-კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელისმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის დეპეშა ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში-კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას.

„ის.“ 1 სექტ.



ილია ჭავჭავაძე. — სტუდენტობის დროს 1859 წ.

განსვენებული ილია, რაც პეტერბურგიდან ჩამოვიდა, თითქმის სულ საგურამოში სცხოვრობდა. მხოლოდ 27 აგვისტოს ჩამოსულა იგი მეუღლით ტფილისში. წამოსვლისას უთქვამს, საღამოთი დავბრუნდებიო, მაგრამ აღარ დაბრუნებულა და 30 აგვისტომდე დარჩენილა აქ.

ამ დღეს დილის ასე 10 საათზედ განსვენებული მეუღლითურთ საკუთარის ეტლით გამგზავრებულა საგურამოს. წასვლის წინ, როგორც გავიგეთ, მეუღლეს ურჩევია ქმრისათვის, ნუ წავალთ დღეს, გზაში საშიშიაო, მაგრამ ილიას თავისი არ დაუშლია.

მკვლელობა მომხდარა საგურამოს მახლობლად, ამ სოფლიდან ასე ხუთი ვერსის მანძილზე, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე. იმ ადგილას ტყეა, საიდანაც მოულოდნელად გამოვარდნილა ოთხი შეიარაღებული კაცი. მხეცებს ეტლი გაუჩერებიათ და მაშინვე შესდგომიან საზიზღარ საქმეს. ილიას თან ჰყოლია მსახური იაკობი, პატარაობიდანვე იმასთან აღზრდილი. იაკობი ეტლიდან გადმომხტარა და გაქცეულა ტყისკენ, მაგრამ ორი კაცი დასდევნებია და იქვე გაუთავებიათ. ეს არ უკმარიათ და თერთმეტ ადგილას დაუჭრიათ. დანარჩენნი მისცვივნიან ეტლს. ილიასათვის სამჯერ დაუხლიათ რევოლვერი. ორი ტყვია მოჰხვედრია შუბლში, ერთი გულში. დაჭრილს ხმის ამოღებაც კი ვერ მოუსწრია და იქვე დაულევია სული. ნადირებს ეს მსხვერპლები არ უკმარიათ და თავიანთ საზიზღარ საქმის დასაგვირგვინებლად უმწეო დედაკაცისთვისაც უცემიათ. ილიას მეუღლეს გადატეხილი აქვს მარცხენა ყბის ძვალი და თავზედაც მძიმე ჭრილობა აქვს. იგი იქვე უგრძნობლად დაცემულა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ იმ ადგილას მისულან საგურამოდან მომავალი სამი სტრაჟნიკი. საინტერესოა, ამ სტრაჟნიკებს სროლა არ გაუგონიათ; თუ გაიგონეს, რატომ არ ააჩქარეს ცხენები და მსწრაფლ არ მივიდნენ მკვლელობის ადგილას?

გრძნობა-დაკარგული ქალი ეტლით წაუყვანიათ საგურამოში, ხოლო მოკლულ მგოსნისა და იაკობის გვამები შემთხვევით მიმავალ ურმით წაულიათ. ქირურგს გაუსინჯია ოლგა ჭავჭავაძისა, ჭრილობები შეუხვევია და ქალაქში წამოუყვანიათ. იგი ცოტა გონს მხოლოდ 31 აგვისტოს დილით მოსულა და წამოუძახნია: „ურჩიეთ ილიას, არ წავიდეს, საშიშიაო“.

საშინელი სანახავია კნ. ოლგა ჭავჭავაძის დაჟეჟილი

და დამტვრეული თავპირი. ათი ჭრილობა აქვს თავზედ. საშიში ჭრილობა მარცხენა ლოყის თავზე აქვს. ძვალი გატეხილია. ერთი თვალი მთლად ჩასისხლიანებულია, მეორეც გასიებული აქვს.

მეურმეებს, რომელთაც შემდეგ გაუვლიათ, უთქვამთ თურმე, კნეინა ძალზე ყვიროდა და შველას ითხოვდაო. როდესაც დაენახა, დეეძახნა — ვითომ ეკლესია აგიშენებიათ, აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთო.

სამაზრო ექიმს, რომელსაც ილიას გვამი გაუჭრია, უთქვამს, ფილტვები და გული ძალზე დასუსტებული აქვს და, რომ არ მოეკლათ, დიდ ხანს ვერ იცოცხლებდაო.

ერთად-ერთ მოწმეს ამ მკვლელობისას, მეეტლეს, ჯერ განუცხადებია, რომ არ მახსოვს, რა სახის ხალხი იყოო, მერე-კი უთქვამს, შავგვრემანები იყვნენო. იმისავე სიტყვით, ოთხივეს „ტუჟურკები“ და შავი შარვლები სცმიათ.

„ის.“ 2 სექტ.

მცხეთაში ჩასვლისათანავე საშინელი, დაუჯერებელი ამბავი მოგვახალეს: ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. არავის სჯეროდა, ვერავის ვერ წარმოედგინა, რომ მხცოვან მოღვაწეს, ქართველ ერის სასიქადულო შვილს საქართველოს ნიადაგზე ვინმე ხელს შეახლებდა! იმედი გვქონდა, რომ ტყუილია ხმა, იმედს კიდევ ვოლსკის დაჭრის ამბავი გვიორკეცებდა. მაგრამ საშინელ სინამდვილეს ვინ გაქცევია, რომ ჩვენ მოგვეშორებინა თავიდან: თვალით მნახველმა დაგვარწმუნა, რომ საზარელი მკვლელობა ნამდვილად მოხდა.

გულმა არ დამიჯერა და ამხანაგთან ერთად მცხეთი-

დან საგურამოს გავემგზავრეთ ცხენებ-თ. გავიარეთ მცხეთიდან ასე სამ ნახევარი ვერსტი და გზის პირად დავინახეთ სისხლში მოსვრილი მანჟეტი (სამაჯე); ამ ადგილის პირდაპირ ნიშია და სწორედ აქ მომხდარა მკვლელობა. სხვა კვალი ამ საშინელ ბოროტებისა არა სჩანს. დიდი მოძრაობაა მეურმეებისა და მეეტლეებისა და ალბად ეს კვალიც იმიტომ წაშლილა.

საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მოჰყავდათ თოფის კონდახებით ნაცემი და დაბეგვილი მეუღლე ილია ჭავჭავაძისა: მხეცებს მოხუცი დედაკაციც კი არ დაუნდვიათ და პირის სახის ძვლები თოფის კონდახებით დაუმტვრევიათ. მივედით საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლში და მოურავმა მიცვალებულების ოთახში შეგვიყვანა

ჩვენი დროის ადამიანი ყველაფერს შეჩვეულია, სისხლსაც და დასახიჩრებულ გვამებსაც. მაგრამ მაინც ვერ გაუძელით საზარელ სურათს და თოფ-ნაკრავივით გარეთ გამოვვარდით.


ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანის ტყვიით *) არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთისა და ორის თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვრია, ბერდანის ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალ თაობისათვის გული აუძგერებია და თვალთაგან ცრემლი უღვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამოსროლილია!

ათის ტყვიით არის განგმირული საბრალო ახალგაზდა ბიჭი, თორაშვილი, რომელიც ილიას ახლდა. გადარჩენილა მარტო მეეტლე, საგურამოელი ბიჭი თედო.

---

*) ბერდანის თოფის გილზი ნახეს.

ბოროტების თვალით მნახველი მარტო ეს მეეტლეა და იმის ნალაპარაკევიდან მთელის შემთხვევის წარმოდგენა შეუძლებელია: ოთხი კაცი დაგვხვდა, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი და აფიცრის ეპოლეტებიანებიო, რუსულად ლაპარაკობდნენო, მოგვცვივდნენ და ეს საქმე დაგვმართესო; ცნობით ვერავინ ვიცანიო. ეს არის და ეს.



ილია ჭავჭავაძე. — 1974 წ.

ი. ჭავჭავაძის მეუღლეს არაფერი არ ახსოვს, გარდა იმისა, რომ ილიას დაუძახნია ქართულად — რას სჩადიხართო და რევოლვერიც ამოუღია. საბრალო ქალმა ჯერაც არ იცის, რომ ილია მოკლულია: გონს რომ მოსულა და მოუკითხავს ქმარი, უთქვამთ — ქალაქში დაბრუნდაო.

მკვლელობის შემდეგ არ გასულა თუთხმეტი წუთი, რომ ილიას მოურავი სამის სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვევით მისულა ბოროტმოქმედების ადგილზე — ილიაცა და მისი მხლებელიც უკვე უსულონი იყვნენ თურმე, ილიას მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს აქეთ-იქით ახლიდა ქვებს. დაჭრილი ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუსვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მიმავალ ურემზე დაუსვენებიათ და ისე წაულიათ საგურამოში.

მოკლულები სულ გაძარცულნი იყვნენ: არა სჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოლჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე, აღარც საფულე ქისაა. მხლებელისათვის კი ჩექმებიც გაუხდიათ; აღარ სჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომლებიც ილიასა და მის მხლებელს ჰქონიათ თან.

საკვირველია სტრაჟნიკებისა და ადგილობრივ პოლიციის მოქმედება: როგორც გადმოგვცეს, სწორედ 15 — 20 წამის შემდეგ შეიტყვეს მკვლელობის ამბავი და დროზე არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ; ურიადნიკმა სთქვა: **поскакалъ туда, поскакалъ сюда**-ო, იქვე კი, სამის ვერსის მანძილზე, ყაზახების პოსტია და პირველ ხანებში მეტი არაფერი გაუკეთებიათ და არც საკვირველია: ილია ჭავჭავაძე სტრაჟნიკი არა ყოფილა.

,,ის.'' 1 სექტ.

ილია ჭავჭავაძე, წელს ივნისში პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, დაბინავდა ს. საგურამოში, ცოლის მამულში, რომელიც მდებარეობს ტფილისიდან 30 ვერსზე. ორშაბათს, 27 აგვისტოს, დილით, ილია თავის ცოლით



საგურამოს მიდამო. ილიას სახლიდან.

(ოლგა თადეოზის ასული გურამიშვილისა) და მოსამსახურე იაკობ თორაშვილის თანხლებით, თავის საკუთარ ეტლით წამოვიდა ტფილისში და დაიბარა, რომ იმავე საღამოს დავბრუნდებიო. სოფელში დარჩნენ მოურავი ჯაში და თ. ზ. ქავჭავაძე, ილიას ნათესავი, რომელიც უკვე ერთი თვე იყო მასთან სტუმრათ. გავიდა ორი დღე და ილია არ დაბრუნებულა. ოთხშაბათს დაბრუნდა რაღაც საქმისათვის იაკობი და თქვა, რომ ილია დაბრუნდება ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, 1 საათზე დღითო, და ისევ წამოვიდა ტფილისში. ხუთშაბათს ილია ცოლითა და იმავე იაკობის თანხლებით წავიდა ტფილისიდან დილის 11 საათზე. შუადღის მეორის ნახევარზე ისინი მიუახლოვდენ წიწამურს, რომელიც მდებარეობს საგურამოდან 4 ვერსზე. მოსამსახურე იაკობმა დაინახა ოთხი, თოფებითა და რევოლვერებით შეიარაღებული კაცი და გადმოხტა ეტლიდან. შეიარაღებულებმა დაუწყეს სროლა იაკობს და მოჰკლეს. შემდეგ გააჩერეს ეტლი და რამდენჯერმე ესროლეს ილიას. კნეინა ოლგას ავაზაკებმა სცემეს თოფის კონდახებით პირსა და თავზე. ქალ მა გრძნობა დაჰკარგა და წაიქცა.

ეს ამბავი გაიგეს ახლო მყოფმა დარაჯებმა და დაუყონებლივ მოვიდნენ, მაგრამ ბოროტ განზრახველნი მიემალნენ. გრძნობა დაკარგული კნეინა ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს საგურამოში. დარაჯებმა გააჩერეს ახლო მიმავალი ურემი, ჩაასვენეს შიგ ილიას და იაკობის გვამები და ესენიც საგურამოში მიიტანეს. ღამის 12 საათზე ტფილისიდან მოვიდა ექიმი კიმონტი. გასინჯა კნეინა და თქვა, რომ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოვა გონსო. ტყვია არა აქვს მოხვედრილი, დაშავებული აქვს მარჯვენა მკლავი, ყურის ძირი და თავი. კიმონტმა შეუკრა ჭრილობანი, მაგრამ ჯერ ვერაფერი თქვა გადაჭრით იმის შესახებ, თუ რამ-

დენათ საშიშია კნეინას მდგომარეობა. საჭიროა დაჭრილის კნეინის ტფილისში ჩამოყვანაო. მოკლულს ილიას სამი ჭრილობა აქვს: ორი შუბლში და ერთი, სასიკვდილო, გულში. იაკობი თერთმეტს ალაგასაა დაჭრილი.

ყველა ამ ამბის დამსწრენი არიან მხოლოთ მეეტლე, რომელსაც ბოროტგანზრახველებმა ხელი არ ახლეს, და კნეინა ოლგა, რომელიც ჯერ გონს ვერ მოსულა. მეეტლე ამბობს, რომ ბოროტგანზრახველი ოთხი იყო: სამს თეთრი პიჯაკი ეცვათ და ერთს ძველი კურტკა და შავი შალვარიო. ყველანი ახალგაზდები იყვნენ და ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენო.

კნეინა ოლგამ მხოლოთ დილას 5 საათზე ბოდვის დროს წამოიძახა: უთხარით იმას, ნუ წავალთ!.. საშიშია!.

გუშინ კნეინა უგრძნობელი ჩამოიყვანეს ტფილისში. ილიას გვამი ბოროტგანზრახველებმა გაძარცვეს. წაიღეს: საათი, ფული, ჩემოდანი, პორტფელი და სხვა.

ზაკავკაზიე. 1 სექტ.

საშარელი მკვლელობა

მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე! საოცარია და დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია უკვე, საშინელი ფაქტი. არა გვგონია, რომ იყოს ისეთი შეგნებული ქართველი, რომელსაც ცოტა რამ უღვივის გულში და სინიდისი შერჩენია, რომ არ აღშფოთდეს და არ შეძრწუნდეს ამ საშინელების გაგონებაზე. ეს რა დღეს მოვესწარით, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს?

ორმოცდა-ათი წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით; მის დიად ნიჭს, საკვირველ ჰკუას, დიდ ენერგიას ვცემ-

დით თაყვანს; მისი ამაგით და განუზომელის ღვაწლით ჩვენი ქვეყნის წინაშე ვიყავით მოხიბლულ-მოჯადოებულნი და ვინ, რომელმა მხეცებმა და სულმდაბლებმა დაგვასხეს ახლა თავს ლაფი და გამოგვჭრეს ყელი?

ილია ჭავჭავაძე! ეს ხომ ჩვენი დიდი პოეტი იყო, რომელიც საუკეთესო გრძნობებს გვიღვიძებდა და გვინერგავდა; რომელმაც დაგვიწერა „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „აჩრდილი“,



ილია ჭავჭავაძე. — 1878წ.

„განდეგილი“? ეს ხომ ჩვენი პირველხარისხოვანი მწერალი იყო, რომელმაც შეჰქმნა ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში და რომლის თხზულებებზე პირველი მოქალაქობრივი აღზრდა მიიღო ორმა თაობამ მაინც? ეს ხომ ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც პირველად გაჰკაფა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზი და თავის ამხანაგების პატარა წრის დახმარებით

დაგვიარსა ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებანი? ეს ხომ იმ პატარა ჯგუფის პირველ რიგში იდგა, რომელმაც მესამოცე წლების ხანა შეჰქმნა ჩვენში,—ხანა განახლებისა და აღორძინებისა?!

და აი, ამ ადამიანს, ამ დიდ მოჭირნახულეს, დიდ მოამაგეს ვერაგულად მოუსპეს სიცოცხლე. მერე როდის? როცა ქვეყნის სამსახურში მოიქანცა, დაუძლურდა, დაბერდა, და ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. ასე დავაჯილდოვეთ, ასე დავაფასეთ მისი წარსული ღვაწლი და სამსახური. მეტი ბარბაროსობა, მეტი გახრწნილობა შეუძლებელია! ამაზე შორს ველარ წავალთ, ის-ღა დაგვრჩენია, მხოლოდ ერთმანეთს დავერიოთ და ყველანი ამოვიჟლიტოთ..

რა ვთქვათ, რითი ვიმართლოთ თავი უცხოთა წინაშე? იმათ წინაშე, ვინც ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ-კი ტყვიებით დავუხვრიტეთ? რუსეთის სარევულუციო პარტიები ბრძანებას სცემენ — იდეურ მოწინააღმდეგეთ ხელი არავინ ახლოსო და ისეთი ხულიგანები, როგორიც არიან პურიშკევიჩები, კრუშევანები, გრინგმუტები, რომელნიც შხამავენ რუსეთის პოლიტიკურ ჰავას და სათავეში უდგიან ახლანდელ შესაზარ რეაქციას, — ესეთი ხულიგანები თავისუფლად სცხოვრობენ, ჩვენ-კი ილია ჭავჭავაძე — ჩვენი საუკეთესო პოეტი, ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე—მოვკალით. გონება გვებნევა, როცა გავიფიქრებთ, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზე არის მოკლული... არა გვჯერა, რომ ასეთ გახრწნილობამდე მივედით. გუშინ მთელი ტფილისი ამას იმეორებდა. მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ აქ წინადვე განზრახული, დამზადებული და გადაწყვეტილი მკვლელობა იყოს. ეს თავის ინიციატივით ჩაიდინეს, ალბად, უმეცარმა, გონება ღაბნელე-

ბულმა ადამიანებმა, რომელთავთის კაცის მოკვლა არავითარ სიძნელეს არ შედგენს, —გადაგვარებულებმა, რომელთაც გამოჩენილ ადამიანის მოკვლა გმირობათაც მიაჩნიათ...

დღეს მთელმა ქართველმა ერმა უნდა იგლოვოს არა მარტო ილია ჭავჭავაძე, უაზროდ და ვერაგულად მოკლული და ბარბაროსულად დასჯილი, არამედ მთელი ჩვენი აწმყო, სრულიად დაშლილი და მოსპობის გზაზე დამდგარი. სად მივდივართ, რათ ვითხრით სამარეს ჩვენისავე ხელებით! განა წარსულის ასე ბარბაროსულად უარყოფა და მოსპობა სრულიად გადაგვარების ნიშანი არ არის?.. განახლების ხანა დგებაო. მართალია დგება, მაგრამ ვაი თუ არა ჩვენთვის! ჩვენ ერთობ სუსტი, სისხლწამხდარი და ფუქსავატი ერი ვყოფილვართ და ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ვერავითარ განახლებით, თუ დროზე გონს არ მოვალთ, თუ არ გამოვირკვევით, არ გამოვფხიზლდებით იმ ფანატიკურ სიგიჟისაგან, რომელმაც ასე ადვილად აგვიყოლია და ასე დაგვაბრმავა ..

გონება გვებნევა და სიტყვა გულში გვიკვდება სიმწარისაგან... ჩვენც, ამ გაზეთის თანამშრომელნი, კარგა ხანია დავშორდით ილიას და მის თაობას; ჩვენ შორისაც იდეური წინააღმდეგობა იყო; მაგრამ ერთ წუთსაც არ დაგვივიწყნია ამ ადამიანის წარსული ღვაწლი ჩვენის უბედურ სამშობლოს წინაშე და ყოველთვის პატივსა ვცემდით მის სახელს. ახლა მის გაცივებულ გვამის წინაშე ვდგევართ თავზარდაცემულნი და არ ვიცით, ვრა სიტყვებით გამოვთქვათ ჩვენი უზომო მღელვარება, სიმწარე, უნუგეშო მწუხარება და რა სიტყვებით დავგმოთ, დავსწყევლოთ მისი მტარვალები...

„ის.“ 1 სექტ.

მოჰკლეს პოეტი!

ღვთო იყო შენი სიკვდილი!

კალამი მითრთის... ენა მებმის.. აზრი მერევა.

ტყვიით განგმირეს მხცოვანი გული მხცოვანის პოეტისა და გვამი მისი დააგდეს მტვრიან შარა გზაზე.

განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივ ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.

მოჰკლეს პოეტი, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში თავის კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შეჰქმნა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა.

მოჰკლეს და შარა გზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეას.

მოჰკლეს და ტყეს შეაფარეს გაშავებული და საუკუნოდ შერცხვენილი თავი, თითქო იმ ტყეს შეეძლოს მათი პირისახიდან ჩირქის ჩამორეცხა, თითქო მას შეეძლოს მათი დამალვა და თითქო იქ კი არ დაუხვდებათ სამარცხვინო ბოძი, რომელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერება: „ამ ნაძირალებმა მოჰკლეს პოეტი“!

ვის ან რად უნდოდა ბრძოლაში დაფლეთილი გული პოეტისა, რად უნდოდა მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული? ბრძოლის ველიდან გასულ მეომარს, დატანჯულსა და დაქანცულ პოეტს უფლება ჰქონდა მშვიდად დაელია თავისი სიცოცხლე, დაესვენებინა დაიარავებული სხეული და სიბერეში მაინც აენა-

ზღაურებინა ის დანაკლისი სულიერ მშვიდობიანობისა, რომელიც ახალგაზდობაში მსხვერპლად შეწირა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა და ქართულ ლიტერატურის საკურთხეველს.



ილია ჭავჭავაძე. — 1889 წ.

მაგრამ ავ სულს შეჰშურდა მისი მშვიდობა დი ისედაც მოწამლული სული აწამა და ჯვარს აცვა. ვინ იყვნენ ის უმეცარი და უგუნური ბარბაროსები? ვინ ა-მართა მახვილი პოეტის წინააღმდეგ! ვინ მოუშხამა უკანასკნელი წუთები მოშხამული სიცოცხლისა?

არავინ არაფერი არ იცის: დაუხვდნენ შარა გზაზე, გაუგმირეს გული, იქვე დააგდეს მისი გვამი და ტყეს შეაფარეს თავი. ცხადია მხოლოდ ის, რომ პოეტის მკვლელები დაიბადნენ დღევანდელ ცხოვრების უფსკრულში. საზოგადოებრივი აღფრთოვანება შეიცვალა საზოგადოებრივ დაღლილობაზე, ზნეობრივი ნორმები — თავგასულ ავაზაკობაზე, უფლება — ძალაზე, ხოლო გუშინდელი ბრძოლის ველი, რომელიც გაჟღენთილია თავგანწირულ წმინდათა სისხლით, დღეს ხელში ჩაუვარდათ ტყის ნადირებსა და ავაზაკებს. ღამის წყვდიადში ტყეებიდან და სოროებიდან გამოილალნენ ტურები და მგელკაცები და დაერივნენ ყველას, ვინც ახლო-მახლო მოჰხვდათ. იმსხვერპლეს რამდენიმე მოღვაწე და ეხლა არც მხცოვანი პოეტი დაინდეს. მისმა მხცოვანმა მკერდმა, ლიტერატურულ ისრებსა და შურდულებს ნაჩვევმა მკერდმა ცხელი ტყვიაც მიიღო და სამუდამოდ გააცივა დღემდის ძალუმად მფეთქავი და ღვთაებრივი ცეცხლით აღგზნებული გული.

მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასაგან გაფაქიზებული, და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე გამტკიცებული და გასუფთავებული.

მხცოვანო პოეტო!

„ღვთო იყო შენი სიკვდილი!“.

მ. ად—ლი.

„ის.“ 1 სექტ.

პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად

შაბათს, 1 სექტემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გორის ეპისკოპოსმა პეტრემ ქართველ სამღვდელოების თანამლოცველობით გადაიხადა პირველი პანაშვიდი ჯალათების ხელით მოკლულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, ტფ. ქალაქის თავი და თვითმართველობის ზოგი მოხელენი, თავად-აზნაურთა მარშლები და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი. პანაშვიდს დიდი ძალი ხალხი დაესწრო. ხალხში გამოუთქმელი აღშფოთება და მწუხარებაა საზიზღარ მკვლელობის გამო. მეორე პანაშვიდი დანიშნულია დღეს, 2 სექტემბერს, ნაშუადღევის ორ საათისათვის, სიონის ტაძარში, რადგან ქვაშვეთის ეკკლესიაში სივიწროვეა.

თათბირი ილიას დაკრძალვაზე

პარასკევს, 31 აგვისტოს, მოხდა საგანგებო კრება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. კრებამ თათბირი იქონია ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე. წინადადება შეიტანეს, რომ ხარჯი და ზრუნვა ვანსვენებულის დასაკრძალავად საზოგადოებამ იკისროს, მაგრამ რადგან საზოგადოებას საერთო თანხა არ მოეპოვება საზოგადო საქმისათვის, ამიტომ ფული უნდა გადასდოს თავად-აზნაურობამაო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ მცირე კამათი იქონიეს იმაზე, თუ სად დაკრძალონ გვამი. ზოგმა დიდუბე დაასახელა, ზოგმა ანჩისხატის ეზო, უმრავლესობამ კი მთაწმინდა. ბოლოს კრებამ მიიღო ეს უკანასკნელი წინა-

დადება; ფული გადაიდება იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება. დასასრულ კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი ექვსი კაცისაგან. კომიტეტი სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს დასაფლავების ცერემონიალს. კომიტეტმავე უნდა დანიშნოს დაკრძალვის დღე. განსვენებულის გვამს საგურამოდან საქართველოს სამხედრო გზით მოასვენებენ. როგორც განზრახულია, პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტით, მივა სიონის ტაძარში, სადაც გადახღილი იქნება წირვა და პანაშვიდი. შემდეგ პროცესია მამადავითისაკენ გაემართება. დაკრძალვის დღედ განზრახულია დანიშნონ შაბათი, 8 სექტემბერი. დაწვრილებითი წეს-რიგი გასვენებისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

ის. 2 სექტ.

ტფილისი, 2 სექტემბერი

თავზარ დაცემული ქართველი საზოგადოება გონს ვერ მოსულა და ვერ გამორკვეულა მწუხარებისაგან, რომელიც ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მოკვლამ გამოიწვია. ყველას ერთი და იგივე გულს შემზარავი საკითხი აკერია პირზე: ვინ და რისთვის მოჰკლა მხცოვანი მგოსანი, **70** წლის მოხუცი, რომელსაც ორი დღის სიცოცხლე-ღა ჰქონდა? ვინ იყვნენ ის ბარბაროსი მტარვალნი, რომელთაც არაფერი არ დაინდეს და თვით მოხუცი მეუღლე პოეტისა, წყნარი, მშვიდობიანი, უწყინარი და ყველას პატივისმცემელი ოლგა უწყალოდ გალახეს და სიკვდილის პირზე მიიყვანეს? ცხადია, რომ აქ უბრალო ცნობის მოყვარეობა არ მოქმედობს: ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, უნდა გაიგოს — ვინ და რისთვის

ჩაიდინა ესეთი ბოროტ-მოქმედება ქვეყნის წინაშე... სასამწუხაროდ, დიდათ საეჭვოა, რომ ეს მკვლელობა წესიერად იქმნას გმოძიებული: ჩვენს დროში ეს ფრიად გაძნელდა და ამ შემთხვევაში-კი უფრო გაძნელდება, რადგან ის „ვისიც ჯერ არს“, მაინცა და მაინც თავს არ აიტკივებს სიმართლის გასაგებად: რომაელების ცნობილ



ილია ჭავჭავაძე. — 1897 წ.

თქმულებისა არ იყოს — „tertius gaudet-ის“ მოხარულიც იქნება, თუ ჩვენ ერთმანეთს დავერევით და ჩვენის ქვეყნის საუკეთესო შვილებს ჩვენვე მოვსპობთ. გაზეთი „ზაკავკაზიე“ გუშინ სწერდა, თვით საზოგადოებამ და უმთავრესად პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელიო. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ გზით უფრო გაადვილდება საქმე და რომ ასეთ გამოკვლევის მოწყო-

ბა საჭიროც არის, რადგან მრავალი სხვა და სხვა მითქმა-მოთქმა უკვე არის საზოგადოებაში, რომელნიც ასე თუ ისე პოლიტიკურ პარტიის სახელსაც იხსენიებენ... ჩვენ გუშინაც ვთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ არ გვჯერა — რომლისამე პარტიის საქმე იყოს ეს საზარელი მკვლელობა. მაგრამ ის-კი შესაძლებელია, რომ ახლანდელ აღვირაშვებულმა ეგრედ წოდებულმა ტერორისტებმა, რომელნიც თავის ნებაზე და სურვილზე მოქმედებენ და რომელთა ალაგმვა პარტიებს ვერ მოუხერხებიათ, ჩაიდინეს ეს საზიზღრობაც. მაშინ პარტიები ვალდებულია, მართლა გამოიძიონ საქმე და ამით მაინც მისცენ დაკმაყოფილება აღელვებულ გრძნობას საზოგადოებისას...

ჩვენ არ გვაინტერესებს, რასაკვირველია, თვით კრიმინალური მხარე საქმისა, ბოროტმოქმედთა დასჯა და სხვა ამგვარი. ჩვენთვის ცხადია თითქმის, რომ მკვლელობის პირდაპირი ჩამდენნი ბნელი, უვიცი, გონება დახშულნი ადამიანნი არიან, რომელთაც არც-კი ესმოდათ რას სჩადიოდნენ, ამათ, ამ შეუგნებელ იარაღთ უმეცრებისას და ბნელეთისას, თვით მოკლულმა პოეტმა აპატია დანაშაულობა, როცა თავის ცნობილ ლექსში „ლოცვა“-ში განგებას ევედრებოდა:

მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთა უნდათ გულს ლახვარა მკრან,
გთხოვდე; ,,შეუნდე — არ იციან, ღმერთო, რას იქმან...''

სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შეჰქმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებას ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი აქვს მომზადებული. განა ჩვენში არ გაჩნდა მიზართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართუ-

ლების უვიცმა ადეპტებმა არ იმუშავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, წერამლნიც, მოღვაწენნიც, რომელნიც ხალხის პირად მტრებად გამოჰყავდათ და ბრბოს უსისინებდნენ — ჰკა მაგათო?! ხალხს, რომელმაც არ იცოდა თავის ქვეყნის წარსული, თავისი ლიტერატურა, არ შეეძლო კრიტიკულად დაეფასებინა სხვისი ღვაწლი და მოღვაწეობა, ისტორიულის წერტილის თვალთახედვით დაეფასებინა ძველთა ამაგი და ძველთა შეცდომანიც, ის ვაჟბატონნი პირდაპირ ეუბნებოდნენ — აი ესენი ნიციონალისტები არიან, ესე იგი, თქვენი პირდაპირი მოსისხლე მტრები, რომელთაც ძველ საქართველოს აღდგენა უნდათ, მეფეებითა, ბატონყმობით და ამგვარ წარსულ დიდებითაო! ადვილად წარმოსადგენია, რა ფანატიკურ მძულვარებას სთესავდა ამგვარი ქადაგება ბნელ მასსაში ყველა იმათ მიმართ, ვინც „მართლ-მორწმუნე“ არ იყო და ვინც, ილიასავით, სხვა მიმართულების იდეოლოგი და წინამძღვარი იყო. ამას, საუბედუროთ, ისიც დაერთო, რომ ილია ჰავჰავაძეს განგებამ და ისტორიამ თავადობა, მემამულეობა არგუნა, რომელსაც კერძო საკუთრება სწამდა და „თავისას“ არავის ანებებდა... განა სხვაგან, ვთქვათ, მაგალითად, რუსეთში არ იყო გაცხარებული კამათი ახალთა და ძველთა შორის, შვილთა და მამათა შორის? იყო და როგორი გაცხარებულიც! „შვილებმა“ გადააჭარბეს კიდეც ძველის დაფასებაში, მოახდინეს სრული, როგორც რუსულ ლიტერატურაში ეძახიან, „**переоцѣнка всѣхъ цѣнностей**“; მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია პირადათ ძველის მოღვაწეების ხალხის მტრებად გამოცხადება და მათ წინააღმდეგ ხალხში მძულვარების გამოწვევა. ამიტომ იქ არ მოუკლავთ გრაფი მწერლები და აზნაური პოეტები, თუმცა ყველა მათ აქვთ საკუთრება და

„თავისაზე“ უარს არ ამბობენ, თუმცა „მართლ-მორწმუნეთა“ ბანაკს არ ეკუთვნიან და ხშირად განსვენებულ ილიაზე უფრო დაბალ ხარისხის პროგრესისტ-დემოკრატები არიან...

უვიცობამ და სიბნელემ იმსხვერპლა დღეს ჩვენი დიდი პოეტი და ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე. დიდია ეს მსხვერპლი, მაგრამ ვაი თუ ამანაც ვერ მოგვიტანოს სარგებლობა, ვაი თუ ეხლაც არ მოვიდნენ გონს „ხალხის ხელმძღვანელნი“, რომელნიც ფანატიკურის სიბრმავით აძაგებენ და უარჰყოფენ მთელ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას, ყველაფერს, რასაც ჩვენის წარსულის ცხოვრების ბეჭედი აზის, თუმცა უნდა იცოდნენ, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ და უგუნური, ბრმა უარყოფა ყოველისფრისა სრულ განადგურების მეტს არაფერს მოგვიტანს.

ვიმეორებთ, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ან პარტიას ან რომელსამე სხვას რამე დავწამოთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რა საზარელი ატმოსფერა შეჰქმნა უაზრო და ბრმა ბრძოლამ: ამ ატმოსფერაში გასაკვირველი აღარაა ისეთი მკვლელობა, რომელმაც მთელ შეგნებულ ქართველობას თავზარი დასცა.

„ს.“ 2 სექტ.

„კაცია ადამიანი?!“

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხივით დაატყდა მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ — ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის დღეში ფიქრათაც არ გაივლებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზღარსა და უცნაურს!

ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონგურად აქცია

და რომელიც ამ ჩონგურის სიმებს საქართველოსათვის აჟღერებდა ტკბილად და ძლიერად ; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი, უმაღლეს გონების ჯურჯელი, ნახევარ საუკუნის განმავლობაში ამუშავა საქართველოს ერის გულისათვის ; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სულის სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენის დაბეჩავებულ ცხოვრების აღდგენას, განმშვენიერებასა და განსპეტაკებას,— ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვიღაცას მურტალმა ხელმა!

ვინ მოჰკლა ილია?—აი საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებელ პასუხს თხოულობს. პასუხის გაუცემლობა მთელ ერს საშინელ, სამუდამო სირცხვილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!

ვინ მოჰკლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? თუ ქართველმა მოჰკლა, — მაშინ ცხადია, რა ქართველიც აიღებდა თავზედ ამ ჯოვლად უმსგავსო, საშინელ და არა ჩვეულებრივ საქმეს, რომლის მაგვარიც ქვეყნიერებას ჯერ არა სმენია! პოეტი. პუბლიცისტი, ახალ ქართულ ენის დიადი შემქმნელი, პირველი მეტყველი ქართულის ენისა — მოჰკლეს, განუკრეს სიცოცხლე, როგორც ვინმე ავაზაკს, ან ქურდს, ან მავნე ადამიანს! ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, რომელსამე „უდიდეს იდეას“ უნდა შესწიროდა ზვარაკად? ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სისოცხლე იყო მავნე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშია-გოშპარამ, რომელთაც თავს იდვეს ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაცვლად შერყვნეს, გაანადგურეს, შეურაცხყვეს იგი, — უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცხონ?

თუ მართლაც ილია ქართველებმა მოკალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოდ

გამოვირიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან,—ნება მომეცით ვკითხო მთელ საქართველოს ილიასავე სიტყვებით: ჩვენში, საქართველოში, საზოგადოდ მთელი საქართველოში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის საზღვრებამდე — „კაცია ადამიანი?!“ თუ მხეცია, ადამიანის სახით მოვლენილი და ამ მხეცმა, ქართველმა კოლლექტივურმა მხეცმა წაიყვანა გოლგოთას ილია ჭავჭავაძე ეკლის გვირგვინითა და თვით კი ლაფის გვირგვინი დაიდგა თავზე მთელის კაცობრიობის თვალში?!

ან იქნება ილია არა ქართველებმა მოჰკლეს?..

რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ მოსცხებია, და თუ მართლა დღეს ჩვენში კიდევ დარჩენილა კაცი, რომელსაც ადამიანი ჰქვიან, რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთად-ერთი რამ დაგვრჩენია, — შურის ძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხყვეს და გააუპატიურეს, — ხმა კი არავის ამოუღია ვაჟკაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარკვეთილის ლაჩრულ ზახილისა, ღონე მიხდილ შერცხვენილსა, ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კაი ხანია, და რა იმედი-ღა უნდა გვქონდეს, რომ ეხლა მაინც შეიცვლება ეს სამარეში ჩასასვლელად მომზადებული, რომ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგმიროთ, ვინც უნდა იყოს?!

მაგრამ, მითხარით, ჩვენში ამისათვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინიდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა სამარეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად? დაე, ეხლა გამოჩნდეს ყველაფერი!

ჰფიქრობ კაცი ყოველსავე ამას, თავში აზრები გე-



რევა, ფეხთაგან ნიადაგი გეცლება, ჰქრება ხალისი მუშაობისა, უიმედობა გულს გესახება, იქ ჩირქდება და სქელ, შხამიან ბალღმად იქცევა, და „უსასოდ ქმნილს“, „ეჭვით შეპყრობილ“ ივერიის ძეს მთელი თავისი საშინელებით გეყუდება გონების წინაშე თავზარ-დამცემი კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღწვი და სანთელივითა დნები ჩვენს უცნაურს ქვეყანაში? აქ, ამ გათახსირებულ დანაშაულთა სამფლობელოში მართლაც „კაცია ადამიანი?!.

Bâton.

„ის.“ 2 სექტ.

კაენ, სად არის ძმა შენი?

«იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური...»

ასე სთქვა მგოსანმა და ისე არსად გამართლებულა ეს უკვდავი სიტყვები, როგორც უბედურს საქართველოსა და თვით ამის მთქმელს ილიაზე.

ჩვენ გვესმის, რომ მტრობა და შური, არა თუ ჩვენისთანა ნახევრად ველურთა შორის, თვით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც ფესვ-გადგმულია; ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიათ და სამარცხვინო ბოძზე მიუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად; გვახსოვს, როგორ მოექცა საფრანგეთის ხალხი ზოლას, რომელიც რამდენისამე ათეულ წლების განმავლობაში ფხიზელ დარაჯად ედგა თანამემამულეთა ავსა და კარგს; ეს შარავანდედით მოსილი ბოძი ფრანგთა აზროვნებისა სამშობლოდანაც კი გააძევეს იმიტომ, რომ იმან საჯაროდ აღიარა სიმართლე ერ-

თისა და დაჰგ[ო]ლ სიცრუე მრავალთა. გვახსოვს ისიც, რომ იმისი ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეს და ვითომ ამითი დაამცირეს მართლის მთქმელი. კარგად ვიცით, რა უყვეს იესოს, რომელმაც ხმა აღიმაღლა ადამიანთა თანასწორობისათვის, — გოლგოთაზე აიყვანეს და ჯვარს აცვეს. მაგრამ ყველა ამას თავისი ახსნა-განმარტებაც თან ახლავს...

ხოლო რითი აიხსნება ილიას მოკვლა? შესაძლებელია, ვინმე გულუბრყვილომ სთქვას—ეს სენი საერთოდ მოდებულია რუსეთის ქვეშევრდომთა შორის და აგრარულ მოძრაობით გააფთრებულმა ხალხმა აქაც იჩინა თავისი ძალაო.

შეცდომაა!

თვით მე, ამ სტრიქონების მწერალს, არა ერთხელ და ორჯელ მინახავს ილიასთან სადღესასწაულოდ მოსული გლეხობა, მასთან მომეჯლისე; მინახავს, როგორის აღტაცებით შესცქეროდნენ ილიას, როდესაც ის ჩადგა მათ შორის და წაიკითხა „გუთნის დედა“:

„ერთ ბედს ქვეშა ვართ, ღაბაგ, მე და შენ, წიდად გვჯრგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

რა გინდ უკმაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრაზ მორეული ყოფილიყო, ილიას მაინც არ მოჰკლავდა, საგურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანთხევას ვერ იკისრებდა, იგი წმინდაა იმის სისხლისაგან.

ჩვენ რომ ვამბობთ „გლეხობა“, აქ წოდებრივობას როდი ვგულისხმობთ. შესაძლებელია ცოდვილი შვილი ამ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაჭირავებული ჯალათია, სხვის სურვილისა და ბრძანებისა ყურ-მოჭრილი მონა, უვიცთა და სულით ღატაკთა ბრმა იარაღი.

ჭკუის საბუდრის სიცალიერემა და უვიცობის წყვდიადში ბოდიალმა, ეჭვი არ არის, იქამდე მიიყვანა გზა-კვალ

მოშურნე, რომ, უმეცრების ლაფში შეტოპილმა, სხვა ხსნა ველარ ჰპოვა, თუ არ სამარცხვინო და საშვილიშვილოდ დასაგმობი მკვლელობა. მოკვლა სამარის კარად მისულ მოხუცისა, მოკვლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდა ათის წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლების საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც გულის ტკივილით წამოიძახა: „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდები“-ო, ისეთი ურცხვი თავხედობაა, რისთვისაც თვით უსასტიკესი მსჯავრიც კი ცოტაა.



ილია ჭავჭავაძე. — 1902 წ.

ვინ უნდა დასდოს ეს მსჯავრი ილიას სისხლის მტვირთველს? ნაფიც მოსამართლებმა? საზოგადოებამ?—ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე თვით ილიასთან ნაპურმარილევმა ვლეხობამ დაჰგმოს საზიზღარი მკვლელი, დაე უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს: კაინ, სად არის ძმა შენი?

„ის.“ 2 სექტ. **განდეგილი**

ნ ა ძ ი რ ა ლ ე ბ ს

ცხოვრების ნაძირალებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს ავაზაკების მიერ ვანგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან. თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეეკითხეთ თქვენს სინდისს: „რა დააშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“. აშკარად და ხმა მაღლა გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფურჩულით. ნუ თუ არ გესმით, რომ თქვენი ღიმილი ვაშაა ავაზაკებისადმი! რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებით თვით თქვენვე აღიზარდენით, რომელიც 50 წლის განმავლობაში ამდიდრებდა ქართულ ღარიბს მწერლობას.

მაგრამ თქვენისთანა უგვანო-უმადურთათვის არის მხოლოდ ქვეყანაზე კუჭი, რომლის ამოსავსებათ თქვენვე, სპეტაკ-სინდისიანნო, არ ერიდებით არავითარ გზას. მერე უფრო საიდამ ისმის ეს სიხარულის ყიჟინა? იქიდან, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად უნდა სწუხდნენ, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაკარგულ მგოსნის მადრიელნი!

უმადურნო! დედის შემდეგ თქვენს გონებას ძუძუ აწოვა ქართულმა მწერლობა და იმ ენის მწერლებმა, რომელი ენის გარდა თქვენ სხვა ენა არ იცით, და მხოლოდ ამ ენის მწერლობის საშუალებით აგიხელიათ თვალები.

მაგრამ, რას ვამბობ, თქვენ ისე აგიხელიათ თვალები, როგორც იმ ავაზაკს, რომელიც მუხანათათ დაეცა უიარაღო მოხუცებულს. თქვენც იმავე ავაზაკობის შორს აღარ წასულხართ თქვენის სინდისით, თქვენის პატიოს-

ნებით. თქვენ ეკუთვნით იმ პირუტყვებს, რომელნიც უძლურების გამო, წკმუტუნებენ და ჰყეფავენ. რამდენს ამოუყენებთ დაკარგულს მგოსანს თანასწორს? ან იქნება იმისთვის ყეფავთ, რომ მისის დამდაბლებით თვით აღმაღლდეთ, ჰიებო! ჰიაყელა ვერ მოისხამს მიმინოს ფრთებს! მე, ჩემ თანამოძმე ახალგაზდა მწერალთა მხრივ გითვლით თქვენისთანა ჯურის ქვემძრომებს უღრმეს ზიზღს და ჩამოუწმენდავ ფურთხს.

ჩვენ კი, შენი მოწაფენი, ჩვენო მასწავლებელო და ძვირფასო მგოსანო, შენს საფლავს შევამკობთ ჩვენის შენდამი სიყვარულით.

„ის. „4 სექტ. **ი. ევდოშვილი.**

ილიას დაკრძალვის დღე და წესრიგი

კვირას, 2 სექტემბერს, ტფ. დეპუტატთა საკრებულოში მოხდა სხდომა ტფ. საზოგადო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელებისა, რომელთაც ილია ჭავჭავაძის დასაკრძალავად არჩეულ კომისიას თან ერთად უნდა შეემუშავებინათ მგოსნის გვამის დაკრძალვის წეს რიგი. თუმცა განზრახული იყო, განსვენებულის გვამი 6 სექტ. გადმოესვენებიათ ტფილისდასაკრძალავად, მაგრამ რადგან საქართველოს ყველა კუთხიდან — კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსა, აჭარა ბათუმისა და სხვა ადგილებიდანაც ამბავი მოვიდა, წარმომადგენელნი აპირებენ ჩამოსვლასაო, ამიტომ კრებამ საჭიროდ დაინახა განსვენებულის დაკრძალვა გადაედო დასაფლაცების დღედ დაინიშნა კვირა, 9 სექტემბერი. ხუთშაბათს საღამოთი ტფილისიდან საგურამოში გაემგზავრებიან კომისიის წევრნი, ქ. შ.-წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის წევრნი — ივ. რატიშვილი, დავით

კარიჭაშვილი, თავ. ივანე ჭავჭავაძე და გაზეთებისა და მუშათა წარმომადგენელნი და იქ პანაშვიდის გადახდას დაესწრებიან. ცხედარს გამოასვენებენ პარასკევს, ასე დილის 10 საათზე და ტფილისში მოასვენებენ ამავე დღეს. ხალხის ერთი ნაწილი ნაშუადღევის 1 საათზედ ცხედარს მიეგებება დიღომს იქით, ხოლო უმრავლესობა ვერაზედ ჯვართან. აქედან 3 საათზე ცხედარს წაასვენებენ გოლოვინის პროსპექტითა და სიონის ქუჩით სიონის ტაძარში, სადაც გვამს დასტოვებენ 9 სექტემბრამდე. კვირას გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი და შემდეგ სიონის ტაძრიდან ცხედარს წაასვენებენ მამადავითის ეკლესიაში.

———

პანაშვიდი

კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა სიონის კრებულის თანამლოცველობით გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე დეკანოზმა მ. ტყემალაძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი ხალხი, საზოგადო დაწესებულებათა და აქაურ გაზეთების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, მარშლები და სხვანი. სხვათა შორის, პანაშვიდს დაესწრნენენ ნამესტნიკი მეუღლითურთ და ნამესტნიკის საბჭოს წევრნი.

———

წ.-კ. საზ. გამგეობის დადგენილება

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას საგანგებო სხდომა ჰქონდა საზოგადოების თავჯდომარისა და საპატიო წევრის ილია ჭავჭავაძის დასაფლავებას გამო და დაადგინა: გადაიხადოს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენე-

ბლად ოთხშაბათს, 6 ენკ. სიონის ტაძარში, მისი კუბო შეამკოს ყვავილების გვირგვინებით ; განსვენებულის დასაფლავებლად არჩეულ კომისიაში გაიგზავნოს გამგეობის ორი წევრი ; გამგეობის ერთ ერთ წევრს დაევალოს განსვენებულის დასაფლავების დროს სიტყვის წარმოთქმა ; მთელი გამგეობა დასაფლავებას დაესწროს სამგლოვიარო ტანისამოსით ; გამგეობის ორი წევრი გაიგზავნოს საგურამოში, საიდანაც იმათ კუბო უნდა გამოაცილონ ტფილისამდე ; გამოიცეს და უფასოდ დარიგდეს 5000 წიგნი ი. ჭავჭავაძის საუკეთესო ლექსებისა.

———

ქალთა კრება

დღეს ნაშუადღევის ექვს საათზე დანიშნულია ქართველ ქალთა კრება ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქციაში. კრების საგანია-მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ სცენ პატივი სასიქადულო მგოსნისა და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

———

დრამატ. საზოგადოების კრება

2 სექტემბრისთვის ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნული იყო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის ამოსარჩევად. კრებამ მოისმინა ამბავი ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის შესახებ, ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნად და ნიშნად მგლოვიაროზისა კრება სხვა დროსათვის გადასდო.

„ის.“ 5 სექტ.

ქუთაისი

ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი მეხივით დაეცა ყველას. 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ქალაქში იქაც გავრცელდა მკვლელობის ამბავი, მაგრამ არავის სჯეროდა ასეთი ველური ამბავი. გამოკითხვის შემდეგ გაიგეს, რომ სოხუმში ქუთაისზე გაეგზავნათ დეპეშა საზიზღარი მკვლელობის შესახებ. ეჭვი აღარ იყო. ყველა აღშფოთდა და გაოცდა: „ვისთვის იყო საჭირო მისი მოკვლა?“ სამწუხარო ამბავი ერთს წუთს მოედვა მთელს ქალაქს. ქალაქის გამგეობაში სხდომა იყო, რომელიც დაუყონებლივ შეწყვიტეს. გადაიდვა წარმოდგენა თეატრში. ბულვარში მოსეირნე ხალხი დაიშალა და სახლში წავიდა. 31 აგვისტოს დღის 1 საათზე ქალაქმა გამოაკრა ქუჩებში სამგლოვიარო განცხადება, რომლითაც იწვევდა მცხოვრებლებს პანაშვიდისათვის. ქართულმა გიმნაზიამ და სხვა სასწავლებლებმა, ყველამ გადაიხადა პანაშვიდები, რომლის დროს მოკლედ აცნობდენ მოსწავლეებს განსვენებულის ბიოგრაფიას. ყველა წოდება, წრე, მთლი ქალაქი ემზადება ილიას დასაფლავებისათვის. ყველას სწყურია მოკვლის მიზეზის გამოკვლევა.

2 ენკენისთვეს ქართულ გიმნაზიის სამზ. კომიტეტისა და თ.-აზნ. მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი მიაწყდა. ტაძარმა რომ ვერ დაიტია ხალხი, იგი გარედ მოთავსდა, პანაშვიდი დაიწყო ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვით.

პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა, ხოლო იმის შემდეგ მოსე ქიქოძემ წარმოსთქვა სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა:

„ძნელი გასაბედია ამოდენა საზოგადოების წინაშე იმ უბედურ მომენტის დაფასება, რომლის მოწმენი ჩვენ შევიქენით, მაგრამ გაჩუმებას ეს კადნიერება ვამჯობინე. 30 აგვისტო არ დაავიწყდება იმ ქართველს, რომელსაც არ დაუკარგავს ადამიანის სახე, რომლის ჭკუა-გონება ჯერ კიდევ არ გალაყებულა და რომლის გრძნობა არ გათახსირებულა. საზოგადო სენი მკვლელობისა მოედო ჩვენს ქვეყანასაც; ამის მაგიერად, რომ ხელს ვუწყობდეთ ადამიანის დღეგრძელობას, ჩვენ ერთმანეთზე ავმხედრდით და საქმე იქამდის მივიდა, რომ მოგვიკლეს ილია ჭავჭავაძე. რისთვის, რა დააშავა? რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ბრძოლით დაქანცული საქართველო პირად ღირსებისა და თავისუფლების დასაცველად რუსეთს მიენდო; დაღლილმა მოსვენებას მისცა თავი; მოსვენება გადაექცა ღრმა ძილად, იმდენად ხანგრძლივი იყო იგი, რომ მოსალოდნელი იყო ძირიანად აღმოეფხვრა ხალხის თვით-შეგნება.

საბედნიეროდ ერს მოევლინა მისი დიდება ნ. ბარათაშვილი, რომელმაც გულის სიღრმიდან ძლიერის ღვთიურის გრძნობით დასძახა მძინართ: აღსდეგით, თვალები გაახილეთ, თორემ ქვეყნის ზურგიდან აღიგვებითო. უდროოდ დავკარგეთ ეს ზეცით მოვლენილი მოციქული. სამოციანმა წლებმაც მოგვისწრეს თავის დაუვიწყარ მოღვაწეებით. ამათ შორის პირველი ადგილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს ეჭირა. იმანაც იმავე გულის სიღრმიდან, იმავე ღვთიურის და ძლიერის გრძნობით მოუწოდა თანამემამულეთ თვით შეგნების გზაზე. ილია არ ეკუთვნის რომელსამე წრეს ან წოდებას. იგი ეკუთვნის ყველა მუშაკთ. პატიოსან მუშაკთ! მათთვის ძგერდა ილიას გული, მათთვის იჭმუხნოდა მისი პატიოსანი შუბლი! განგმირეს ეს გული და ეს შუბლი! ილიას

ხსენებას მუდამ ჟამს თავს ედგმება ბრწყინვალე გვირგვინი დიდებისა. იმის სახელს ვერავინ შეჰბღალავს, ხოლო თვით ის საზოგადოება, ის ხალხი, რომელმაც ვერ შესძლო თავის საუნჯის დაცვა, ღირსია გაკიცხვისა. ვიტიროთ ჩვენი დაბეჩავებული თავი და არა უკვდავი, დიდებული ილია".

„ის." 6 სექტ.

ქუთაისი.

1 ესკენისთვეს მოუთმენლად ველოდით გაზეთებს, გვეგონა გავიგებდით ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავს დაწვრილებით. ამ მხრით მოსულმა გაზეთმა ვერ დაგვაყმაყოფილეს, მაგრამ წყლული, ჭავჭავაძის სიკვდილით გამოწვეული, უფრო გაღრმავდა და გამწვავდა იმ ზომამდე, რომ ბევრნი გაზეთებში მოთხრობილ ამბების კითხვის დროს ცრემლებს ვერ იკავებდნენ. იშვიათად შეხვდებით კაცს, რომ მის სახეზე დიდი მწუხარება არ იხატებოდეს.

ილიას დაკრძალვაზე წამოსასვლელად აქედან ბევრი ემზადება. სხვათა შორის, ქართული გიმნაზია დაკრძალვის დღეს სწავლას შესწყვეტს და მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა და უფროს კლასების მოსწავლეების წარმომადგენელნი აპირობენ ტფილისში წამოსვლას.

ამ სტრიქონების დამწერი ვიქტორ ჰიუგოს სიკვდილსა და დასაფლავებას დაესწრო პარიზში; საფრანგეთმა დიდი პატივი სცა თავის სახელოვან მამულიშვილს, მაგრამ არა მგონია ფრანგთა შორის ისეთი გულწრფელი და გულიდან ამონახეთქი მწუხარება ყოფილიყო, როგორც ილიას მოკვლამ გამოიწვია აქ. გასაკვირველიც არ არის, რადგან ჰიუგომ ბუნებრივად დალია სული, ჩვენ-კი პირველ მოღვაწეს, პირველ ქართველს

ტვინი შარა გზაზე დავანთხევინეთ, თითქო მას დიდი ღვაწლის მეტი სხვა რამე დანაშაულობა მიუძღვოდეს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულ პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. მაღაზიების უმრავლესობა დაიკეტა და ვინც არ დაჰკეტა მაღაზია, ბოდიშს იმითი იხდიდა, რომ პოლიციისა გვეშინიანო.

„ისარი“, 4 სექ.

ილიას სიკვდილის გამო

ბოდიშს ვიხდი დიდებულ ცხედრის წინაშე, რომ ორიოდ სიტყვით, ასე ზირელად შევეხები იმის მოღვაწეობას, მაგრამ ვრცელ წერილებს დამშვიდებული გული უნდა, ეხლა-კი, ჯერ გაუციებელ გვამის წინაშე, ორიოდ სიტყვის მეტს რას იტყვი? არც ერთ თავის შვილის სიკვდილი არ მოჰხვედრია საქართველოს ისე ლახვარსავით გულში, როგორც ილიას სიკვდილი, არც ერთი მოღვაწე არ უგლოვია ასე მწარედ, როგორც ილია.

ვინ იყო ილია ჩვენთვის? იგი იყო ჩვენი ენის ამომდგმელი, იგი იყო პირველი, ვინც ქართული ლიტერატურა და ქართული საზოგადოება ევროპიულ გზაზედ დააყენა. ილია არის მშობელი და მამათ-მთავარი ყოველივე ჩვენის საზოგადოებრივ დაწესებულებისა. ლიტერატურაშიაც ილია ჩვენთვის იგივეა, რაც რუსებისათვის პუშკინი და გოგოლი. ილიას მოღვაწეობა ჩვენთვის არის ის ეტაპი, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი მწერალი. ილიას მოღვაწეობის ხანა არის ის ხანა, როდესაც საქართველოს ერის თვითცნობიერებამ (არა მარტო

ნაციონალურმა) უნდა დაიწყოს თავისი მატიანე. რათა ეს ცარიელ სიტყვად არ ჩამოგვართვან. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ილიამდის არავითარი საზოგადოებრივი მოძრაობა არა ყოფილა ჩვენში; მოვიგონოთ, რომ უპირველესს სოციალურ ბოროტებას, ბატონყმობას, იგი შეეხო თავის ძლიერის ხელით და ამით გვიანდერძა სოციალურ საკითხის გადაწყვეტა, თუმცა თვითონ დროთა ვითარებას უკან ჩამორჩა. მოვიგონოთ ის თუ, რა იყო ქართული ლიტერატურა ილიამდის: ჯერ კიდევ სპარსული მოტივები ბატონობდნენ ამ ლიტერატურაში. არა თუ ალექსანდრე ჭავჭავაძემ, თვით ორბელიანებმაც, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში წმინდა ევროპიული რომანტიზმი გადმონერგეს („ჯვარი ვაზისა“, „იმედი“, „სადღეგრძელო“), ვერ დააღწიეს თავი სპარსულ შიქასტურ კილოებს („კინტოს სიმღერები“, „ნუ მასმევ ღვინოს“ და სხვა); მოვიგონოთ მოშავალის მაძიებელი ნ. ბარათაშვილი, იდეალ-დაკარგული და სასოწარკვეთილი, და ნათლად დავინახავთ იმ უდიდეს შრომას, რომელიც გასწია აწ განსვენებულმა ილიამ. ილიამ თითქმის სრულებით განდევნა ლიტერატურიდან სპარსული მოტივები (თუ არ ჩავთვალეთ „გახსოვს ტურფავ“, რომელიც ისე ძლიერ მოგაგონებთ სპარსულ კილოს). თავის უკვდავ „განდეგილ“-ში ილიამ სამუდამოდ დაამარცხა მისტიციზმი და სთქვა, რომ ერთად-ერთი ნაყოფიერი მუშაობა არის მუშაობა აქ, მიწისთვის, ხალხისთვის. იგივე აზრი გამოსთქვა მან თავის ლექსში:

,,მისთვის არ **ვმღერ**, რომ ვიმღეროდ,
ვით ფრინველმა გარეგანმა‘‘,

და საქმითაც შეასრულა მან თავისი სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ რომანტულ მიმართულების თხუზულებებში მან იშვიათი ნიჭი გამოიჩინა („აჩრდილი“),

რის გამოც ეს თხზულებები მარგალიტის თვალად დარჩებიან ქართულ ლიტერატურაში, ილიამ მაინც უარ ჰყო ძველი გზა და სრულიად ახალ გზას დაადგა. „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და ბევრი სხვა სრულიად ახალ ხანას ჰქმნიან ქართულ ლიტერატურაში, ხანას რეალიზმისას. ლექსებშიაც ილია არ უმღერის მხოლოდ ღვინოს და სიყვარულს, როგორც წინად იყო. მან ახალი ელემენტი შეიტანა ლიტერატურაში: იგი უმღერის „ხმას მოწობის ჯაჭვთ მტვრევისას“; იგი სჩივის „გუთნის დედის“ ბედს.

ვიმეორებ, რომ ილიამ ისეთი კვალი დააჩნია ჩვენს ლიტერატურას და ჩვენს ცხოვრებას, რომელსაც ვერ ასცდება ვერც ერთი საზოგადო მოღვაწე და ვერც ერთი პუბლიცისტი, ვერც ერთი ბელეტრისტი და ვერც ერთი მგოსანი. ამას უნდა დავძინოთ ის, რომ იშვიათია (თითქმის არც კია) ისეთი მოღვაწე, რომელიც ისეთი ყოველმხრივი ყოფილიყოს, როგორიც ილია.

ილია არის რეფორმატორი ჩვენის ცხოვრების ყოველის მხრისა, რაც უნდა აიღოთ. აი, ამ მხრივ იგი გაცილებით მაღლა უნდა დავაყენოთ ყველა სხვა მოღვაწეზე. ილია მეტია ჩვენთვის, ვიდრე რუსებისათვის პუშკინი, ან გოგოლი იყო, იმიტომ რომ ამათ მხოლოდ ლიტერატურის რეფორმა მოახდინეს. როგორც მოგეხსენებათ, გოგოლი ძლიერ შორსაც იყო საზოგადოებრივ რეფორმატორობისაგან.

ველური უნდა იყოს ის კაცი, ის ქართველი, გონება დახშული და ღსუსურ ბავშვის საფეხურზე მდგარი, სულ ერთია, რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს რომელიც არ დააფასებს ილია ჭავჭავაძის ღვაწლს და არ იცნობს მასში თავის ისტორიულ წინა მორბედს. ჩვენ რომ ილიას ღვაწლი ვერ დავაფასოთ, ეს იგივე

იქნება, რაც იქნებოდა, რომ დაგვვიწყებოდა სრულებით ვინა ვართ, რანი ვართ, რანი ვყოფილვართ. ისტორიული თვითცნობიერება პირველი ნიშანია ხალხის გონებრივ განვითარებისა და პირველი საჭიროებაა ყოვლესავე პოლიტიკურ პარტიისათვის. ვერც პოლიტიკურს და ვერც სოციალურ საკითხს იგი საკმაოდ ვერ გაითვალისწინებს, თუ მან არ იცის თავისი ვინაობა, თუ არ იცის თავისი ჩამომავლობა, თუ არ იცნობს, რა ნიადაგზე უხდება მას მუშაობა. როგორც ბავშვი ყველაზედ წინად თავის დედ-მამას იცნობს და ეს არის მისი გონების პირველი შრომა, ისე პარტიისათვის პირველი საჭიროება ის არის, რომ იცოდეს რა ნიადაგმა აღმოაცენა მისი მიმართულება, იცოდეს თავისი უახლოესი წარსული მაინც. დარწმუნებულნი ვართ, ქართველები იქამდი არ არიან გონება-დაბნეულნი და კულტურულად ჩამორჩენილნი, რომ ვერ დააფასონ ისეთი მოღვაწე, როგორც ილია ჭავჭავაძეა.

არა, ყველამ ვიცით, რა დიდი გზა გაჰკაფა ცხოვრებაში დაუვიწყარმა ილიამ.

მერე ვინ არის მისი მკვლელი? აი, კითხვა, რომელსაც აძლევს თავის თავს და ქვეყანას ყოველი ქართველი. ვინ უნდა იყოს, თუ არ ვინმე ავაზაკი, ან გონებადაბნეული უვიცი, იარაღი რაიმე ქვენა გრძნობისა. დარწმუნებულ უნდა ვიყოთ, რომ **არც ერთი პარტია ამას არ იზამდა. ამაში ეჭვის შეტანაც კი ცოდვაა.** ღრმად ნუ შევხედავთ საკითხს, მწუხარებას ნუ დავებრმავინებით. დავფიქრდეთ, რა დროში ვცხოვრობთ. ვინ იცის, იქნება ილიას მკვლელს სწორედ ისიც უნდოდა, რომ მისი სიკვდილით ჩვენ, ქერთველები ერთმანეთს გადავკიდებოდით*). ფრთხილად უნდა ვიყოთ

*) ძნელი წარმოსადგენია, რომ ილია აგრარულ ნიადაგზე

და უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ყველა ქართველები მგლოვიარენი ვართ და რაიმე ეჰვით ნუ გავუორკეცებთ წყლულს მგლოვიარე თანამემამულე ამხანაგებს დღევანდელ უბედურებაში. **ნ.**

„ის.“ 4 სექტ.

ა მ ო ნ ა კ ვ ე ნ ე ს ი

გაიხარენით, ჩვენის ქვეყნის დამაწყევარნო, გაიხარევით, ბიჭ-ბუჭებო, ნაძირალებო, გაიხარევით, ხალხის მტრებო, ხულიგანებო: მოჰკლეს ილია — საქართველოს ჭირისუფალი!

იცინეთ, მგლებო, კრავის ტყავით მოარულებო, იცინეთ მხეცნო, კაცის სახის მატარებლებო, იცინეთ, ბრიყვნო, დედის ძუძუს უარ-მყოფლებო: მოჰკლეს ილია, სამშობლოის მაღმერთებელი!

ტაში დაჰკარით, ითამაშეთ, ჩამოუარეთ, გაინაწილეთ მისი ქურქი, მისი ქონება... რაღას უყურებთ, უწმინდურნო! გაცივებულ გვამს არც მკლავი უჭრის, აღარც აზრი და არც გონება!

მაშ, გაიხარეთ! ხომ გასთელეთ მურდალის ფეხით მრავალ ტანჯულის საქართველოს თავმოყვარეობა?! ხომ შეაგინეთ, ხომ წაბილწეთ, ხომ დაამცირეთ ჩვენის მწერლობის დედა-ბოძი და უკვდავება?!

სხვა რაღა გინდათ?! იცინეთ-მეთქი! რკინის შანთებით დაგვისერეთ სული და გული... ახია ჩვენზე —

იყოს მოკლული. თუ იმ დროს, როდესაც აგრარული ტერორი იყო გახშირებული, მას ხელი არ ახლეს, ეხლა უფრო რად მოჰკლავენენ, როდესაც აგრარულ მოძრაობაზედ ლაპარაკიც კი არ არის. **ნ.**

მცონარებზე! ერი ბედკრული ღირსია მეტის წამებისა, გათახსირების.

იქნებ ოდესმე მოიკრიბოს თვისი ძალღონე და შეებრძოლოს დამჩაგვრელებს, იუდის კერძებს!

დედავ ქართვლისა! ზიზღით დაჰგმე შენ შენი შვილი, ჩოხის მაგიერ დიაცურებ კაბა ჩააცვი, თუ-კი იმდენად დაძაბუნდა და დავაგ-ლახდა, რომ კუჭის გარდა აღარაფერს აღარ დაეძებს!!.

„ის.“ 4 სექტ. **ია ეკალაძე.**

კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელების შესახებ

დუშეთის მაზრის ადმინისტრაციამ აცნობა ტფილისას, რომ როგორც შეკრებულ ცნობებიდან ირკვევა, ილია ჭავჭავაძეს მკვლელები ტფილისიდან უნდა გამოჰყოლოდნენ; დანამდვილებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ მკვლელები მხეცური მოქმედების შემდეგ ისევ ტფილისს დაბრუნდნენო. პოლიციის ცნობებით, მკვლელნი გამოწყობილნი ყოფილან თეთრსა და რუხს „ტუჟრკებში“ აფიცრისა და სალდათების ნიშნებით. მკვლელები სულ ახალგაზდები ყოფილან ასე 23 — 27 წლისანი. ლაპარაკობდნენ რუსულად. მკვლელობის შემდეგ მხეცებს წაუღიათ ყველაფერი, რაც დახოცილებს ჰქონიათ: ილიას ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვით, ოქროს სათვალე, საკვოიაჟი, რომელშიაც საქმის ქაღალდები ყოფილა; არ იციან, ფული წაუღიათ თუ არა; წაუღიათ აგრეთვე პიჯაკი და პატარა ბოხჩა საცვლებით. საცვლებზე ყოფილა ასო „ი.“ ჭავჭავაძის მეუღლისთვის ჩამოუგლეჯიათ ოქროს „ბროშკა“, რომელშიაც ყოფილა სხვა და სხვა დროის გადაღებული პატარა სურათები განსვენებული ილიასი. იაკობისათვის შემოუძვრიათ



ვერცხლის ქამარი, გაუძვრიათ ფეხსაცმელები. მეეტლე ისევ არეულად ლაპარაკობს თურმე. გამომძიებელს უკვე დაუპატიმრებია.

— —

ორი კომისია

ილია ჭავჭავაძის დასასაფლავებლად ამორჩეულმა კომისიამა ირჩია ორი მცირე კომისია. პირველ კომისიას მიენდო დასაფლავების ადმინისტრატიული მხარე — წეს-რიგის დაცვა და სხ. ამ კომისიაში აირჩიეს ვ. გუნია, ს. იაშვილი, ალ. ერისთავი, ყავრიშვილი და ქ. ქავთარაძე. მთავარ ადმინისტრატორად არჩეულ იქმნა ვალ. გუნია. მეორე კომისიას მიენდო სიტყვების წეს-რიგის შემუშავება. ამ კომისიაში აირჩიეს ალ. ჰ.—ძე სარაჯიშვილი, ი. ფანცხავა და ა. მდივანი. სიტყვების წარმოთქმის მსურველნი უნდა ჩაწერილიყვნენ ხუთშაბათს საღამოსდის „ნაკადულის“ რედაქციაში.

— —

წვრილ ვაჭართა პროფ. საზოგ. გამგეობის დადგენილება

ამ გამგეობამ დაადგინა: 1, 6 ენკენისთვეს კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადაიხადოს პანაშვიდი მგოსნის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად; 2. სთხოვოს ვაჭრებს, რომ პარასკევს, 7 ენკენისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე, ვერაზე, ჯვართან დახვდნენ ილიას ცხედარს, რომელსაც საზოგადოების სახელით შეამკობენ გვირგვინებით და გააცილებენ სიონმდე; 3. სთხოვს ვაჭრებს, რომ კვირას, 9 ენკენისთვეს დაესწრონენ სიონში ანდერძის აგებას და გააცილონ ცხედარი მთაწმინდაში; 4 სთხოვონ ვაჭრებს, რომ იმ ქუჩებზე, რომელზედაც პროცესია გაივლის, მიცვალებულის პატივისაცემლად სავაჭროების კარები მიხურონ.

ქალაქის საბჭოს სხდომა

3 სექტემბერს, მოხდა სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. თავმჯდომარემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა საბჭოს აცნობა ტრაგიკული სიკვდილი პოეტის ილია ჭავჭავაძისა. თავმჯდომარემ სთქვა, სხვათა შორის, რომ მართალია, ილია ჭავჭავაძე ხმოსანი არ იყო, მაგრამ იგი ქართველ ხალხის პირველი მგოსანი და საზოგადო მოღვაწეთა. საბჭომ, თავმჯდომარის წინადადებისამებრ, დაადგინა: 1. გამგეობამ ქალაქის სახელით განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ცხედარი შეამკოს გვირგვინით; 2. მთელი გამგეობა დაესწროს განსვენებულის დაკრძალვას. 3. თანაგრძნობა გამოუცხადოს ჰირისუფლებს.

———

სომეხთა დრამატ. საზ. გამგეობის დადგენილება

1 სექტემბერს სხდომა ჰქონდა სომეხთა დრამატიულ საზ. გამგეობას, რომელმაც მოისმინა ილია გ. ჭავჭავაძის ტრაგიკულად მოკვლის ამბავი და დაადგინა, დაევალოს გამგეობის თავმჯდომრეს დაესწროს დაკრძალვას და საზოგადოების სახელით მწუხარება გამოუცხადოს მგოსნის ოჯახს.

„ის.“ 5 სექტ.

———

ქალების კრება

4 სექტემბერს, ნ. ნაკაშიძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართველ ქალებისა იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ სცენ პატივი განსვენების დღეს ილია ჭავჭავაძის ცხედარს. კრებამ აღშფოთებით მოისმინა საშინელი ამბავი და ფეხზე ადგომით პატივი სცა გენსვენებულის ხსოვნას. კრებამ დაადგინა: 1. არჩეულ იქნას დეპუტაცია (სამი ქალი) საგურამოში გასაგზავნად ცხედრის გამოსაცილებლად; 2. შეამკოს გვირგვინით განსვენებულის

ცხედარი ; 3, 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, გადაიხადოს ქართველ ქალთა სახელით პანაშვიდი ; 4. ქართველი ქალები ცხედარს შეჰხვდებიან ვერაზედ ჯვართან პარასკევს, 2 საათზედ, და, 5, დაავალოს ერთს მანდილოსანს სიტყვა წარმოსთქვას განსვენებულის დაკრძალვის დღეს.

პანაშვიდი

გუშინ, 5 სექტ. ნაშუადღევის 2 საათზე, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ინციატივით, სიონის საკრებულო ტაძარში დეკანოზმა მ. ტყემალაძემ გადაიხადა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ საზოგადოების გამგეობის წევრნი და სხვა და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

„ის.“ 6 სექ.

ვერ მოჰკლეს

„ილია რომ მოჰკლეს!“ მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა : ვინ მოკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუ თუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახრლე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთად-ერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთან კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიჭონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვი-

კით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი?! ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტის-მეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში, არ მომხდარა და არც მოხდება. მხოლოდ საწყალს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთან მკვლელობა რევოლუციის სახელით. საბრალო, საწყალო რევოლიუციავ ჩვეს ხელში...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა. საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის. დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუ თუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამინების ხოცვა, კვლავ, მოკვლაა მთელის ქვყნისა. სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუ თუ იქამდის დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუ თუ ვისიმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს. ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტარტებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? ნუ თუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ? დავერივნეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოლმით აღსავსე, მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს სირცხვილი? განა იმათ ადამიანობისა ერთი ბეწო ნიშანწყალა რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად და პირუტყვზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე. ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?!.

მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების

მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!“ მესმის გულ საკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი — დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, — ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჰკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ!

,,ის.“ 6 სექტ. **ვაჟა-ფშაველა.**

პანაშვიდები

ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, არტისტებისა, ფილარმონიულ საზოგადოებისა, ქართულ გიმნაზიის სასკოლო საბჭოებისა და ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოების ინიციატივით 5 სექტემბერს, საღამოს 6 საათზედ, ქვაშეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. რადგან ეკლესიაში ტევა არ იყო, ხალხი ქუჩაში დადგა. პანაშვიდის დაწყებამდე მღვდელმა მ. თოთიბაძემ სიტყვა წარმოსთქვა.

მეორე დღეს, 6 სექტემბერს, პანაშვიდი გადახდილ იქმნა ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის ტაძარში ტფ. წვრილ ვაჟართა პროფესიონალურ საზოგადოების ინიციატივით. გადახდილ იქნა გუშინვე, 6 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, სიონის ტაძარში ქართველ ქალთა ინიციატივით. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო.

ამავე დღეს ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაშიაც, მოწაფეების თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი.

5 ენკენისთვეს პანაშვიდი გადაიხადეს აგრეთვე ტფ. საეპარქიო ქალთა სასწავლებელში. სიტყვა წარმოსთქვა ინსპექტორმა მღ. კეკელიძემ.

ქუთაისი

ჩვეულებრივი სხდომა ქუთაისის ქალაქის საბჭოსი ხმოსნებმა მოანდომეს ვერაგულად მოკლულის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. გამგეობის წევრმა კ. ბაქრაძემ სხდომა გახსნა შემდეგის სიტყვით: „მწუხარებით უნდა გაუწყოთ, რომ ქართველ ერს დიდი უბედურება დაატყდა თავს. 30 მარიამობისთვეს ვიღაც ბოროტებმა თავიანთი მურტალი ხელი შეახეს ჩვენს დიდებას და სიამაყეს, ჩვენს ძვირფას ილიას. არ დაინდეს ის ჰალარით მოსილი და შემოქმედებით თავი, რომელიც 50 წლის განმავლობაში განუქრობელის სანათით უნათებდა გზას რამდენსამე თაობას. მოგვწყვიტეს კაცი, რომელმაც თავის ძლიერის ნიჭით საუკუნოების ძილიდან გამოაფხიზლა ხალხი. ვინ იყო დამნაშავე ასეთის არა ქვეყანაში არ მომხდარ ბოროტებისა, ჩვენ არ ვიცით და იქნება ვერც ვერასოდეს გავიგოთ. ვიტყვით მხოლოდ ერთს — როგორც თვით ცხოვრება ილიასი, ისე მისი ტრაგიკული სიკვდილი უმნიშვნელოდ არ გაივლის საზოგადოებისათვის. ამედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს უბედური შემ-

თხვევა საზოგადოებას გიმოარკვევს და შეაერთებს მის ძალებს იმ უმაღლეს იდეალების მისაღწევად, რომელსაც ისე შეუდრეკლად და ნიჭიერად ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას".

საბჭომ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და შეუდგა გამგეობის მიერ წარმოდგენილ პროგრამის განხილვას. ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად შემუშავებული იყო გამგეობის მიერ შემდეგი პროგრამა: 1. გაიგზავნოს დეპუტაცია საბჭოს მხრით დასაფლავებაზე დასასწრებლად და განსვენებულის კუბოს ვერცხლის გვირგვინის შესამკობად; 2. გადახდილ იქნეს პანაშვიდები ქალაქის ყველა სასწავლებელში და მოს წავლეებს გადაეცეთ ცნობები ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; 3, დაარსდეს სტიპენდია პიტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე და ამისათვის ყოველწლივ შეტანილ იქნას ხოლმე ხარჯად 300 მანეთი.

საბჭომ ერთხმად მიიღო ეს და ხმოსნის ვარლამ ჭილაძის წინადადება, რომ გეგუთის ქუჩას, საცა შენდება ქართულ გიმნაზიის შენობა, დაექრვას ილია ჭავჭავაძის სახელი. შემდეგ ამისა გლოვის ნიშნად საბჭომ აღარ განიხილა მიმდინარე საქმეები და სხდომა დაიხურა.

დაწესებულებას ვერ ნახავთ ქუთაისში, რომ დეპუტაციის გაგზავნას არ აპირებდეს დაუვიწყარ მგოსანის დაკრძალვაზე დასასწრებლად. ზოგიერთი დეპუტატი იმ ანგარიშით აპირებს წამოსვლას ტფილისში, რომ ილიას მოსვენებას დაესწროს საგურამოდან. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლები უფროსის კლასების მოსწავლეებით, მრეწველთა საბჭოს წევრნი და ბევრი სხვაც 6 ამ თვეს წამოვლენ, რომ 7 ენკენისთვეს ტფილისში იყვნენ. ზოგიერთი

საგურამოში აპირებს წასვლას. ქუთაისიდან საზოგადოდ ურიცხვი ხალხი მოდის, მარტო სავაჟო გიმნაზიიდან 100 მეტი ახალგაზდა აპირებს წამოსვლას.

თელავი.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულად სიკვდილის ამბავი სისწრაფით მოედო მთელ თელავს და იმის მაზრას. ყველა მკვიდრი ქართველი იცნობდა მას, როგორც პოეტს ილიას, როგორც მგოსანს

პირველი ცნობა თელავში 31 აგვისტოს მივიღეთ, მაგრამ არავის უნდოდა დაეჯერა ის შემზარავი ამბავი, რომ ილია ჭავჭავაძის ძვირფასი სიცოცხლე ასე უღვთოთ მოისპო ვერაგ მტარვლის ხელით, მაგრამ 1 სექტემბერს მოსულ გაზეთებმა ცხადჰყვეს ეს სამწუხარო ფაქტი.

2 სექტემბერს, მარშლის მოწვევით სამხ. საკრებულოში თავი მოიყარა თელავის ქართველმა საზოგადოებამ, ინტლიგენციამ, თავად-აზნაურობამ და მთელი მაზრის სოფლის წარმომადგენელთ; თითო საზოგადოებიდან იყო სამ სამი კაცი. პირველად დამსწრეთ ეუწყათ ილია ჭავჭავაძის სიკვდილის ამბავი, წაუკითხეს „ისარში“ მოთავსებული ცნობები, თანაც სოფლელთ დაურიგეს გაზეთ „ისრის“ ნომერი სადაც მოთავსებული იყო მცხოვან პოეტის სურათი. შემდეგ ვ. კახიძემ ვრცლად გააცნო შეკრებილთ მგოსნის ბიოგრაფია და მისი ღვაწლი ქართველ ერის წინაშე. აქვე გადასწყვიტეს სოფლიდან წარმომადგენელნი გაგზავნონ ტფილისში დასაფლავების დღეს დასასწრებლად; ს. ყვარელიდან ბევრნი აპირობენ თურმე წასვლას „თავის სოფლელ“ ილიასთან საუკუნოდ გამოსამშვიდობებლად.

ამავე დღეს მაზრის მარშალმა მოიწვია თავ.-აზნაურთა კრება. დამსწრეთ ერთხმად დაადგინეს: გაიგზავნოს

თელავ—თიონეთის თავად-აზნაურობისაგან დეპუტაცია 11 კიცისაგან შემდეგარი დაკრძალვაზე დასასწრებლად და კუბოს ვერცხლის გვირგვინით შესამკობად.

თელავში პირველად პანაშვიდი გარდაიხადეს საკათედრო ტაძარში 2 სექტემბერს აქაურ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობის ინიციატივით. პანაშვიდს დაესწრნენ გამგეობის თავმჯდომარე, წევრნი, მასწავლებელნი, სოფლის წარმომადგენელნი და სხვანი.

ტფილისი, 7 ენკენისთვე

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მოკვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. ყველას თავზარი დასცა საზარელმა მკვლელობამ, იმ ადამიანის მოკვლამ, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის ქვეყნის წინაშე. საზოგადოების სინდისი აღშფოთებულია და ყველას ჰსურს ანგარიში გაუწიოს ამ მოულოდნელ ამბავს, გაიგოს — საიდან და რა მიზეზით მოევლინა იგი ისედაც გაუბედურებულ ქვეყანას.

რასაკვირველია, როგორც ყოველთვის და ნამეტურ ასეთ საგანგებო შემთხვევაში, მრავალი ნაირ-ნაირი მითქმა-მოთქმაა, რომელნიც მარტოოდენ აღელვებენ საზოგადოებას და სიმართლის გამორკვევას ხელს სრულებითაც არ უწყობენ. მკვლელობის პირველ დღეებში სხვა და სხვა მითქმა-მოთქმიდან და ხმებიდან უფრო ძლიერად ისმოდა საზოგადოებაში ბრალდება, რომ ილია პოლიტიკურს ნიადაგზეა მოკლული და რომ იგი მსხვერპლია პარტიისა. რაკი ასეთი ბრალდება გაჩნდა და ამგვარი მითქმა ძლიერდებოდა, ცხადია, პრესის მოვა-

ლეობა იყო — იმისათვის ანგარიში გაეწია. კერძოთ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და დღესაც ვართ, რომ მგოსნის მოკვლა არც ერთ პოლიტიკურ პარტიის საქმე არ არის. ამიტომ რამდენჯერმე მკაფიოდ აღვნიშნეთ ეს ჩვენი აზრი, რათა საზოგადოება გაგვეფრთხილებინა შემცდარი დასკვნა-ბრალდებისაგან.

მაგრამ ასეთი მარტო უარყოფით აზრი დამტკიცება საზოგადოების აღშფოთებულს სინიდისს ვერ დააკმაყოფილებს და მღელვარებას ვერ შეაჩერებს. საჭიროა, უეჭველად საჭიროა გამოირკვას ის ნიადაგი, ის ატმოსფერა, რომელშიაც შესაძლებელი გახდა ეს ბოროტმოქმედება, რათა წესიერმა და სამართლიანმა დიაგნოზმა გაგვიადვილოს ღრმა სენთან ბრძოლა. სწორედ ამისთვის ჩვენც წამოვაყენეთ ერთი მოსაზრება, რომელზედაც უფრო მეტად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ ჩვენს საზოგადოებაში და რომელსაც ასე თუ ისე პრესსამ უეჭველად უნდა გაუწიოს ანგარიში. ჩვენ ვწერდით: „**შესაძლებელია**, რომ ახლანდელ აღვირ-აშვებულმა ეგრედ წოდებულმა ტეროროისტებმა, რომელნიც თავის სურვილზე და ნებაზე მოქმედებენ და რომელთა ალაგმვა პარტიებს ვერ მოუხერხებიათ, ჩაიდინეს ეს საზიზღრობაც". მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამ უვიცმა და გზადაბნეულმა ელემენტებმა სწორედ ილია აირჩიეს და წუთი-სოფელს გამოასალმეს? ასეთი საკითხი თავის თავად იბადება და პასუხს აუცილებლად თხოულობს, თუ-კი წამოყენებული მოსაზრება შესაძლებელია. ამიტომ ჩვენც აღვნიშნეთ გაკვრით ის მიზეზები, ის მოვლენანი ჩვენის საზოგადოების ცხოვრებისა, რომელთაც შეეძლოთ ილიასადმი მძულვარების თესლი დაეთესათ შეუგნებულ ელემენტებს შორის.

ვიმეორებთ, ჩვენ მკაფიოდ აღვნიშნეთ, რომ არც

ერთს პარტიას ბრალს არ ვდებთ, მაგრამ **შესაძლებლად** მიგვაჩნია, რომ ილიას, მის თაობის, მის მოღვაწეობის, მის მიმართრლება-იდეალების გადაჭარბებულმა დევნამ, უარყოფამ ვინმე უვიც ფანატიკოსებს განუმტკიცა ის აზრი, რომ ამ ადამიანის მოკვლა სამარცხვინო კი არა, საგმირო საქმე იქნებაო.

ჩვენმა ასეთმა მოსაზრებამ გაზეთი „ჩვენი გზა“ მოთმინებიდან გამოიყვანა და საპოლემიკოდ გვიწვევს. იმის აზრით, ჩვენ მოსაზრებათა შორის წინააღმდეგობა ჰსუფევს: ერთის მხრით ვამბობთ, რომ პარტიას ეს მკვლელობმ არ ჩაუდენია, ხოლო მეორეს მხრით რომელღაც მიმართულებას ვდებთ ბრალს. ვინც კითხვა იცის და ვისი აზროვნება იეზუიტურის იკლიკანტობით არ არის გამსჭვალულ-დამახინჯებული, ის ადვილად გაიგებს ჩვენს აზრს და ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ აღმოაჩენს.. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვარწმუნებთ გაზეთს, რო „გადმოსროლილ ხელთათმანს“ ვიღებთ და საპოლემიკო ასპარეზიდან არ გავექცევით; მაგრამ ახლა ამის დრო არ არის: დიდი კადნიერება და უტიფრობა იქნება ჯერ, სანამ ილია ჭავჭავაძის გვამი არც კი მიგვიბარებია მიწისთვის, სანამ ასე აღშფოთებულ აღელვებულნი ვართ ყველანი, პოლემიკა გავაჩაღოთ იმ მწვავე კითხვებზე, რომელნიც ილიას მოკვლამ გამოიწვია. რაც ჩვენა ვთქვით და რაც არის ჩვენ მიერ ნათქვამში, იმის განმარტება შეგვიძლია კიდეც, მაგრამ არა ეხლა... ეხლა კი ჩვენ მოვიწვევთ ყველას — დამშვიდებით იყვნენ და ვნებათა ღელვას ნუ აჰყვებიან: ჩვენის დიდ მოამაგის, ჩვენის ილიას მკვლელობამ, სულ ერთია, ვისაც უნდა ჩაედინა ის, გონს უნდა მოგვიყვანოს და გამოგვაფხიზლოს და არა სრულებით დაგვაბრმავოს...

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება სავსეა ისეთი ფაქტებით, რომელნიც მწვავე გრძნობებს იწვევენ და მწარეთ აფიქრებენ თითოეულ ჩვენგანს. ასეთი ფაქტია ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მკვლელობაც. განახლებული ცხოვრების ერთი უდიდესი საკითხი იმაში იყო და არის, რომ ადამიანის პიროვნებას ფასი დასდებოდა ჩვენში. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ადრე თუ გვიან, ჩვენდა სასურველათ გადაწყდება; დადგება ჩვენშიაც ის დრო, როცა კაცის პიროვნება ხელშეუხლებელი გახდება და სათანადო პატივი დაედება. დღეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ თუ იდეიურათ არა, ფაქტიურათ მაინც კაცის სიცოცხლემ თითქო ფასი და მნიშვნელობა დაჰკარგა, სამართლიანობამ შურის ძიების ხასიათი მიიღო. და აქ გასაკვირიც არაფერია. სადაც საზოგადოება მოკლებულია ცხოვრებისათვის ბრძოლის კულტურულ საშვალებას, იქ აუცილებლათ თავი უნდა იჩინოს და ფესვი გაიდგას სისხლის ღვრამ, შურის ძიებამ, ანარქიამ, ძალმომრეობამ, ქურდულათ და ავაზაკურათ მოქმედებამ, მეზობლურმა კინკლაობამ, წვრილმანობამ, ქვემძრომობამ და სხვა ანტისოციალურმა მიდრეკილებებმა და თვისებებმა. ამიტომაცაა, რომ თუმცა დღეს ძლიერ ბევრს ვყვირით და ვლაღადებთ სხვა და სხვა უფლებებზე, კანონიერებაზე, სიმართლე-პატიოსნებაზე, პიროვნების პატივის ცემაზე და ხელშეუხლებლობაზე, მაგრამ ყველა კარგათ ხედავს, რომ კვლა, შურის ძიება და სხვა ასეთ გვარი ანტიკულტურული და ანტისოციალური მოვლენები უფრო გარეგნულათ გვაღელვებს. ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. და აი,

სწორეთ ეს გარემოება ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას. ასეთი შეხედულება ნიადაგს პოულობს სწორეთ ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც არა აქვს არც კულტურული ტრადიცია, არც ძლიერი საზოგადოებრივი ისტინქტი, არც მყარი მოქალაქობრივობა. აი რა გვაფიქრებინა ჩვენ, სხვათა შორის, ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მკვლელობამ. ჩვენ ჯერ არ ვიცით ვისმა ბარბაროსულმა ხელმა იმსხვერპლა ილია ჭავჭავაძე. რომელმა მტარვალმა შეიღება ხელი მისი სისხლით. დღეს საკმაოა კაცს უხეირხულათ გამარჯვება უთხრა, რომ მოსისხლე მტრათ გადაიკიდო. შესაძლოა ილია ჭავჭავაძე პირადი შურის ძიების მსხვერპლი გახდა. შეუმცდარი და უცოდველი არავინაა და შეიძლება განსვენებულსაც მიუძღოდა ვისმე წინაშე ნებსითი და უნებლიეთი საწყენი რამ. შესაძლოა მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებული ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მძვინვარებს დღეს მთელ რუსეთში მესაკუთრეთა და უმწეოთ დარჩენილთა შორის. ცხადზე უცხადესია, რომ ბრძოლის ასეთი საშუალება არამც თუ მიზანს ვერ ახწევს, ის რყვნის, აველურებს, და ასუსტებს თვით მას, ვინც იბრძვის ასეთი საშუალებით. ამიტომაც, თუ განსვენებულის მკვლელობა აღნიშნულ ნიადაგზე მოხდა, ჩვენ რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ კვლავინდებურათ ერთჯერ კიდევ დავგმოთ და სასტიკათ გავე კიცხოთ ასეთი ველური მოქმედება; მაგრამ აქ საქმე მარტო სიტყვით და გრძნობათა მღელვარებით არ უნდა გათავდეს. ეს აღმაშფოთებელი შემთხვევა ერთჯერ კიდევ გვაგონებს, რომ მედგარი ბრძოლა გვმართებს, რათა ახლო მომავალში მოვიპოვოთ საშუალება კულტურული ბრძოლისა და თავიდან ავიცილოთ ბრძოლის ყოველგვარი საშუალებები, რომლებსაც გადაშენებისკენ მივყევართ. უნდა დაუყოვნებლივ დღეიდანვე საჭირო ზომა ვიხმა-

როთ, რომ ფარდა აეხადოს და ნათელი მოეფინოს იმ კითხვას, თუ ვინ და რისთვის, რა მიზნით მოიმოქმედა ეს მკვლელობა, ამას გვავალებს ჩვენ განსვენებულის წარსული. გულწრფელათ უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც მებრძოლი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია აღარ არსებობდა. მაგრამ განა დასასრული უჩანს მის არსებობას როგორც „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „განდეგილის“, „ყაჩაღის“, შემოქმედისას? განა გარდამავალია ნაყოფი მისი იმ დროინდელი სულის კვეთების და პოეტიური გრძნობების მღელვარებისა, როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმში იდგა და მას ხელმძღვანელობდა? რომ ეს ასე იყოს, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მომავალზე. და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი ჰკლავდენ და სპობდენ იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თვისი ნიჭით და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ სალაროში, ჩვენ ზიზღით და მრისხანებით შევყვირებთ ასეთ მტარვალებს: შორს თქვენი მურტალი ხელი ამ სამკაულისგან. ეს სამკაულიც და მისი შემოქმედიც ილიაც ეკუთვნის საზოგადოებას; ისინი არიან ხელთ უქმნელი ძეგლი; ან განშორდით მათ, ან და მოდით, თუ ეს თქვენთვის კიდევ შესაძლოა და ისწავლეთ მათგან, რომ შეინანოთ და თქვენც ღირსი გახდეთ კულტურული ცხოვრების.

„ჩვენი გზა.“ 4 სექ.

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

სანამ განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალ-ღონე შესწევდა და მისი დროშა თამამათ იყო ამართული, სანამ მებრძოლე ხალხი, პროლეტარიატი და გლეხობა,

ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდა, საზოგადოების ნაძირალები, ზნე-გახრწნილი და ფლიდი კაცუნები თრთოდენ და კანკალებდენ ნათელი ძალის წინაშე; თავიანთ ბნელ სოროებში იმალებოდენ და ქურდულათ უთვალთვალებდენ თავისთვის გამოსადეგ მარჯვე დროებას. მათ ეშინოდათ ხალხის რისხვის, რომელიც არ დაინდობდა პარაზიტებს და ფიცხლავ ალაგმავდა.

ახლა კი, ხალხი ძალაუნებურათ ჩამოშორებულია ცხოვრებას და ქვეწარმავალნიც ამოძვრენ თავიანთ სოროებიდან. დადგა რეაქციის მეფობის დრო, ქურდათ და ავაზაკთა თარეშობის ხანა; გამრავლდა ძარცვა-გლეჯა, ავაზაკობა, სრულიად უმიზეზო მკვლელობა პოლიტიკური ცხოვრების ზღვაზე ქარტეხილი შეწყდა, მაგიერში შეინძრა მყრალი ჭაობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აიშალენ ატმოსფერის მომწამვლელი ბაქტერიები...

ილია ჭავჭავაძე სწორეთ ამ გარდამავალი ხანის მსხვერპლი შეიქნა. ვინ გამოასალმებდა სიცოცხლეს ისეც სასიკვდილოთ გამზადებულ 70 წლის მოხუცს, თუ არ ზნე დაცემული, ბინძური და გულმურტალი ადამიანის-მზგავსი არსება — ღვიძლი შვილი რეაქციის წყვდიადით მოცულ ახლანდელ დროების...

ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს! დღეს ყველანი სწყევლიან და ჰკიცხავენ ამ საზიზღარი მკვლელობის ჩამდენ ბარბაროს ავაზაკებს. ილია მოჰკლეს, მაგრამ მკვლელების მუხანათი მახვილი ვერ მიწვდა იმ ილიას, რომელიც დაჩაგრულს და ბორკილით შეჯაჭულს ხალხს ექომაგებოდა, რომელმაც დასწერა „გლახის ნამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია ადამიანი!?“ და სხვა მრავალი ჩინებული თხუზლება.

ილია — შვენება და სიმაყე ქართული ლიტერატურისა,



საგურამო. — კაკლის ხე, რომლის ქვეშაც ილიას უყვარდა შესვენება.

ილია—სახელოვანი მგოსანი და საუკეთესო მეამბე, რომლის ბადალი მეორე არ არის ჩვენ ქვეყანაში — ეს ილია არ მოუკლავთ, რადგან იგი უკვდავია და მუდამ იცხოვრებს თავის მხატვრულ ნაწარმოებში.

ილია, რომელსაც ილაჯ-გაწყვეტილს და მოთმინებადაკარგულ მონა-გლეხის კვნესა აკვნესებდა, ილია, რომელიც გულის ფანქალით მოელოდა „ხალხთ ბორკილის ხმას მტვრევისას“, ილია, რომელიც დასცინოდა და კიცხავდა მცონარე თავადაზნაურობას თავის შვენიერ „კაცია ადამიან„-ში, ილია, რომელიც „კაკო ყაჩაღს“ და „გაბრიელ-გლახას“ თანაუგრძნობდა — ეს ილია არასოდეს არ მოკვდება, რადგან ის გაჭირვება და ტანჯვა-წვალება, რომელიც გლეხობამ განიცადა და ახლაც განიცდის თავის მჩაგვრელ პრივილეგიან კლასისაგან სამწუხარო ამბათ, გულის ამმღვრევ გადმოცემათ გაჰყობა გლეხობას მომავლისათვის.

არ მოკვდება ილია-მგოსანი, ილია-მხატვარი-ბელეტრისტი.

ილია-მხატვარის მოღვაწეობას დიახ დააფასებს სისხლში და ოფლში გამოწრთობილი ხალხი და საუკუნო ხელთუქმნელ ძეგლს აუგებს თავის მადლიერ გულში...

ილიას უმსგავსო მკვლელებმა კი სამართლიანი მსჯავრი მოიხვეჭეს საზოგადოებისაგან. ყველანი ერთხმათ სამარცხვინო ბოძს აკრავენ მოხუცი ილიას საზიზღარ ჯალათებს და აღშფოთებულნი კითხულობენ: ვინ ჩაიდინა ასეთი საზარელი და უმღვთო ბოროტმოქმედება?

ეს საკითხი ჯერ-ჯეროზით, სამწუხაროთ, საკითხათვე რჩება.

მაგრამ არიან ისეთი ადამიანებიც, რომელნიც საზიზღარ ცილის წამებას აქაც არ იშლიან და პარტიულ

ანგარიშების გასასწორებლათ თავიანთ უნებურეთ თავიანთვე გრძნობებს ლაფში სვრიან და ფეხით თელავენ.

ეს ვაჟბატონები გახლავან ის მცირე გუნდი „ქართველებისა“, რომელიც ქართველი ხალხის მეოთხედ ნაწილს ძლივს შეადგენს და „ქართველ საზოგადოების“, „ქართველი ერის“ სახელით კი გამოდის.

გადაათვალიერეთ „ისრის“ 192 ნომერი, „ნიშადური“ № 2, წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის სახსოვრად დაწერილი სტატიები და მიგვითითეთ ერთი მაინც, სადაც გრძნობიერსა და მწარე მწუხარებით აღსავსე სიტყვებში ბინძური და ტალახიანი ქარაგმები არ იყოს ჩაქსოვილი! სადაც მამულიშვილის შელახულ თავმოყვარეობაზე მაღალ ფარდოვან ღაღადს თან არ ერთოდეს ბილწი და თავმოყვარების შემლახველი, ყოვლად გასაკიცხი და დასაგმობი დემაგოგიური ქამანდები!...

„შურდული“. № 1.

ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდამ

ევროპის რუსეთში რომ გლეხები გაათავისუფლეს; საქართველოშიც დაარსდა თავ. აზნაურთა კომიტეტი იმისათვის თუ როგორ უნდა გადაწვეტილიყო განთავისუფლების საქმე ჩვენში. მაშინდელმა საგუბერნიო მარშალმა დ. ი. ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულს პირებს, გაეგზავნათ მისთვის წერილობითი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხობა — უმიწოთ თუ მიწიანად.

რამდენადაც მე ვიცი, შეკითხული პირებისაგან მარტო ორმა: იოსებმა და კონსტანტინე მამაცაშვილებმა უპასუხეს დ. ყიფიანს, რომ გლეხები მიწიანად უნდა განთავისუფ-

ლდენო. კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დააღგინა, რომ გლეხები უნდა განთავისუფლდენ უმიწოთო, მოწვეულ იქნა თ. აზნაურთა საგანგებო კრება კომიტეტის შრომის განსახილველად.

ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმა მაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“ გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილილისში ჩამოდი, რომ ახალგაზდობა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც. მუდმივ შორი ახლოს მივსდევდით ილიას და მზათ ვიყავით დაგვეცვა ახალგაზდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავასუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“. ამ დროს დარბაზში შემოვიდა ტფ. მაზრის თავ. აზ. წინამძღოლი ნ. ადიუტანტი ალ. ორბელიანი, რომელმაც სთქვა: „ნამესტნიკმა მიბრძანა გამოვუცხადო კრებას, რომ თავდ-

აზნაურობა გლეხთა განთავისუფლებას უმიწოდ ფიქრშიაც ნუ გაივლებსო“. უმრავლესობა დაემორჩილა ამ განკარგულებას, მაგრამ შემდეგ მთავრობამ თავისი სიტყვა უკანვე წაიღო და გააჩინა დროებით ვალდებულება.

ილია გრიგოლის ძე თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადარჩა სიკვდალს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არას დროს არ უღალატნია თავის რწმენისათვის. განსვენებული მგოსანი მუდმივი მომხრე იყო წოდებრივ გათანასწორებისა.

,,ტფილ. ლიც.“ 14 სექ. ქრ. მამაცაშვილი.

ილია ჭავჭავაძე

(27 ოქტ. 1837 — 30 აგვ. 1907 წ.)

ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

ჯერჯერობით შეუძლებელია დაიწეროს სრული ბიოგრაფია განსვენებულ ილია ჭავჭავაძისა და აინუსხოს მისი მრავალი ნაწერი, უხვად გაბნეული ჟურნალისა და გაზეთ „ივერიაში“, „ცისკარში“ და „საქართველოს მოამბეში“. თიცქმის ორმოც-და ათ წელიწადს ემსახურებოდა სამშობლო ლიტერატურას ეს შესანიშნავის ნიჭისა და ძლიერის ხასიათის ქართველი და ამ ნახევარ საუკუნის მოღვაწეობის დროს რა საგანი, რა ჰირი და ვარამი გინდა, რომ მის მადლიან კალამს არ განეხილოს და მსჯავრი არ დაედოს. მარტო ხელმოუწერელი მისი საგაზეთო და საჟურნალო წერილები: მეთაურები, ფელეტონები, შინაური და უცხო ცხოვრების მიმოხილვანი დაიჭერს, სულ ცოტა, ხუთსა და ექვს დიდ ტანიან წიგნს, გაბნეულ წერილების ერთად შეკრებას, მათს სისტემატიზაციას და რიგზე დაწყობას თვით განსვენებული ჰფიქ-

რობდა, მაგრამ ბოროტმა და ბილწმა ადამიანმა საშუალება აღარ მისცა, რომ დაეწყო და დაემთავრებინა ეს ფრიად საჭირო და დიდ მნიშვნელოვანი საქმე.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფ. ყვარელში 1837 წ. 27 ღვინობისთვეს, მაშასადამე, სამოცდა ათ წელიწადს სულ რაღაც ორიოდე თვე აკლდა. მამა მისი გრიგოლ პაატას ძე ყოფილა კაცი ოხუნჯი, კვიმატი და მკვირცხლი გონების პატრონი. შეძლება აგრე რიგად თვალასაჩინო არა ჰქონებია-რა. დედა ილიასი ქალაქელ სომეხ ბებურიშვილის ქალი ყოფილა.

ქართული წერა-კითხვა, ლოცვები და სამღვთო ისტორია პირველად ოჯახშივე შეიძინა. იქვე ბავშობიდანვე ჰქონდა შესწავლილი „ვეფხვის ტყაოსანი“ შოთა რუსთველისა და ეგები ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ განსვენებულმა საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, ბადალი არ ჰყვანდა სამშობლო ენის ცოდნაში. თვითონაც ბევრჯელ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში ქალები რომ ასწავლიდნენ „ვეფხვის ტყაოსანს“.

შინაურ, ძველ ყაიდაზე სწავლის შემდეგ ილია მიუბარებიათ ტფილისის დღევანდელ პირველ გიმნაზიაში, სადაც კურსი დაამთავრა და სწავლის დასასრულებლად გაემგზავრა პეტერბურგს. მაშინდელ დროს ბევრი ვერა ჰბედავდა ასე შორს წასვლას უნივერსიტეტში შესასვლელად. ადამიანს დიდი ქონება და შეძლება უნდა ჰქონოდა, რომ უნივერსიტეტში გაებედნა შესვლა. მარტო პეტერბურგამდე მიღწევას, სულ ცოტა, სამი თვე უნდებოდა ფურგუნით, ან ეტლით სათქმელი ისიცაა, რომ აგრე რიგადაც არ ეტანებოდა მაშინდელი თავად-აზნაურობა საუნივერსიტეტო სწავლას. ომიანობის ტრფიალით იყო გაჟღენთილი მაშინდელი ჰავა საქართველოსი

და ახალგაზდობაც ამ ხელობაში იკლავდა საქმიანობის წყურვილს. ხოლოდ მცირედი და რჩეულნი თავისას არ იშლიდნენ, ათასგვარ დაბრკოლებას და ხელმოკლეობა-ჰსთრგუნავდნენ და უნივერსიტეტში შედიოდნენ. მთავრობას მაშინ რამდენიმე სტიპენდია ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაწესებული და ქართველი ახალგაზდანი თითქმის ყველანი კავკასიის სტიპენდიატები იყვნენ, რომელთაც განსაკუთრებულ მზრუნველობა-პატრონობას უწევდა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე (სემიონოვი და ბუტკოვი).

ილია ჭავჭავაძე შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ კურსი არ დაუმთავრებია და 1861 წ. დაბრუნდა სამშობლოში. შესანიშნავი ხანა იყო ეს დრო რუსეთის ცხოვრებაში. ყირიმის ომის შემდეგ დიდად გაცხოველდა საზოგადო ცხოვრება და ყველას პირზე ის ეკერა, რომ საჭიროა დახავსებულის ცხოვრების შეცვლა, რომ ძველებურად, ბატონ-ყმურად შეუძლებელიაო. მაშინდელი პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰყვაოდა და ბრწინავდა იმისთანა პროფესორებით, როგორნიც იყვნენ: კასტამაროვი, პიპენი, კაველინი, სტასიულევიჩი, სპასოვიჩი და სხვანი. მთავრობა იძულებული გახდა ყური ეთხოვებინა საზოგადოების ხმისთვის და დაადგა რეფორმების გზას უპირველესი ადგილი ეჭირა რეფორმათა შორის საგლეხო რეფორმას (ბატონ-ყმობის მოსპობა), სასამართლოსას, სათემოსა და სამხედროსას. აი, სწორედ ასეთ შესანიშნავ დროს ვაჟკაცდებოდა და სწავლით იმოსებოდა ჩვენი სათაყვანებელი, საერო მგოსანი და ძლიერი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

სამშობლოში დაბრუნებისას ილია დაადგა ჟურნალისტის ხელობას და დაარსა საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. უსაღსრობის გამო მხოლოდ ერთი

წელიწადი (1863 წ.) იცოცხლა ახალმა ჟურნალმა. 1864 წ. ჩვენშიც გაანთავისუფლეს გლეხ-კაცობა ყმობისაგან და ილია ჭავჭავაძე მიიწვიეს მომრიგებელ შუაკაცად. მისი რაიონი იყო დღევანდელი სართაჭალის საბოქაულო და დუშეთის მაზრის ნაწილი, ანუ მცხეთის საბოქაულო. საგლეხო რეფორმას მიაყოლეს (1868 წ.) სასამართლოსი და ილია ჭავჭავაძე დანიშნეს დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ. ამ თანამდებობაზე დაჰყო ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულის ბანკის დაარსებამდე 1875 წ. საზოგადოების თხოვნით ილიამ იკისრა ახალის ბანკის თავჯდომარეობა და შარშან წინამდე დარჩა ამ თანამდებობაზე, ესე იგი სრული ოცდაათი წელიწადი. — შარშან რუსეთის თავად-აზნაურობამ ერთი ადგილი დაუთმო სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავად-აზნაურობას (ტფილისისა და ქუთაისისას) და ამ ადგილზე საქართველოს დელეგატთა ჩვენებით და სურვილით არჩეულ იქმნა დიდის ხმის უმეტესობით ილია ჭავჭავაძე.

ბანკის გარდა ილია იღებდა მონაწილეობას თითქმის ყველა ქართულ დაწესებულებაში. ხან როგორც თავმჯდომარე, ხან კიდევ როგორც მისი ამხანაგი. განსაკუთრებით დიდ ხანს ემსახურა ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ხშირად იწვევდნენ ხოლმე აგრედვე მთავრობის სხვა და სხვა კამისიებში და მთავარმართებლის საბჭოში. ბევრს ეცადა ჭავჭავაძე თავისი აზრი გაეყვანა, ხიზნების საქმეს რომ სწყვეტავდნენ, მაგრამ ვერას გახდა, ნ. კუჩაევმა თავისი გაიტანა. ილია გარდაიცვალა უძეოდ.

ამ თოთხმეტის წლის წინად წიგნების გამომცემელმა ქართველთა ამხანაგობამ იკისრა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა დაბეჭდვა. სულ დაიბეჭდა ოთხი ტომი, სადაც

მოთავსებულია ყველასაგან ცნობილი ლექსნი და მოთხრობანი: „ქართველის დედას“, „მუშა“, „გახსოვს ტურფავ“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „დედა და შვილი“, „აჩრდილი“, „გაზაფხული“ (ტყემ მოისხა ფოთოლი), „გუთნის-დედა“, „ბედნიერი ერი“, რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, „დამაკვირდი“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვანი. პირველი ლექსი დაუწერია ავტორს 1857 წ. ეს ლექსია „ყვარლის მთებს“. უკანასკნელი — „ბაზალეთის ტბა“ დაწერილია 1890 წ. ლექსთა შორის ბლომადაა ნათარგმნიც ლექსები შეგროვილია ერთ ტომად. მეორე ტომში მოქცეულია სამი თხზულება: მგზავრის წერილები (1861 წ.), გლახის ნაამბობი)1862 წ.) და კაცია ადამიანი? (1863 წ.)

მესამე ტომში მოთავსებულია: გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები, „სახრჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და ამბავად გაგონილნი. თარგმანები: ლექსნი პროზითა, „უკანასკნელი გასაკვეთი“, „თურკოსი კომმუნელთა შორის“, „ვაქებ, ანუ ამასაც ხომ არ დამიშლიან!“ და „შვილი მოხუცებულის ჰამზასი“. მეოთხე ტომი მარტო ნათარგმნ რომან „იზას“ უჭირავს.

აი, სულ ესაა, რაც ერთად შეიკრიბა და დაიბეჭდა. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ილია ჭავჭავაძეს ბევრი აქვს ნაწერი სხვა და სხვა საგანზე. თვალსაჩინოა „ქვათა ღაღადნი“, „აი ისტორია“, „ცხოვრება და კანონი“. ჭავჭავაძის სალიტერატურო მოღვაწეობაში დიდი ადგილი ჰქონდა პოლემიკას. საადგილ მამულო ბანკის დაარსების გამო პოლემიკა ჰქონდა დ. ყიფიანთან და ნ. ნიკოლაძესთან.

ყველამ იცის, რა მტრულად უცქეროდა კ. პ. ია-

წოვსკი ქართულ სკოლას და როგორ მეცადინეობდა დედა-ბუდიანად ამოეგდო ქართული ენა პირველ დაწყებით სკოლიდან. ამითი არ დაკმაყოფილდა იანოვსკი და სამრევლო სკოლებსაც მიატანა ხელი. სიჭირო იყო მედგარი ბრძოლა ამ გათახსირებულ პოლიტიკ-პედაგოგთან, და ილიაც დიდის უნარითა და ნიჭით შეებრძოლა საშიშ მოკამათეს. იანოვსკის წინააღმდეგ დაწერილი წერილები. სადაც ილია მხნედ და გონივრულად ექომაგებოდა ეროვნულ სკოლას, ერთი საუკეთესო საპოლემიკო და სიპუბლიცისტო წერილებია.

ინგლისის კონსული ბათუმში ბ-ნი კუტული ვიღამაც გააბა მახეში და ასე მოტყუებული ინგლისელი ქართველებს დაეტაკა და სასაცილოდ აგვიგდო. ილიამ არ აპატივა კუტულის თავხედობა და თავის მადლიანის კალმით ლაზათიანად გაამათრახა მწარე გესლიან და დაცინვითაა სავსე კუტულის წინააღმდეგ მიმართული საპოლემიკო წერილები. აღსანიშნავია აგრეთვე წერილები, სადაც ჭავჭავაძე იკვლევდა „ხიზნობის“ ბუნებას და ეძებდა იმ გზას, თუ რა გზით უნდა ევლო ამ თავისებურ ჩვენის ცხოვრების „ინსტიტუტს“.

უკანასკნელი მოთხრობა ილიასი არის „უცნაური ამბავი“, რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა ავტორს. ივ. მაჩაბელთან ერთად ილიამ თარგმნა რამდენიმე პიესა შექსპირისა („მეფე ლირი“) და სხვა.

პირველი სერიოზული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, (1863 წ), დაარსებულია ილიასაგან. ხანგრძლივად რედაქტორობდა ილია „ივერიას“, რომელმაც ბევრჯელ იცვალა ფერი ხან ჟურნალი იყო, ხან კვირეული გაზეთი და ხან ყოველ დღიური. ბოლოს ეს მხცოვანი გაზეთი სხვის ხელში გადავიდა და ამ ერთი წლის წინად შეჩერდა მისი ბეჭდვა.

მოკლედ და გაკვრით ესაა დიდ ბუნებოვან კაცის ცხოვრება, მოღვაწეობა და მწერლობა. განა მარტო ჩვენს მწერლობას და პოეზიას დასდო დიდი ამაგი განსვენებულმა ილიამ, იგი იყო აგრეთვე შეუდარებელი მჭევრმეტყველი ორატორი და ქართულის ენის მცოდნე. ილიას ენა თავისებურია და ძლიერი.

ავაზაკებმა მოჰკლეს მოხუცი ილია, მაგრამ იგი უკვდავია. ქართველის ერის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება მისგან დატოვებული განძი. იგი უკვდავი „ქართველია“. **ა. ყ.**

„ის.“ 2 სექტ.

დიდ ილიას ხსოვნას

„სადაც დიდებული ადამიანი წ. რმოსთქვამს სთავის აზრს,
იქვე გოლგოთაა აღმართული“

გ. ჰეინე.

უკვდავო მგოსანო! შენი მოწამებრივი ხორციელი სიკვდილი მოხდა სწორედ იმ დროს, როცა გაუმაძღარს მიწას ვაბარებდი ჩემს სათაყვანებელს, ერთად-ერთ მეგობარ — ადამიანს, შენი ნიჭით მოჯადოვებულს, აღრზრდილს შენებრ მესვეურთა მოძღვრების ზეგავლენით, რომელთანაც ერთად, მრავალ წლების გამომავლობაში ვეწეოდი უღელს, ვაღვივებდით ერთმანეთში ენერგიას, რომ არ შევრიგებოდით უჟმურ ცხოვრების პირობებს და შეძულებისადაგვარად ხელი გაგვეწოდა გაჭირვებულ მოძმესთვისაც... განუსაზღვრელი იყო კერძოთ ჩემი ტანჯვა, ბოლმა და ცრემლი მახრჩობდა, თითქმის სასოწარკვეთილებას ვეძლეოდი, როცა კიდით-კიდემდე ჩვენს, შენებრ წამებულ მხარეში მეხივით გაისმა სამგლოვიარო ზარი „ილია მოჰკლესო“ და მეც... გონს მოველი, განცვიფრებულ-გაქვავებულმა გულმა ცრემლი შეაკავა, მეტად დიდი და დამაბეჩავებელი იყო საერო გლოვა

და თითქოს გულს მოეშვა, რომ დავინახე ჩემთან ერთად გლოვობდა ჩემი მხარეც, რომელიც ისეთ გულწრფელად და თავგანწირვით უყვარდა ჩემ გარდაცვალებულ მეგობარს. შენი სიკვდილის გაგონებასთან ერთად სილაჩრე მომშორდა და სიმხნევე ვიგრძენ...

ტანჯულ კაცობრიობის საუკეთესო მესვეურთ, სხვა და სხვა დროს არა ერთი დევიზი წამოუყენებიათ ხალხის იარების გასაკურნავად, შემდეგ წყებას მესვეურთა ხშირად უარ უყვია პირველთა დევიზი და წამოუყენებია თავისი — **ახალი**. ახალი თაობა, ახალი აზრი ყოველთვის შებმია ძველს და დაუმარცხებია იგი, მაგრამ შენებრ ბუმბერაზ ნიჭის პატრონი კი ვერ წაულეკავს საუკუნეების ნიაღვარს. შენი მაგეთი სიკვდილი მოსალოდნელი ხვედრი იყო შენთვის: ტყვილად კი არ უთქვამს ჰენრიხ ჰეინეს: „სადაც დიდებული კაცი წარმოსთქვავს თავის აზრს, იქვე გოლგოთაა ამართულიო“...

თანამედროვე პირობებში მცხოვრებ კაცისათვის კი სირცხვილია ვიში-წუწუნი და წყევლა კრულვის გზავნა, საჭიროა სხვა რამ და ეს სხვაა იმ შეკავშირებულ, გონიერ და აქტიურ ძალის შექმნა, რომელიც შემუსრავს თავხედურად მოთარეშე უგუნურ ეგოისტურ ძალას. ამიტომ, ჩვენ ხალხთან ერთად, მოწიწებით ვიყრი რა მუხლს შენს უკვდავ ხსნოვნის წინაშე, მე, დაჩაგრულ-დაბეჩავებულ ადამიანს ის რწმენა ღა მამხნევებს, რომ ეხლა მაინც, შენს დაკარგვის შემდეგ, ხალხოსნურ — ეროვნულ იდეის გულწრფელი თანამოაზრენი თავს დავახწევთ კარ ჩაკეტილში ჩურჩულს და შეუდგებით აქტიურ მოქმედებას: ფაქტიურად შევქმნით იმ მჭიდრო, სიმართლის და ხალხის კეთილდღეობის პრინციპებზედ დამყარებულ ძალას, რომელიც მხოლოდ უზრუნველ ჰყოფს და აიცდენს შენებრ მსხვერპლს...

გ. ახალციხელი.

ი. ჭავჭაძის შეხედულობა წოდებრივობის შესახებ

ი. ჭავჭავაძე ყოველთვის შეურიგებელი მტერი იყო ვიწრო (?) ეგოისტური წოდებრივობისა...

როცა არსდებოდა ტფილისის სათ. აზნაურთ ბანკი და უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, თუ რას უნდა მოხმარებოდა ყოველ წლიური მოგება ბანკისა, თ.-აზნაურობის დიდი უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ მოგება მოხმარდეს მარტო იმ მემამულეებს, რომლებმაც ბანკი დაარსესთ. განსვენებული წინააღუდგა ასეთს ეგოისტურს აზრს და გადააწყვეტია კრებას, რომ ბანკის მოგება მოხმარებოდა როგორც მიწის პატრონებს, ისე მიწის მუშებს...

როცა დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება. ი. ჭავჭავაძემ დაარწმუნა სათ.-აზნაურთ ბანკის საზოგადო კრება, რომ თერთმეტი ათასი მან. გადაეძვათ ამ საზოგადოების სასარგებლოდ იმ მოსაზრებით, რომ მის გარშემო შეერთდებოდა ყველა წოდება და კლასი—სწავლა განათლების გასავრცელებლად.

როდესაც ადგენდენ წესდებას სათ.-აზნაურთ სკოლისას, რომლებიც უნდა შეენახა სათ. აზ. ბანკს, გადაწყვიტეს თანახმად ბანკის წესდებისა მიეღოთ სტიპენდიანტებად როგორც მემამულეების, ისე მიწათმოქმედთა შვილები. შემდეგ სკოლის კომიტეტში სულ სხვა მიმართულება დაიბადა, რომელმაც სტიპენდიები მიაკუთვნა მარტო თ.-აზნაურთა შვილებს. ი. ჭავჭავაძე წინააღუდგა ამასაც. მაგრამ კომიტეტის წევრი არ იყო და ვერ მოახერხა სკოლის წესდების სასურველად შეცვლა.

საზოგადოდ ი. ჭავჭავაძე ხშირად მკაცრად ეწინააღმდეგებოდათ აზნაურობის დიდ უმრავლესობას, მაგრამ მის მაღალს ნიჭსა და პიროვნებას ისეთი გავლენა

ჰქონდა, რომ თ.-აზნაურობა ერთხმად ირჩევდა სხვა და სხვა საზოგადოებრივ თანამდებობაზე.

„ზაკავ.“ 9 სექტ. **ი. გოგებაშვილი.**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.

— —

ილია ჭავჭავაძის მხეცურმა მკვლელობამ ყველანი გულის სიღრმემდე აგვაშფოთა, ყველა ჩვენგანის უწმინდესი გრძნობები შებღალა, თუმცა, შეიძლება, ეს გრძნობები, ზოგიერთ ფარისეველსავით, მყვირალა აფიშათ არ გამოგვიფენია...

იშვიათია ისეთი საშინელი საზიზღრობა, როგორც მხცოვანი მგოსნის მოკვლაა, მაგრამ კიდევ უფრო უმაგალითოა ის ზნეობრივი გახრწნილება, რომელმაც საერთო მგლოვიარობის შავ ზეწარს თავი ამოაფარა. კიდევ მეტი.

ილიას მკვლელები მხოლოთ შეცთომილნი არიან, ვინაიდან ისინი ღვიძლი შვილი არიან დღევანდელი უსამართლოთ მოწყობილ ცხოვრობისა, რომელშიაც მათ გონებრივი სინათლე ვერ მოუპოვებიათ და, შურის ძიებით, თუ ანგარებით შეპყრობილთ. შემაძრწუნებელი საქმე ჩაუდენიათ.

გაცილებით უფრო მძიმეა ის ვერაგული ბორეტება, რომელიც ყველა ჯურის ნაციონალისტებმა ილიას ცხედრის გარშემო დაანთხიეს. საქართველოს უკიდურესმა რეაქციონერებმა, მოანარხისტ „პოგრომშჩიკებმა“, უბრალო ავტონომისტებმა და ისარისებურმა „სოციალისტებმა“, რომლებიც ვითომ ილიას გლოვდენ, ნამდვილათ კი იმის სახელით ბოროტათ სარგებლობდენ, კლასობრივი, პარტიული თუ პირადი ანგარიშის გასასწორებლათ, ყველამ ერთათ — ვინ აშკარათ, ვინ ლაჩრული

ქარაგმებით, ვინ გაზეთში, ვინ ცალკე ფურცელში და ვინ ყურში ჩურჩულით, მოართეს განგაში: ილია ჭავჭავაძე სოც.-დემოკრატებმა მოკლესო.

სად და როდის მოკლეს სოც.-დემოკრატებმა იდეური მოწინააღმდეგე, რომ ქართველ სოც.-დემოკრატებს მოეკლათ? და მერე ვინ?—ილია ჭავჭავაძე, სახელოვანი პოეტი, პროგრესიული მოაზრე და ისიც — სიკვდილის პირზე მიმდგარი მოხუცი, რომელიც კაი ხანია განზე გამდგარი იყო და გამწვავებულ საზოგადოებრივ ბრძოლაში მონაწილეობას აღარ იღებდა! პოლემიკა ხშირათ მწვავე და დაუზოგველი, ყოველთვის ყოფილა და იქნება ძველსა და ახალ თაობას შორის, რადგან ეს საშვალებაა ძველი ავტორიტეტების დაცემისა და ახალი მოძღვრებისთვის გზის გაკაფვისა. მაგრამ განა ეს „ბრბოს მისისინებას“ ნიშნავს— „ჰკა მაგათო“? განა „კვალი“ არ იყო, რომ ილიასთანა თუმცა მართლაც გაცხარებული კამათი ქონდა გამართული, მაგრამ, როცა განსვენებულმა საზღვარ-გარეთ საექიმოთ წასვლა დააპირა, სოც.-დემ. გაზეთმა მწუხარებით აღნიშნა მისი ავათმყოფობა და გულწრფელათ უსურვა ადრე დაბრუნება სამშობლოში ჯანმრთელათ *).

მაშ, რით აიხსნება, რომ რამოდენიმე დღე, საზიზღარ ინსინუაციებს, საშინელ ცილის წამებას ასისინებდენ სოც.-დემოკრატების წინაღმდეგ?...

ცისკარი № 1.

*) <ეს კარგა ხანია ავათ იმყოფება თ. ი. ჭავჭავაძე და თუმცა ექიმების სიტყვით, საშიში არა აქვს-რა, მაგრამ მაინც საზღვარ-გარეთ ურჩევიათ წასვლა და იქ მორჩენა. როგორც გავიგეთ, ამ ახლო ხანში კიდევაც აპირებს გამგზავრებას გერმანიაში. ვუსურვებთ სრულიად გაჯანსაღებული ადრე დაბრუნებულიყოს სამშობლოში> (კვალი. 1900. № 24).

ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე.

———

აღსრულდა !

საქართველოს მზე ამოეფარა შავ-ბნელ წყვდიადსა !

აღარა გვყავს ილია ჭავჭავაძე !

მოგვიკლეს !

მოხდა ის, რაც დაუჯერებელია, რაც გრძნობა-გონებას ვერ მოუნელებია, რასაც ვერ შერიგებია გამწარებული გულის ცემა !

ქვეყნის მტრებმა, ერის მოღალატეებმა სიცოცხლე წაართვეს იმ კაცს, ვინც ამ სიცოცხლეს მტლად და ხიდად უდებდა თავის საყვარელ ერს და ქვეყანას.

ბნელეთის ძალებმა, ჯოჯოხეთის მოციქულებმა, შურით და მტრობით გაშმაგებულებმა ვერაგულათ, ქურდავაზაკურად წაგვართვეს უძვირფასესი და უწმინდესი კანდელი ჩვენის უბადრუკის ცხოვრებისა და საუკუნოდ-სამუდამოდ ჩააქრეს იგი !

შეურაცხყვეს და შელახეს მთელი საქართველოის თავ-მოწონება და სიამაყე, გაანადგურეს ჩვენი ეროვნული დიდება და შუქ-მფრქვევი იმედი, ურომლისოდ დიახაც ფუჭნი და არა-რანი ვართ !

ვისმა უწმინდურმა ხელებმა გამოგვჭრა ყელი, ვისმა შხამიანმა და ღვარძლ-გესლიანმა სულმა სასიკვდილოდ დასუნთქა ჩვენი ისედაც გაბზარული გულს და ჩაგვაგდო უთქმელ-უსწორო გოდებასა და სინანულში !?!

ჯერ სამყაროს არ წარმოუშობია ისეთი ქვემძრომი, რომელსაც შესძლებოდა თავის მშობლის შთანთქვა-შეჭმა, ხოლო თუ მკვლელნი ჩვენის ერისანი არიან, მაშინ სირცხვილი ერს და ქვეყანას, გადაგვარების გზაზე თავდაღმა დაქანებულს.

სრული სიმართლე, პირუთვნელი და ჭეშმარიტი

გამოკვლევა და გამოაშკარავება ამ არა-ადამიანურის ბოროტებისა, თუ დაამშვიდებს ცოტათი მაინც იმ მოზღვავებულ შფოთს და მრისხანებას, რომელიც გულს მოწოლილი, ყელთ ძობჯენილი აქვს დღეს საქართველოს ყველა მკვიდრთ განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა და წოდებისა, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიულის დაქუცმაცებისა!

სიმართლის გამომჟღავნება, რაც უნდა მწვავე და თავზარ დამცემი იყოს იგი, თავს იდვან ჩვენში მომქმედ პარტიებმა!...

ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?

ეგ უწყის ყველამ საქართველოში, კავკასიონში და კავკასიონის გარედაც.

დიდებული, სხივოსანი ნიჭი, უებრო მგოსანი, უმაღლესი ჰკუა, გაწვრთვნილი გონება, ენციკლოპედიური განვითარება, შეუდარებელი მეტყველი, უცხო მოამბე, მტკიცე მოლვაწე, იშვიათი მოჭირნახულე და მოამაგე მრავალ-ტანჯულის ქართველ ერისა უსწორ-უბადლო უშიშარი დარაჯი და მცველი საქართველოსი — აი ვინ იყო ილია!

ილია ჭავჭავაძე ცხოველი ძეგლი იყო ჩვენის ერისა და ამ ძეგლზე აღბეჭდილი იყო ჩვენის კულტურა—ჩვენი უფლება ხალხთა შორის...

ნიშადური № 2.

ილია ჭავჭავაძის სსოვნას

საშინელი ამბავია! ავაზაკის ხელი არ შეკრთა და გული გაუპო დატანჯულ და განადგურებულ საქართველოს ერთ საუკეთესო შვილთაგანს!

მოჰკლეს ადამიანი, რომელიც ნახევარი საუკუნე თავ-



ში უნდგა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ აზრსა და მოღვაწეობას...

ბუნებისაგან ძლიერი ლოდიკურის გონებითა და მტკიცე ხასიათით დაჯილდოვებულმა, იშვიათის ტაქტის პატრონმა და შორს გამჭვრეტელმა, ი. ჭავჭავაძემ დაუღალავი შრომითა და საფუძვლიანი მეცადინეობით განივითარა თავისი მდიდარი ნიჭი.

ის მაშინ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, როდესაც იწყებოდა დიდებული რეფორმების ხანა, ალექსანდრე მეორის დროს. იგი განიმსჭვალა მაშინდელი რუსული ჟურნალისტიკის ჰუმანიურ აზრებით და შეიქნა დაუძინებელი მტერი ბატონყმობისა და გულრწფელი მომხრე განთავისუფლებისა. ამ დროს დაწერილი, მისი პირველი პოემები „კაკო ყაჩაღი“ და „აჩრდილი“, აგრეთვე მოთხრობები „კაცია — ადამიანი“ და „გლახის ნამბობი“ — ებრძვიან ამ გარყვნილებას და ბოროტებას, რომელიც წარმოშობა ბატონყმურმა წესწყობილებამ. გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა საგანი უფრო საზოგადო ტემებია: დრამატიული სცენა „დედა და შვილი“ და პოემა „დიმიტრი თავდადებული“ გვიხატავს გატაცებულს სიყვარულს მამულისადმი და თავის განწირვას მისთვის. „განდეგილიდამ“ კი პოეტი იწყებს ახალს, მესამე ხანას: ემსახურება მხატვრულ სინამდვილეს და წმინდა ხელოვნებას. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1837 წ. „ცისკარში“, სადაც დაბეჭდა მშვენიერი ლექსი „ჩიტი“ და დაამთავრა პოეტური მოღვაწეობა ლირიკულ ლექსით „ბაზალეთის ტბა“ (1890 წ.). ამ ხნის განმავლობაში ი. ჭავჭავაძის ლირა საბოლოოდ გამოირკვა და გამოაშკარავდა: იგი არსებითად იდეური პოეტია, მას იზიდავს მხოლოდ საზოგადოებრივი გრძნობები და აზრები, მისი ძლიერი ქნარი

მხოლოდ მოქალაქობრივ ხმებს უკრავს. სოციალური მიმართულებითაა გამსჭვალული არა მარტო მისი ლექსები, არამედ მოთხრობები „მგზავრის წერილებიდამ“ დაწყებული ფსიხოლოგიური ეტიუდის „უცნაური ამბავამდის“. როგოც პოეტმა და ნოველისტმა (ოთარაანთ ქვრივი, სახრჩობელაზედ) დაიწყო ახალი ხანა ქართულ მწერლობაში, როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი იგი ჩყო გამჟავრცელებელი საუკეთესო აზრებისა „საქართველოს მოამბის“ დაარსებიდამ და იყო წინამძღოლი ქართველი ხალხის აზრებისა ორმოცი წლის განმავლობაში. წელს შესრულდა **70** წელიწადი მისი დაბადებიდამ და **50** წელიწადი მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა. ბოლო დროს განსვენებული არ ერეოდა პარტიულ პუბლიცისტიკაში, სახელმწიფო საბჭოში კი ირიცხებოდა მემარცხენე წევრთა შორის.

ი. ჭავჭავაძის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა ერთი უდიდებულესი შვილთაგანი. ბრწყინვალე ორატორი, რომელიც ჰხიბლავდა მაყურებლებს ტფილისის სათ.-აზნაურო ბანკის კრებაზე, მდიდარი იურიდული და ისტორიული ერუდიციით აღჭურვილი, ზედმიწენით მცოდნე თავის ხალხის ენისა და ყოფა-ცხოვრებისა, ღრმა ფსიხოლოგი და მომხიბლავი მგოსანი გულითადი მელოდიებისა და ხალხის ფიქრებისა, ი. ჭავჭავაძე იყო ერთსა და იმავე დროს მეცნიერი მკვლევარი, ძლიერი პუბლიცისტი, ნიჭიერი პოეტი და დიდი საზოგადო მოღვაწე. მისი ტრაგიკული სიკვდილი მწარედ დასწვავს გულს ყოველს დღევანდელს ქართველს, რომელიც აღრზრდილია მის ცეცხლითა და ბრწყინვალებით აღსავსე, გულწრფელ და მიუდგომელ პოეტურ ნაწარმოებისა და პუბლიცისტურ წერილებზე. ღრმად სწამდა მადლიანი ძალა სიტყვისა — სიკეთისა და სილამაზის წყაროსი, ამ

რწმენით გარდაიცვალა, ტყვიით განგმირული და დაგვიტოვა ანდერძად, რომ გვიყვარდეს ყველა განურჩევლად და დავიცვათ გულში ნათელი იმედი:

ხმალი იმოდენს ვერას იქს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

ა. **ხახანაშვილი.** „ზაკავ.“ 9 სექტ.

ადვილობრივ პრესა

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა სამართლიანათ აღშფოთებს და ამღელვარებს მთელს ჩვენ მხარეს და ყველა გაშტერებულ-გაოცებული კითხულობს: ვინ იყო, რა ხელმა მოსწია საბედისწერო ჩახმახს, რომელმა გადაგვარებულმა, რომელმა ნადირმა ჩაიდინა ეს დაუჯერებელი საზიზღროება? ამ საკითხს ეხება სხვათა შორის გაზ. „ისარი“. იგი აცხადებს, რომ მას არა სჯერა მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარიყოს და იმავე დროს ნათლათ ჩაგვძახის: კი, რასაკვირველია პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა. „ისარი“ განმეორებით აცხადებს: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრასაგან, რომ ან პარტიას ან რომელსამე სხვას რამე დავწამოთ“ და იმავე დროს აღნიშნავს რათ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელმაც დაჭშმარიტებით მახვილი აიღო პოეტისა და მწერლის წინააღმდეგ. როგორ, ნუ თუ?... ნუ თუ შესაძლებელია... აი მოისმინეთ. „ისარი“ სწერს:

„განა ჩვენში არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული?“

და აი, კიდეც ამ მიმართულების მიმდევართ„ იმუშავეს

დაჟღალავათ, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც, რომელნიც ხალხის პირად მტრებათ გამოჰყავდათ და ბრბოს უსისინებდენ, ჰკა მაგათო?!. ადვილათ წარმოსადგენია, რა ფანატიკურ მძულვარებას სთესავდა ამგვარი ქადაგება ბნელ მასსაში ყველა იმათ მიმართ, ვინც ილიასავით, სხვა მიმართულების იდეოლოგი და წინამძღვარი იყო. ამას, საუბედუროთ, ისიც დაერთო, რომ ილია ჰავჭავაძეს განგებამ და ისტორიამ თავადობა, მემამულეობა არგუნა, რომელსაც კერძო საკუთრება სწამდა და „თავისას“ არავის ანებებდა“... (ის. № 192). ხომ გესმით, ხომ გაიგონეთ... აი თურმე როგორი მიმართულება გაჩენილა ჩვენ ბედკრულ ქვეყანაში!.. მერე ეს რა ღვთის რისხვა მიმართულებაა, რომელიც მთელი ჩვენის კულტურულ წარსულის წინააღმდეგ ზიზღითა და სიძულვილით აღვსილა, რომელსაც ცეცხლი და მახვილი აუღია? ეს რა შეჩვენებული მიმართულებაა, რომ მგოსნებსა და მწერლებსაც აღარ ინდობს და განსაკუთრებით მუსრს ავლებს „გრაფ მწერლებს და აზნაურ პოეტებს“?.. ბატონებო, ცოტა ამოხმით დაილაპარაკეთ, ცოტა გარკვევით დასწერეთ, პირდაპირ დაასახელეთ რომელ მიმართულობაზე ფიქრობთ, რომელი პარტია გაქვთ ნიშანში ამოღებული?... ასეთ საკითხში ყოვლად შეუწყნარებელია რაიმე ორჭოფობა. თუ კი ჩვენს ქვეყანაში გაჩენილა ასეთი ვანდალიზმი, თუ კი შექნილა მთელი მიმართულება სკვითებისა, გუნნებისა, ბარბაროსებისა-ველურებისა, განა აქ კიდევ შეიძლება ყოყმანი ან დახანება, განა ყველანი ვალდებულნი არ ვიქნებით პირდაპირ მივიტანოთ იერიში!... მაშ დაასრულეთ. მაგრამ ვინმე გარკვევით გაიგეორებდეთ თქვენს საზარელ და საზიზღარ ბრალდებას, ვინემ თქვენ ხელს დაადებდეთ განსაზღვრულ მიმართუ-

ლებას თუ პარტიას, კარგათ დაფიქრდით, რადგან მერე გვიანღა იქნება „თითებზე კბენანი“, რადგან, რუსების თქმისა არ იყოს, „კალმით დაწერილს ცულით ვერ ამოფხეკთ“....

„ისარის“ ვაჟკაცებზე უფრო ჰკუა დამჯდარი სწერს მანდილოსანი, ქ-ნი განდეგილი. ფრიად მოსაწონია მისი შემდეგი აზრი:

ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე თვით ილიასთან ნაპურმარილევმა გლეხობამ დაჰგმოს საზიზღარი მკვლელი, დაე უსიტყვო ტყემაც შესძახოს გარეწარს: კაინ, სად არის ძმა შენი?

მხოლოთ ქ-ნი განდეგილი შემცდარი არის, როდესაც ფიქრობს, ვითომ **ჩვენს დროში** შესაძლებელი იყოს, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილი ხალხმა საქვეყნო მტრათ მიიჩნიოს და სამარცხვინო ბოძზე მიაკრას. ფაქტიური შეცდომაა იმის თქმა, რომ ერთხელ ზოლა საფრანგეთის ხალხმა სამშობლოდან გააძევაო. ნამდვილათ კი ემილ ზოლა, ერთხელ სამშობლოდან გააძევა მხოლოთ **ბურჟუაზიულმა მთავრობამ**; საფრანგეთის ხალხი კი საშინლათ აღშფოთდა ამის გამო. ემილ ზოლას სიკვდილზედაც საფრანგეთის ხალხი — და მათ შორის, რასაკვირველია, შეგნებული პროლეტარიატიც. სამგლოვიარო ძაძით შეიმოსა. ზოლას ნეშტი უკვე დაკრძალულია სსამშობლოს დიდებულ შვილთა ტაძარში — პანთეონში.

ჩვენ ჯერ არ მოგვეპოება ჩვენი პანთეონი, მაგრამ მგოსანის და ბელეტრისტის — ილია ჭავჭავაძის სადიდებელი სამარადისო ძეგლი ჩვენში უკვე აღმართულია და ეს ძეგლია „გრძნობა-გონებით და არა ხელით ზეაღგებული“.

,,ჩვენი გზა‘‘, 5 სექ.

უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა.

როდესაც საგურამოში მივდიოდი 21 აგვისტოს, არ ვფიქრობდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი მისვლა მოხუცებულ, ძვირფას მეგობართან, რომ ამით გათავდებოდა ჩვენი ხანგრძლივი, ნათელი და შეურყეველი მეგობრობა. მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბაღებს და მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებიდან.

მეგობრულის ღიმილით მომეგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენის ხნით მეწვიეო. ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად მომიხდებოდა ხოლმე მეტის ხნით დარჩენა, ვიდრე ვფიქრობდი.

დაღონებული იყო, ემდუროდა სხეულის სისუსტეს და აწუხებდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ცუდი ამბები. მაგრამ არ უყვარდა ამის შესახებ ლაპარაკი და ამჯობინებდა რასმე წაკითხვას ან ისეთ საგანებზე ლაპარაკს, რომელთაც შეეძლოთ დაევიწყებინათ არევ-დარეულობის სამწუხარო სურათები.

საზოგადოთ შევნიშნე ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე, რომელიც სჩვევია მოხუცებულობას. აღარ ჰქონდა, როგორც შევამჩნიე, წინანდებური სიყვარული სხვასთან ყოფნისა და ლაპარაკისა. ხანდახან, საღამობით, დიდხანს იჯდა გაჩუმებული აივანზედ. წინად მოხდებოდა, რომ ერთი ჩემი მხიარული სიტყვა გააბრიალებდა, ახლა კი ამაო იყო ყოველივე ჩემი ცდა. მთელი ექვსი დღის განმავლობაში ჩემ უკანასკნელი ყოფნის დროს მე არ მანახავს ღიმილი მას სახეზე. — გაისეირნეთ ცოტა, — ვუთხარ ერთს საღამოს: მაცოცხლე ძალიან სასარგებლოა. — რა უნდა იყოს ჩემთვის სასარგებლო, როცა

შეიძლება, ორი წლის სიცოცხლე-და დამრჩა, მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით.

დიაღ, ველარ ვიცანი ილია. აღარ იტაცებდა ბუნება, არ ართობდა საუბარი და თითქმის ერთხელაც არ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ.

მისი სულიერი მდგომარეობის ზედგავლენით, მეც დავკარგე მხიარულობა და ვიგონებდი წინანდელს დროს და მასთან ერთად ძველი მეგობრის მაშინდელ სიცხოვლეს.

რა ნათელი დრო იყო! გრძელი საუბრები პოეზიისა და სილამაზის შესახებ, საქართველოსა და მისი წარსლის შესახებ! საუბრები, რომლებშიაც ბრწყინავდა მისი მდიდარი სული, — როგორ უნდა ავწერო ეს საუბრები! რამდენჯერ ვისხედით ამ აივანზედ გაზაფხულის ან ზაფხულის უცხო საღამოს, როცა მთვარე ანათებდა ბაღს, ტყესა და მთებს, როცა ამწვანებულ ბაღში გალობდა ურიცხვი ბულბული, სახლის უკან კაკლების ქვეშ ჩუხჩუხებდა შადრევანი და შორს ხმაურობდა პოეტის საყვარელი არაგვი! წყნარის, დიდებულის ხმით ლაპარაკობდა მაშინ ის ქართველ პოეტებზე, სახალხო პოეზიაზე, გიოტესა და შილერზე, კაცობრიობის განვითარებაზე და ყველაფრის შესახებ, რაც ღირსია ადამიანური გონებისა და გრძნობისა.

ჩემთვის დდესასწაული იყო, როცა ვესაუბრებოდი მას და ვუნაწილებდით ერთმანეთს აზრებს, მაგრამ არა მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტიური თვისება მიზიდავდა. მხიბლავდა აგრეთვე მისი ჰუმანიური (ადამიანური) შეხედულობა კაცობრიობის შესახებ. განა ილია ჭავჭავაძემ არ დასწერა „კაცია--ადამიანი“ და „გლახის ნამბობი“?

ის აზრი და გრძნობა, რომლებმაც დააწერინა ეს მოთხრობები, იყო საფუძველი მისი 50 წლის საზოგადოებ-

რივ მოღვაწეობისა და მისი დევიზი უკანასკნელ დღემდის. ამისთვის არ უღალატია, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვას „უმადურობას“. მეტად მძიმეა ყველაფერი ამის შესახებ ლაპარაკი.

27 აგვისტოს, დილით ილია, კნეინა ოლგა და მე ფაიტონით წამოვედით ტფილისში. დილა ღრუბლიანი იყო და ჩვენი წამოსვლის შემმდეგ დიდი წვიმა მოვიდა. რადგან ფაეტონს სახურავი არ ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალზე შეგვაწუხა.

იმ ალაგას, სადაც სამი დღის შემდეგ მოხდა საშინელი მკვლელობა, გზის ორივე მხრით თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ ჟრუანტელმა გამიარა ტანში, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე უბედურება: ილია თან გვახლდა და როგორც განათლებული კაცი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ხელს შეახლებდა მოხუცს — პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს.

ილია ჩაფიქრებული იჯდა ჩემს პირდაპირ და ერთხელ თუ ორჯელ თქვა, რომ მეშინია გაცივებისო. კნ. ოლგას ფერი არ ჰქონდა, დაღონებული იყო, და საზოგადოთ ცოტა დამწყენილი იყო ჩვენი უკანასკნელი მგზავრობა. როცა მივედით რკინის გზის ხიდთან, ამინდი გამოკეთდა და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდეგით.

დილობის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. აქ ილია ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მოუვიდა. გამოჩნდა მზე და გაანათა ნაცნობი არე-მარე, სადაც ხშირად გაგვივლია ერთად. თითქმის გამხიარულები შემოვუსხედით უბრალო სუფრას და მოვიგონეთ წარსული.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი. გულითადი საუბარი იყო და როცა ის იღიმებოდა, მეგონა რომ მისი გული იცინოდა, თუმცა არა გაბედულად, მღელვა-

რედ. ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს გავშორდით ოლგას ქუჩაზე.

— ვნახავთ ერთმანეთს! მითხრა ილიამ, მაგრამ რაღაც დიდხანს ვუცქეროდი მიმავალს, სანამ მისი ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დალმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ველარ ვნახავდი. ეს იყო უკანასკნელი ნახვა?

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!...

,,ზაკავ.'' 9 ოქტ. **არტურ ლეისტი.**

ილია ჭავჭავაძის ჭრილობის შესახებ

„ისარი“-ს მე-200 ნომერში ახალ ამბად აღწერილია ჭრილობანი ილია ჭავჭავაძისა. ჭრილობანი ისეთი არ იყო, როგორც ჩაუწერია ავტორს. გვამი ილია ჭავჭავაძისა მე გავსინჯე. ოქმი გამომძიებელს აქვს ტფილისში. იქიდანაც შეიძლება ცნობების ამოღება. ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა სამი ჭრილობა: ერთი ტყვიისაგან მკერდში და ორიც თავში თოფის კონდახისაგან ანუ კეტისაგან. ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარჯვენა ძუძუს ახლოს და გასული იყო მარცხენა იღლიიდან. თავი ერთგან ჰქონდა გატეხილი, ხოლო მეორე ალაგას ჭრილობა ძვლამდი იყო დასული. მიცვალებულს პიჟაკი არ ეცვა, გალსტუხი ყელზე გახსნილი ჰქონდა, მარცხენა ხელზე მანჟეტი არა ჰქონდა, მარჯვენაზე წამოძრობილი ჰქონდა და ეკიდა პერანგის სახელოზე. შიგნით გულბოყვში ტყვიას გაუვლია პირდაპირ გულში. შიგნეულობის გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე სნეული ყოფილა. გული იყო გაქონებული და მისი მარცხენა კუდელი ძრიელ გათხელებული. ფილტვებიც ზადიანი ჰქონდა. ხან-მოკლე

იყო დღენი სიცოცხლისა. უგუნურებმა მოჰკლეს ავადმყოფი 70 წლის მოხუცი.

ილია ჭავჭავაძის მოსამსახურეს იაკობ ბიტარაშვილს ჰქონდა ორი ჭრილობა ტყვიისაგან და 21 საფანტისაგან. ტყვია, რომელიც იმის გვამიდან ამოვიღე, იყო რგვალი და იმ ზომისა, როგორსაც კაჟიან თოფისთვის ხმარობდნენ უწინ. ნახვრეტნი ტყვიისაგან ილიასა და ბიტარაშვილის სხეულზე ერთის ზომისაა დაახლოვებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე იმგვარის ტყვიისაგან არის მოკლული, როგორითაც იაკობ ბიტარაშვილი.

ექიმი ა. იაშვილი.

——

P. S. ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, მეორე დღეს სოფელ ნაოზაში მოჰკლეს გლეხი სანდრო კორპუსოვი (შთამომავლობით რუსი იყო, გაქართველებული). მესამე დღეს სოფელ მლაშეში მოჰკლეს გლეხი შიო ჩობაკაური. ამავე დღეს საღამოს დუშეთში მოჰკლეს ვაჭარი ივანე მარტიროზოვი. სოფლები ნაოზა და მლაშე მდებარეობენ საგურამოსა და დუშეთს შორის. ხმა დადის, რომ სამივე გაყაჩაღებულმა ერთობის კაცებმა მოჰკლესო. შესაძლებელია, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვლაც მათი საქმე იყოს. ამ ჟამად გაყაჩაღებული წითელი რაზმელები და სხვანი მათი მოაზრენი მოქმედობენ „ერთობის“ სახელით. იგინი ყოველ სოფელში იშოვნიან თითო ოროლა კაცს თავიანთ თანაშემწეებად.

„ის.“ 23 სექტ. **ი. ბ.**

ილია ჭავჭავაძის

ხსენებას *

Погибъ поэтъ, невольникъ чести,
Палъ оклеветанный молвой...

ლერმონტოვი.

ვინ გაჰბედა და ცილი დასწამა დიდს ქართველს, თვისის სამშობლო ქვეყნის სულიერ განახლებისათვის დიდს მებრძოლს? ვინ სცდილობდა მის დამცირებას, მის შებღალვას ხალხის წინაშე? ვის უნდოდა სამარცხვინო ბოძზედ გაეკრა თავის ქვეყნის დიდებული შვილი, თვისთა თანამემამულეთა დიდი გულთა-მხილავი და მესაიდუმლე, „დაუგვირგვინებელი მეფე“ საქართველოსი? ვისმა ბოროტმა მარჯვენამ მოაწერა ხელი მის სასიკვდილო განაჩენს. ვინ მოჰკლა „ჩვენი ილია“, სად გაჩნდნენ „ჯალათნი თავისუფლებისა, გენიოსობისა და ენა-მზიანობისა“?

დიდად სასურველია ყოველისავე ამის გაგება და გამოკვლევა; სასურველია იმიტომ, რომ ილიას საზარელმა მოკვლამ ყველას დიდად ატკინა გული, ყველა შეაშფოთა, ყველა აღძრა მკვლელთა მიმართ მძულვარებითა და შურის-ძიებით.

მაგრამ ყოველ ამის გაგება, ჩხრეკა და ძიება ჩვენი საქმე არ არის. მაგას გამოარკვევენ აუცილებლად, თუ ახლა არა, ამ დღეებშივე არა, შემდეგ, მაინც ახლო მომავალში. მაგას გამოარკვევს და განიკითხავს აღშფო-

*) დაიბეჭდა რუსულს გაზეთში ილიას დასაფლავების წინადღეს და ახლა იბეჭდება ქართულად მცირეოდენის ცვლილებით.

თებულის საზოგადოების სვინიდისი განიკითხავს, ისტორია და იგი წარმოსთქვამს თავის მტკიცესა და მიუფერებელს მსჯავრს.

მე-კი ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მამაჩნია რამდენიმე გულ-თბილი სიტყვა უძღვნა ავისა და შავის, ბოროტის კაცებისაგან ისეთის საზარელის სიკვდილით მოკლულის კაცის ხსენებას, იმ კაცის ხსენებას, რომელთანაც ბედმა ინება და დამაკავშირა მე, მისი პატარა თანამემამულე, დიდის დაახლოვებითა და სულიერის კავშირითა მთელ ოცდა ათის წლის განმავლობაში, როგორც თანამშრომელი და თანაშემწე „ივერიის“ ბეჭდვასა და გამოცემაში, ამ გაზეთის თითქმის დაარსებიდან დაწყებული.

შავ-ბნელი დრო დაგვიდგა. მან წაართვა რუსეთს გერცენ შტეინი და იოლლოსი. მან მოსთხოვა ასეთი დიდი მსხვერპლი პატარა, საწყალ საქართველოსაც, ესოდენ ღარიბს კაცურის კაცებითა, ნიჭით შემკულ ადამიანებითა.

შავ-ბნელმა ძალამ ქედი აღიმაღლა ამ უჟამურსა და საშინელს დროს, ასობითა და ათასობით შეიწირა სიცოცხლე ადამიანთა განუსჯელად, განუკითხველად და იმოდენადაც გაკადნიერდა, რომ მოჰკლა ვერაგობით კაცი დიდ-ბუნებოვანი, მოხუცი სამოცდა ათის წლისა, მხცოვანი პოეტი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, რომელიც ორმოცდა ათის წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა თვისის ქვეყნის მაღალს ინტერესებს, ოდესმე დამოუკიდებელ, კულტურით-მოსილ, დიდებულ და ძლიერ ქართველი ერის კვლავ აღორძინებისა და სულიერ გადა,ალისების დიდსა და ძნელ საქმეს; ემსახურებოდა იმ ერის საქმეს, რომელიც უყვარდა თვისის

მაღალის, დაყურსებულის, ღრმა სულის ყოველის ძალითა და ყოველის ღონითა.

გაბედვით შეიძლება ვსთქვათ, რომ ასე ადვილად გამეტებული პოეტი ისეთი რჩეული, ისეთი თვალ-საჩინო და სულით ბუმბერაზი კაცი იყო, რომ მისი ტოლი და სწორი სხვა არავინ იყო ჩვენში არც ნიჭითა და ჭკუით, არც ღვაწლითა და დამსახურებით, არც სახელოვანებითა და ენა-მზიანობით. და, ვინ იცის, გამოჩნდება სხვა ვინმე მის ბადლად, მალე თუ არა, შემდეგ მაინც, რომ ილიაობა გაგვიწიოს, უიმისობამ არ დაგვჩაგვროს, სასიქადულოდ და თავ-მოსაწონებელად გვყავდეს მტერთანაცა და მოკეთესთანაც!

იმის სიტყვას, იმის ნაწერს, იმის საჯაროდ ნალაპარაკევს ყურს უგდებდა სმენად გადაქცეული მთელი შეგნებული ქართველობა, მთელი პატიოსანი, აზროვნობის ნიჭით შემკული ნაწილი საქართველოსი. უკეთესნი კაცნი რუსთა, სომეხთა და მუსულმანთა, ვინცმი იცნობდა, ქებითა და დიდებით იხსენიებდნენ, დიდის ხალისით და სურვილით ისმენდნენ მის საუბარს კრებასა თუ ბჭობაზედ, რადგან ამჩნევდნენ, კაცი ღრმად ჩახედულია საქმეში, იცის მისი ძალა, ეყურება ქვეყნის ჰირ-ვარამი, მისი სულის კვეთებაო ასე გასინჯეთ, ისეთნი კაცნიც-კი, რომელნიც მოხელეობაში იყვნენ დაბერებულნი და ჭკუის კოლოფად მიაჩნდათ თავი ქვეყნის მოვლასა და პატრონობაში, ასეთნი კაცნიც-კი და მათზედ უფრო მაღალ-ხარისხოვანნიც, ესრედ-წოდებულის მაღალის სფერისანი, საჭიროდ სთვლიდნენ, ასე თუ ისე, ანგარიში გაეწიათ მისის აზრისა და შეხედულებისათვის. შუბლზედვე ატყობდნენ, რომ ოცნებისა და ფანტაზიის კაცი არ ვიყო, ბურბუშელისავით არაფერს გაეტაცვინებოდა. შუბი სალთაში არ დაიმალება, ანუ როგორც

თვითონ იცოდა ხშირად, ქრისტე ღმერთი ჰკუით იცნესო, იმასაც ამჩნევდნენ, რომ კაცი ჰკვიანია, დიდისა და ღრმა ფიქრით მოსილი, დინჯი, მცოდნე, ნამდვილი სახელმწიფო „დარბაზის“ საკადრისი. აკი ერთხმად დაასახელეს კიდეც სახელმწიფოს საბჭოს წევრად. და განა ცოტანი არიან დღეს ჩვენში იმისი მოწმენი, რომ ილია ერთის სიტყვის ჩართვით, ერთის რაიმე მაგალითის მოტანით, ან მოსწრებულის, მარილიანისა და მახვილის ნართაულით შუქს ჰფენდა და არკვევდა ფრიად ბნელს საგანს საზოგადოებრივ ურთიერთობისას და მით გაჭირვებიდან გამოჰყავდა ჭირის ოფლში ჩავარდნილი მთელი კრებული, რიცხვ-მრავალი საზოგადოება, გულ-ამღვრეული, ალეწილი, გაალმასებული რაიმე მწვავე საზოგადო საგნის შესახების კამათით; გაჭირვებიდან გამოჰყავდა იმ დროს, როცა ყველა ჰგრძნობდა, რომ აგერ ჰაერი შეიკუმშა, ელექტრონით გაიჟღინთა და საცაა ასტყდება ჰექა-ქუხილიო და ვაი თუ ძმამ ძმა აღარ დაინდოს, ყველა ერთმანერთს დაერიოს დასახანჯლავად და დაიღვაროს კაცის ძვირფასი, წმინდა სისხლიო.

და აი ასეთი ფას-დაუდებელი ადამიანი, რომელმაც არა ერთხელა და ორჯელ შეაჩერა ამოწვდილი მახვილი, გადაარჩინა სისხლის დაღვრასა და სიკვდილს ათნი და ასნი, დიაღ, ასეთიც კი არ დაინდო კაცთა ბოროტებამა, მათმა გონების სიჩლუნგემა და სიბრმავემ!

განსვენებული ილია რჩეული კაცი იყო, ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, ბუნებით ძალუმი და რთული სულითა. მის ბუნებაში ადვილად დავსდებოდა ნამდვილი დემოკრატობა, ღრმა სიყვარული გლეხ-კაცობისა და არისტოკრატობა ჰკუისა, სიყვარული წარსულისა, მამა-პაპათა ანდერძისა, სამშობლო ქვეყნის ისტორიისა.

ცხოვრება და მოღვაწეობა ჰავჰავაძისა ამ ნახევარ-

საუკუნის ისტორიაა საქართველოსი. მეტად ერჩეოდა ყოველ სამოღვაწეო საქმეში, საცა-კი ბედი არგუნებდა მუშაობას. და არც დარჩა ისეთი დარგი საზოგადო მოღვაწეობისა, საცა მის შრომას დიდი ნაყოფი არ გამოეღო, დიდი და ღრმა კვალი არ დაეჩნია. არც ერთი შესამჩნევი საზოგადო მოვლენა ისე არ ჩაივლიდა, რომ ილიას არ მიეღო ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა. როცა-კი საქართველოს ცხოვრებაში დიდი რამ წუთი დამდგარა, უთუოდ ის შიგ შუა გულში მდგარა და უტვირთნია როლი წინამძღოლისა, საზოგადოების აზრის ხელმძღვანელისა. თითქო პაპია რომისა, თითქო მამაო-მთავარია დაობლებულის საქართველოსიო, ისე შესცქეროდა განათლებული ნაწილი ერისა და ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხიდან მასთან იკრიფებოდა ყველა, რომ ან რჩევა ეკითხა, ან შემწეობა და დახმარება ეთხოვა, ზნეობრივი გამხნევება და ლოცვა-კურთხევა მიეღო ამა თუ იმ საზოგადო საქმის დაწყებისათვის.

კაცი ნახევარ-საუკუნეს ედგა სათავეში პროგრესიულს მოძრაობას, როგორც საზოგადო მოღვაწე, სათავეში უდგა ლიტერატურას, როგორც პოეტი და პუბლიცისტი და ყოველთვის გაბედვით, მხნედ იცავდა კაცობრიობის საუკეთესო იდეალებს, სთესდა თესლსა სიკეთისა და კაცთ-მოყვარეობისას. გაჭირების ტალკვესიო რომ იტყვიან, სწორედ ის იყო, გაჭირების დროს ქვეყნის გულ-შემატკივარნი, იმასთან მოიყრიდნენ თავს და შეჰღაღადებდნენ, გვიშველე, ილია, დაბალიღობე გვნახეს, ქვეყნის დაღუპვა უნდათ, ზედ შეგვდგნენ, უნდათ გაგვთელონ. გაგვათახსიროსნო. და ილიაც გამოვიდოდა საფალავნოდ, გამოვიდოდა, როგორც ლომი, დინჯად, აუჩქარებლად, ღრმად მოფიქრებულ საბრძოლველ გეგმით, საბუმბერაზოდ შეიარაღებული ფერხით თხემამდე. გამოვიდოდა

და იცავდა თავის ძვირფას ქვეყნის, თავის საყვარელ პატარა სამშობლოს ძნელად გასამეტს უმაღლეს ინტერესებს. ბევრს უნდა ახსოვდეს იმის ამხედრება „მოსკოვის უწყებათა“ საწინააღმდეგოდ კატკოვის დროს, როცა ამ გაზეთმა მასხარად აიგდო, „სამშობლოს“ წარმოდგენის გამო, საქართველოს დროშები, რომელიც მხოლოდ მაშინდელ გოდფრუას ცირკში საბუტაფოროდ გამოსაყენებლად, მიიჩნია ჩვენმა მოძულე გაზეთმა. ბევრს ახლაც არ ექმნება დავიწყებული იმისი მგზნებარე, ცეცხლ-მოკიდებული წერილები დედა-ენისა და ეროვნულის სკოლის დასაცველად, მიმართული მაშინდელ მზრუნველ კ. პ. იანოვსკის წინააღმდეგ. აგრედვე მისგან შემუშავებული, გამანადგურებელ სარკაზმითა და ღრმა მამულისშვილობის გრძნობით აღსავე წერილი პათუმის ინგლისელ კონსულ კუტულის წინააღმდეგ საკითხაურით „კუტული ქართველთ-ყლაპიაო“.

ილიას ერთი პირველი დიდი წერილი, რომელიც ძველებურ ქართულ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, წერილი-კი არ იყო, ნამდვილი ყუმბარა იყო და იმისმა ძალა-აფეთქებამ თავ-ზარი დასცა მთელ მაშინდელ ლიტერატორთა კრებულს, სულ შეარყია დაგუბებული, ხავს-მოკიდებული მაშინდელი სალიტერატურო ჭაობი. ახლა ჩაუკვირდით მუშტრის თვალით მის „მგზავრის წერილებს, რომელიც დაახლოებით იმავე დროს არის შეთხზული, რა ენა-მზიანობით, რა მაღალის და აფერადებულის სურათიანობით არკვევს და ჰხატავს საზოგადო მოღვაწეობის პროგრამას, თავის პოლიტიკურს სიმბოლოს სარწმუნოებისას, რა რიგად გულთა-მხილაობს, მესაიდუმლოობს და თვალ-წინ გვიყენებს თავის სულის ვითარებას, თავის სულის კვეთებას. ალარას ვიტყვი პირველ იმის მოთხრობებისას, საცა დიდის ენა-მეტყველო-

ბით დაჰგმო და ჩაჰქოლა ყოვლად-საზიზღარი არსება ბატონ-ყმობისა, თვალ-წინ დაგვიყენა საზარელი სურათი იმისი, თუ რაოდენ ჰრყვნის და ათახსირებს ბატონყმობა, როგორც ყმას, ისე ბატონს, რაოდენ სათაკილოა და შემაზრზენელნი, როცა ადამიანი უფლობს ადამიანსა.

თითოეული ასეთი ნაწარმოები ილიასი, ასეთი მისი სალიტერატურო დებიუტი და გამოსვლა საასპარეზოდ დიდს ამბავს ასტეხდა ხოლმე მწერლობასა და საზოგადოებაში, ჰმალავდა აღტაცებას მკითხველთა შორის და ეს აღტაცება იქამდე მიდიოდა, რომ თაყვანისცემას იწვევდა ნიჭიერ ავტორისას, ჰფენდა მის სახელს ნათელსა და ბრწყინვალებას.

თაობას თაობა მოსდევდა და ნორჩი ახალგაზდობა ეწაფებოდა ასეთს ანკარა სალიტერატურო წყაროს, იზრდებოდა და წარემარდებოდა ასეთის შემრგო საზრდოთი. საქმე იქამდე მოვიდა, რომ არ იყო მთელ საქართველოს სივრცეზედ ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ოჯახი, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად შეგნებულის ცხოვრებით სცხოვრობდა, რომ სახელი სინათლისა და ადამიანობისათვის ყოვლად-ქებულ მებრძოლისა თავ-მოსაწონებელი არა ყოფილიყოს, მისი სიყვარული და თაყვანება ღრმად არა ჰქონოდეს გულში ჩანერგილი.

ამ სტრიქონების დამწერიც, რასაკვირველია, გაიტაცა ასეთმა ტალღამ. გატაცება ჩემი პოეტის ნაწერებით ყმაწვილობათვე იმოდენად ძლიერი იყო, რომ მენატრებოდა მისი ნახვა, მასთან ახლო ყოფნა.

მალე უკვე მის ახლო ვიყავ და მესმოდა მისი მუსაიფი, მისი საუბარი. ჩემს ნეტარებას სამზღვარი არა ჰქონდა. იგი ათასში ერთხელ გაიხსენებდა ხოლმე ოდნავ, გაკვრით, თავის ნაწერებს. ამ დროს ვსცქვეტდი უყურ-

რებს და მთლად სმენად გადავიქცეოდი ხოლმე. წითელი ქარი გამიჩნდა და სახლიდან კარში ველარ გამოვდიოდი, მაშინ დავწერე „დიმიტრი თავდადებულიო“. „განდეგილი“ ხომ, ასე ვსთქვათ, ჩემ თვალ-წინ დაიბადა. მაშინაც ილია სუბუქი ავად-მყოფი იყო და სამსახურში არ დადიოდა. ჟურნალის „ივერიის“ საქმეზედ შევიარეთ რამდენმამე თანამშრომელმა. ის იყო პირველი თავი გაეთავებინა და წაგვიკითხა. სიამოვნების მღელვარებამ თავ-ბრუ დამასხა და კარგად ვერ გავითვალისწინე დიდებული სურათი მყინვარისა და „მუნ“ გამოკვეთილის მონასტრისა.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან...

კითხულობდა აღფრთოვანებული პოეტი და, როცა გაათავა პირველი თავი, გვიამბო მთელი შინაარსი დასაწერის პოემისა. აი ერს რა გვარად სწავს სიწმინდეო. მარტო ოდენ ცოდვილმა ფიქრმა, რომელიც გულში გაიტარა წმინდა ბერმა, დაუკარგა, ჩვენის ხალხის რწმენით, სიწმინდე და მზის სხივმა, მისმა შუქმა აღარ შეიმაგრა მისი ლოცვანიო.

ამ პოემის დაწერა, ჩემის აზრით, შედეგია, სხვათა შორის, იმ ღრმა შთაბეჭდილებისა, რომელიც იქონია ილიაზედ ებერსის შესანიშნავმა ისტორიულმა რომანმა, რომელიც მან სთარგმნა ორიოდე წლის წინად სათაურით, „რამეთუ კაცი ვარ“, ისე როგორც „დიმიტრი თავდადებულის“ შექმნა აიხსნება მით, რომ ილია ერთხანად დიდად გაიტაცა ჩვენმა ისტორიულ ქრონიკის „ქართლის ცხოვრების“ კითხვამ.

ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო დრო იყო ილიას ცხოვრებაში დრო ყოველ-დღიურ გაზეთის „ივერიის“ რედაქტორობისა. აქ იჩინა თავი სწორედ მისმა

მხნეობამ, საღიტერატურო შრომის დიდმა უნარმა, დიდმა შემძლებელობამ და მომზადებამ. სწორედ საოცარი იყო ამ დროს მისი მოღვაწეობა. დაღალვა აღარ ემჩნეოდა და მომზადება საყოველ-დღეო გაზეთის ხელმძღვანელობისათვის ხომ მეტად დიდი გამოიჩინა. პირველ ორ-სამ წელიწადს მოსვენება აღარ მისცა თავს, ისე გაიტაცა ცოცხალმა საგაზეთო მუშაობამ. პირველ წელს ხომ თითქმის ნომერი არ გამოსულა ისე გაზეთისა, რომ მისი მეთაური წერილი არა ყოფილიყოს დაბეჭდილი. და მერე როგორი მეთაურები! ზოგიერთი მაინც პირდაპირ ქრისტომატიაში დასაბეჭდი, ისე იყო შემუშავებული გარეგნობით და საკვე აზრით, შინაარსით. ამ წერასაც არა სჯერდებოდა და სამუშაოდ, სარედაქციო საქმესაც ბევრს დროს ანდომებდა: საგაზეთო მასალის გადაკითხვას, წერილებისა და კორესპონდენციების გასწორებას ენისა და შინაარსის მხრივ. დიდს ყურადღებას აქცევდა უფრო ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას და დასურათებით აზრის გამოთქმას გლეხ-კაცურს კილოზედ. თვით ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოველის ღონისძიებით სცდილობდა, რომ გაზეთში ყოველივე წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ჩაგვიყოლია უნცროსები. მთელი რედაქცია იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებაში იმის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით. ეს იყო ღამ-ღამობით. ამ დროს რომ გარეშეს ვისმე შემოეხედნა რედაქციაში, ეგონებოდა, აქ რედაქცია-კი არა, სენაკი და რაღაც მღვდელ-მოქმედება სწარმოებსო. უსხედით გარშემო მაგიდას თანამშრომელნი და ვასწორებდით ჩვენისა და სხვის წერილების ენას. ღამე გატყდებოდა, მამლები ყივილს დაი-

წყებდნენ და თავს დაგვათენდებოდა ამ მუშაობაში; ისე დავიჭანცებოდით, რომ სავატომა აღარ გვჭონდა; ილიასკი, არ მახსოვს, ან დაღლილობა შეჰჩნეოდეს, ან ძილი მოჰკიდებოდეს, ისეთს ხალისსა და ჯავარზედ იყო უკვე ორმოცდა ათს წელს გადაცილებული კაცი. ხშირად გამხსენებია ამ დროს ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელიც სახელმწიფო საქმეთა ბჭობის დროს წავიდოდა ღრმა ფიქრებში და მინისტ-ებს, დაჭანცულებს და დაღლილებს, ზედ მაგიდაზედ ჩაეძინებოდათ, ფიქრებ-გამორკვეული ნაპოლეონი აღვიძებდა მინისტრებს, გაიღვიძეთ, განვაგრძოთ ბჭობა, ტყვილად ხომ არ გვაძლევს საფრანგეთი ჯამაგირსაო.

გაიარა დრომა და ხანმა, ილიაც, ცოტა არ იყოს, გაუგულგრილდა გაზეთს. ხშირად იტყოდა ხოლმე, ქართულ გაზეთის ბეჭდვა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რუსულისაო. იქ მაკრატელი აკეთებს საქმეს, ამოსჭრი მზა-მზარეულს და ააწყობინებ; აქ-კი თითქმის ყოველივე სათარგმნელია: რუსეთის ამბები, ნარკვევი, დეპეშა, უცხოეთის ამბები, მთავრობის განკარგულებანი და, ასე გასინჯე, განცხადებანიც-კიო.

საზოგადოდ, განსვენებული გაუტეხავი კაცი იყო და ჯაფაში ხომ მეტის-მეტი დაუღალავი. ხშირად დასთენებია წერაში და მეორე დღეს მისულ თანამშრომელს გაუხსენებია, ბატონო, შუა-დღეა, რაღა დროს ლამფაზედ მუშაობააო. არა იშვიათად გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ, ისეთ მეთაურის დაწერაზედ, რომელიც რაიმე მწვავე საზოგადო საგნის შესახები და ამიტომ მეტად პასუხსაგებელი ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა რაიმე მიზეზით, ჰხევდა შეუწყალობლივ და იწყებდა ხელ-ახლად წერას, და ასე განაგრძობდა, ვიდრე შინაარსითაც, კილოთიც,

ენფერითა და იერითაც სრულიად არ დაკმაყოფილდებოდა. ეს დრო მასის დაკმაყოფილებისა-კი მაშინ დადგებოდა, როცა მზე უკვე ამოსულიიყო.

რაოდენად ფრთხილად ეკიდებოდა თავის მოვალეობას მწერალისა და ბელეტრისტისას, იქიდან სჩანს, სხვაგან შორის, რომ იმოდენა მოთხრობა „ოთარიანთ ქვრივი“ სამჯერ თუ ოთხჯერ გადასწერა საკუთარის ხელით და ყოველ გადათეთრების დროს ასწორებდა თითოეულ ფრაზას, თითოეულ გამოთქმას, სწონავდა და ჰზომავდა თითოეულ სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას. რასაც დასწერდა, უეჭველად აწყობილს მოითხოვდა და დაუწყობდა კიდევ სწორებას. ძლივს დავიბრუნებდით ხოლმე წერილს უკან მესამედა და ხშირად მეოთხედ გასწორების შემდეგ.

აი ასე ძლიერი იყო მისი გრძნობა მოვალეობისა და პასუხის-გებისა თითოეულის ფრაზისა და თითოეულის სიტყვისათვის, რომელსაც სწერდა ან წარმოსთქვამდა! ჯერ კარგად მოიფიქრებდა, ასწონ-დასწონდა, გულში ატარებდა, შეისისხლ-ხორცებდა და მერე გამოაქვეყნებდა. იმ საყვედურის პასუხად, რატომ ბევრს არა სწერ და ხშირადაო, ხუმრობით იტყოდა ხოლმე, პატიოსანმა დედაკაცმა ცხრა თვეზედ ადრე არ უნდა ჰშობოს შვილიო. როცა თავისი ნაწერები გადააწერინა და დასაბეჭდად უნდა გადაეცა „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისათვის,“ თათონვე უკვირდა, ეს რამოდენა მიწერიაო. აი, სულ იმას მისაყვედურებენ, ზარმაცი ხარ, ბევრს არა სწერო და ეს განა ზარმაცობაა, რამდენიმე ფუთი გამოვა, იმოდენი შესდგაო.

ძრიელ ჰქონდა აგრედვე განვითარებული უნარი კრიტიკისა, ანალიზისა იუმორის ნიჭით შეზავებული. კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა თავის თავსაცა და

სხვასაცა. ამ მხრივ არავის ჰზოგავდა, არც თავის თავს. თავის ნაწერებს, მეტადრე პოეზიას, დიდად არ აფასებდა და ამ მხრივ მეტად თავ-დაბლობდა. ისე მოსწონდა ვაჟა-ფშაველას ნაწერები, მეტადრე პოეტური პროზა და პოეზია, საერო კილოზედ აგებული, რომ მის აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა. ჰეშმარიტი, ნამდვილი პოეტი ეგ არისო. მაგის ლექსებს და პოემებს რომ ვკითხულობ, აგრედვე ბაჩანასას, მრცხვენიან, ჩემის მელექსობისა და ახლა ხომ კალამს როგორ-ღა ავიღებ ხელში ლექსის დასაწერადაო.

საზოგადოდ სიმტკიცე, ულმობელი სიმტკიცე იყო ნიშნობლივი თვისება მისის ხასიათისა. მის სამსჯელობო წერილებს და საორატორო ნაწარმოებს ცხადად ემჩნევა ეს ხასიათი სიმტკიცისა, შეურყეველის და ულმობელის ლოგიკისა. იქნებ ეგ უზომო სიმტკიცე და შეურყეველობა იყო, ცოტად თუ ბევრად, მიზეზიცა მისის ტრაგიკულის დასასრულისა და აი რანაირად: იღია განათლებით იურისტი იყო და კარგადა ჰქონდა შეთვისებული მნიშვნელობა უფლებისა, რომელიც არის უმთავრესი რეგულიატორი ურთიერთობისა საზოგადო ცხოვრებაში. ჩემი უფლება თავდება იქ, საცა იწყება ჩემი მოვალეობაო, იტყოდა ხოლმე, როცა სიტყვა მოიტანდა: არ არსებობს უფლება უმოვალეობოდ და არც მოვალეობაა უუფლებოდ. უფლებრივს სახელმწიფოში ყოველივე დამყარებულია იმაზედ, რომ ყველამ აღასრულოს თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა და შეურყევლად, გულ-მტკიცედ დაიცვას უფლებაო. დღეს ერთი დაარღვევს უფლებას, ხვალ მეორე არ აასრულებს თავის მოვალეობას, ზეგ მესამე და გათავდება, მთელი წეს-წყობილება შეირყევა, რღვევას და ნგრევას დაიწყებსო.

კაცთა საზოგადოება, კაცთა კრებული შეუძლებელია, წარმოუდგენელია, თუ კანონი არ იქმნა დაცული, უფლება და მოვალეობა არ იქმნა ასრულებულიო. ძრიელ უყვარდა ამ შემთხვევაში ასეთი სურათიანი თქმა: პაჭიჭს თუ წვერი მოერღვა, ველაჯას უშველიო. ეს რწმენა ღრმად შესისხლ-ხორცებული რწმენა იყო მისი. და ესევე რწმენა იყო მიზეზი, რომ მუდამ გულმტკიცედ და თავ-გამოდებით, უშიშრად იცავდა თავის უფლებას, როგორც ზნეობრივს, ისე ქონებრივს...

დიაღაც, უფლების დაცვა საჭიროა და სავალდებულო. მაგრამ სად? იქ, სადაც მოვალეობის ასრულებაც საჭიროდ და სათანადოდ მიაჩნიათ მანამდე, ვიდრე კანონები არ შეცვლილა და იგი მოვალეობა არ გადავარდნილა საკანონ-მდებლო გზით, ანუ ქვეყნის განაჩენით და გადაწყვეტილებით. ხოლო საცა ეს არ არის, საცა არეულია მონასტერი, საცა ერთმანერთს დარევია ხალხი და მზადაა ორის გროშისათვის თვისი უიარაღო მოძმე და მეყვისი წუთი-სოფელს გამოასალმოს ვერაგულად, დიაცურის სიმხდალით, იქ უფლებათა დაცვა ოცნებაა; იქ უნდა დაცულ იქმნას მხოლოდ ერთი სამღვთო უფლება, საფუძველი ყოველისავე, — უფლება სიცოცხლისა.

ხოლო ილიამ არ მიჰხვდა ამას და შეიქმნა მსხვერპლი ასე და არა ისე გაგებულის „მოვალეობისა“.

მაგრამ რა მოიგეს მისმა უგუნურმა მკვლელებმა? ისეც დიდებული უფრო გაადიდებულეს. განსვენებულმა თვისის ჰკუით, თვისის ამაგით დაიმსახურა დიდი სახელი, დიდი დიდება და შეიქმნა თავ-მოსაწონებელი ქვეყნისათვის, სიცოცხლეშივე სათაყვანებელის რაღა აკლდა ამ ქვეყნად? აკლდა მხოლოდ გვირგვინი მოწამეობისა, სხივი შარავანდედისა და მაგ გვირგვინითაც შეიმკო უკვე

მირონცხებული მისი შუბლი, ისეც მადლით მბრწყინავი მისისახე ახლა წამებულის შარავანდედითაც ისხივ-იცის-კროვნებს.

გრ. ყიფშიძე.

ი გ ლ ო ვ ე თ !

მზეო დაბნელდი, ნუღარ გვინათებ !
ვარსკვლავო, მოჰსხლტი ცისა კამარას !
უგუნურებმა უწყალო ხელით
მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას !..
სამშობლო კუთხევ, შენც აქვითინდი,
უბედურება ამცნე მთა-ბარსა ;
დაე, გლოვის ხმამ სიმი შესწყვიტოს
სამხიარულოდ მომართულ ქნარსა !..
მამულიშვილნო, განა არ გესმით ?
მოხუც გულისა ძგერა ყუჩდება !
იგლოვეთ ყველამ... ჰღვარეთ ცრემლები.
მოჰკლეს მგოსანი — ჩვენი დიდება !..

„ის.“ 1 სექტ. **ა. შანშიაშვილი.**

მ გ ო ს ნ ი ს ა ვ ა ზ ა კ ე ბ ს

— —

ვისაცა სურს, ის გაჩუმდეს,
მე არ ძალმიძს მოთმინება,
თვით კალამი ბრაზი-ნაღველით
ათრთოლდა და ილესება !
თქვენ გევბნებით, ავაზაკნო,
რომ ამართეთ ურცხვათ ხელი,
მოაშორეთ წუთი სოფელს

ერის შვილი, მის სახელი!
რას ფიქრობდით ნეტა იმ დროს,
როცა სწყვეტდით წმინდა სიმებს,
უწმინდურნო, საზიზღარნო,
თავს ადარებთ იქნებ გმირებს!?
არა, თქვენ ხართ მუხანათნი,
ჰაობისა გველ-ბაყაყი,
მაგრამ კმარა, თქვენთან არ ღირს
კამათი და ლაპარაკი!
მე მივმართავ აკვნესებულს,
ატირებულს ქართველს ერსა,
იგი დასდებს შესაფერს მსჯავრს
თქვენს უღმერთო საქციელსა!
მან დაჰკარგა თვისი შვილი,
სიამაყე, თვის დიდება,
იმან იცის თვისი მგოსნის
პატივი და მის ღირსება!
თქვენ-კი მოდით გვამთან ახლო,
ავაზაკნო, თუ გაქვთ გული,
დაინახეთ ერის ცრემლი,
დაინახეთ მისი წყლული!
იქნებ მაშინ, იუდასებრ,
დაიკრიფოთ გულს ხელები,
ჯერ მიწას არ უშობნია
თქვენისთანა ჯალათები!
უგვანონო, მას კი არა,
თქვენი ტყვია მოხვდა ერსა
ისტორიის საზიზღარნო,
ფურთხი, კრულვა თქვენ სახელსა!

ი. ევდოშვილი.

მგოსნის ილია ჭავჭავაძის სხოვნას.

რა ხელმა მოგკლა წყეულმა,
რად არ შეახმა ტანზედა,
კავკასის თვალო, მგოსანო,
განთქმულო ქვეყანაზედა!
ეხლა-კი მჯერა — დამდგარა
ხალხი დაღუპის გზაზედა,
გესლით აქვთ გული გავსილი,
მოუწამლიათ ძალზედა!
და აწ კარგ რაღას მოველით,
თუ დღესა ვხედავთ ამასა:
ძმა ძმასა აღარ ინდობდეს
და შვილი ჰკლავდეს მამასა!
მამა ილია! ეგ მსხვერპლი,
ვიცით რისაც არს ნაყოფი!
აწ კმარა გამგონისათვის,
მოკლედ თქმაც არი სამყოფი!
რას ვიზამთ: უვიცთ სამეფო
განუსაზღვრელი დიდია,
ჩაძახილს ამოიძახის
დღეს, ვისი ენაც ფლიდია!
შენ გაგვინათე უფსკრული,
გაგვიდე სწავლის ხიდია;
გვიკლავენ შენებრ მოღვაწეს,
არაფრისა აქვთ რიდია!
ღირსეულ მსჯავრს სდებს, ვიმედობ,
შთამომავლობა ამასა,
და ჩვენ კი ცრემლით მოგირწყავთ,
მგოსანო, წმინდა საფლავსა!

რკინის გზის მუშა **ნათლუღელი შაქრუა**

ა ჩ რ დ ი ლ ი

ტურფა სამშობლო აყვავებული
თაიგულივით გადაშლილიყო;
გახარებული
სტვენდა ბულბული,
ვარსკვლავთა სხივი გადმოსულიყო.
ვითა აშიყი ნიავი ნელი,
შემკულ ბუნებას უტრიალებდა;
ირგვლივ ყოველი,
მთანი და ველი
სამოთხეს ჰგავდა... ტყე შრიალებდა,
სპეტაკ-ანკარა მთის ნაკადული
ხან ცელქად ხტოდა, ხან მისცურავდა;
მთვარე ქებული,
პირ-გაბადრული
ზურმუხტ-ფერ ცაზედ ნელა სცურავდა.
ყვავილთა მეფე, ვარდი გაშლილი
ტკბილ სურნელებას მიდამოს ჰფენდა;
გულ გადახსნილი
ბუნება შლილი
დამწუხრებულს სულს შვებას აფენდა.
სალსა-კლდოვანსა მთა ბუმბერაზსა
მწვერვალი ცაში ეკარგებოდა;
ბუნების ნაზსა,
ტურფა ლამაზსა,
გადმოსცქეროდა; უხმოდ სტკბებოდა.
უცებ ის მოხდა, რაც არ მომხდარა
საკვირველება გასაოცარი;
ვარსკვლავ-მთვარესა,
არე-მარესა

ჰმუხვის ზეწარი რად აფარია?...
ან ის ვინ არის, მაღლა, სერიდან
გულმოსაკლავად რომ გადმოგვტირის?..
მოსულა სიდან...
რომელ კუთხიდან?!..
შეხეთ!... ბუნებაც ქვითინებს, სტირის.
ვიცან ვინც არის, — დიდი მგოსანი,
ციური ნიჭით ამაღლებული;
სახელოვანი,
ჩვენი, მხცოვანი,
ზენარი მადლით მირონცხებული.
მაგრამ — აჩრდილი სულიერისა,
ვერაგ ხელიდან უსულოდ ქმნილი:
შხამი მტერისა,
თვისი ერისა
ქება დიდება, ერთგული შვილი —
დღეს ეთხოვება სამშობლო მხარეს —
ცრემლი სდის, ბოლმით გული ევსება,
მის მზეს, მის მთვარეს,
მის არე-მარეს
უკანასკნელად ეალერსება:
სამშობლო ტკბილო,
ვარდო გაშლილო.
ვარსკვლავო, მთვარე,
წყარო, მდინარე,
ლაჟვარდო ცაო,
ცელქო ნიავო,
მთა — ბუმბერაზო,
არე ლამაზო,
მინდორო, ველო;
წალკოტ — ბაღებო,

ჩვილნო, ბალღებო,
ჰაბუკ — მხცოვანო,
ქალნო და კაცნო
„მშვიდობით. თქვენთვის შემომიწირავს
ტკბილი სიცოცხლე, სული და გული,
უკანასკნელი, ჩემი სალამი
მიიღეთ, მივალ დამწუხრებული...
თქვენს სამსახურში, ერთგულებაში
ორმოცდა ათი წელი ჩავლიე.
ბედმა მარგუნა ოხვრა წამება —
ნაღველ სამსალაც ბევრი დავლიე.
ჯან გატეხილი, მოხუცებული
სამარის კარზედ მისულ ვიყავი,
არ დამაცალეს ორიოდე დღე,
მყუდრო ცხოვრებით დავმტკბარიყავი.
მომკლეს!.. და რისთვის? რა დავაშავე?
„სიკეთისათვის „გულს ლახვარ ი მკრეს“
„მაგრამ, მსაჯულო „გთხოვ, რომ შეუნდო,
თვით არ იციან, ღმერთო, რაცა ჰქნეს“!..
მგოსნის თვალთაგან ცრემლები
ალბობდა მშობელ ადგილსა...
ცისკარმა თავი ამოჰყო,
სხივი შესტყორცნა აჩრდილსა.
ანგელოზთ გუნდი დაეშვა,
ცას წარიტაცა მხცოვანი,
იქ მიელოდა დიდებულს
ადგილი სახელოვანი.
ბულბულმა მწარედ დაჰკვნესა,
ვარდი ჩამოჰკნა შავადა;
ნიავი გრიგლად გადიქცა
ტყეს დაეჯახა ავადა...

წმინდა ნაკადი აიმღვრა,
მთამ და კლდემ მოართო ღრიალი,
ცა ჩამობნელდა, გაშავდა,
მოისმა ჭექა გრიალი.
ჭოტმა გაჰკივლა წყეულმა,
შხამი დაასხა მწარესა —
ყორანი თავზედ დაგვჩხავის
ჩვენ... და ჩვენს ტურფა მხარესა!..

„ის.“ **ნ. კიკნაველიძე.**

ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

— —

საძირკვლად აზრი ჩააგდე.
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენის სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი, —
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი.
და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა,
რომელთა ხსოვნა შენს გულში
აროდის გამოლეულა.
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა.
მოჰკვდი თვის სატრფოს კალთაზე,
დადუმდა ჩანგის სიმები;
აყვავებული მამული
გაგვიხდა დასატირები!
დაგიკოცნიან სახესა

ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტყრფა ალაზნის პირები!
კაკო ყაჩაღთან ერთადა
მოსთქვამენ გლეხის შვილები,
უსამართლობის მსხვერპლები,
ყაჩაღად გაცვივნილები.
ჩვენის საწყლობის მოზარევ,
მანდ დაისვენო ღვთები?!.
ჩვენ რა ვქნათ, ჩვენა ცოცხლებმა:
გარს შემოვივლეთ ბეჭები,
ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად
ტურა-მგელთ გასაყვლეფები!
ვაი რომ რჩება აკვანი
ბაზალეთის ტბის ძირასა
და დიდხანს კითხვადვე გვრჩება:
„ვინ ამოიღებს იმასა?!.
ან იმ ბალღს ვინ უპატრონებს,
უსუსურს, მტირალს ბედისა,
აკვანში რომ წევს საწყალი
და ძუძუ სწყურის დედისა?
ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
ერისგან დანადინარსა,
ვინ დაჰშრეტს, ვინ ამოიყვანს
იმ უსუსურსა მტირალსა?!“
ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს
თავზე დაგვჩხავის ყორანი,
გალმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი:
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი... **ვაჟა-ფშაველა.**

„ის.“ 8 სექ.

*
* *

(რუსულიდან თავისუფალი თარგმანი)

თავისუფლების მედროშევ,
ვარსკვლავო ჩვენის გონების,
შენ არ მომკვდარხარ, შენი ხმა
კვალად ბრძოლისთვის გვეძახის!

—

შენ გულს გვინთებდი მკვეთრ სიტყვით,
იმედით გვაფრთოვანებდი,
მომავლისათვის საბრძოლად
გვაფოლად-გვასალ-კლდევებდი!

—

ვით უდაბნოში ებრაელთ
უძღოდათ წმინდა ნათელი,
ჩვენ წინ გვიძღოდი, მგოსანო,
შენ — დაუწვავი სანთელი!

—

და გვიანდერძე: არ შედრკეთ,
განთიადისკენ იარეთ,
ჰირი და ლხინი ერისა
შესვით და გაიზიარეთ!

—

არა, არ მოჰკვდი, მგოსანო,
სხეული მოკვდა მხოლოთა,
არ მოკვდა დიდი მოძღვარი,
თუმც აქვითინდა გოლგოთა!

—

არა, არ მოჰკვდი, მგოსანო,
მხოლოდ გულს მოხვდა ნაღველი,
და წმინდა ბრძოლის ტალღებზე
კვლავ ბრწყინავს შენი სახელი!

„ის.“ 8 სექ. **ი. ევდოშვილი.**



გზა და ადგილი, წიწამური, სადაც მოჰკლეს იოია.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულ სიკვდილის გამო.

(თავისუფლათ გადმოკეთებელი სომხურიდან.)

კვნესის და შფოთავს კავკასიის მთა ; —
აგზნებს გულიდან ცეცხლს მოელვარეს...
მოსავს სამყაროს შავის ღრუბლებით
და აქვითინებს გულნაზა მთვარეს !..

რისთვის მკვნესარებ, რა გაშფოთებს კავკასიის მთავ—
რისთვის დაჰყურებ დაღვრემილი ამ ტურფა მხარეს,
სთქვი : რათ გადმოგდის ცრემლთ მდინარე მაგ თვალები-
დან —
როდის შესწყდება, ან რა შესწყვეტს შენს ცრემლებს
მწარეს ?..
ნუ თუ შენამდის მოატანა ქართველთა გმინვამ, —
შენც ჭხედავ განა — ვით დაინთხა უმანკო სისხლი,
ნუ თუ შენც უმზერ... ბოროტების ულმო მახვილით
ვით გაიგმირა საქართველოს მამულის შვილი ?..
მაშ იმკვნესარე, მოსდე ზეცას გლოვისა ზარი —
შემოიხიე გულ-მკერდიდან შავი სუდარა ;
თვით ვარსკვლავებიც აატირე, აუგზენ გრძნობა
და ადენინე სიმწუხარის ცრემლი ანკარა !..
ჰხედავ ხომ, მთაო, სად ავიდა კაცთა მხეცობა —
ვით ილახება კაცის გრძნობა, კაცის ღირსება...
საშინელია რომ მამულში ითრგუნებოდეს —
მამულისავე გვირგვინი და მისი დიდება !..
ოჰ, მიწავ, მიწავ, როგორ ითმენ ამ ბოროტებას —
რად ანანავებ მაგ მკერდზედა ძალმომრეობას...
რად არ იშხუვლებს შენი გული, — ცეცხლთა გზნე-
ბული —
და არ დაბუგავს, არ შემუსრავს, ხალხთ ვერაგობას...
დაე, იტირე იმკვნესარე, კავკასიის მთავ,

კრულვა უძღვენი, ვინც წაგართვა ერთგული შვილი!..
ცაო, იჭექე, დაიგრგვინე, დაიგრიალე,
ქართველთა ტირილს შეუერთე შენი ტირილი!...

მ. ველისციხელი.

ხმა ციხიდან

—

ძმაო მკითხველო, თავისუფალო,
არ განგიცდია იქნებ ტყვეობა? —
ძნელია ძმაო... ძნელია მეტათ,
ცოცხლის საფლავში ჩაკეტვა—დახშობა...

—

უფრო ძნელია, ოდეს გარედან
სიკეთის ნაცვლად გესმის ძმათ მტრობა,
გესმის ავაზაკთ და საზიზღართა
ბატონობა და ქვეყნის დაპყრობა!...

—

დღე დღეებს მისდევს და ღამე ღამეს,
ტყვესათვის წუთიც წელიწადია,
სიზმარში ნახულ სიკეთესაც კი —
შეჰხარის ისე თითქო ცხადია;

—

ამ დღეში მყოფსა ძმაო, მკითხველო,
გვაუწყეს მოკვლა აღმზდელ მგოსნისა,
გვაუწყეს მოკვლა ავაზაკთაგან —
დიად მოხუცის პატიოსნისა!!...

—

თავზარი დაგვცა, ჩაგვიწყდა ენა,
სიტყვას ვერ ვპოვებთ გამოვთქვათ წყრომა,
ვიძახით მხოლოდ კვლავ შერცხვა ერი
და გავახარეთ საერთო მტერი...

—

რა ვთქვათ? რით გაგცეთ პასუხი გველო,
რით გარდგიხადოთ სამაგიერო!?...
ასეთ უმგზავსო საქციელისთვის
ცოდვაა ყველა სასჯელი შენთვის,
მხოლოდ ღა დაგვრჩა ზიზღით გახსენოთ,
ამიერიდან უკუნისამდის!!...

დ. ნინოწმინდელი.

ილია ჭავჭავაძის სახსოვრად.

——

იმ შავ-ბნელ დროს საქართველოს
აყრუებდა ბორკილთ ჟღერა.
ბატონყმობის მძიმე ტვირთი
აწვა ბედ-კრულთ... როგორც ძერა
ვით ოდესმე კლდეზედ მიბმულს
გულს უჭამდა ამირანსა,
ისე მაშინ აწამებდნენ
საქართველოს მშრომელ ხალხსა.
მიწა კვნესდა გლეხის ცოდვით,
თვით უსულო მოლბა ქვაცა,
მაგრამ ბატონს არ ესმოდა,
დაევიწყნა ღმერთიც, ცაცა.
მაშინ აღსდგა დიდებული —
ზეციური აღმაფრენა —
ხელთ აიღო წმინდა ჩანგი,
დაჰკრა სიმებს, ააჟღერა,
ზედ დაჰკვნესა ლაბას ბედი,
გუთნის დედის გულის ძგერა,
ვუშა კაცის მწარე ხვედრი,
საქართველოს ბედის წერა.

ეხლა მოკლეს .. მაგრამ ამით
არ გამქრალა ქართვლის კერა
ისევა გვწამს საქართველო,
არც ვინ ვფიქრობთ სხვაფრივ ჯერა.
არც სულ გავწყდით, საზიზღარო,
ჯერ ბევრნი ვართ ; — არა გვჯერა !!
არ მაშინებს შენი, გველო,
მგელ-კაცური შემობღვერა,
წმინდა სისხლით ხელ-მოსვრილო,
რასა ფიქრობ, ან რა გჯერა?
გასწი ! გასწი ! სულ შენ გწყევლის
წულის ჩქრიალი, ჩანჩქართ ჩქერა,
ტყის შრიალი, ბალახთ ფშვინვა,
ფრინველების ხმა და სტვენა,
ქვა, კლდე, მიწა, საფლავები !
გესმის, ბილწო, მოძახილი? —
წყევლა — კრულვა შენა ! შენა !

თ. რაზიკაშვილი.

---

*
* *

კვლავ დაიქუხა საქართველოზე !
მოსწყდა ვარსკვლავი საბედისწერო !
მოჰკლეს მგოსანი, გაგმირეს იგი
და არვინა გვყავს სამაგიერო !
ამერ იმიერ იღვრის გლოვის ხმით
შეზავებული ცრემლთ ნაკადული :
ბოროტმა ხელმა წაგვტაცა იგი —
ერის დიდება და სიქადული !...
ვაგლახ ! ვაგლახ ჩვენ, რომ ჩვენში [იფქ-
ღვრაძლმაც მოიცა შავ-ბნელი ძალა [ლთან
და განთიადი განახლებისა

ბინდად და მწუხრად მით შეგვეცვალა!...
ერი ტანჯული, პატივ-აყრილი,
არად შერაცხილ-დაკნინებული,
შინა თუ გარეთ, თვისით თუ სხვისით
სამარადისოდ ცვით წამებული
კვლავ იტანჯება; თითქო იმისთვის
განცდის შავ-ბნელმა ჟამმა დაჰკრაო,
როცა მის წინ დგას სასტიკი კითხვა
ყოფნა — არ ყოფნის, საჰო — არაო.
და, აი, ამ დროს ჩამოგვიქროლა
შავმა ყორანმა ბრჭყალ გაბასრულმა
და არვინ იცის, ვით მოინელოს
ეს დანაკარგი ქართველის გულმა!
მაგრამ, მხცოვანო, ჩვენი სიმტკიცე
შენგან ნამცნევი სიყვარულია,
ნალვაწი — ლამპარ მანათობელი,
შენი სამარე — ჩვენი გულია.
აწ მოისწრაფვი ამ სოფლიური
უმადურობით გულ-დაკოდილი,
დღეს საქართველო ერთხმად ღაღადებს,
რომ „უღმრთო იყო შენი სიკვდილი!...“

დ. თომაშვილი.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებაზედ.

ამ ზარ დამცემა ამბავმა
მოგვწყვიტა ქართველთ წელია;
ვინ არის ღვთისგან წყეული,
შენ რომ შეგახო ხელია.

დაობლდა ჩვენი სამშობლო,

დაობლდა ჩვენი ქვეყანა.
ცა შეიმოსა ძაძითა,
გრგვინვა გაისმის ყველგანა.

—

სამშობლოს მოტრფევ მგოსანო,
მოღვაწევ დაუღალავო,
აწ გულ მოკლული დაგტირით,
მით აღარასა ვფარავო.

—

დავკარგეთ ერის დიდება,
მოძღვარი ენა ტკბილია,
სხვა აღარ დაიბადება
აწ შენისთანა ილია!

—

შენ წახველ, მარა შენს სახელს
ვერ დაივიწყებს ქვეყანა:
უკვდავნი შენი საქმენი
არის, იქნება ყველგანა.

კნ. ნინო ორბელიანისა.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

———

მოჰკლეს მგოსანი!... აღსრულდა
საქმე მტრის გულის ნებისა;
მოსპეს ტაძარი საქვეყნო,
სადგური ხელოვნებისა!
აწ ხელოვნების ჩოგანი
მისებრ აქ ვერვის ეჭიროს,
ვერც მის ტრაპეზზედ ამისებრ
მსხვერპლი აქ ვერ ვინ შესწიროს.

———

მოჰკლეს მგოსანი... შებღალეს
ფიქრში ნაწვართნი ჯაღარა.
დიდებულ შუბლით გადმოსჩქეფს
ჰირ-ნანახს სისხლი ღვარ-ღვარა.
ეს შუბლი უნდა შეემკო
ქვეყანას დაფნა-იითა,
ნაცვლად კი აზრთა სადგური
შელეწეს მედგარ ტყვიითა.

———

მოჰკლეს მგოსანი... მუხთლებმა
დაგვმართეს საქმე საზარი,
დალეწეს, გაგვინაცარმტვრეს
ეს ხელოვნების ტაძარი;
აწ ამ ნანგრევში იდეალს
ვეღარ აღენთოს ლამპარი,
ვერ ვნახოთ გრძნობა, — სიტურფის
წინაშე მსხვერპლად დამწვარი.

———

მოჰკლეს მგოსანი!... შესწყდა ხმა,
მიდუმდა ჩანგი ფრთოვანი,
ამოშრა სიტყვის ნაკადი,
აზრთა ზღვა სურათოვანი.
არარაობამ შენს გულში
აზრთ ნაცვლად მოიკალათა;
შენგან შენამკობ ქვეყანას
გამოგასალმეს ძალათა...

———

ვაიმე როცა გდევნიდნენ,
რა ჰირმა შემკრა ბედ-შავი!
რათ არ ვეკვეთნე შენს მდევნელთ,
რათ არ გავწირე მე თავი!

თუ არ შემეძლო მებრძოლნა
შენებრ ძლიერის ენითა,
რათ არ გაგერე მტერები
მე ჩემის სუსტის ღრენითა.

———

ვაიმე! როცა გდევნიდნენ,
რათ არ შეგექმენ ფარათა,
რათ არ გაისმა ჩემი ხმა
საკვდავი მთა და ბარათა!
რათ არ შევკრიბე ყოველ მხრივ
მსახურნი ხელოვნებისა
და არ ავლაგმეთ ენები
შენზედ ამტყდარის მტრებისა!

———

ვაიმე! რა კი შენს მდევნელთ
ხმა არ გავეცით მხდალებმა,
იქნება მისთვის შეგახეს
ხელი შენ ნაძირალებმა:
ლომის მყეფარსა ქოფაკსა
თუ „სუს!“ არ გაუგონია,
გოშიაც წახალისდება
და თავი ლომად ჰგონია!

———

იქნება, ცილი რომ გწამეს
და არვინ გაჩნდა ქომაგი,
ხალხზედ ფიქრობდი, რომ დავგმეთ
შენი წარსული ამაგი;
იქნება გული გაგიტყდა
და შენს ერს, აზრდილს შურითა,
ალსასრულის წამს უცქერდი
გულ-მშვიდის საყვედურითა!

———

ჩემს სიჭაბუკეს, სულ-მნათო,
შენ მამად ჰყვანდი ამზრდელად,
შენთა ფიქრთა ზღვა ჩემს გულშიც
ღვიოდა მწარ-ტკბილ ნაღველად,
აწ გათახსირდა ყველა ეს,
შენთვის სამარე მზად არი,
ჩაჰქრა სანათი ბრწყინვალე,
გაუდაბურდა ტაძარი.

ცახელი.

ილიას მოკვლის გამო

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!..
ნუ თუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედის წერა?

არა, არა!... მითქმა — მოთქმა
ეს მშიშარა, ტყუილია;
ის მშობელი არ მოჰკვდება,
წარმოშობა ვინც ილია!!..

გრძნობა კვდება, გონება კი
ეკუთვნის წინ მომავალსა...
გაჰყავს ხიდი ცხოვრებისთვის
და უკაფავს გზა და კვალსა.

და მიტომაც ვინც მოკვდება,
განა ყველა ითქმება მკვდრად?
ზოგი ჩადის ბნელ-საფლავში,
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.

და ილიაც არ მოკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად,
მაშინ როცა მისი გვამი
გადიქცევა მიწად და მტვრად.

—

რაც კი ჰქონდა მაღლიო ნიჭი
ბუნებისგან მოცემული,
მთლად მიუძღვნა მისს სამშობლოს,
ფიანდაზედ დასდვა გული!

—

თავი დასდვა ქვეყნისათვის,
მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ:
მეფესა და ყიფიანსა...
იმ ორ ქართველს, განდიდებულთ!

—

მაგრამ ამათ სიკვდილშიაც
განსხვავება არის დიდი:
უფრო მწარე და მწვავია,
როცა შინ გკლავს შენვე ფლიდი!

—

მეფე მოჰკლეს მანღოლებმა,
დიმიტრიც მტრის მოკლულია!..
მაგრამ ნუ თუ შინ ჩვენმავე
გამოგვტაცა ჩვენ ილია?!..

—

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!
ის ქართველად არა მჯერა,
ვინც გაბედა და ილიას
დაუმოკლა ბედის-წერა!. .

—

თვით იესო მაცხოვარმა,
ვის ხელთ ეპყრა ქვეყნის გული,

თანაშემწედ აირჩია
ათორმეტი — მოციქული

—

და მათშიაც გაერია
გამცემელი, ის იუდა,
შურმა, მტრობამ, ბოროტებამ
ვისაც გულში დაიბუდა!..

—

მაგრამ რჯული-რჯულად დარჩა
და იუდა მხოლოდ კრულად.
ამას სალმრთო ისტორია
საუკუნოდ ამბობს სრულად!...

—

და მთელ ქართლში რომ გამოჩნდეს
მოღალატე ერთი-ორი,
მსგავსი ისკარიოტელის
და იუდას თანასწორი,

—

ამით ჩირქი მილათ ქვეყანას
გაურჩევლად არ ედება!
მხოლოდ ხალხს კი, ჭირის უფალს
გულში ცეცხლი ეკიდება!

—

ახლა შენთან მაქვს საქმე, იუდავ.
წინ წამოდექი! ნუ იმალები!!
და ვერაგობით ძლევა-მოსილი
გამოაჩინე შენი თვალები!

—

ღრმა მოხუცებულს და ნააშაგარს
რომ ჰკლავდი, მაშინ არ გითხრა გულმა,
გარეშე მტრების სასიხარულოდ

ისევ მათგანვე მოტყუებულმა,

—

რომ მაგ სიკვდილით იმასთან ერთად
შენ გულს უკლავდი თვით ქართველობას
და შემბღალავი „წმინდა—წმინდათა“.
იორკეცებდი თვით საძაგლობას?

—

მაგრამ შენ ვინ ხარ? ვინ მოგცა გრძნობა?
ვით ჰეროსტრატემ დასწვი ტაძარი
და გეგონა, რომ ორივე მხარეს
საშვილიშვილო დაეც თავზარი.

—

რა შემცდარიხარ!.. თვით ილიასთვის
მაგგვარ სიკვდილში არის სიცოცხლე
და საქართველოს კი ძველი აღთქმა,
ისტორიული მით გაუახლე

—

დროებით დაღლილს და მიძინებულს:
ის გამოახელს მაგითი თვალებს
და შეაჩვენებს, საშვილიშვილოდ
შენებრ მეთაურს და ნაძირალებს!!

1907 წ. 8 სექ. ქ. თბილისი. **აკაკი.**

ილიას საფლავზე.

——

ერის ტაძარი ჩამოანგრიეს,
მოკლეს მგოსანი, ჩაქრა კანდელი,
მის მადლიან მკერდს ავაზაკებმა
ავაზაკურათ შეახეს ხელი!

—

შური და მტრობა, გველის ისარი
კარგა-ხანია მას უკან სდევდა,

აწ დრო უხელთეს: მოხუცი მკლავი
ვერავის პასუხს ველარ გასცემდა!

—

მაგრამ ნუ ფიქრობთ, მუხანათებო,
ვერ მიახწიეთ გულის წადილსა —
მოჰკალით ხორცი და არა სული,
ვერ აისრულებთ დანაქადილსა!

—

კვალად ფრიალებს იმისი დროშა,
კვლავ თავს ევლება ჩვენსა სამშობლოს!..
ოხ, ავაზაკო, მისმა სახელმა
ვინ უწყს რამდენჯერ შენ შეგაძრწოლოს!

—

ქართველო ხალხო, იტირე შვილი,
მაგრამ იმავ დროს მით ინეტარე,
შენი დიდება, შენი სახელი
გულს მიისვენე, უბით ატარე!

—

ბუნებავ ტკბილო, სამშობლო კერავ,
ამ გვარ შვილებსა რომ არ გვიზდიდე, —
ტანჯული ერის ტანჯულ შვილებსა, —
მთლათ შეჰხუთავდა სულს სიწყვდიადე!

ი. ევდოშვილი.

II.

ილიას დასაფლავება

ვარშავი — კვირა, 7 — 9 სექტემბერი
1907 წ.



საგურამო. — ილიას გამოსვენება სახლიდან.

ტფილისი, 8 ენკენისთვე.

ხვალ, 9 ენკენისთვეს, მთელი საქართველო სამუდამოდ გამოესალმება თავის დიდებულს მგოსანს და იმის ნეშტს მიწას მიაბარებს. მაგრამ, განსვენებულის თქმისა არ იყოს.

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრათ იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“...

ილიას სახელი-კი დარჩება, სანამ ქართველი ხალხი იქნება დედა-მიწის ზურგზე, რადგან მან ხალხის სამსახურს შესწირა დღენი და თვით თავისი სიცოცხლეც მსხვერპლად მოუტანა თავის საყვარელ სამშობლოს... რუსეთის დიდებული პოეტი, პუშკინი, რამდენჯერ იმეორებს: „პოეტის საქმენი მისი სიტყვებიაო“. ილიამ დაგვიტოვა მრავალი ასეთი „სიტყვები“, აღსავსე მაღალის აზრებით, კეთილშობილურის გრძნობებით და გამსჭვალული ტვირთმძიმეთა და ჩაგრულ მოყვასთადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით. დიდბუნოვანი მგოსანი, ჩვენის ლიტერატურის დიდი რეფორმატორი და პირველი საზოგადო მოღვაწე ილია სამუდამოდ დარჩება ჩვენს ისტორიაში და მისი სული ჭეშმარიტად უკვდავ იქნება...

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დიდის ამბითა და დიდებით ეთხოვება და ასაფლავებს ამ დიდ მოამაგის გვამს.

ქართლი, კახეთი, მთელ იმერეთი,—ყველა ჰგზავნის თავის წარმომადგენლებს, სამძიმრის დეპეშებსა და სიტყვებს, თაიგულებსა და გვირგვინებს, რათა ღირსეული პატივი სცეს ვერაგულად მოკლულს ქვეყნის საუკეთესო შვილს. დიდებული მგოსანი ღირსია ერის ამგვარის პატივის ცემისა, მაგრამ ყველანი ვგრძნობთ, რომ ამ გარეგანის ნიშნებით ჩვენის სიყვარულისა და მწუხარებისა ვერ გამოვისყიდით იმ დიდ დანაშაულს, რომელიც მისდამი ჩაიდინა ჩვენმავე მოძმემ, ქვეყნისავე შვილმა. ამ ცოდვას მოვინანიებთ მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, თუ ენერგიულად განვაგრძობთ მის დიდებულ საქმეს: ქართველ ხალხის თვითცნობიერების განვითარებას, მის განთავისუფლებას ყოველგვარ მონობისაგან.

სხვათა შორის, დღეს შესაფერისად მიგვაჩნია გავახსენოთ ქართველ ერს ერთი დიდი საქმე, რომელიც განსვენებულ ილიას პატივსაცემლად გვინდოდა დაგვეწყო რამდენისამე წლის წინად, როცა მის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეის სადღესასწაულოდ ვემზადებოდით. აზრი დაიბადა, შეგვექმნა საეროვნო ფონდი („ილიას აუზი“), რომელიც მოხმარდებოდა ჩვენის ხალხის განათლების და აღორძინების საქმეს. ეს დიდმნიშვნელოვანი განზრახვა უნებლიეთ აგონდება დღეს ბევრს და ჩვენს დღევანდელს ნომერშიაც მკითხველი იპოვის პატივცემულ იაკობ გოგებაშვილის ამ ხასიათისავე წინადადებას. ხოლო ქუთაისს, მარგანეცის მრეწველთა საბჭოს, პრაკტიკული ნაბიჯიც გადაუდგამს ამ საქმეში: განუზრახავს ათას თუმნის გადადება ილიას სახელის ფონდისთვის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან. თუ ყველა ჩვენებურმა საზოგადო დაწესებულებამ, საკრედიტო დაწესებულებებმა, ქალაქის თვითმართველობე-

ბმა და კერძოთ ყველა შეგნებულმა ქართველმა მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და ერთდროებითაც და ყოველ-წლიურადაც გადასდეს თავისი წვლილი, უეჭველია რამდენიმე ასი ათასი მანეთის ფონდი გაჩნდება, მალე და დიდ საკულტურო საქმის გაჩაღება შეგვეძლება დიდებულ მგოსნის სახელის სახსოვრად და სადიდებლად. ეს იქნება ის ეროვნული სააჩუქარი, რომელიც, ნიშნად მადლობისა და სიყვარულისა, სიცოცხლეშივე უნდა გვეძღვნა დიდმოჭირნახულესათვის, მაგრამ არ დაგვცალდა, და ასეთი საქმის დაწყება-გაჩაღება ყველაზედ უფრო ასიამოვნებს ქვეყნისთვის თავდადებულ მგოსნის უკვდავ სულს...

განისვენე, მხცოვანო პოეტო! ნეტავი შენ, რომ „კარგის საქმით აღნიშნე შენი დრო“; ჩვენც, შენი შვილნი და მოწაფენი, გავაორკეცებთ ჩვენს მცირე მუშაობას, რათა ცოტა მაინც ვაქციოთ საქმედ იმიდან, რაც შენ სიტყვით გვითხარი და მაგალითით გვიანდერძე.

„ის.“ 8 სექტ.

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!

ბევრი ქვეყნები დამივლია, გავცნობივარ სხვა და სხვა ერებს, შემიდარებია ქართველობისათვის, მაგრამ ბუნებრივ გრძნობა-გონების სისპეტაკეში უპირატესობა ჩვენზე არა მინახავს რა! და სწორედ ამით უნდა აიხსნას, უეჭველად, ის ისტორიული საკვირველება, რომელიც ჩვენ წინაპრებს გადმოუციათ ჩვენთვის: მაჰმადიანობამ მუსრი გაავლო ქრისტიანობას: დიდებული ვიზანტია სრულიად დაამხო, სლოვანთა ქვეყნები დაიპყრო და ევროპის კალთებს ზარი დასცა, მაგრამ ამ პატარა სამეფომ, ამ ერთმა მუჭა-ხალხმა კი გაუჭირვა საქმე,

ყოველ კუთხით მომდგარმა თათრობამ დიდ გასაჭირში ჩააგდო საქართველო, მაგრამ იმან მაინც ვაბედა გამკლავება. სთქვა: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“. ამით იმაგრებდა გულს. შეუკავშირა რჯული ეროვნებას. პირველი შეადგენდა მის გონებას, მეორე გრძნობას. და ამ შეკავშირების მეოხებით მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანდა ორივე შეუბღალავად და მაშინ კი შეუერთა ამალად დიდრუსეთს იმ უბედურმა...

ნუ თუ ამ გვარი ხალხი, ამდენ ტანჯვას გამოვლილი და ამდენის ამტანი, იმდენად დასცა ასმა წელიწადმა, რომ თავის მოღვაწეს, ახალ-მოძრაობის წინამორბედს, მესვეურს, რომელიც ყოველ საქმეს წინ უდგა, თავის ხელით გაიმეტებდა? არა! — ამას ვერ დავიჯერებ და ნუ მიწამლაფთ მოხუცს გრძნობას!... მოღალატეები ძველ დროშიაც ჰყოლია საქართველოს. მამელიუკები და იანიჩრები უმეტესად გადარჯულებული ქრთველები ყოფილან. ძირეულ თათრებზე ისინი უფრო ემტერებოდნენ საქართველოს, სდევნიდნენ რჯულსა და ეროვნებას, მმგრამ მითი საქართველო არ შებღალულა და ქართველობას სახელი არ გასტეხია!

დღევანდელ სკოლებშიაც, რომელსაც ასე ებრძოდა განსვენებული ილია და ისე ალმაცერად შეჰყურებდა შეგნებული ქართველობა, სადაც ახალგაზდობისათვის გმირები საბერძნეთიდან და რომიდან მოჰყავდათ სამოქმედოთ, აზეპირებინებდნენ ტაციტს და იმავე დროს ავიწყებიებდნენ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, ქართველ გმირებს, ამისთანა სასწავლებლებში, რომ ერთი ორი ჩვენი დროის შესაფერი მამელიუკ-იანიჩარი გამოვიდეს, ქვეყნის მტერი და მოსისხარი — რა გასაკვირვა-

ლია? და სწორედ იმათაც ჩაიდინეს ეს დღევანდელი საზიზღარი საქმე!... და არა გლეხობამ, ან რომელიმე დასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყვილა ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დღევანდელ მითქმა-მოთქმით.

„ის.“ 8 სექტ. **აკაკი.**

შურის ძიება ისტორიისა

შეუდარებელი, უებრო შურის-ძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, გააღმერთა იესო, გახდა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალაონი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე აცხადებდა (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერეს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა **ბნელეთის ნაბიჭვრებისა**. უსულ-გულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავდნენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმე-

დით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ თავისისავე უგუნურის და წყეულის თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთ საზიზღარ მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებულ მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჰკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისდამი; ერთი ასიდ გაიზდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწვინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატისა.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას, ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდით-კიდედ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხუზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავად-აზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ მათ ის პენსია, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითი-წლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, **შეუკვეთონ ევროპის საუკეთე-**

ოესო მხატვრებს მათი დასურათება. ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მთელს საქართველოში მოჰფინონ

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატრობითი ნიჭით და ნამდვილი ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულს აზროვნებას და სიტყვიერებას.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“, „კაკოს“ თავგადასავალს, იმის „მუშას“ და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ იგლოვს იგი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხარებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა ჰგლოვობენ დაწინაურებულნი ნაწილნი ქართველი ერისა...

ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შევუდგეთ დიოგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი. ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლივრდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

„ის.“ 8 სექტ. **იაკობ გოგებაშვილი.**

ქ კ ვ ლ ე ლ ს.

(ილიას დასაფლავების ღღე).

დღეს ასაფლავებენ იმას, ვისაც შეახე უწმინდური ხელი და მოჰკალი ვერაგულად. მოუსპე სიცოცხლე, ვინც არასოდეს არ მოკვდება; დაადუმე ენა, რომელიც იმეტყველებს თავის ნაწერებით ქვეყნის დასასრულამდის; გაჰგმირე მრავალ და ჩააჩუმე გული, რომელსაც აუძგერებია ასი ათასის გული გაცისკროვანებულის აზრით და მაღალის ადამიანურის მისწრაფებით.

ასაფლავებენ მამულისშვილს, რომლის სიკვდილმა დააობლა ერი. მისი გვამის გარშემო შემოკრებილა მთელი საქართველო; მისი კუბო მორთულია ცრემლებისაგან დანამებულის ყვავილებით, გზა იმის გასვენებისა ბრწყინავს დიდებითა და სიყვარულით.

უკანასკნელად ეთხოვება ქვეყანა დიდებულს ადამიანს, რომლის მსგავსი მეორე აღარა ჰყავს. ცივს მიწას უნდა მიაბაროს თავისი სიამაყე, თავისი ნიჭის სიძლიერე და შემოქმედების ძალა.

დღეს ასაფლავებენ ილია ჭავჭავაძეს — შენს მსხვერპლის... დღეს შენ უნდა წარსდგე სამსაჯულოს წინაშე: უნდა ამხილო შენი თავი, უნდა მოინანიო ცოდვა, აღიარო დანაშაული!

უკანასკნელად ხედავ შენგან განწირულს მამულისშვილს; მალე იგი განისვენებს საუკუნო სასუფეველში, გარდავა იმ ქვეყანად. წარსდეგ მის წინაშე. იგი სდუმს, მის სახეს არ აღელვებს არავითარი სიძულვილი, მკვდარია იმის გულში შურისძიება; აღარა აშფოთებს რა, წყნარია და მშვიდი. იგი გიწვევს შესარიგებლად.

რისთვის გაუპე გული და გადმოუნთხიე ტვინი?

გაწყენია პირადად რამე? თუ არ მოგწონდა ზოგი თვისება მისი საზოგადოებრივ ცხოვრებისა?.. ყველაფერი ეს დღეს აღარ არსებობს: გაჰქრა, წაშალა უკვდავებამ. ეს წუთიერი, წარმავალი იყო; ძლიერი გული და ნიჭი დარჩა, უკვდავი მგოსანი, ადამიანი არ მომკვდარა. სხეული გაშრა, გაშეშდა, მაგრამ სული კიდევ უფრო აღფრთოვანებული, აღტაცებული, გადიდებული შფოთავს და ღელავს სიცოცხლითა და ბრძოლით აღსავსე!

აი, მისი მირონცხებულის არსების გარშემო შემოკრებულან გაბრიელი, მისი მღვდელი, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კაკო, მუშა, გუთნის დედა, დედა და შვილი. კიდეც სტირიან და კიდეც იცინიან. სტირიან, რომ პოეტი მოჰკლეს; იცინიან, რადგან სიკვდილიდან იწყება მის უფრო დიდებული ცხოვრება.

აი მყინვარის ძირში გამოქვაბული, საიდანაც გადმოიყურება ქვეყნის უარმყოფელი განდეგილი და მას ქვევიდან მიიწვევს ალერსით მომხიბლავი სიყვარული და სიცოცხლე.

აი, კუბოს გარს დახვევიან უკვდავნი სულნი და უგალობენ ციურს საგალობელს. თვით ჰაერს შეერთებია საგალობელი და ნიავთან ერთად ეალერსება ყურს.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბოროკილის ხმა მტვრევ-სა!..

ამ ხმას უერთდება მთელი ერის მწარე გლოვა, ტირილი და მოთქმა მდუღარე ცრემლებით. ყველაფერს თავს დასტრიალებს იდუმალი სიჩუმე და უკვდავებით აღბეჭდილი გვამი დიდებულ ადამიანისა...

წარსდეგი მის წინაშე!

იგი მიგიწვევს შესარიგებლად.

ამხილე შენი თავი, აღიარე შენი მიუტევებელი ცო-

დვა, განაცხადე, რომ შენ წააართვი ქვეყანას საუკეთესო შვილი.

ნუ წამოდგები საჯაროდ, ნუ ეტყვი ხალხს შენს აღსარებას. არავის სურს შენი დასჯა, არავის სწადია შურის ძიება, შენი შეპყრობა.

არა! მხოლოდ შენის საკუთარ სინდისის წინაშე წარსდეგი, მხოლოდ საკუთარს თავს უთხარ, რომ დამნაშავე ხარ, დიდი დამნაშავე. მხოლოდ შენს სინდისს და შენს მსხვერპლს გაუმხილე ცოდვა, მოითხოვე პატიება.—

და პატიებული იქნები.

დაიჩოქე დიდებულ ადამიანის გვამის წინაშე განსპეტაკებული, მონანიებული; აიღე ხელში დაფნის შტო და შეამკე კუბო. შენი ერთი ცრემლი დაეცეს იმის გვამს. ეს იქნება უსაყვარელესი გვირგვინი განსვენებულისათვის; ეს იქნება უძვირფასესი ცრემლი. სინანულის ცრემლი და პატიების შტო ყველაზე უფრო გაახარებს გარდაცვალებულს, ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა იქნება მისთვის.

ეს ცრემლი, ეს სინანული შეგაერთებს მთელის ხალხის საერო მწუხარებასთან.

და ისიც გაპატიებს შეცოდებას.

წარსდეგი მოკლულის წინაშე და შენ თვითონ განსაჯე შენი თავი. მუხლი მოიდრიკე, უთხარი შენს თავს, რომ დამნაშავე ხარ და უთხარი ისიც, რომ კვლავ ადამიანი ხარ!..

„ის.“ 8 სექ. **ხატვა**.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა:
სულ-გრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა.

ილია ჭავჭავაძე.

ყველაზე მეტად ამ ქვეყანად, ჩემის აზრით, ქრისტიანული გრძნობა ფასობს, ყველაზე მეტი ძლიერება აქვს და ეს ჰეშმარიტება უკვე გამოსთქვა აქ მოყვანილ ლექსში თვით ჩვენმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ. ხშირად გაიგონებთ ჩვენში და სხვაგან შემდეგ მსჯელობას: ქრისტიანობამ თავისი დრო მოჭამა და ახლა სხვა მოძღვრებას, უფრო მაღალ იდეალს უნდა ემსახუროს კაცობრიობაო. ამ სიტყვებს სამწუხარო უვიცობა უდევს საფუძვლად. ქრისტიანობა ბევრს ეკლესიის გარეშე ვერ წარმოუდგენია და არ იცის, რა ღრმა ჰეშმარიტება გამოსთქვა იმ პოეტმა, რომელმაც ქვეყანას აუწყა, „ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანიაო“. ქრისტეს სჯული იმით არის ღრმა-აზრიანი და შესანიშნავი, რომ იქ ყველაზე უფრო ნათლად გამოხატულია ადამიანის სულის ვითარება, გამოთქმულია ჩვენი ადამიანური ბუნების ფილოსოფია. ქრისტიანობის უარყოფა ყველა დიდებულ მწერლების უარ-ყოფაა, რადგან მათი შემოქმედება ადამიანის მიმართ თანაგრძნობით, თავის მოყვასისადმი სიყვარულითაა სულ-ჩადგმული. ეძებეთ ამ ძვირფასი გრძნობის კვალი და გამოხატულება ყველა ხალხთა და ყველა მწერლობათა შორის და ყველა ამას საერთოდ დაარქვით **ქრისტიანობის** სახელი. „ვინც უარჰყოფს ამ გრძნობას, შეედრება იმ ხეს, რომელმაც მზის შუქის წყალობით გამოჰკვება მთელი თავისი არსება და შემდეგ უხვად გადაშლილ ფოთლების გვირგვინი მიაგება

მზის სხივებს თითქო ეუბნება: გამეცალე, აღარ შეჰოგიშვებ, ახლა შენთან არაფერი მაქვს საერთოო".

მტკიცედ გვახსოვდეს შექსპირის ეს საგულისხმიერო სიტყვები.

ჩვენმა პოეტმა კარგად იცოდა ქრისტიანულ გრძნობის ძვირფასი თვისება და სწორედ იმაზე ააგო თავისი საუკეთესო ნაწერები: „გლახის ნაამბობი", „ოთარაანთ ქვრივი", „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან" და სხვა.

როცა „გლახის ნაამბობს" კითხულობთ, არ შეიძლება გული დაჩაგრულ მოყვასის მიმართ თანაგრძნობით არ აგიჩუყდეთ და თვალებზე ცრემლი არ მოგადგეთ. თქვენ ნათლად ჰხედავთ, რომ პოეტის გული დაჩაგრულ მოძმის გულთან ერთად ჰფეთქს და ცოცხლობს, და ეს გრძნობა კეთილი და გადამდე გრძნობაა.

„დაემორჩილე შენს უბედობას და უბედობა დაგემორჩილება შენ", — ამბობს ხალხის სიბრძნე. უბედობას მაშინ ემორჩილება და ამავე დროს იმორჩილებს ადამიანი, როცა თავის თავს ივიწყებს და თავის მოძმეთ ემსახურება. მაშინ იმის საკუთარ უბედობას ხომ სიმძლავრე და სიმკვეთრე ეკარგება: ფათერაკი ვეღარ ერევა იმ ადამიანს, რომელიც თავის მოძმეებთან სიყვარულის ოქროს ძაფებითაა დაკავშირებული. ადამიანთ მოწყვეტილსა და თავის კერძოდ მარტო მდგომარე კაცს კი ადვილად დასჩაგრავს და წელში მოსტეხს ყოველნაირი უბედურება.

რად გიყვარს ასეთის წრფელის გრძნობით კაცთ-მოყვარე მწერლების ჰუმანური ნაწარმოები? იმათ დამწერთ თავ-დავიწყების, კაცობრიობის უანგარო სიყვარულის ძვირფასი ბეჭედი აძევთ და ჩვენ, ხშირად ჩვენდა შეუმჩნევლად, ყველაზე უფრო მაღლა ვაფასებთ ამ გრძნო-

ბას, რადგან, იგი რომ გამოაცალო ადამიანს, რა დაგვრჩება საბრალო ორ ფეხა ცხოველის გარდა?

„გლახის ნაამბობში“ ჩვენ გვხიბლავს ავტორის გულწრფელი თავ-დავიწყება, ხალხის სავალალო მდგომარეობაზე ღრმა დაკვირვება, ნათელი წარმოდგენა იმისა, რომ ხალხის გამწარებულ მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი სიღარიბე და უვიცობაა და ერთად ერთი გზა ამ ასპარეზზე სამოქმედოდ — არის შრომა თვით ამ ხალხში, ისეთი მოღვაწეობა, როცა ულმობელ წეს-წყობილების გამო სასტიკად დაჩაგრული შენი მოძმე შენ გვერდით არის, რომ იმისი გულის წადილი ცოცხლად გესმის, ყოველ წამს თვალ-წინ გეხატება, ნათლად ხედავ როგორ საჭიროა ხალხისათვის გრძნობა და გონება განათლებული კაცი, რანაირად სწყურია ხალხს ეს ცხოვრების წყალი, მხოლოდ არ იცის, სად მოძებნოს, ვის მიაგნოს, რომ ეს თავისი სულიერი წყურვილი დაიკმაყოფილოს.

ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწერები იმითაა ჩვენთვის ღრმა საგულისხმიერო, რომ ისინი იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ყველანი აღგვზარდა, ჩვენ ქრისტიანულ მოვალეობას გვასწავლიან. თვით ცნება „მოვალეობა“ მშრალი სიტყვაა, რადგან ხალხში მომქმედი ადამიანი თავის ჯილდოსაც იქ ჰპოულობს, ნათლად ხედავს, როგორი ნაყოფიერია იმისი მოღვაწეობა, ხედავს, რომ იგი ამ ასპარეზზე საჭირო კაცია, იმის შრომას კეთილი შედეგი აქვს, და ეს გრძნობა ადამიანის გულს სიამეს ჰფენს.

ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწერები ამ კეთილ მისწრაფებით, ამ წმინდა იდეალიზმის შუქითაა მოსილი და ამიტომ ადამიანის გულსა და გონებას სასიკეთოდ ზრდის.

ყვე-აზე უფრო „გლახის ნაამბობია“ ამ ძვირფას ღირსებით აღნიშნული, შეიძლება იმიტომ, რომ იგი პოეტის ახალგაზდობის ხანას ეკუთვნის, როცა იმისი რწმენა უფრო ცხოველი იყო და მთელ იმის არსებას შეიცავდა.

„ხალხი მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ დასცეთ, როცა იმის ღმერთებს, იმის საუკეთესო მისწრაფებას, ზნეობრივ იდეალს დასცემთ“, — ამბობს ძველ ებრაელების სიბრძნე. საუკეთესო ჩვენი მწერლების ფიქრები და გრძნობები — ჩვენი ხალხის წმინდა იდეალის გამომხატველია. მათი შემოქმედება სასიხარულო ამბავად გვეწვეთება გულში, იმ ზეთის ხილის შტოს მოგვაგონებს, რომელიც მტრედმა ნოეს მოუტანა კიდობანში და მით მტკიცე ნიადაგის აღმოჩენა აუწყა.

,,ის.'' 8 სექტ. **ილია ნაკაშიძე.**

წ ე ს ი

განსვენებულ ილია ჭავჭავაძის გვამის გადმოსვენებისა და დაკრძალვისა.

განსვენებულის გვამს მოასვენებენ სოფ. საგურამოდან ტფილისში პარასკევს, 7 ენკენისთვეს. გვამს მოასვენებენ ტფილისში ორ საათზე. მონაწილენი გვამის დახვედრის ცერემონიისა ორ საათზე უნდა შეიკრიბნენ საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისთან, ჯვართან. გვამის შესაგებებლად შეკრებილნი დაეწყობიან ასე:

1. სამღვდელოება მღვდელ-მთავართა მეთაურობით.
2. სხვა რჯულის სამღვდელოება.
3. ნათესავნი განსვენებულისა და ქალები.
4. წარმომადგენელნი პრესისა: ქართულისა, სომხურისა, რუსულისა და თათრულისა, მეთაურობით აკაკი წერეთლისა და თანამშრომელნი გაზეთ „ვერიისა“.

წარმომადგენელნი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“.

6. წარმომადგენელნი ქართველ-თავადაზნაურობისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიათა.

7. წარმომადგენელნი ტფ. საქალაქო თვითმართველობისა და სხვა კავკასიის ქალაქთა.

8. წარმომადგენელნი ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა, ქუთაისის მიხეილის საადგილ-მამულო ბანკისა, ტფ. საურთიერთო ნდობის სამეურნო ბანკისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა,

9. წარმომადგენელნი გლეხ-კაცთა და მუშათა.

10. წარმომადგენელნი ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისა.

11. წარმომადგენელნი ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და ქართულ დრამატიულ დასის არტისტთა.

12. წარმომადგენელნი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ქართულ საოპერო არტისტთა.

13. წარმომადგენელნი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა.

14. წარმომადგენელნი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.

15. წარმოიადგენელნი ნაფიც ვექილთა.

16. წარმომადგენელნი სასწავლებელთა: ქართულ ვაჟთა გიმნაზიის, ქართულ ქალთა გიმნაზიისა, ქალთა ყაზბეგის სკოლისა, წინამძღვარიანთ კარის სკოლისა, ჭრაკერვის სკოლისა და სხვათა.

17. წარმომადგენელნი გორის მაზრის მემამულეთა.

18. წარმომადგენელი „კახეთის“ საზოგადოებისა.

19. წარმომადგენელნი „ძმობისა“.

20. წარმომადგენელნი „გეორგიისა“.

21. წარმომადგენელნი სასტუმროების პატრონთა დამხმარებელ საზოგადოებისა.

22. წარმომადგენელნი „წვრილ ვაჭართა დამხმარე-ბელ საზოგადოებისა“

23. წარმომადგენელნი „ნოქართა“ საზოგადოებისა.

24. წარმომადგენელნი დანარჩენ საზოგადოებათა.

25. წარმომადგენელნი ამქართა კორპორაციათა.

მცირე ლიტიისა და სიტყვების შემდეგ პროცესია გაემართება სიონისაკენ. პროცესიის მსვლელობის დროს მახლობელ ეკლესიებში დაიკვრის ზარი და მაღაზიები დაიკეტება. პროცესსია გაივლის ჯვარიდან ოლღას ქუჩით, გოლოვინის პროსპექტით და სიონის ქუჩით. წესი პროცესსიისა ასეთი:

1. დროშანი, ჯვრები და ხატნი.

2. კუბოს თავი.

3. მგალობელთა გუნდი.

4. გვირგვინნი იმ წესით, როგორც ნაჩვენებია ზემოდ.

5. მგალობელთა გუნდი.

6. მოსწავლენი ოთხ-ოთხნი თითო რიგში.

7. მგალობელთა გუნდი.

8. სამღვდელოება.

9. ეტლი კუბოთი, რომელსაც გვერდებზე მისდევენ წარმომადგენელნი პრესსის და წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა.

10. განსვენებულის ნათესავნი და ქალები.

11. დეპუტაციები იმ რიგით, რომელიც აღნიშნულია ზემოდ.

12. ამქარნი ბაირაღებით.

13. ყველა პატივისმცემელნი განსვენებულისა.

სიონის ტაძარს რომ მიაღწევს პროცესსია, კუბოს ჩამოიღებენ ეტლიდან, შეასვენებენ ეკლესიაში და დასდგამენ შემდეგნი პირნი: აკაკი წერეთელი, ანტონ ფურ-



პროცესია ილიას ცხედრით საგურამოდან ტფილისისკენ. — მკხეთის ახლო მკხოვრებნი გვირგვინით

ცქლაძე, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, არტურ ლეისტი, თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, თ. დ. ო. ნიჟარაძე, თ. ი. ს. ჭავჭავაძე, თ. ვ. ნ. ჭავჭავაძე, თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, თ. მ. ზ. ჭავჭავაძე, წარმომადგენელნი პრესისა და ქალაქ ქუთაისისა, ფოთისა და ბათუმისა.

კუბოს რომ შეასვენებენ საყდარში, გადაიხდიან მცირე პანაშვიდს და დაწესდება მორიგეობა პრესსის წარმომადგენელთაგან, გლეხთაგან, მუშათაგან, და საზოგადო დაწესებულებათაგან. გვირგვინები დალაგდება კუბოსთან.

შაბათს, 8 სექტემბერს, პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან.

კვირას, 9 სექტემბერს, წირვის დასაწყისი რვა საათზე, ანდერძი 10 საათზედ. ამ დროს სიონში იკრიბებიან დეპუტაციები.

ანდერძის შემდეგ კუბოს გამოასვენებენ ზემოდ მოხსენებულნი პირნი და დასდგამენ ეტლზე. ამის შემდეგ აღნიშნულ წესით პროცესსია გაემართება სიონის ქუჩით, ერევნის მოედნით, სასახლის ქუჩით. თავად-აზნაურობის ქარვასლასთან გადაიხდიან მცირე ლიტიას. შემდეგ პროცესსია გაემართება გოლოვინის პროსპექტით, ჭავჭავაძის ქუჩით, მეჯვარი ქუჩით, დავითის მოედნით, საიდანაც კუბოს ხელით აასვენებენ წმ. დავითის ეკლესიასში, სადაც დაკრძალავენ გვამს.

„ის.“ 5 სექ.

ილია ჭავჭავაძის ცხედრის მოსვენება

საგურამოდან ტფილისამდე.

ტფილისიდამ დელეგატების დენამ დაიწყო 7 სექტემბერს, დილის 7 საათზე. დილის 6 საათზე პირველი პანაშვიდი გადაიხადეს. მეორე პანაშვიდი დაიწყო $7^1/_2$

საათზე. ლოკულობდა ექვსი მღვდელი, გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონთა გუნდი. ტფილისიდან, ნათესავების გარდა, ამოვიდნენ შემდეგ დაწესებულებათა და საზოგადოებათა დელეგატები: ქუთაისის თავად-აზნაურების წინამძღოლი დ. ნიჟარაძე, ტფილისის თავად-აზნაურობისა—ბაგრატიონ-დავითიშვილი, ჰიათურის შავი ქვის მრეწველთა მთელი საბჭო, თავმჯდომარის გიორგი ზდანოვიჩის მეთაურობით, წერა-კითხვის საზოგადოებისა — ივ. რატიშვილი და დავით კარიჭაშვილი, დრამატიულ საზოგადოებისა — ნ. დ. ერისთავი და დ. დუმბაძე, ქართველ ქალებისა — ეკ. გაბაშვილი, ნ. ნაკაშიძე და ელ. ჩერქეზიშვილი, ტფ. ქართულ გიმნაზიისა — იაშვილი და მიქაბერიძე, ამავე გიმნაზიის გამგე კომიტეტისა — ალ. მდივანი, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის გამგეობისა—დ. ფავლენიშვილი, ამავე ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა — გეგე მაღალაშვილი, ამავე ბანკის მსახურთა — რ. გვამიჩავა, ქუთაისის ქალაქის საბჭოსი—იაკობ ფანცხავა, ამხანაგობა „კოლხიდა“ და შრომისა — ი. ქუთათელაძე, ქართულ დრამატიულ დასისა — ვ. აბაშიძე, „ისრის“ რედაქციისა— მ. ად—ლი და ქავთარაძე, „ნიშადურისა“ — ირ. ევდოშვილი, „ზაკავკ.“-სა — კ. ხერხეულიძე და იუნიჩი, „ტიფლ. ლისტ.“-სა—ვლ. ელიავა, სოც.-ფედერალისტთა პარტიის ბაქოსი, ტბილისისა, გორისა, ახალქალაქისა, სიღნაღისა და სხ. კომიტეტისა, ორი წარმომადგენელი ტფილისის დეპოს მუშათა ერთის ჯგუფისა, წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გამგე მოსწავლეებით, „ივერიის“ ყოფილი რედაქტორი და ილიას დროინდელი თანამშრომელი დ. მიქელაძე, დუშეთის მაზრის უფროსი ფაღავა, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ოციოდე ცხენოსანი საპატიო მცველი, რამდენიმე ფოტოგრაფი და მრავალი

სხვა. პანაშვიდს დაესწრო აგრეთვე მთელ საგურამოს და წიწამურის გლეხობა.

სწორედ 8 საათზე რვა კაცმა ჭავჭავაძეს კუბო ეზოში გამოიტანა. აქ მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს წ.-კ. საზ. წარმომადგენელმა რატიშვილმა და ეკ. გაბაშვილმა, მერე კუბო და სახურავი გლეხებმა აიღეს, ცხედარს გარშემო ერტყა შავებში გამოწყობილი საპატიო მცველთა რაზმი და ყველანი დაიძრნენ. სწორედ ამ დროს განსვენებულის სახლზე, რომელიც მთელ საგურამოს, არაგვის ხეობასა და მუხრანის ველს ზევიდან დასცქერის, უშველებელი შავი დროშა ააფრიალეს.

პროცესია მთელ ვერსზე გაიჭიმა. საგურამოს ბოლოში შემოგვიერთდნენ შავებში ჩაცმული სოფლელი დედაკაცები. ნახევარ საათის შემდეგ პროცესია გაჩერდა იმ ადგილას, სადაც განგმირულ იქმნა ძვირფასი მგოსანი. ზედ შუა გზაზე, ორ ადგილზედ, შავად მოსჩანს სისხლი. გლეხებმა ჯერ-ჯერობით ეს ადგილი ქვებით შემოკირწყლეს, ევდოშვილმა მოკლე და კარგი სიტყვა წარმოსთქვა. მის კითხვაზე, თუ რა უნდა ეწოდოს მკვლელებს, ყველამ ერთხმად იგრიალა: „იუდა, იუდა! შეჩვენდეს, დაიწყევლოს?„ მცხეთის გამოლმა, ჯვრის მონასტრის ძირში, პროცესიას დაუხვდნენ მცხეთელები სამი მღვდლით, საეკლესიო დროშებითა და გვირგვინით, რომელსაც ეწერა: „ჩვენს მეზობელსა და დიდ მოღვაწე პოეტს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს მცხეთის საზოგადოებისაგან“. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ჯალიაშვილმა.

მუხათ გვერდზე, რკინის ხიდთან მთელ ზემო ავჭალას მოეყარა თავი. ყველანი იქ იყვნენ: მოხუცი, ახალგაზდა, სოფლის დედაკაცები, ინტელიგენტები, სასოფლო სკოლა ქალ. მასწავლებელ წვიმაძის მეთაურობით. იმათ ის იყო ზემო-ავჭალაში პანაშვიდი გადაეხადათ და

ეკკლესიიდან პირდაპირ მუხად გვერდზე ამოსულიყვნენ. მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ანდრო ადამიძემ, და პროცესია ისევ გზას გაუდგა.

დიღმის მინდორზე დიღმელი გლეხები დახვდნენ პურის თავთავების გვირგვინით, რომელზედაც ეწერა: „კაკო ყაჩაღის დამწერ დიღმის გლეხებისაგან“ და ერთი კუპლეტი „კაკო ყაჩაღი“-დან. აქაც მღვდელმა ივანე სოღოლაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. ზოგნი ტფილისიდან წამოსულიყვნენ და თეთრ დუქანთან დავხდნენ. იქიდან მოყოლებული ვერის ბაღებამდე ხალხი გზა-გზა თანდათან გვემატებოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გვიხვდებოდა და პროცესიას უერთდებოდა. ჯერ ჯვართან არ ვიყავით მოსული, რომ პროცესია რამდენიმე ათას კაცს აღემატებოდა.

ტფილისში.

ჯერ ისევ თორმეტი საათი იყო, რომ ქალაქის სხვადა სხვა კუთხიდან, კანტი-კუნტად, ხალხი ვერისაკენ მოდიოდა. ამინდი ამ დღეს მშვენიერი იყო, მხოლოდ ოდნავი ქარი ჰქროდა პირველ საათზე ვერისკენ უკვე მთელი ჯგუფები მიდიოდა, მიჰქროდა ეტლები, მიჰქონდათ ათასნაირი გვირგვინი. ორ საათზე ხალხით გაივსო მთელი გორაკები ვერის ბაღების თავზე. ოლღას ქუჩა, ჯვრიდან დაწყებული ზევით გავაკებამდე, ხალხით იყო სავსე. ყველა საქართველოს სამხედრო გზას გაჰყურებდა. სამს ჩარექი აკლდა, როდესაც მოვიდა პროცესიის წინამორბედი ორ ცხენიანი სამგლოვიარო ეტლი.

სწორედ სამი საათი იყო, როდესაც პროცესია გამოჩნდა. წინ მოუძღოდა შავებში გამოწყობილი თხუთმეტიოდე ცხენოსანი. შემდეგ ბალდახინით მოჰქონდათ კუბო, რომელშიაც ესვენა ძვირფასი გვამი. კუბოს მის-

დევდა ორმოცამდე გლეხი, შემდეგ სამოცამდე ეტლი. პროცესიას, ხალხის გარდა ვერაზე დახვდა სამი ქართველი ეპისკოპოსი და დიდ-ძალი სამღვდელოება. მისვლისათანავე გადაიხადეს მცირე ლოცვა. შემდეგ დაიწყო სიტყვები წარმოსთქვეს მღ. თალაქვაძემ, ვლ. მიქელაძემ, ილია ზურაბიშვილმა, სილოვანხუნდაძემ (ლექსი), ჩვენმა თანამშრომელმა Bâton-მა.

ამის შემდეგ დაიძრა პროცესია. სურათი საუცხოვო და დიდებული იყო, რომლის მაგგვარი ტფილისს ჯერ არ უნახავს. წინ მიდიოდნენ დეპუტაციები და მიჰქონდათ გვირგვინები. გვირგვინი უთვალავი იყო და ამასთან ათასნაირი. რვა-ცხრა ვერცხის გვირგვინი იყო. ყველას ყურადღებას იქცევდა რამდენიმე ცოცხალ ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი, განსაკუთრებით დიდებულია გვირგვინი ტფ. ქართველ ქალთაგან. გვირგვინებს დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მკითხველთ. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა ხევსურების ოცამდე წარმომადგენელი.

ცხედარს ბალდახინით მიასვენებდნენ და უკან აუარებელი, უთვალავი ხალხი მიდიოდა. სულ ცოტა სამოცი ათასი კაცი და ქალი იქნებოდა. გალობდა რამდენიმე გუნდი — ყმაწვილებისა, მოსწავლე ქალებისა და ვაჟების. მთელ გზაზე ჯვრიდან დაწყებული სიონამდე დუქნები და მაღაზიები სულ ერთიან დაჰკეტეს, ტროტუარები ყველგან ხალხით იყო სავსე. სანახავი იყო პრცესია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გოლოვინის პროსპექტზე გაიშალა. პირველ გიმნაზიასთან ცხედარს სამგლოვიარო ჰანგით დაჰხვდა გიმნაზიის მემუსიკეების გუნდი. სამხედრო ტაძართან ცხედარს თავის ამალით დახვდა ნამესტნიკი და სასახლის ჭუჩამდე გააცილა. წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი ჭუჩის მხრიდან ძაძით

იყო შემოსული. შუა ადგილას განსვენებულ მგოსნის სურათი ეკიდა, სამგლოვიარო არშია შემოვლებული.

საუცხოვო სანახავი იყო ქუჩები ერევნის მოედნიდან დაწყებული სიონამდე, სადაც უმთავრესად სომხობა სცხოვრობს სახლები ყველგან სამგლოვიარო ძაძით იყო მორთული. თითქმის ყველა სახლიდან შავი დიდი დროშა იყო ჩამოშვებული. ამ სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ პროცესიაზე. სიონის ქუჩაზე, მთელ ქუჩის სიგანეზე, გამართული იყო ყვავილების საუცხოვო კამარა. შუაზე განსვენებულის სურათი ეკიდა, ყველგან ამ ვიწრო ქუჩებში სახლის სახურავები ჯთვალავის ხალხით იყო გაჭედილი.

ასე დიდებულად მიასვენეს დიდებული გვამი სიონში. სიონში პროცესია მივიდა $5^1/_2$ საათზე. ტაძარში გადაიხადეს პანაშვიდი, რომლის შემდეგაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა სიტყვა წარმოსთქვა.

ამ პროცესი, საუცხოვო სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ბევრგან იმ დღეს წარმოთქმულ სიტყვებზე ქვითინი და ტირილი გაისმოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდ-ძალ ხალხისა, წეს-რიგი სამაგალითო იყო.

ილია ჭავჭავაძის გვამის დაკრძალვა.

8 სექტემბერი.

როგორც ვწერდით, ილიას გვამი საგურამოდან თბილისში მოასვენეს 6 სექტემბერს საღამოთი. ამ საღამო-

დან მოკიდებული დაკრძალვის დღემდე ათასობით მოდიოდა ხალხი სიონის ტაძარში საყვარელ ნეშტის წინაშე მუხლის მოსაყრელად და გამოსათხოვებლად. თუმცა ხალხი ბევრი ირეოდა, წესრიგი არ დარღვეულა, რადგან თვით ხალხი სცდილობდა იმის დაცვას. განსვენებულ ცხედარს მუდმივ მორიგეობდა ოთხ-ოთხი კაცი საზოგადო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთაგან. მოჰქონდათ გვირგვინები, ყვავილები და ამკობდნენ კუბოს. ბევრი მოდიოდა სხვა ერის ხალხიც. სიონის საკრებულო ტაძრის დღესასწაული ღვთისმშობლობა სამგლოვიაროდ შეიცვალა. ამ დღეს ოთხმა ეპისკოპოსმა იმერეთ-ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელ მღვდლებთან ერთად გადაიხადა წირვა და პანაშვიდი. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღ. ვ. კარბელაშვილმა. მეორე პანაშვიდი გადახდილ იქმნა ამავე დღეს ნაშუადღევის 2 საათზედ. სიტყვა წარმოსთქვა არქ. ამაროსიმ. ორივეს დიდძალი ხალხი დაესწრო. მეორე პანაშვიდის შემდეგ რუსულად სიტყვა წარმოსთქვა გ. ბ. გვაზავამ და აღნიშნა პოეტის მოღვაწეობა, როგორც სამწერლო, ისე საზოგადო სარბიელზე. ამავე დღეს ტფ. სასულიერო სემინარიამ გადაიხადა პანაშვიდი. დაესწრენ მასწავლებელნი, მოსწავლენი და ხალხი. ამავე დღეს ფოტოგრაფმა ბ-მა ერმაკოვმა სიონის ტაძარში გადაიღო გვირგვინებსა და ყვავილებში გახვეულ ცხედრის სურათები, ხოლო მექანდაკემ ხოდოროვიჩმაც პოეტის სახე გიპსზე გადაიღო. მეოთხე პანაშვიდი გადიხადეს საღამოს ლოცვის შემდეგ. სიტყვა წარმოსთქვა მღ. პ. კარბელაშვილმა.

9 სექტემბერი.

ამ დღისთვის მთელ საქარუველოდან მრავალნი წარ-

მომადგენელნი შეიკრიბნენ. მოვიდნენ წარმომადგენელნი სხვა კუთხეებიდანაც. 9 სექტემბერს დიდ ხანს არ დაივიწყებენ დამსწრენი, ამ დღეს თითქმის პირველად შემოკრბა ქართველობა, იყვნენ ყველა მხრიდან: კახეთიდან, საინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთ-ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან, აჭარა-ქუბულეთიდან, ჯავახეთ-ახალციხიდან.

ამ დღეს დეპუტაციები და ხალხი დილის 7 საათიდანვე გაეშურა სიონის ტაძრისაკენ. წეს-რიგს იცავდნენ სტუდენტები, უფროს კლასების მოსწავლენი და სხვანი. მოწეს-რიგეებმა დილა-ადრიანვე გაინაწილეს საქმე და მაშინვე შეუდგნენ გვირგვინების და დეპუტაციების დამწკრივებას. წირვა სიონის ტაძარში დაიწყო დილის 8 საათზედ. წირვა გადაიხადეს ეპისკოპოსებმა დიდ-ძალ სამღვდელოებითურთ. ჰგალობდა სამი გუნდი. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დეკ. ტყემალაძემ, ხოლო პანაშვიდის შემდეგ — ეპისკოპოსებმა ალექსანდრემ და პეტრემ. გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს. ვიდრე ცხედარს ტაძრიდგან გამოასვენებდნენ, „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წარმომადგენელმა ივ. რატიშვილმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა.

პროცესია დაიძრა დილის $11^1/_2$ საათზე. მგოსნის გვამი ტაძრიდან ხელით გამოასვენეს ნ. ცხვედაძემ, ან. ფურცელაძემ, არტურ ლეისტმა, ქალაქის თავმა, ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა, გ. ა. ბაგრატიონ-დავიშვილმა, დ. ნიჟარაძემ, ვ. ჭ-ვჭავაძემ და სხვებმა. კუბო დაასვენეს სამგლოვიარო ეტლზე. წინ პროცესიას მიუძღოდა შავი დროშები ჯვრებითა და ხატებით. ამათ მისდევდნენ ამქრები თავიანთ დროშებით. შემდეგ რამდენ-

სამე კაცს მიჰქონდა კუბოს თავი. ამათ მისდევდნენ საგურამოელი გლეხები ოცდა-ათამდე კაცი. მერე მიდიოდა ას-ოთხმოცდა ხუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებელთა, დაბებ-ქალაქებისა, და კავშირებისა, რედაქციებისა და სხვათა. ორ-ორს გვირგვინები ჰქონდა, დანარჩენი დეპუტატები მათ მისდევდნენ. მგალობელთა რამდენიმე გუნდი რიგ-რიგათ გალობდა. რიგ-რიგათ უკრავდნენ სამგლოვიარო მარშს სფვა და სხვა სასწაელებლის მემუსიკეთა გუნდი. ზოგიერთ სასწავლებლის მოსწავლენი თავიანთ დირექტორ-მასწავლებლებით იყვნენ. დეპუტაციებს მისდევდა სამღვდელოება, ამის შემდეგ მიდიოდა სამგლოვიარო ეტლი ცხედრით. ცხედრის გარშემო იდგნენ „ივერიის“ ყოფილი თანამშრომელნი, ცნობილი ლიტერატორნი, საზოგადო მოღვაწენი და ქართულ გაზეთების რედაქტორ-თანამშრომელნი. ცხედარს მისდევდნენ ნათესავ-ჰირისუფალნი და დეპუტატები „წ.-კ. გ. საზოგადოებისა“, დრამატიულ საგოგადოებისა, მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგაღოებისა, ტფილისისა, ქუთაისისა, ბათუმისა, ფოთისა, ოზურგეთისა, თელავის, გორის, სენაკისა, ზუგდიდისა და სხვა ქალაქის თვით-მართველობათა, წარმომადგენელნი ფილარმონიულ, ქარველ საქველ-მოქმედო, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა, როგორც ტფილისისა ისე ქუთაისის, ნაფიც ვექილთა, ქართულ ვაჟთა გიმნაზიისა და ქალთა გიმნაზიებისა, ყაზბეგის სკოლისა, წინამძღვარიანთ კარის სკოლისა, ჭრა-კერვის სკოლისა, ქართველ აფიცერთა, „კახეთის“ საზოგადოებისა, „ძმობისა“, „გეორგიისა“, წვრილ ვაჭართა კავშირებისა, ნოქართა საზოგაღოებისა, ამქართა კორპორაციათა და სხ. იყვნენ აგრეთვე წარმომადგენელნი მაჰმადიანთა ახალგაზდობისა. სიონიდამ ერევნის მოედნამდე ცხედარი გა-

აცილა მაჰმადიანთა უმაღლესმა სამღვდელოებამ. იყვნენ დეპუტატები ოსებისა, სომხის სამღვდელოებისა, ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტებისა, ფოთის მუშებისა, ფოთის პროფესიონალურ ბიუროსა, რკინის გზის სახე ლოსნოების ს.-ფედერალისტთა მუშებისა, შორაპნის სადგურის მუშებისა და მოხელეებისა, ბაქოს ს.-ფ. მუშებისა, ბაქოს ქართველ საზოგადოებისა, ტფ. მაჰმადიან ვაჭრებისა ტფ. სავაჟო და საქალებო გიმნაზიებისა, სემინარიისა, სახაზინო და საკონტროლო პალატებისა, ქუთაისის სახელმწიფო მამულების სამართველოს მოხელეთა, ზოგიერთ სტამბების მუშათა, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა, სოფლების: ყვარელისა. ხორხელისა, ოჟიოსა, ენისელისა, ახალ გავაზისა, ძველი გავაზისა, კოლორტისა, კოჰატანისა, კონდოლისა, ნორიოსა, საგარეჯოსა, საბუესა, ქვემო ხოდაშენისა, იყალთოსი, ცხეთისა, დიღმისა, ქ. თიანეთისა, მითხოსა, ქისტაურისა, ხოვლესი, წინანდალისა ივან-წმინდისა, ფუთისა, დაბა ხონისა, საჩხერისა, დ. ჰიათურისა და ზესტაფონისა. ერთის სიტყვით, არ დარჩენილა არც ერთი კუთხე და დაწესებულება, რომ არ გამოეგზავნოს დეპუტატები.

მოწესრიგე კომისიის თხოვნისამებრ, პოლიცია მაგრე რიგად არ ჩარეულა საქმეში. აურიცხველ ხალხის მიუხედავად, წეს-რიგი მშვენივრად იქნა დაცული.

სამგლოვიარო პროცესიამ გაიარა სიონის ქუჩა, რომელიც ძაძებით იყო შემოსილი. ერევნის მოედანზე ზღვა ხალხი გაიშალა. ქუჩაბზე რომ ტევა აღარ იყო, ვინც მოახერხა, იდგა სახლებსა და აივნებზე, საიდანაც შავი ბაირაღები გადმოეკიდნათ. ერევნის მოედანზე ფოტოგრაფებმა რამდენჯერმე სურათიც გადაიღეს, მალე მთელი სასახლის ქუჩა ხალხით გაიტენა. ასე რომ მოძრაობა არ იყო. აქ ძაძებში შემოსილი წ.-კ. საზოგადოების

სადგომიდან გადმოდგა რამდენიმე კაცის დახმარებით ამ ჟამად შეუძლოდ მყოფი მხცოვანი აკაკი წერეთელი და განსვენებულს ილიას გამოსათხოვარის სიტყვით მიმართა. ავათმყოფობისაგან დასუსტებული მგოსანი ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც მისი სიტყვები გაიგონეს, ქვითინი და ტირილი გაისმა. სიტყვა აკაკიმ ქვითინით დაათვა. „ბედნიერი ხარ ძმაო ილია, რომ შენმა სახელმა შენდა სათაყვანებლად ამოდენა ხალხი შეჰკრიბა და თუ ქართველს ერს გადაშენება მოელის, მაშინაც ბედნიერი იქნები, რადგანც ჩვენს უბედურებას შენის თვალით აღარ იხილავო“, დაათავა პოეტმა. მცირე პანაშვიდის შემდეგ პროცესია ხელახლა დაიძრა,

დიდებული სანახავი იყო პროცესია გოლოვინის პრასპექტზე. როდესაც პროცესიის თავმა სახაზინო თეატრის პირდაპირ ჭავჭავაძის ქუჩაში შეუხვია, ბოლო ჯერ ისევ ერევნის მოედანზე იყო თვალს იტაცებდა განიერ ქუჩაში გამწკრივებული სხვა და სხვა დეპუტაცია თავიანთ გვირგვინებით. ზოგს ვერცხლის გვირგვინები ეჭირა, ზოგს ცოცხალ ყვავილებისა. ბევრი მეტად ხელოვნური და შესანიშნავი გვირგვინი იყო. აღწერა ამ გვირგვინებისა ყოვლად შეუძლებელია.

გოლოვინის პროსპექტზედაც ისე, როგორც სიონისა, ერევნისა და სხვა ქუჩებზე, პროცესიას ათი ათასობით ემატებოდა ხალხი და მოწესრიგეებს, ცოტა არ იყოს, შიშს უბადებდა ამ მოზღვავებულ ხალხის ერთად გავლა, რადგან პროცესიაში აუარებელი ქალი და ბავშვი ერია. აივნები და ფანჯრები ყველგან ხალხით იყო გაჭედილი. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კვირის პროცესიაში ასი ათას ქალსა და კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. პროცესიამ გაიარა გოლოვინის პროსპექტი, აუხვია ჭავჭავაძის ქუჩაზე და ლაბორატორნი და მამადავითის ქუ-

ჩით გაემართა მთაწმინდისაკენ. ამ ვიწრო ქუჩებში ძალზე შექუჩდა ხალხი, მაგრამ წესიერება მაინც არ დარღვეულა. პროცესიამ მამადავითის მოედანს ცოტათი ასცდა და იმ ადგილას, საიდანაც ცხედრის ეტლით წასვენება აღარ შეიძლებოდა, შედგა. აქ ათასობით თავმოყრილ ხალხის წინაშე დღის და მომენტის შესაფერი სიტყვები წარმოითქვა. პირველათ ხალხს სიტყვებით მიმართა ქალაქის მოურავმა ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. სხვათა შორის, ორატორმა წარმოსთქვა: „მწარეა ჩემთვის „დღევანდელი სამწუხარო დღე. ქართველ ხალხს ილიას მოკვლით უბედურება დაატყდა მაშინ, როცა მე ვდგევარ ტფილისის თვით-მმართველობის სათავეში. ტფილისის მცხოვრებნი აღშფოთებულნი ვართ ამ მხყცური მკვლელობით. ნუგეში ტფილისისათვის ის-ღაა, რომ ქალაქის საზღვრებში არ მომხდარა ეს უბედურება. აქ დამსწრენი, მიუხედავად ეროვნებისა, კლასისა და წოდებისა, აღშფოთებულნი არიან და საზოგადო შეჩვენებას უთვლიან საზიზღარ გამხეცებულ მკვლელებს. ბევრი არც-კი იცნობდა განსვენებულს, მაგრამ გაიგეს, იცნეს და მოვიდნენ მის სათაყვანებლად. ეხლა საკითხავია, ვისმა მურტალმა ხელმა ჩაიდინა ეს კაენის საქციელი, ვინ შეარცხვინა მთელს განთლებულს ქვეყნიერებასთან ქართველი ერი? ეს ჩაიდინა მან, ვინც არ იცოდა რას ჩადიოდა. განა ამ გვარათ არ გამოასალმეს წუთისოფელს მწერალი გრიბოედოვი და ბევრნი სხვანი? მიზეზი ამ საშინელებისა ხალხის შეუგნებლობა და სიბნელეა. არავინ ჩვენს გამოურკვეველს დროში არ არის უზრუნველ ყოფილი ამ გვარისავე უბედურებისაგან. რომ ესნები აღარ იყოს, უნდა მოწინავე ელემენტებმა თავს ვიდვათ ხალხის გამოფხიზლება,“ კულტურულად ამაღლებაო. თავ. ჩერქეზიშვილმა ასე დაამთავრა სიტყვა: „მივმართავ განსაკუთრე-

ბით მოსწავლე ახალგაზდობას, გულის ფიცარზე დაიწეროს ილია ჭავჭავაძის ანდერძი და მთელი თავისი მომავალი მოქმედება სალხის გამოფხიზლებას მოანდომოს“. დასასრულ ჩერქეზიშვილმა მიმართა თვით განსვენებულს და ცრემლ-მორეულმა უკანასკნელი სალამი უძღვნა.

შემდეგ მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვა სოსიკო მდივანმა და ვ. მგელაძემ. ქალთა თანასწორობის მოსკოვის საზოგადოების წარმომადგენელმა, ქ-მა მიროვიჩისამ პროტესტი განაცხადა ქალთა სახელით ასეთ საზიზღარ ბოროტების წინააღმდეგ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქართველ ქალთა მინდობილებით ნინო ნაკაშიძემ, ყვირილის საზოგადოების წარმომადგენელმა თ. ხუსკივაძემ, ქართველ არტისტების მინდობილებით ი. ივანიძემ, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელმა იაკობ ფანცხავამ, „მშაკის“ რედაქტორმა ქალანთარმა, ლექსი სთქვა მელიტონ გობეჩიამ, სიტყვა წარმოსთქვა ვაჟა ფშაველამ. დამსწრე ხალხი აატირა მოსწავლე ჟორჟოლიანმა. დიდათ იმოქმედა მსმენელებზე, როდესაც მოსწავლემ აღნიშნა თავისი უდიდესი სურვილი — რომ პოეტი ცოცხალი ენახა.

ამ სიტყვების შემდეგ განსვენებულის გვამი ეტლიდან გადმოასვენეს და მუშებმა, გლეხებმა და ინტელლიგენციამ ხელით აასვენეს აღმართზე.

თუმცა უადგილობისა გამო მოსალოდნელ რაიმ უბედურობის ასაცილებლად, მამადავითის ეკლესიის გალავანში ბილეთებით იყო შესვლა, მაგრამ ბევრმა მოახერხა ასვლა, ასე რომ გალავანშიაც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი.

მცირე ლოცვის შემდეგ, სიტყვები წარმოსთქვეს:

მღედლებმა მ. მაჭარაშვილმა, მ. კელენჯერიძემ, შემდეგ ნ. ზ. ცხვედაძემ, ი. მეუნარქიამ, კ. ერისთავმა, დ. ნახუცრიშვილმა, ოსების წარმომადგენელმა კოჩიევმა, ს. ქვარიანმა; რუსულად — ვ. ი. რცხილაძემ, ლექსები წაიკითხეს ფარეშიშვილმა, ს. ტარუაშვილმა, ნ. მერკვილაძემ, ბეგ. მამალაძემ, შ. მარკოზოვმა, ს. ნ—ძემ, ჩხეიძემ, კ. დონდუამ, ი. იადუაძემ, ა. თანდოშვილმა, ი. ნოზაძემ, ი. გოგინაშვილმა, კ. ჩხეიძემ, მღ. დ. წულაძემ, ს. ჯორბენაძემ, გიორგი მეზვრიშვილმა და სხვათა.

საღამოს $6^1/_2$ საათი შესრულდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. ა. მდივნის მოწოდებით ხალხმა მუხლთ მოიყარა უკანასკნელად თაყვანის ცემისა და გამოთხოვების ნიშნად.

საღამოს 7 საათი იყო, რომ ნელ-ნელა მთა-წმინდა დაცარიელდა.

„ის.“ 11 სექტ.

ოდება ქართველის დედაკაცისა.

ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით ქართველნო?!

ილია მოჰკლეს მხეცთ დაგვინგრიეს ტაძარი დიდი, სისხლით შესვარეს, წამების გვირგვინი არგეს ჩვენ სადიდებელს მოძღვარ-მგოსანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუპეს, წაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიმდიდრე, ამპარტავნება.

ილია მოჰკლეს გული გაუპეს; გაუპეს ის წლული გული ის დიდ-გული და ქართველობის ვაებით აღსავსე, რომელიც ორმოცდა ათი წელიწადი მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იდაგებოდა! ილია მოჰკლეს, მოჰკვეთეს წყარო წმინდა, შესწყვიტეს მიდრეკანი ცხოველ მყო-

ფელი მისის ბრწყინვალე მჭერმეტყველებისა! აღარ გვყავს ილია ქართველებო! გჯერათ ეს თქვენ, შეგიძლიანთ ამ საშინელ, ულმობელ აზრს შეურიგდეთ? შეგიძლიანთ ილია გულიდგან მოისხლიტოთ, უიმისოთ ჩვენი არსება წარაოვიდგინოთ?!

აღარ გვყავს ილია? დიდი ილია! ჩვენი დამამშვენებელი, აღარ გვყავს ილია, ჩვენი მქადაგებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი ბედშავობის ჩამგონებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი ალმაფრენი, შარავანდედით მოსილი მგოსანი!?

აღარ გვყავს ილია ლომი, მედგარი, მტრის პირში მდგომი, მოყვრის შემძენი, ქართულის აზრის და სიტყვიერების მეფე, მეფე—მწერალი, ავტორი იმ შედევრებისა, რომელთა მოწყალებით ენა ამოვიდგით, ცხოვრების მიზანი ჩავისახეთ, ჩვენს სულს და გულს ნათელი, გარკვეული იდიალი აუყვავეთ!

აღარ გვყავს ილია, ის დიდი ილია რომელზედაც ამპარტავნობით უთითებდით ყველა იმათ, ვინც გაჰბედავდა და ეჭვს შეიტანდა ქართველთა სულიერს და გონებრივს ძლიერებაში!

აღარ გვყავს ილია მშვენიერი, მამაცი, გამბედავი, მართლის მთქმელი, სიცრუის და ბიწიერების დამთურგვნელი!

აღარ გავიგონებთ იმის ტკბილ სიტყვას ქართველთა ლხინში და ელვა-გვრინვით სავსე ხმას ქართვლის გასაჭირში!

აღარ დავინახავთ მის ცეცხლებით სავსე ბრწყინვალე თვალებს, კაცთა სიდუხჭირით განრისხებულ მშვენიერ ბაგეს?!

ვიტიროთ ილია ქართველებო, ვიტიროთ, ვივაგლახოთ, თავში ხელი ვიცეთ, ვიჭირისუფლოთ და მის სა-

ფლავზედ კავშირი შევკრად ძმობის, ერთობის. ხალხში მოვფინოთ მისი მცნებანი და მით დაუტკბოთ, დავარწმუნოთ რომ ერი მისი მომწიფებული არის, რომ ერმა მისმა შეისმინა, მიუხვდა ნათქვამს, ნაფიქრალს, თვით დუმილსაცა და როგორც შვილი ერთგული გულში ჩაიკრა და თავის მდუღარება გულის ნაკვნესი ზედ დააფრქვია.

რომ თაყვანსა სცემს მის ციურს ნიჭსა,
მის ყოველ წუთსა სიფრთხილით ხარჯავს
და მის აქ ყოფნას ამაოებათ აღარა სახავს!

სიტყვა წარმოთქმული მუხათ გვერდში

ანდრია ილარიონის ძის ადამიძის მიერ ილია ჭავჭავაძის მოსვენების დროს.

დიდებულო მგოსანო, დაუღალავო საზოგადო მოღვაწევ და საყვარელო მამულის შვილო! მთელმა ზემო ავჭალის საზოგადოებამ, რომელიც აქ გამოსულა შენდა პატივისაცემლად დამავალა, გარდმოგცე მისი უღრმესი შენდამი სიყვარული და პატივისცემა. უსვინდისო ავაზაკის ხელმა შენ გამოგასალმა სიცოცხლეს, მაგრამ შენ კი არ მოჰკვდი, შენ დღეს დაიბადე ჩვენს გულში, ხალხის გულში. დღეს ვიგრძნეთ მხოლოდ, თუ რა დიდებული მამულის შვილი, მისი მუშაკი და მისთვის თანამკვდარი დავკარგეთ ჩვენ, შენ იცოცხლებ ხალხის გულში იმდენ ხანს, ვიდრე საქართველოზედ ერთ ქართველს მაინც ეხურება თავზედ ქუდი. აი ავჭალელი დედებიც აქ გამოსულან შენდა პატივსაცემლად; სიტყვას გაძლევენ: შვილები აღზარდონ ისე, როგორც შენ ასწავლე მათ, დამღერონ შენი ნანა და ისე შეაყვარონ სამშობლო, როგორც შენ გიყვარდა. მშვიდობით დიდებულო მგო-



სანო, მიიღე ჩვენი უკანასკნელი სალამი, ვაი შენს დამკარგველს ქართველ ერს, ვაი ჩვენს ქვეყანას დაობლებულს, ვაი შენს მტარვალებს რომელნიც ვერ ელირსებიან ვერც სასუფეველს და ვერც პატიოსანი კაცის სახელს. მშვიდობით, ნეტარ არს გზა იგი, რომელსაც გამზადებულ ხარ შენ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ. დიახ, საყვარელო ილია, გზა შენი ამ ქვეყნათაც და იმ ქვეყნათაც სანეტარო იყო და იქნება, რადგან გზა იგი იყო პატიოსანი და ჩვენც გვასწავლიდი პატიოსან გზაზედ სიარულს.

ირ. ევდოშვილის სიტყვა-

ქართველებო! აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები *); აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდამ უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას... როგორი მადრიელიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა — ამაზე მეტია ლაპარაკი... თქვენ, ამ არე მარის მცხოვრებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ კუმოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები ჩაქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედევად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა მთელს საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი ანაცვალა თავის ქვებუდან

*) ეს სიტყვა მკვლელობის ადგილას იქმნა წარმოთქმული.

გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა — მოძღვარი!

წელან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქავე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი-მოძღვარი და საქართველოს მგოსანი“!

ძმებო! ყველა თგვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცმევდათ, როცა გციოდათ, გაჭმევდათ როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის, მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ?! მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული. იყოს წყეული!)....

ს ი ტ ყ ვ ა.

თქმული 7 ენკენისთვეს 1907 წ. ილია ჭავჭავაძის ქალაქში შემოსვენების დროს.

ქართველ ერის დიდებულო წინასწარმეტყველო, ქართველ ერის „ვარსკვლავთ“ მრიცხველო, „ქრისტეს მცნების“ დაუღალაო ქადაგო, ჩვენო ქომაგო, ჩვენო ტკბილმწარე „ნანინათი“ აღმრზდელო, ჩვენი „თავისუფლების“ წინამორბედო ილია!

ეს, რა ზარ-ზეიმით გეგებება „მარად და ყველგან შენი საქართველო“?! — იქნებ, ორმოც-და-ათი წლის

სწორ-უპოვარ უმწიკვლო მოღვაწეობისათვის დაფნის გვირგვინით სურს შეამკოს, შენი ჩვენთვის სათაყვანებელი თავი?! — არა, — ეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ... ჩვენ მხოლოდ უსულოდ ქმნილ შენს ნაშთებს გვაგებებენ, — ეს მოვაგვარეთ...

მაგრამ, უკვდავების შვილო, შემცდარია ის აზრი, ვითომც ილია მკვდარი იყოს! არ ვის ძალუძს იმისი მოკვლა, იმისი მოსპობა, ვისაც ქართველი ერი ნახევარ საუკუნის განმავლობაში თვითცნობიერებაში მოჰყავდა! არვის ძალუძს იმისი მადლის დამხობა, რომელმაც საქართველო ევროპის ცივილიზაცია-აზროვნობის ფერხულში ჩააბა! არ შეიძლება იმისი აღგვა პირისაგან ქვეყანისა, რომელიც ქართველ ერის სულსა და გულში ოქრო-მკერდივით ჩაქსოვილ-მოქარგულია!

მაშ, ჰოი, უგუნურებავ, რომელმაც აღმართე ბოროტი მკლავი ქართველ ერის სათაყვანებელ არსებაზე!!.. უგუნურებავ, რომელმაც მხოლოდ განიზრახე ჩვენი ილიას მოსპობა! უგუნურებავ! შენ შემოგძახის ქართველი ერი და მასთან მისი მშობელი ივერიის ეკკლესია, — ილია **„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“...**

ივერიის ეკკლესიის დიდებულო, ჭეშმარიტო-ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდელოებაც, თაყვანს სცემს შენ ზეგარდმო-მადლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდედით გასხივოსნებული შენი ხატება. შენი მოძღვრება მისწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი“ აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ.

დიდუბის ტაძრის წინამძღვარი **ნ. თალაქვაძე.**

ი. ჭავჭავაძის მოსვენება თფილისში.

გუშინ 7 სექტემბერს, 2 ს. და 30 წ. მოასვენეს საგურამოდან საქართველოს სამხედრო გზით ტრაგიკულათ მოკლული ი. ჭავჭავაძე. ვერის ჯვართან მას შეხვდენ დეპუტაციები სხვადასხვა დაწესებულებებიდან გვირგვინებით. ვერის ჯვრის ცოტა ზემოთ; ოლგის ქუჩის დასაწყისში მიცვალებული შეაჩერეს, იქ წარმოითქვა სიტყვები. შემდეგ პროცესია გაემართა ოლგის ქუჩით და გოლოვინის პროსპექტით სიონის ტაძრისაკენ. წესიერებას იცავდა განსაკუთრებით არჩეული კომისია მას ეხმარებოდა ადმინისტრაცია; პროცესიის დროს გალობდა რამდენიმე მგალობელთ გუნდი: სათ.-აზნაურო გიმნაზიის, ეპარქ. სასწავლებლისა, სამრევლო სკოლების და თავისუფალი გუნდი ქულაჯებში გამოწყობილნი. იყო მუსიკა ზოგიერთ გიმნაზიიდან. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის კანცელარიის ფანჯრები შავათ იყო შემოსილი, შუა კედელში ჩამოკიდებული იყო გარედან ი. ჭავშავაძის სურათი შავათ შემოსილი. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

„ჩვ. გზ.“ (8 ს.)

ი. გ. ჭავჭავაძის დაკრძალვა.

კვირას, 9 სექტემბერს, დილის 7 ს. სიონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი. 9 საათზე დაიწყო წირვა. მწირველნი იყვენ ეპისკოპოზები: ლეონიდი, გიორგი და პეტრე, არქიმანდრიტები და მრავალი სამღვდელოება. წირვაზე დაესწრენ მხოლოდ დეპუტაციები, ჰირისუფალნი, მგალობელთა რამოდენიმე გუნდი და ყველა ის, ვისაც მხოლოდ მოსაწვევი ბარა-

თი ქონდათ. დაესწრო აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. წირვის გათავების შემდეგ, როდესაც მიცვალებული გამოასვენეს სიონის ტაძრის კარებთან წარმოთქმულ იქნა ექვსი სიტყვა. შემდეგ დილის 11 ს. 30 წ. პროცესია გაემართა სიონის ქუჩით გოლოვინის პროსპექტისაკენ. პროცესია იყო მწყობრი, მას ამშვენებდა 180-დის გვირგვინი სხვა და სხვა დაწესებულებისა და კერძო პირებისაგან და მწყობრათ მგალობელი სხვა და სხვა სასწავლებლის გუნდები. 12 საათზე პროცესია შეჩერდა სასახლის ქუჩაზე წ. კ. გამავცელებელ საზოგადოების გამგეობის წინ. აქ გადახდილ იქნა მოკლე პანაშვიდი და წამოთქმული იქნა 3 სიტყვა. შემდეგ პროცესია გაემართა გოლოვინის პროსპექტით და შეუდგა მამადავითის აღმართს. მთაწმინდაში, დავიდოვის მოედანის ცოტა ზემოთ პროცესია შეჩერდა წარმოითქვა ცხრა სიტყვა, სხვათაშორის წარმოსთქვეს აქ სიტყვა: ნ. ნაკაშიძემ, ერთმა ქუთათურმა გიმნაზიელმა, ვაჟაფშაველამ და სომხური გაზეთ „მშაკის“ წარმომადგენელმა.

შუადღის 3 ს. მიცვალებული მიასვენეს მამადავითის ეკლესიის გალავანში, აქ პანაშვიდის გადახდის შემდეგ, წარმოითქვა მრავალი სიტყვები. სხვათა შორის წარმოსთქვეს სიტყვა: ეპისკოპოსმა ლეონიდმა, ქუთაისელმა მღვდელმა კელენჯერიძემ, ბ. ცხვედაძემ, გ. რცხილაძემ, რუსულ ენაზე, დ. ნახუცრიშვილმა, ფოთის ქალაქის თავის მოადგილემ მეუნარგიამ, სიმონ ქვარანმა და სხ. ყველას მიერ წარმოთქმულ სიტყვებში აღიარებულ იქნა მათი გრძნობა მწუხარებისა საუკეთესო მგოსნის ი. გ. ჭავჭავაძის დაკარგვის შესახებ და აღნიშნული ის მხარეები, რომ ჭავჭავაძემ, როგორც გამოჩენილმა მწერალმა იხელი შეუწყო ქართული ენის განვითარებას; მან გა-

ამდიდრა ქართული ლიტერატურა და სხ. საღამოს 6 საათზე განსვენებული ი. გ. ჭავჭავაძე მიაბარეს საფლავს.

„ჩვენი გზა.“ 11 სექ.

ილ. ზურაბიშვილის სიტყვა.

— —

საქართველოს ჰირისუფალო ილიავ! შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ჰხვდა—თავის მხნე მკერდზედ, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტსა და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას რა ვანუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა!

სულმნათო მგოსანო! კახეთი სტირს და ჰგლოვობს, მაგრამ მაინც არა სჯერა, რომ ეგ, საქართველოსათვის სამსხვერპლოდ ქცეული, გული საუკუნოდ მიყუჩდა და აღარ აძგერდება სამშობლოსათვის მტკივნეულად დასადებად!

ჩვენის აზროვნების დიდო მესვეურო! ნუ თუ ეგ საამურად მეტყველნი ბაგენი სამუდამოდ დადუმდნენ და აღარ განიხვნებიან ზეაღმტაც სიტყვის სათქმელად?!

ცხოველმყოფელო ძეგლო ჩვენის დიდებისა! ნუ თუ ეგ, ღვთაებრივის იერით აღბეჭდილი შუბლი, აღარ გაიხსნება, რომ ძველებურად ცხოველ აზრთა გუნდი გადმოაფინოს შენ თანამოძმეთ—ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და ანდერძად საშვილიშილოდ გადასაცემად?!

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჰირნახულე ლაბას, შენს

ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ?! მაშ მართალია?!

თუ აგრეა—იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურედ მწვერვალები — ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულ საკლავი ბღავილი! აღარა გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გვყავს გრძნობათა მოენე!!. შენკი, საქართველოვ, ახლა მაინც მიჰხვდი რა ბედ-შავია შენი ხვედრი. დეე ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი.

ს. ხუნდაძის სიტყვა.

საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძე არ მომკვდარა, ის ცოცხალია—და მარადის ცოცხალი იქნება ქართველი ერის გულსა და გონებაში! საქართველოს მტერნო, ნუ გიხარიათ! ილია ჭავჭავაძემ თვისი მოწამებრივი სიკვდილით თვისი დიდებული სახელი კიდევ უფრო გაადიდა, კიდევ უფრო მკვიდრი, უფრო მშვენიერი ძეგლი დაიდგა! საქართველოს მტერნო, შეძრწუნდით! თქვენი საზარელი მკვლელობით თვით თქვენი თავი მოიკალით, თქვენი გული გამოიღადრეთ! ამიერიდან ქართველი ერი თქვენ საქმეებს დაგმობს, თქვენს სახელს ზიზღით მოიხსენიებს! ქართველო ხალხო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, გაარჩიე მტერი და მოყვარე! გარეშე მტრებმა ვერაოდეს ვერ შესძლეს შენი დამონება,

შენი შერცხვენა, მხოლოდ შინაური მტრები შეიქნენ შენი შემრცხვენელნი! ქართველებო, ნუ დაივიწყებთ შოთას სიტყვებს: „მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერიაო!“.

* * *

მოჰკლეს, გაგმირეს მგოსანი,
ქვეყნისა მაშენებელი,
ქართველი ერის სახელის
დამცველი, დამშვენებელი!..

—

ვინ, ვინ არიან ეს ბილწნი,
ეს საზიზღარი მკვლელები?
ხალხისა მტერნი, უგნურნი,
ეს შხამიანი გველები?!

—

არ გვეყო, გარეშე მტერნი
რომ გვაყენებენ დღეს შავსა?!
შვილებიც საფლავს უთხრიან
სამშობლოს ტანჯულს, ბეჩავსა?.

—

რა ამბავია, რას ვხედავთ?!
სად არის საღი გონება?!
თვით ჩვენვე დავგმოთ, შევმუსროთ
ჩვენი განძი და ქონება?!..

—

იესო როცა ჯვარს აცვეს,
ვერ სცნობდენ ერთი მეორეს...
მეოცე საუკუნეშიც
ის ჯვარცმა გაიმეორეს?!..

—

გავმირეს გული მებრძოლი,
ქვეყნისთვის აძგერებული!

გახვრიტეს შუბლი, ციური
მადლითა მირონცხებული...

—

სხვაგან—სიცოცხლით ძეგლს უდებენ
დიდებულ მამულიშვილსა,—
ჩვენში—სიცხცხლეს უსპობენ,
არც კი აცლიან სიკვდილსა!..

—

მოძმენო, არა ილიას—
თვით ერსა კლავენ ბილწები...
ნუ თუ ყველანი დავყრუვდით,
რომ გვფლობენ ქუჩის ბიჭები?!.

—

ჩვენი ვალია—მოვსძებნოთ
ეს მაწანწალა გმირები,
ბრბო, ჩვენი ქვეყნის გამრყვნელი,
ერისა დამამცირები!..

—

მოვსძებნოთ—და ჯვარს გავაკრათ
მათთან, ვინც მათი მცველია,
ვინც ჩვენი ერის მომსპობი,
მდაგველი, ცეცხლით მწველია...

—

მე მესმის ქრისტეს მოძღვრება:—
ნუროდეს ვსდევნით პირად მტერს,—
მაგრამ ქვეყნისა ორგულებს
ნუ ვაპატიებთ ნურაფერს!

ს ი ტ ყ ვ ა.

თქმული ილია ჭავჭავაძის კუბოს შესვენებაზე სიღნის ტაძარში.

ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის სალმრთო ცეცხლი, ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი ერისადმი მხურვალე სიყვარულის ფერად—ფერადი ძვირფასი გვირგვინების თხზვა-ქარგვისაგან, ორმოც და ათი წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხვადა ჰსთესდა ყოველი ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულის საკუთარი თითით გარჩეულს, საღს და მაძღარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინებელმა მტერმა დაგვიხშო ზღვა ეროვნული თვით ცნობისა! ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის გაჩაღებული სალმრთო კერა! ბოროტმა სულმა დაგვინგრია მტკიცე ბეღელი ჩვენი სულიერი სიმდიდრისა! მოგვიკლეს ილია და მწარე მწუხარების ალში გახვეულებმა აღარ ვიცით საით გადავვარდეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივაგნოთ ამ ჩვენი გულის გამპობელს და როგორ გაუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ ქვეყანაზე მოიპოება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველ გვარ ფარდას, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებისაა სწორეთ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნელი კუბოდამაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ კუბოდამაც ყვე-

ლას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე ჩემი სათხოვარი და სავედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

,,მწყურს მე გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმ[ე]ნთოს გული,
რომ მტერთათვისცა, რომელთ თუნდა გულს
ლახვარი მკრან,
გთხოვდე; „შეუნდე არ-იციან ღმერთო,რას იქმან!''

მაშ ამაოა ეს ზომა გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა, ილიას დიდებული სულის შეურაცხება იქნება მისი მკვლელებისაგან ჩვენის მხრით რაიმე ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობა და შურისძიებისაგან, ილია გვთხოვს გონება მოკრებით ჩავიხედოთ ყველამ თავთავის გულში და ყურადღებით გამოვიკვლიოთ, ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკვლდლობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მომსპობთა დაბადების ხელშესაწყობი პირობები, ვინაიდგან ცნობილია, რომ მკბენარის მომრავლება პირდაპირი შედეგია ჯუჯყისა და უფაქიზობისა?

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვენთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გავიხადოთ იგი ჩვენი მოქალაქობრივი არსებობის მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედად კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე მცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებითი თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაუღალაო დარაჯო, უბადალო მოძღვარო, თითით საჩვენებელო ჩვენო მაღალო ჰირისუფალო, დაუვიწყარო ილიავ! უკანასკნელათ ვეამბორებით შენს გაცივებულ გვამს და გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარულის შარავანდედი მოსილი შენი მაღალი გონების ცხადად გამომეტყველი პირის სახე. ამინ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

სიტყვა წარმოთქმული 8 სექტ. სიონის ცაძარში

პანაშვიდის წინ მე-2 საათზე.

ჯკაღნიერდები და გბედავ მეც ამ დიდებულ ცხედრის წინაშე გსთქვა ორიო აქ სიტყვა.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულის შვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უუდიდესი მგოსანი, სუფხოდ და თავდადებული სამზოგადო მოღვაწე, სიამაყე ეროვნული დიტერატურისა. არა გვყავს იდეა გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, — მოჭირნახულე თავის ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვდა კი დიდებული იდეა? „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილადმდე და მოგცე შენ გვირგვინი ცხოვრები სად“ (გამოცხ. 2, 10) გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანნე ღვთის მეტყველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რა ნაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამ ქვეყნად, რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი, — გვირგვინი უკდავებისა. ნეტარია ის, ვინც ამ ქვეყნად პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას, სწყამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედებად — მოღვაწეობის საფუძლად; „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი“ ამნაირის კაცისა (ფსალ. 115, 6). ის უკდავია მისი ნამოქმედარით, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მადლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თვისის ნამოქმედარ — ნაღვაწით მასწავლებელი და დამრიგებელია,, რადგან, მოციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მეტყველებს (ებრ. 11, 4).

მაშასადამე არ მომკვდარა იდეაც; ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მჭევრმეტყველებით განთქმულნი ბაგენი, მაგრამ საქმენი მისნი ჰჭერმეტყველურადვე ღაღადებენ და იდაღადებენ. ის თვისი ნაშრომ-ნაღვაწით უკდავათ დარჩება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტსაც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკუღმართ დრო გარემოებათაგამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან ამ დიდებული საქართველოს შვილის ნაწარმოები ეკუთნის არა მარტო ქართველ ერს, არა-

მელ მთელ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებული ილია ოვისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს სკეთილდღეოთ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასთე მწარეთ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნო, არა დაუვიწუარი დიდებული იდიას სკეთო — სტირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, — მისი დამკარგველი. განა არ კმარობდა, რაც უკუღმართ დრო — ვითარებამ უბედურება დაგვატეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუწერელი უბედურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინოს საქართველოს შვილის-შვილს იმ საქართველოსს, რომლის თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოც და ათი წელიწადი.

თუ კი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჭეშმარიტად ჩვენი გახწინდება, ზნეობრივათ დაცემა, ველურობა, უკუღმართობა იქნება სტირალი. ამას უნდა დრმათ ჩაუფიქრდეთ. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. — განსვენებული კი ნეტარია. მან კეთილად განვლო გზა „კვალი“, მისი ნაკალი წარუშლელია, ეკლიანი გზა გაკაფულია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომლებიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინად აირჩია ქართველი ერის სკეთილდღეოთ; ერთის ნაბიჯითაც არ გადუხვევია, არ უღალატნია მათთვის და ამისთვის, მტიქუდის თქმისაებრ, მზა არს მისთვის „გვირგვინი ცხოვრებისა“ (გამოცხ. 2, 10), გვირგვინი უკდველებისა.

დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვასწავლის.

მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენი ეროვნულ ცოდვათა განსაწმენდად, უკუღმართ გზიდან მოსაქ-

ცვეთ, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად განსაკუთებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმსრულებელი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოდვაწეობით გვიანდერძა ჩვენ.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ უეჭველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშობას იმისებრი დიდებული მოდვაწენი და მაშინ კი საბოლოო განიხარებს განსვენებულის დიდებული შვილავი სული.

დმერთო მაღალო და ძლიერო, გვაკმარე ეს უბედურება. ეს იყო უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზედ. სიდიადე ამ მსხვერპლისა თვალებია, რომ მოამავლში ჩვენი უკუმბრთობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით ხიორნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი დგომა დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურში, — ეს იქნება უკანასკნელი ჭეშმარიტად დიადი დგომა დიდებულის იდეისი, — მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი აღსრულება და თან საუკეთესო ხატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. დმერთმან მოგვცეს ამის შეძლება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდებულო მგოსანო იდეავ!

არხიმ. ამბროსი

სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვენების დროს, 7 სექტემბერს, 1907 წ.

—

მამულიშვილნო!

«ვინა სთქვა საქართველოზედ — რა დიდი ღმერთი კვდებაო!» — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! — ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარ — დაშტენი სიტყვანი — საქართველოს დიდი ღმერთი კვდება, — სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჭვს შეუბყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდო! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, როდეს საქართველოს ღმერთი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თავისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, და შემდეგ, მთელი ასის წლის განმავლობამი, მთელი მისი არსება მამაკვდავი სულსა ღაფავდა!—მაგრამ ამ შავ დროებაზედ უფრო მჭერმეტყველად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს — საქართველო, ეს დიდი ღმერთი მართლაც მოკვდა, — მოკვდა ხნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლაში გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვქონდა ფასი და ხალხს გვეძახოდენ. ჩვენი კულტურა, — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, შეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე — განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი გურჯისტანის სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ-მაძდგარ მრავალ მტერსა და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებასა, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე XI-XII საუკუნოებში საქართველო სიმდიდრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთაველისა და, სიფიცხლით სავსენი, ჩვენცა ვცდილობდით სამშვილიშვილოდ განგვემტკიცებინა ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.



ცხედარი სიოხის საკრებულო ტაძარში.

მაგრამ ვედარ გაუძელით მრავალ-რიცხოვან მტერსა, რომელიც ყოვლის მხრით გარს გვესია, ვიბრძოლეთ საუკუნეთ-განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მთელი აზიის ურდოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეჰკრიბა თავისი შემოქმედებით ყამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგვადგა აუარებელი მტერი, მოგვწყვიტა საუკეთესო, თუ განათლებულეს ქვეყნები, შთანთქა ყოველი თავისველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავსენი დანარჩენ ჩვენ დიდებასა, ქმიწაწყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მოძდინარეობდა ჩვენი ისტორია მე XVIII. საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორი ერთი ხანგრძლივი საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი შუდმივი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლოძმა მტრის შიშის ზარის დამცები ღრიალი შესწყვიტა.

დასუსტებულმა დამცირებულმა და შინაურ, უთანხმოებითა და მტრობით დაღლილებმა მოვაღწიეთ მე XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვჩენოდა რომ სურვილი, ძველებური ვაჟკაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა.

თუმცა კი მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა საქართველო რუსეთისაოვის გადაეცა, თუმცა საქართველოშიდაც გამოჩნდენ დემოსთენები რომელთაც სურდათ გაეხორციელებინათ დიდი ხანის იდეალი საქართველოს კვლავ შეერთებისა, მაგრამ »ირაკლის დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა», და არა მარტო ირაკლის, არამედ მთელ შაშინდელ თავად-აზნაურობას, რომელიც განაგებდა საქართველოს ბედ-იღბალს, — და საქართველოშაც თავისი ხელით გამოიჭრა ყელი რუსეთის ტახტის წინაშე. მთელი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა, მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არავითარი პროტესტი ხალხის

ბრძივ, არავითარი ძაბილი «ქართველო ხელი ხმალს იკარ» — ისა, — გარდა თავ-განწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უბირველესი თავადები მგლებივით დასდევდენ დასაჭირავად. რაც დაძკვიდრდა რუსის მთავრობა ჩვენში და შეუდგა ჩვენი ცხოვრების განადგურებას სკვითური ვერაგობით, მაშინ იკბინა სალხმა თითზედ, მაშინ მისწვდენ ხმალს, მაგრამ გვიანდა იყო, და იმ დიდმა და პატარა აჯანყებებმა, რომლითაც სავსეა მე-XIX საუკუნის ჩვენი ისტორია, ვეღარ განსდევნა ძლიერი მტერი, რომელიც მთელი თვისი უკულტურობითა და ველურობით დაგვაწვა თავზედ.

ჩქარი ნაბიჯით მთელი საქართველო 'გაბრწყინვალებულ კულტურიდან გაველურებამდის, სრულ დეკადანსამდის ჩამოველით მე-XIX საუკუნეში, მაშინ როდესაც სხვა დამოუკიდებელ ერები, ან ის ერები, რომელთაც გაასწრეს მტრის კლანჭებიდან თავის დახწევა, წინ მიდიოდენ და მე-XIX საუკუნის ბრწყინვალე შემოქმედობაში მონაწილეობას იღებდენ.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში აჯანყებებმა უნაყოფოთ ჩაიარეს და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით გათავდენ, ჩვენი დალაჩრება უმწვერვალესი ხარისხისა იყო. თავადაზნაურობა მტრის ლაქიად გახდა, მოდალატეებად, საქართველოს მტრად. ჩინ-მენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე წოდება, ინტელიგენცია თითქმის სულ არ იყო, და ჩვენი მწერლობა ოდნავდა ბჟუტავდა, ისევ იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ! თუმცა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა დიადი, გენიოსური შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინეს, ენის სიმდიდრე, ჩვენი ენის საუნჯე თვალ-წინ გაგვიშალეს, მაგრამ მაინც მათ შეჰქმნეს ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში, შემოქმედება მათი სიდიდით ვერ იყო ძლიერი, ამას ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებაც ვერ უწყობდა ხელს, — და ამიტომაც ისინი ჩვენია ხალი მწერლობის წინამორბედებად უნდა ჩაითვალონ მხოლოდ, და ამა შემქმნელებად.

ძაგრამ დაღგა მესამოცე წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რადგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით ღიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაო აღელვებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეინძრა, შეტოკდა, და ამ ახალ მოძრაობის თავის გამომხატველნი უნდა გაჩენოდა. გაუჩნდენ კიდეც. ჩვენშიაც დაიბადნენ — აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა პოეზია, გაჩნდა პოეშლიტისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურულ შემოქმედებისა, — და ჩვენც ცოტათი მაინც გავგრიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის, — ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რამოდენიმე «წინამორბედთა» პირში მეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის «განათლებულთა მიერ» ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდენ ქართულად, ენა, რომელიც ათასის წლობით შევინახეთ და შავთა დროთა გადაგვავიწყეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, ხალხის პირისაგან მოგვესმა მძლავრ ქართულად ნათქვამნი სამაგალითო, უმშვენიერესნი ქუხილებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები, ყველა საჭირბოროტო, და ილია პირველი იყო, რამ მეცნიერების იარადით აღჭურვილი სწყვეტდა რთულს შესაძლებებო ჩვენის ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე მშვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებში; ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი. გლეხთა მუდმივი მეგობარი, იგი ამ მეგობრობას ჰხატავდა როგორც «გლახის ნაამბობში» «ოთარაანთ ქვრივებში», ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყევლა-კრულვაში და გმობაში, — როგორც საჯარო კრებე-

ბზედ, ისე თავიხ პუბლიცისტურ ნაწარმოებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომმუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად ისხენიებდენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში. ეს მაამის, — თვით სოციალიზმის პრინციპებიცკი არის გატარებული მის მრავალ თხზულებებში. «შრომის არსენა»,—აი რა იყო ილიას იდეალი!

საქართველოს დაბეჩავებულ სახოგადოების ორგანონი ეჭირვებოდენ. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობაში. მარტო ბანკში და წურა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართველი საზოგადოების ასაღორძინებლათ, სამაგალითოდ განსაცვიფრებელია თუ დაუკვირდება, ადამიანი, და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

ფიას, ილია ყოველ მხრივი ძალღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყოველი თავის თანამედროვეებზედ და თანამოღვაწეებზედ, — თავისი მრავალ ფეროვანი ნიჭითა და ყოველ მხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას უწინარეს ყოველისა ვაფასებ როგორც მამულიშვილსა. ის იყო მართლაც საქართველოს გუშაგი მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ერთგული. ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ,—«ვაი მას მტერსა ვის ანუ კლდენი, ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჰფარავიდნენ, ვითარ, შურდულებსა, ესრედი შევარდნენი, მიესევოდნენ და შემუსვრიდნენ!»-ო. ილია სწორედ ასეთი მამულისშვილი იყო ჩვენ მოქალაქობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარვიდა, — ვით — ვეფხვი ილია მივარდებოდა მას და შემუსვრიდა თავისი ცოდნითა, ლოღიკითა, და.—რაც უფრო ძლიერია, — სიმართლითა, რადგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკაძათებოდა, რომ მის სიტყვებში სიძართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია

ძაევლინებოდა სოლომე შინაურს, მტრებს, რომელიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბიაბრუებისათვის არფერსა ზოგავდა. «მტერისა შინა ყოლასა, ლაბისა გზასა ზედ წოლა ტკბილო» — იტყოდა ხოლმე ილია ძველ ვაჟკაცთა თქმულებას, და მართლაც ვინ გაუძლებდა მის დიალექტიკას, მის შეუდარებელ, მწარე დაცინვასა და მძიმე მსჯელობას, რომელიც გულკანის ჩაქუჩივითა სცემდა თავში მტერს და მტვრად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს. მასოანაც შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქობრივი ვაჟკაცობითა და სიბრძნით ჩვენი ციცერონია, «მამა ჩვენი სამშობლოისა», — და აკი მისი გული ხვდა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველ არიან საქმენი შენნი!..

და ეს ილია ჭავჭავაძე, რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ერთად ერთსა ჰქონდა სული თავისუფალი ადამიანისა იმდროს ლაჩართა და ძალურისულის ბატონთა შორის, — ეს ი. ჭავჭავაძე დღეს კუბოში სდევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასირცხოდ, სატირლადა და საგალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე; სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესსი, თურმე კიდევ უფრო დაცემულვართ!

კაცი, რომლისათვისაც არის სანგრძლივი სამსახურისათვის იუბილეი უნდა გადაგვეხადა, დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი, ტრიუმფით უნდა შემოგვყვანა და მაშვრალი მხცოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვით გავგმირეთ, ეკლის გვირგვინი დავადგით და მისი კუბოც შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნო შესარცხვენად.

ვაგლახ, ბედშავ საქართველოვ! ვინ რას იტყვის, რომ გაგიგებს ჩვენს ასეთ საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტკვიით განგმირული! — საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გარყვნილი, უგრძნობელი, რომელმაც ძთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — აი ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანოხნი, უშნოგავსოხნი და სულელნი დაიტოვა თავის ცხოვრების წინამძღოლებადად — აი რას იტყვიან, — და მართლაც რას უნდა გამოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც ძიერი სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს საში წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო!.. მართლაც და—«სხვა საქართველო სად არის. რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა; შავთა დროს სრულად შესცვალეს ძის გული ადამიანისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის ძიწისა», და თავისა წარსულისა, თავის კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უძახპინძლდება!

ეხლა რადა უნდა ვქმნათ? — უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, — ილიას ხსოვნას «შურის ძიება» არ ეკადრებაო! კი — ეკადრება! ამ სიტყვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უშგსგავსთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შეშოსეს და ძთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთად ერთი საშუალებაა მთელი ერის გასაძართებლად, წინაღმდეგ შეშთხვევაში ჩვენ ყველანი დაშნაშავენი ვიქმნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას აძასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუშანიური თვისებისა და დიდ-სულოვანების დამამტკიცებელი კი არ იქმნება და, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობის!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ჩვენ უნდა ყველამ ჩავიწერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის

თხუზლებებში გაატარა და გვიანდერძა. სიყვარული საქართველოსი, იმ განსვენებულ «საქართველოსი», რომელიც აგრეთვე მისი თანამოღვაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა, სიყვარული ჩვენი ძიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიც ილიას აზრით უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ერის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდგეს ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლებაც არავის უნდა შევალახვიოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას — აი, რა არის ილიას ნაანდერძევი. შეგქნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე, — საღი და ზნეობით აღმაღლებული, რომელშიაც შესაძლებელი აღარ იქმნება ასეთი დანამაული როგორსაც ეხლა ვხედავთ, — ჰხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს, ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიად საქმეს კინ იცის აღვასრულებთ თუ არა, — ჯერ-ჯერობით კი ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატა, ამ უსაშინელესს დანამაულში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის, როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კარგი რაც იყო — აი ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შეგინებული! დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავალისა!...

შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაბატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკნილი სტიროდი «ბედსა ქართლისასა», გვაბატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაბატიე რომ ჩვენ სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესსია გაგიმართეთ! გვაბატიე, — ეს შეეფერება შენ დიდ სულოვანობას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდებარე მთაწმინდაზედ განგასვენებთ, ჩვენ მხცოვან, ტანჯულსა, ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან «ველარ გადმოხედავ შენსა საშობლო მხა-

რეს და ტკბილის ჭიკჭიკითა ვედარ დაატკბობ მის არეშარეს», ვედარ იხილავ მოძავალში შენსა ივერსა, «ფენიქსებრ განახლებულსა», თუ მოძმავალმა ეს ბედი კიდევ გვარჩუნა, მაგრამ არსყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ვედარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს რომელიც წ დაცემულმა ივერმა სჭაშა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს!

Bâton.

აკაკის სიტყვა.

ახალ-მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!... და მეც, როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს

სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..

ვლ. მიქელაძის სიტყვა.

ილია მოჰკლესო, და ამ ამბავმა თავზარი დასცა მთელ ქართველ ერს. ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო, და ამ ხმამ გააოცა ყველა ის, ვინც ქართველ ერს იცნობს. და ვინ არის ისეთი, ქართველ ერს იცნობდეს და ილიას კი არა.

მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სახელი, ჩვენი შვენება. მოჰკლეს მთელი ერის პირველი კაცი. გული ტყვიით გაუგმირეს — გული, რომელიც ქვეყნისათვის სწუხდა, სძგერდა, ღელავდა. შუბლი ტყვიებით დაუხვრიტეს, მშვენიერი, ნათელ-მოსილი და ჭკუით გაბრწყინვებული შუბლი, რომელიც სამშობლოზე დარდის გამო მუდამ ნაოჭად იყო ხოლმე შეკრული. მოჰკლეს მოხუცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს შეალია, მოჰკლეს იქ, იმ არაგვის პირად, რომელსაც ეუბნებოდა:

... ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს წმიდა თვალ-წინ აჰყვავებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ, შენს კიდეზედ, დაბადებულა.

ილია ჭავჭავაძის ნამოქმედარი და ნაწარმოები სა-

ქართველოს ნახევარ საუკუნის ისტორიას აღბეჭდავს. ვინც ილიას ნაწერს და ნათქვამს გაითვალისწინებს, ის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიას შეითვისებს.

რა ვიყავით ამ ორმოც-და-ათის წლის წინად? ჩვენი მაშინდელი სულიერი და ზნეობრივი არარაობა ილიამ აღბეჭდა და სარკესავით დაგვანახვა. გაიღვიძეთ, აღსდეგითო, კაცი ადამიანიც უნდა იყოსო. ქართველ დედას ასწავლიდა.

შვილს შთააგონე კაცთ სიყვარული,
ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო.

ყოველი მონობა საზოგადოდ ორი ჯაჭვით არის გამაგრებული: ერთი უფლებრივია, მონობა დაკანონებულია. კანონი მოისპო, ჯაჭვიც დაიმსხვრა, გარეგნობით მონობაც მოისპო. ხოლო მეორე ჯაჭვი თვით ადამიანის, საზოგადოების ცნობიერებაშია გამაგრებული, მის გრძნობაში, ხასიათში. ამ ბორკილის დამტვრევა უფრო ძნელია, მეტი დრო უნდა. კაცის გრძნობა, გონება, სინდისი უნდა გაიწმინდოს, გასუფთავდეს. ამას ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლა უნდა, და ამ ბრძოლას მოანდომა ილიამ მთელი თავისი ნიჭი და კალმის ძალა. ბატონ-ყმობის მოსპობას ჯერ რუსეთში შეუდგნენ.

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა,
ღმეროო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულშიო,

ნატრობდა პოეტი. „დღიურ ლუკმისათვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება“ ილიას უწყლულებდა გულს და თავის გოდება ლექსად აღნიშნა „მუშაში“.

ილიას ორნაირი სიყვარული უნათებდა ცხოვრების გზას: ჯერ კაცისადმი სიყვარული და მერე სამშობლოსადმი.

„კაცო! გიყვარდეს“.
ცათ შთამომძახეს,
როს ნათ დამბადეს.
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა.
და ქვეყანად ჩემ სვლას
სცემდა წმინდ ნათელს,
მისთვის გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!

და აი მამულზედაც რას ამბობს:

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ახლა მოიგონეთ განსვენებულის საზოგადო მოღვაწეობა. ნახევარ საუკუნის განმავლობაში განა იყო ჩვენში ისეთი საზოგადო საქმე, რომლის სათავეში იგი არ მდგარიყოს, რომელიც არ გაებრწყინებინოს თავის ნათელ ჭკუითა და გონებით. და აი, ესეთი კაცი დღეს ტყვიებით გულ-განგმირული და თავ დამტვრეული წინ გვისვენია. ბოროტება, უმეცრება, ვერაგობა, უარყოფა იმისა, რაც კაცის საუნჯეს შეადგენს, ამხედრდა ამ კაცზე და დაღლილს, დაქანცულს მებრძოლს დამშვიდებით სიცოცხლე არ დაასრულებინა ვაი, სირცხვილო! ვაი უბედურო, შეურაცხყოფილო ქვეყანავ! ვაი, უბედურო ერო! შენ გგლოვობ და არა ილიას. შურის ძიება გვწყურია, ხელი ხმალს იკაროო“, გაისმა გულიდან ამოხეთქილი ხმა. მაგრამ არა! შურისძიება ილიას სახელს, ილიას ხსოვნას არ შეშვენის, არ ეკადრება. დეე, ილიას სისხლმა, ასე უღვთოდ დანთხეულმა, გონს მოიყვანოს, სულით აღამაღლოს, განასპეტაკოს ის გახრწნილი, დაცემული, გავერაგებული და ყოვლის ჩვენის

საუნჯის უბრმყოფელი ნაწილი ჩვენის ერისა, რომლის სიღრმიდან ილიას მკვლელები მოგვევლინენ.

ქართველი ერი, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილო, მუხლს მოიდრეკს შენს წინაშე და ეამბორება შარავანდედ მოსილსა სახესა შენსა.

ვაჟა-ფშაველას სიტყვა.

— —

ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვებავია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდნენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიაც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი — კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდნენ ამ 40 — 50 წლის წინად, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულს ფორმას — ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული, როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონია. მეტის-მეტად ნაწყენმა ბატონებმა თავ-ხედურის საქციელით ახალ გაზდა კაცისა, „კაცია-ადამიანის“ ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე იმ მოსაზრებით — იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს, მაშინ რომ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში,

წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთად-ერთს ჩვილის შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა. განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: „შვილები წამოგესწრნენ ვაჟ-კაცნი, გულ-მტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო“. მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერრიტორიასაც-კი, რა არის, მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედიღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად“ გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ

იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენ მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს, ათასში ერთხელ მაინც გაიგოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, — გავიზარდენით, ავმაღლდით თუ დავეცით უარესად და დავკნინდით და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვცეს მან ძალა გაუკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, — ჰკუა-გონება ნათელი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათყვანებელი ერი, ლამაზი გარეგნობით, გალამაზდეს ყოფა-ცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებულო ადამიანო!

იაკ. ფანცხავას სიტყვა

აქ, ამ ადგილს დრო არ არის, ჩვენ უკვდავ ილიას მოღვაწეობაზე ვრცლად ვილაპარაკოთ. ილიას ნიჭი ისე დიადია და მრავალ-მხრივი, მისი მოღვაწეობა ისე ღრმა და ხანგრძლივი, რომ იმის სამშობლოსათვის ზრუნვა და ღვაწლი მომავალ თაობათათვის კვლევისა და ძიების საგანი იქნება.

მივაქცევ ყურადღებას ჩვენის პოეტის პოეზიის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელიც, რამდენათაც მე ვიცნობ, ჩვენს მწერლობაში ჯერ აღნიშნული არა ყოფილა. ამ პოეზიის საგანი არა თუ ერი და სამშობლოა, არა თუ დაბეჩავებულ გლეხ-კაცობაზე ზრუნვაა, არა თუ კრთა და პირადობათა თავისუფლება და დამოკიდებულება, არამედ რაიც ფრიად საგულისხმოა,ამ პოეზიის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს „შრომა“, „შრომისა

შვილის“ სვე-ბედი და „შრომის სუფევის“ დამყარება. ჩვენში ილიამ პირველმა და ჯერ-ჯერობით უკანასკნელმაც ამ „შრომის შვილის“ სვე-ბედს უძღვნა სამი შესანიშნავი თავი დიად პოემის „აჩრდილისა“ (**XIII, XIV, XV**). იცით კი როდის არის ეს პოემა დაწერილი? — 1860 წელს. აი, ამ ორმოც-და-შვიდი წლის წინად ილიამ გადაჭრით აღიარა, რომ

«შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევა-მოსილის ამ საუკუნის
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.

აქ ილია იმასვე აღიარებს, რაიც დღემდე ღრმად სწამდა ყოველ სოციალისტს, რომ „შრომის სუფევის“ დამყარება მეცხრამეტე საუკუნეს უნდა მოეხდინა. შორს არ წავიდეთ, აღსანიშნავად საკმაოა, რომ ოთხმოც-და-ათიან წლებში ლიბკნეხტმა და ენგელსმა „შრომის სუფევის“ დამყარების წლად 1898 წელიწადი დაინიშნეს. ჩვენ კი მეოცე საუკუნეში გადავედით და ჯერაც ძალიან შორს არის „შრომის სუფევის“ დასამყარებლად საჭირო ნიადაგი... ილიამვე, თანახმათ სოციალისტურ მოძღვრების ძირითად მოთხოვნილებისა, აღიარა, რომ „შრომის ახსნისათვის“ ატეხილ ბრძოლაში „შრომის შვილს“ დახმარებას არ გაუწევს არც ერთი სხვა წოდება, არც მღვდელი და ვაჭარი, არც დიდ-კაცობა, რადგან

ის რათ ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რათ შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით რჩება?

მაშასადამე, „შრომისა შვილს“ მხოლოდ თვისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს ამ დიად ბრძოლაში, რათა „ძველი ქვეყანა“ დაანგრიოს და შრომა კი ახსნას. ეს იმედი გუ-

ლში მტკიცედ უნდა ჰქონდეს „შრომისა შვილს“, რადგან

შრომა ამ ქვეყნად ტყვეთა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.

ასე მომზადებულ ნიადაგზე აღმართულ „კაცთა ღვლვისა დიად ზვირთს“ „ველარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი“ და „შრომის სუფევა მოვა მაშინა“, რომელიც დამყარებისათანვე თვალ-ცხადლივ შემდეგში გამოიხატება:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ეწონვი და არ იმონებ.

როგორც ვხედავთ, აქ ყველა მოტივი სოციალიზმის მოძღვრებისაა და ეს „კაცთა სიკეთის მხურვალე რწმენა“, რომელიც ილიას „ჰირში და ლხინში წინ მიუძღოდა“, შემთხვევითი და ზერელე რწმენა კი არ იყო, არამედ ღრმა და მუდმივი. ამას კი მოწმობს „აჩრდილის“ თერთმეტი წლის შემდეგ დაწერილი ლექსი „პარიჟი“, სადაც დიადი თავგანწირული ბრძოლა კომუნისა 1871 წ., „შრომის ახსნისათვის“ და „შრომის სუფევის„ დასამყარებლად ატეხილი, „ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ დასცა დაბლა“ და ამიტომ:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებული მტარვალნი.

ამით ვათავებთ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ილიას მოღვაწეობას დღეს სრული ფასი დავდოთ, ის ისე ახლოა იყო დღემდე ჩვენთან, რომ კარგად არა სჩანდა ჩვენთვის მისი სიდიადე, მისი მადლიანი სიკეთე. ფიზიკური აუცი-



პროცესია მამადავითის ქუჩაზე.

ლებლობაა, რომ საგანი, თუ გვინდა იგი კარგად დაინახო და მისი თვისებანი გარკვევით ყოველ მხრივ შეამჩნიო, თვალთა-ხედვის შესაფერ მანძილზე უნდა მოათავსო. მორალურ და იდეურ ფაქტთა დასაფასებლად კი ეს მანძილი უდრის შესაფერ დროს, შესაფერ ხანას. შეგვიძლია კი არა, ნებაც არა გვაქვს მსჯავრი დავსდოთ იმ კაცის, იმ მადლიან ადამიანის ღვაწლს, რომელსაც ამ მადლისათვის მადლობის მაგიერ გულში ტყვია დავეცით, შუბლი გავუხვრიტეთ და ამ ნახვრეტიდან ერის დიდება—ტვინი ვაღინეთ, ის ტვინი, რომელიც ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ერისათვის მადლს ჰფენდა, უგვანთა მიერ გათელილ მტვერში გავთქირეთ. ჩვენ დღეს მხოლოდ ის-ღა უნდა მივიჩნიოთ სავალალოდ, რომ ჩვენს შორის „ქართველის დედას“, რომელსაც პოეტი ემუდარებოდა, ჰეშმარიტი სული აღუზარდე შვილსაო, აღუზრდია უჰეროსტრატესი ჰეროსტრატი, რომელმაც ეს **ისტორიული ფაქტი** ჩაიდინა და მით მთელი ჩვენი თაობა, მთელი ჩვენი ერი სამანცხვინო ბოძს მიაკრა ისტორიაში და აბა მითხარით, სთქვით, განა ასეთ თაობას, დღეს არსებულ ჩვენს ქართველობას უფლება ექნება, ნამუსი მისცემს ნებას, რომ ილიას მოღვაწეობაზე, იმის ღვთაებრივ მადლზე კრინტი დასძრას, სიტყვა დაბეროს!.. ვაი ჩვენ!.. მუხლი, მუხლი მოვიდრიკოთ და სიტყვა, კრულვის სათქმელად მობჯენილი, ყელში ჩავიხრჩოთ...

ი, მეურნარგიას სიტყვა

დაუვიწყარო მამულის-შვილო ილიავ! შენი ჭირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია? არა, შენი ჭირთა-უფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა,

სამშობლო—კახეთიდან დაწყებული შავ-ზღვამდის ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენიებს შენს სახელს, ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, საცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო“ არ ეკითხოს და მოზრდილს „მკრთალი ნათელი და „ჩემო კარგო ქვეყანა“ არ ემღეროს.

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულჩამწარებულმა, შორებულმა საქართველოს ქალაქმა ფოთმა დაფნითა და ყვავილით შემკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ რომლისა მარჯვენისა ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელმაცა „კაცია-ადამიანი“ სთქვი, „გლახის ნაამბობი“ გვიამბე, „თავდადებული“ შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული“ შუბლი განდეგილისა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო“ და მთელი შენის სიცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია. ნეტავ გაგეგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლობისა, რომელიც ასტეხა შენმა მკვლელობამ, რომ დამტკბარიყავი იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატოვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ გვასწავლე ქართული ენა. შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფვა“, „თვალ ხედვის ისარი“? შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდ-მუხასთან პატარა

ია რომ ყვადოდეს, ვის რა უნდაო“, გააგონე შენ მამულის მტრებს; სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდან, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო“ და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდა-წმიდათას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარ-მეტყველურ სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა. ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლოს ენა არა სწამდეს, ამისი სმენაც კი ეჩოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ ორმოცი წელიწადი სულ სხვას ჩაგვძახოდი; ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი „ენა რა არის, მამული რას გვიქვიანო“. ვიმედოვნებთ, მოძღვარო, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანი და შვილნი, ვითარცა უძღებნი შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩებაყველათათვის საუკუნოდ თაყვან—საცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულის შვილო.

სიტყვა ვლასა მგელაძისა.

მინდა ჩვეულებრივ მოგმართოთ და გითხრათ: ამხანაგებო! მარა სად არის ამხანაგები?! პირში ამხანაგს გი-

წოდებენ და შემდეგ გაგყიდიან... მინდა გითხრათ: მოქალაქენო! მარა სად არის მოქალაქე?!. მკვეთრი და გაბედული სიტყვის მთქმელი? მოქალაქე-მებრძოლნი ასე გულ-გაგმირულნი და წამებულნი არიან მთელ რუსეთში, როგორც ჩვენ წინ მდემარე ილია! მარა დღეს მონური გაჩერება და დუმილი არ გვმართებს, რადგან თვით პოეტი ამბობს:

,,ვერა განკურნოს მან მონის წყლული,
ვინც თვით მონობას ემორჩილება''-ო.

თქვენ აშფოთებული ხართ და ეძიებთ მკვლელს და ვერ გიპოვიათ იგი. მკვლელი აქ არის,—ეს არის შეუგნებლობა და სიბნელე... ეს საზარელი ქურდული მკვლელობა მოახდინა ბარბაროსობა-უკულტურობამ, ბოროტებამ და წყვდიადში ყოფნამ... რა აკეთეთ თქვენ ხალხის აზდისათვის, მისი გონების კულტურულ გაუმჯობესობისათვის? არაფერი შედარებით: სამკალი ფრიად არს და მომკალი მცირედ. პოეტი სწერდა, რომ ხალხში მეტი სინათლე და განათლება შეტანილიყო და

,,მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთ მოყვარება და სათნოება''-ო.

ამ თავისუფლებისათვის აზარდეთ ხალხი? ასწავლეთ დედებს, რომ შვილებისათვის ჩაენერგათ უკვდავი სიტყვები პოეტისა:

,,თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმიდა საფარი!..''

არც ერთი არ გიქნიათ, არ გიშრომიათ, რომ ხალხს შეეგნო მისი ვინაობა და იგი ადამიანი გამხდარიყო... სალხისთვის წამებულნი ხალხისთვის არ გაგიცვნიათ. თვით ჯვარცმული ქრისტეს სიტყვები მოძღვართ თავი-

ანთი კუჭის სასარგებლოთ გამოუყენებიათ და დღეს, როდესაც წინამძღვრობაა საჭირო, სხვის ხელსახოცათ გადაქცეულან. სამართლიანით შენიშნავს მგოსანი:

,,აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—
რომელთ ქრისტესგან ვალათ სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა რიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ''!..

დიახ, გულ-ხელდაკრეფილები შეყურებს ხალხი საუკეთესო შვილების წამებას...

პარტიები აირ-დაირიენ, ერთმანეთის აღარა გაეგებათ რა.·. ბევრი გახულიგანდა და შანტაჟისტათ იქცა... არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ შანტაჟისტობის გამო პარტიიდან გამოერიცხოსთ რომელიმე წევრი.

ნუ თუ არ იციან პარტიებმა, რომ მათში არიან ულირსნი, არა იდეური წევრები და რატომ ზომებს არ ღებულობენ?! არ არის პარტიათა შორის ერთმანეთის პატივის ცემა, პირადობის მოპყრობა... იდეური ბრძოლა, აზრის ქონება და შეხედულება გადააქციეს ლანძღვა-კინკლაობათ!.. რაკი შენ არ მოგწონს ესა თუ ის მიმართულება, ან მისი პიროვნება, ამისთვის ცოცხლათ დაგმარხვენ და გაწამებენ ზნეობრივათ. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაცხადებთ მათ წინააღმდეგ, ვინც პატივის-ცემით არ ეპყრობა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას—რა მიმართულების და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი..

ჩვენ, მთელი ჩვენი არსებით აშფოთებული, წინააღმდეგობას ვუცხადებთ ილიას მკვლელებს და მათ, ვინც მშრომელი ხალხისკენ ტალახი გადაისროლა, ან გადაისვრის და პოეტის მოკვლაში ჩვენზე ეჭვი შეიტანა...

ჩვენ იმისთვის არ ვიბრძვით, რომ იდეურ მოწინააღმდეგე მებრძოლთ ტყვიებით შუბლი გაუხვრიტოთ, ფიზიკურათ ვაწვალ-ვაწამოთ—ჩვენ ინკვიზიტორები არა

ვართ... ჩვენ იმისთვის არ ვლპებით ციხეებ˜ი, არ მივდივართ ციმბირში, სახრჩობელაზე, რომ მოხუც მანდილოსანს ყბები დავამტვრიოთ, ვაწამოთ... არა და ათასჯერ არა!.. ეს საზარელი ცილის წამებაა, სიკვდილია... აქ ილიას მკვლელობაზე უარეს დანაშაულს ჩადიან... იმათ, ვისთვისაც ილია სწერდა, სილა გაარტყეს—შეურაცხყოფა მიაყენეს... აქ მოღვაწე პარტიულ საკინ, კლაოთ გახადეს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლათ!.. ეს ჩვენ არა გვწამს. ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს ვცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს...

ამ მხრივ მუშებზე შემცდარი აზრისანი არიან. ჩვენ მარტო კუჭისათვის არ ვიბრძვით—ჩვენ მთელი კაცობრიობის წინსვლას, მეცნიერების აყვავებას, ხელოვნების გაფაქიზებ—გაშენებას ხელს ვუწყობთ, ამისთვის სიცოცხლეს ვწირავთ და საკაცობრიო ტრაპეზზე ვაჟკაცურათ ჩვენი თავი ზვარაკათ მიგვაქვს!...

თვით ილია რევოლიუციის ვულკანმა გამოაღვიძა. პარიჟის რევოლიუცია ქვეყანას მოედო, რუსეთი აახმახურა და პოეტმა, რომელსაც ნიჭი და გული ქონდა, იგრძნო ეს და დასწერა: „ბორკილის მტვრეის ხმა მესმისო“, თავისუფლებაზე ალაპარაკდა და დღეს, როდესაც რეაქციის მიერ წათამამებულმა შეუგნებელმა ბოროტმა კაცმა, ეს ადამიანი, მისი მეტყველი ენა დაადუმა—ყალბი პარტიული მოსაზრებით ცილი მას დასწამეს, ვისთვისაც პოეტმა თავისი ჩანგი ააჟღერა.—ეს საშინელებაა და ჩვენ ურჩევთ ყველა პარტიებს, რომელიც უნდა იყოს, თავისი თავი გაწმინდოს... დღეს ყველა პარტიებ˜ი, ვიმეორებ ყველაში გამრავლდენ არა ნამდვილი პარტიის წევრები რეაქციის გამო. ესენი ქადაგობენ სიმართლე-ჰეშმარიტებას და თვით მოკლებულნი არიან

ადამიანობას; მათ არა აქვთ გული, სათნოება, სიყვარული, სასოება და აბა რა იქნება მარტო ლაპარაკით?! გაიწმიდეთ თქვენი თავი ყველა პარტიამ,გახდით ღირსი მეთაურობისა და შემდეგ გამოდით ხალხის წინაშორბე დათ და მეთაურათ... ეს ტრიბუნა, რომელზედაც ახლა მე ვდგავარ, ხალხის სისხლით არის შეღებილი, წამებულთა ძვლებით არის აშენებული—იგი ძვირათ არის ნაყიდი... ანდერძი არის ღატოვებული: ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის—სოკიალიზმისათვის...

ნაცვლათ სწორი შეხედულებისა, პარტიები დაიბნენ და საერთო მტერს ვერ მიაგნეს—ვერ გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფე... საქართველო მოკვდაო,—სთქვეს, დღეის შემდეგ აღარ ვარსებობთო! გადაშენების გზას ვადგევართო!. მე არ მესმის ასეთი პოლიტიკური შეხედულება!.. საქართველოს ერი მძინარე და მცონარი დღეს იღვიძებს, მან დღეს აღიმაღლა თავისი ძლიერი მჭუხარე ხმა და ქვეყანას ამცნო მისი არსებობა. მისი უფლებების დისაცველათ ის დღეს სისხლს ღვრის, საუკეთესო შვილებს სახრჩობელაზე ისტუმრებს, მთელი ქვეყნის ჩაგრულთ გვერდში ამაყათ ამოუდგა და ამცნო: თუმც დროთა ბრუნვამ დამჩაგრა, მარა მალე მეც ღირსი ვიქნები განათლებული ერის სახელი მერქვასო! და ნუთუ ეს სიკვდილია?! ერის გადაშენებაა თუ ზოგიერთთა გონების სიბრმავე-სილატაკეა?! ნუ თუ ჩვენი მოძრაობა, დღემდის დაბეჩავებული ხალხის გამოღვიძება, საუკეთესო ლიტერატურის შექმნა ახალ ცხოვრებაზე—ეს გადაშანებაა, თუ გაგძელებაა იმ ეკლიანი გზის, იმ პოემა-მოთხრობების, სადაც პოეტმა პირველათ აღნიშნა?! არა და არა!..

ილიას სიკვდილი, მისი დახვრეტილი შუბლი გვეუბნება, რომ კაცი ცხოვრებაში და წერაშიაც ადამიანი

უნდა იყო.—ეს ჰეშმარიტება მაცხოვრმა წამებით დაგვიმტკიცა,—„კაცმა საქმე ძოაგვაროს, ვეჰვ ჰმუნვასა ესე სჯობდესო“—ამბობს რუსთველი. მე, ავათმყოფი, საუკეთესო ამხანაგების დამკარგველი, ნაწამები ფიზიკურ-ზნეობრივათ მოგიწოდებთ თქვენ არა სატირლათ და საგოდებლათ, არამედ საბრძოლველათ უკეთეს მომავლისათვის!. თუ მართლა გულწრფელათ დასტირით ამ ძლიერი ბუნების ადამიანს, თუ გწადიანთ, რომ შეწყდეს ერთა შორის შუღლი და მტრობა, მოძმეთა შორის სისხლის ღვრა და ადამიანი ღირსი იყოს ამ სახელის ტარების, მაშინ გადაავლეთ თვალი რა ხდება დღეს მთელ რუსეთის სივრცეზე? როგორ იტანჯება მთელი ხალხი? მოწამლულია ყოველივე... ებრაელს ვერ უთქვამს მისი ებრაელობა, სომეხს—სომხობა, ქართველს—ქართველობა და თათარს—თათრობა .. ადამიანს ვერ გითქვამს შენი რწმენა, შენი ადამიანობა და მიმართულება!.. დედას ცოდვათ უთვლიან შვილისს ალერსს, მოხუცს—მრჩენალს ტაცებენ, შეყვარებულთ თიშვენ, წმინდა სიყვარულს დასცინიან და მებრძოლთ ყვავ-ყორანთა საჯიჯღნათ ყრიან... ყველა ამას შეგვაჩვიეს, თითქო აქ არაფერია... ხსნა ერთია—ბრძოლა ბნელ ძალებთან შეერთებული ძალით, რომ დამყარდეს და შესაძლებელი გახდეს იდეური ბრძოლა. თუ გვსურს, რომ ასე ფეხ-ქვეშ სათელი არ იყოსაზრთა სხვადასხვაობა, სოციალურ ძალთა განწყობილებაზე წარმოშობილ პარტიებს თავის რწმენის გამოთქმისათვის ჯვარს არავის აცვამდეს, მაშინ გაათკეცებული უნდა ვებრძოდეთ ყოველ გვარ სიბნელე-ბოროტებას და იმ გათახსირებულ წეს-წყობილებას, რომლის მიზეზითაც მოწამლულია ყოველი ადამიანის ცხოვრება.

ნინო ნაკაშიძის სიტყვა.

შენი სამარის წინაშე თავ-მოყრილი ქართველი ქალები იმისთვის დაგტირიან, რომ ადამიანური უფლების ერთგული ქომაგი იყავი. ამან მისცა ფასი და მნიშვნებაა შენ საუკეთესო ნაწერებს.

ქალი—ადამიანია, ხოლო დაჩაგრულ ადამიანის უფლების დაცვა ქალის უფლების დაცვაა. უღრმესი კაცობრიული გრძნობა იმით არის შესანიშნავი, რომ იგი მტკიცე კავშირის ჰქმნის კაცთა შორის სქესების განურჩევლად. ის მწერალი და მოღვაწე, რომლის გული თავის მოძმის მიმართ თანაგრძნობით სძგერს, როგორც მამაკაცის თავისუფლებას ემსახურება. შენი საუკეთესო ღვაწლი საზოგადო კაცობრიულ გრძნობათა გაღვიძება იყო და ამ გრძნობამ შეგვაერთა დღეს შენი სამარის წინაშე განურჩევლად მამაკ ცნი და დედაკაცნი.

რა ფიქრებს და გრძნობას გვიღვიძებს ჩვენ წინ უსულოდ მდებარე სასიქადულო ადამიანის გვამი?... უწყალო ტყვიით განგმირეს ის, ვისი საუკეთესო ნაწარმოები ჩაგრულთა მიმართ წრფელის თანაგრძნობითაა სულჩადგმული. დიდი და ღრმა მნიშვნელობითაა აღსავსე ცხოვრების ეს საშინელი და ამავე დროს საგულისხმიერო მოვლენა. ვინ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე? ვისი უწყალო ხელი შეეხო მოხუც, სრულიად ჰაღარა პატიოსან დედაკაცს, ილიას ერთგულ მეუღლეს? პასუხი ერთია: ცხოვრების უწყალო პირობისაგან დამახინჯებულ, საცოდავ, სულით ღატაკ ადამიანთა მსხვერპლი გახდა იგი. შურის ძიებას თუ მკაცრ პასუხის გებას მოითხოვს ჩვენგან ილია ჭავჭავაძის ძვირფასი ხსოვნა იმათ მიმართ, რომელთაც ის ასე უწყალოდ გამოასალმეს ამ წუთისოფელს. იმათ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ და ამ სა-

ზარელ უვიცობაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ. ვისი ბრალია, რომ ყველა საუკეთესო მწერლების ნაწარმოები, ტანჯულ ადამიანის მიმართ წრფელის სიყვარულით სულ-ჩადგმული შემოქმედება, მხოლოდ შედარებით უფრო შეძლებულთა წრეში ტრიალებს, რომ ხალხი, ის ხალხი, რომელიც თითონ მგოსნის სიტყით „ლაბას“ ბედს ადარებს თავის ბედს, რომელიც ყველას თავის ოფლით გვარჩენს, კეთილ წიგნს, ღრმა აზრიან მწერლობას მოკლებულია? განათლება დღეს შეძლებულთა ჯილდოა და ეს საზარელი მკვლელობა, ეს ღია ბნელი სამარე მკაცრისა და უწყალო ენით მეტყველებს, რომ ამ სასიქადულო ადამიანის მკვლელობაში ყველას საერთოდ ბრალი გვიდევს. იმ საზოგადოებაში, იმ ხალხში, სადაც კაცობრიობის უძვირფასესი განძი, საუკეთესო მოღვაწეთა ნაფიქრ-ნაგრძნობი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრის მემკვიდრეობაა, განათლებულნი თითქოს არისტოკრატიას წარმოადგენენ, რომელთაც ხვდათ ის, რაც საერთოდ მთელ კაცობრიობას უანდერძეს მოწინავე მწერლებმა. იმათ ხვდათ ის ნიჭი, ის ქრისტიანული „ტალანტი“, რომელიც ცხოვრების ქრისტიანულ კანონის ძალით, თუ არ აწარმოვა, თუ არ გაამრავლა ხალხში ადამიანმა, ბოლოს ამ ნიჭის, „ტალანტის“ მქონეს და სულით ზარმაცს დაატყდება თავს, და ჩვენც, დღეს ამ ძვირფას ნიჭის მქონე სულით ზარმაცი მემკვიდრენი დიდებულ მოაზრეთა, ამ დიდებულ უსულო გვამის წინ აკი განვიცდით „კბილთა ღრჭენას და ტირილ-ვაებას“. თუ ამ საშინელ საქმის ჩამდენი მოძმეა ჩვენ მოვიმკით იმას, რაც დაგვითესნია.

განა საფიქრებელია, რომ იმ ადამიანმა, ვისი ხელიც არ შედრკა და სასიკვდილო ტყვია აძგერა ილიას გულს, იმ გულს, რომელმაც სიყვარულით ამოაკვნესა „გუთნის

დედა“, „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი“, „ლოცვა“, „ქართველის დედას“, „აჩრდილი“ და სხვანი, იცოდა ერთ-ერთი მაინც ამ ნაწარმოებთაგანი? და ახლა კი, როცა დავკარგეთ საუნჯე, ვტირით; მაგრამ ილიას ღია სამარის წინაშე უნდა ვიგლოვოთ არა ის ადამიანი, რომელიც მუდამ იცოცხლებს ქართველ ერის გულში, არამედ ის საბრალონი, რომელნიც დღეს ირგვლივ ზიზღს და რისხვას იწვევენ. ვიგლოვოთ ის უბედური დედა, რომელსაც შავმა ბედმა ასეთი შვილის აღზრდა არგუნა, და იმათთან ერთად ჩვენი თავიც.

დეე ამ საზარელმა ტრაგედიამ, ამ საშინელებამ ღრმად ააძგეროს ჩვენი გული და თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ სამუდამოდ, ღრმა საგულისხმიერო სურათად გვედგას თვალ წინ და მუდამ ჟამს გვახსოვდეს შენი საუკეთესო სურვილ-მისწრაფება, რომ ადამიანურ ცხოვრებას ამ წუთი-სოფელში მხოლოდ ადამიანურ სიყვარულისა და მოვალეის აღსრულება შეჰქმნის.

გეთხოვებით, ძვირფასო მასწავლებელო შენისავე სიტყვებით, რომელიც ყველა ქალთა — დედამ მცნებად უნდა გაიხადოს:

მოვიკლად წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

სიტყვა კ. ჩხეიძისა.

დროებით ჩვენ საზოგადოებას კვლავ გადაეფარა პოლიტიკური მწუხრის ნეფარი, კვლავ გამოტყვრენ ბნელი ძალები უტიფრათ ცხოვრების მოედანზე, გამოეხიზლებული ხალხის მაჯის ცემა მოდუნდა, საერთო ჭირ-ვარამზე გაბედულათ აზრთა გაცვლა გამოცვლა შეწყდა, ხმა გავიკმიდეთ და დადუმებული ველოდებით უმჯობეს მომავალს. ძიუხედავათ ასეთი საერთო ძდუმარებისა, ძიუხედავათ იმ ათასკვარი ბოროტებისა, რომელსაც სჩადის დღეს თავაღებული და ნუთიერი გამარჯვებით გაამაყებული ბნელი ძალა, შენმა სიკვდილმა ყველა ძალზე აადელვა და დაგვავალა სათანადო ანგარიში გაეწიოთ როგორც იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელმაც შენ გიმსხვერპლა, ისე იმ პირობებს, რომელთა გამო შესაძლებელი ხდება ჩვენში ასეთი ბოროტ-მოქმედება. თანაც ჩვენ მოწყურებული ვართ უკანასკნელი ამ ქვეყნიური პატივისცემა მოგაგოთ და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ. მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც. საზოგადოება, რომელიც შემოკრბა დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენათვე სხვა და სხვა გვარია რამდენათაც მრავალ-მხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებაზე ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირათ უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთ რიგათ ვცემდეთ პატივს და გაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნამყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის ძოძხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ მოვინისტებმა როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეუერთდებით ასეთების ქებათა ქებას და მით უმე-

ტესის სიცხადით აღვნიშნავთ იმას, რაც იყო შენი ჩვენთვის ძვირფასი.

შენ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრათ შეირყა, როცა ბატონ-ყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერათ შეეხაზა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და როცა პირველათ მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ. ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებულ ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოების, და შენი ნიჭის და პოეტური შემოქმედების საგნათ დაიხახე დაგესურათხატებია ჩვენთვის ბატონ-ყმური ცხოვრების საზიზღროება. შენ დაასურათე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. შენ გესლიანი ენით ფასცინე და სასიკვდილოთ მოშხამე ის, ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოცული; შენ ჩვენ თვალ წინ სახეცრად გადაშალე გონებრივი სიკეტრე, გონებრივი სიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და ამედიდურებით იყო აღსავსე; შენ დაგვიხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა. ამასთან ერთათ შენ იმ დროისთვის საუცხოვოთ დაგვისურათე აგრეთვე უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ლუარსაბების უდელში გაბმული გლეხები, შენ დაუბირდაბირე ერთი-მეორეს თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახვე, რომ მათი ერთათ არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება, მეორის უბედურებაზეა აგებული, სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა სტიროდეს, როცა ერთი მაძღარია, მეორეს უნდა შიოდეს, როცა დათიკოს თბილა, გაბროს ცივა, გულის სიღრმეში ჩაგვეჭრა ჩვენ ეს სურათები; ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავსდევით შემლების დაგვარათ გავმკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღსავსე იყო

ჩვენი ცხოვრება. ამრიგათ შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზდობისთვის სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინეთ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმოენერგავს, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეიდგენს სოციალიზმის დამყარება. ხოლო გზა, რომლითაც ამ მიზანს მიაღწევს კაცობრივობა, არის შეურიგებელი სასტიკი ბრძოლა კლასთა შორის. შენ თითონ მოწმე გახდი იმის, თუ რა ძლევა მოსილება შეისხა ამ სწავლა-მოძღვრებამ ჩვენში და რა ღრმა კვალი გაავლო მან ჩვენ ცხოვრებაში. რამდენათაც შენ შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვეყვარებია აღნიშნული მოძღვრება, რამდენათაც შენ გაადვიძე ჩვენ ახალგაზდა ბუნებაში გრძნობებით, რომელნიც აუცილებლათ საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელათ ვემსახუროთ სოციალიზმის დიად მოძავალს, და აი, სწორეთ ამდენათ, გვსურს ჩვენ უკვდავი იყოს შენი სახელი.

ჩვენი პროლეტარიატი საბედნიეროთ უკვე შესდგა განოვითარების ისეთ საფეხურზე, რომ ის გაცილებით უფრო ღრმათ და სავსებით აფასებს ხელოვნების და შემოქმედებითი ნიჭის მარგალიტებს როგორც შინაარსით, ისე გარეგანი სახით, ვინემ დანარჩენი ელემენტები ჩვენი საზოგადოებისა და ვაი მას, ვინც განიზრახავს, რომ ეს მარგალიტები გასთელოს. ვაი თქვენ, ეტყვის იგი შენი ცხედრის წინაშე აგრეთვე იმათაც, ვინც შენი მოკვლის გაგონების შემდეგ ბუკსა და ნაღარას სცემენ ქვენა ძისწრაფებით და მურტალი მიზნით, თითქო შენთან ერთათ მოიკლა მთელი ხალხი. ასეთები ვერა ხედვენ, რომ ამით

იგინი ვერ აქარწყლებენ შენი ნიჭის საუკეთესო ნაყოფს, ვერა ხედვენ, რომ ის ხალხი, რომელმაც შეისისხლორცა ის, რაც შენ მოღვაწეობაში საუკეთესო იყო უარჰყო ის, რაც მის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება შენ წარსულ მოღვაწეობაში, ასეთი ხალხი, ვამბობთ, უკდავია და არც პასუხს აგებს, თუ მის შორის ვინმემ მტარვალობა ჩაიდინა.

ვაი მათ, იტყვის იგივე პროლეტარიატი და მთელი მშრომელი ხალხი, ვინც ლამის მ`რთლა ავაზაკურათ ისარგებლოს შენი მკვლელობის შემთხვევით და ჩირქი მოსცხოს მშრომელ ხალხს და იმას, ვინც ხელმძღვანელობს მას. დღეს ჩვენში შურის ძიებისათვის მოწოდებას ჩვენ არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოვთხოვთ მათ, ვინც ჩვენ სასიარულო გზაზე ეკალსა სთესს და შხამს ანთხევს.

„ჩვენ. გზა“ 11 სექტ.

ს ი ტ ყ ვ ა

ნიკ. ცხვედაძისა.

დღეს გესალმებით ჩვენს სასიქადულო იდეას. დღეს გვშორდება იგი სამუდამოდ. დღეიდან ჩვენ ველარ მივმართავთ მას რჩევისათვის, ველარ მოვისმენთ იმის ტკბილ და ჭკვიანურ დაბარებას. ჩვენ ველარ ვიხილავთ იმის წუნარ სახეს. უცოდინარობამ და შავმა ძალამ გამოგლიჯა იგი ხელიდან. მაგრამ ჩვენს სანუგეშოდ ხელში შეგვრჩა მისი სქმენი და მისი გონების ნაწარმოები—ნაწერები. საქართველოში არც ერთი საზოგადო დაწესებულება არ არის, რომ ან იდეას თანხმობით, ან იმის რჩევით ან კიდევ დახმარებით არ იყოს დაარსებული, :ველა ამ დასესებულებას აქვს საზოგადო მიზანი : დაეხმაროს ქართველობას, ნაბიჯი წადგას კულტურულ სარბიელზე, დაადგეს ქართველობა წარმატების გზას, რომ ორც განათლებით, ისე ეკონომიურის გაუმჯობესებით ერთი

ამ დაწესებულებათაგანი არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. 28 წელიწადი იყო ჩვენი მგოსანი იდია თავმჯდომარის ამხანაგად, ამ საზოგადოების დაარსების პირველ წლებში და მერე თავმჯდომარედ, რადგანაც შავმა ბედმა მოგვაშორა დაუვიწყარი დიმიტრი უოფიანი, რომელიც აგრეთვე აქ განისვენებს და მისი ძეგლი დაჰყურებს ჩვენს გაშოუქმელ მწუხარებას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უმთავრესი მიზანი ის არის, რომ სწავლა მოაწყოს ყოველგან ქართულ ენაზე. საზოგადოებას დიდი დაბრკოლებანი ელობებოდა წინ და ჩვენი იდია ხმარობდა თავის მძლავრ ძალას დაეთრგუნა ეს დაბრკოლებანი.

უფრო ძვირი განძია ჩვენთვის მისი ნაწერები. იდია უდვიძებს ქართველებს იმ გვარ გრძნობებს, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი არ არის, ხალხი ხალხი არ არის; სამშობლოს, სიმართლისა, დაჩაგრულისა, ტოლნისა, შრომისა, ერთობისა და თავისუფლების სიყვარული—ი, გრძნობანი, რომელნიც ელვიძება ქართველებს იდიას ნაწერების კითხვით. ორმოცი წელიწადია ემსახურება იდია თავის ქვეყანას სახელოვანად. ჩვენ, იმის მეგობრები, ვალდებული ვართ განვაგრძნოთ და გავაფართოვოთ მისი საქმენი, მისი ნაწერები მოვუთინოთ საქართველოს ყოველ კუთხეში და ამით მიუშუქოთ იმათ, რომელნიც დარჩენილან კიდევ სიბნელესა და უტოდინრობაში. თვით იდიას, როგორც ყოველგან, სადაც ხალხი თავის თავს პატივსა სცემს და თავის გამოჩენილ მოღვაწეებს და მგოსნებს ათასებრ ანთებს, უგოთ შესაფერი ძეგლი.

იდიამ თავისი უკეთესი დღენი კასტარა ტფილისში, უკეთესი ლექსები და მოთხრობები დასწერა აქ და მისი მოღვაწეობა უველა ტფილისელთ, განურჩევლად გვარ ტომობისა, თვალ-წინა აქვს; მისი ლექსები, მისი მოთხრობები, მისი მშვენიერება ბევრმა იცის ქალაქში. ამისათვის ძეგლიც უნდა დაედგას მას ტფილისში თვალსაჩინო ადგილას, რომ



პროცესია მამადავითის მთაზედ.

უველას შეეძლოს ნახვა — შინაურსაც და გარეულსაც, ბატონისაც და დიდსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც. ამას ექმნება დიდი მნიშვნელობა, როგორც წარმავალ, ისე მომავალ თაობისათვის. მართალია, უველა შეგნებულ ქართველს დიდი ხანია უდგას იდეას ძეგლი თვის გულის ფიცარზე, მაგრამ ეს ძეგლი უხილავია, მხოლოდ ხანდახან გადაიქცევა ხოლმე სიდუხად — როგორც ეხლა მოხდა. საჭიროა სიდუხი ძეგლი იდეისი უველასათვის.

მშვიდობით, დიდებულო მგოსანო, შესანიშნავო, მშვენიერმეტყველო, ნამდვილო მოქალაქევ! მშვიდობით უკვდავო იდეავ! ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ სასოგადოების გამგეობა მუხლ მოდრეკილი და გულდაკოდილი გეთხოვება შენ, გეთხოვება და ფიცს გაძლევს, რომ შენგან ნამორჩეულ გზას არა დროს არ გადუხვევს.

ვ. გელოვანის სიტყვა.

სახელოვანო მგოსანო და მამულიშვილო ილია! შენ დიდებულ ცხედრის წინაშე ვდგევარ და ვსტირი არა შენს სიკვდილს, არამედ დაობლებულს ერს, რომელსაც თავისი საუკეთესო შვილიც ვერ დაუცვია მტრებისაგან... მე აქ არ მოვსულვარ იმისათვის, რომ აღვნუსხო შენი ქართველ ერისადმი სამსახური და შენი ვინაობა. ამისი არც ძალა შემწევს, რადგან მოღვაწეობა შენი ნამეტანი რთული და მრავალ-მხსოვანია და არც საჭიროა, რადგან ამის დამფასებელი დღეს მთელი ერია, რომელიც დღეს გარს ახვევია შენს დიდებულ ცხედარს და ცხარე ცრემლით დასტირის. ვგონებ ეგ ცრემლები უფრო მჭევრ მეტყველურად ამბობენ, თუ როგორ აფასებს ერი შენს 50 წლის მოღვაწეობას.

მე დამავალა შენს ცხედარს თაყვანი ვსცე ბაქოში მყოფ ქართველთა იმ ნაწილმა, რომელიც ლუკმა პურისთვისა გადახვეწილა და ოფლსა ღვრის, მაგრამ ამავე დროს კუჭისათვის არ შეუწირავს თავისი აზროვნება; სწამს, რომ „არა ერთითა პურითა ცხონდების კაციო,“ ეთაყვანება ერის მესვეურს და აფასებს ეროვნულ თვითარსებობას. ა. ესენი ჩემის პირით დღეს აქ დასტირიან შენს ცხედარს და წყევლა-კრულვას უგზავნიან შენს მკვლელებს.

ნუ თუ ჰგონია მტერს, რომ შენ რამე დაგაკლო. შესცდა. შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა შენ ერთი ორად აგამაღლა. ვერც ქართველი ერის მტრები გახარებენ შენის სიკვდილით, ვინაიდგან შენ სიკვდილითაც დიდი ზიანი მიაყენე მათ. ვისაც თვალი აბია ის უთუოთ დაინახავს რომ შენმა სიკვდილმა უფრო გაუღვიძა ერს გრძნობები. დაე მტერი დაუკვირდეს, თუ როგორ შესძლებია ქართველ ერს ჭირში შეერთება და გარემოების და შესაფერად მოქცევა, დაე ეს დიდებული გაკვეთილი იყოს ჩვენთვის და შენ კი, ჩვენი ერის მესვეურო, განისვენე შენს სამშობლო მიწაში. უკანასკნელი ჩვენი თხოვნაა, გვაპატივე ჩვენი უგუნურება და ნაცვლად ამისა მიიღე ჩვენგან ფიცი, რომ ვიბრძოლებთ შენი საუკეთესო იდეალების განსახორციელებლად.

ილია ჭავჭავაძის სხოვნას.

ქართულ დრამატიულ საგოდებისაგან.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ქართველ ერის საკეთილდღეოთ მრავალ ფეროვანი იყო. დაუღალავი მუშაკი სხვათა შორის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ოთხმოციან წლებში ახლად ფეხ-ადგმულ ქართულ სას-

ცენო ხელოვნების დამკვიდრებაში. იღებდა მონაწილეობას როგორც პრაქტიკულათ, აგრეთვე ლიტარატურულად. პრაქტიკული მისი მოღვაწეობა გამოიხატა იმაში, რომ მან სხვა იმ დროის წარჩინებულ მოღვაწეებთან ერთად დაარსა ქართული დრამ. საზოგადოება. პირველ გამგეობის პირველი თავჯდომარე იყო. განსვენებულმა არც მწერლობით დასტოვა თეატრი უყურადღებოთ: დასწერა ორი პიესა, შესანიშნავი „დედა და შვილი“ და „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან.“ აგრეთვე ხშირათ სწერდა პირველ ხანებში რეცენზიებს, სადაც ამხნევებდა ახალგაზრდა მოღვაწე არტისტებს და მით მძიმე შრომას უადვილებდა. მადლიერმა, ქართ. დრამატიულმა საზოგადოებამ იგი აირჩია თავის საპატიო წევრად.

და ამ დღეს ქართული დრამატიული საზოგადოება ფრიად შეწუხებული შენისთანა ძვირფასი მოღვაწის და საპატიო წევრის დაკარგვით გიგზავნის უკანასკნელს სალამს.—

დიდო მგოსანო, მოჰკირნახულევ,
შენს წინ მუხლს ვიყრით მთლად ქართველობა,
შენი სახელი, შენი დიდება
ჩვენ სიამაყედ მარად გვეყოფა.
მოსიყვარულე მამულისშვილო,
ქართულის ენის გამომჭედელო,
მოძმეთა ჭირზედ მკვნესარო გულო,
ღრმა აზროვანო, უცხო მეტყველო!
შენთან მოვსულვართ დღეს ქართველები,
სამადლობელი გიძღვნათ სალამი...
დათალხულებმა ძაძით მოსილთა
თან მოვიტანეთ გლოვის ალამი.
გული გვიკვნესის, გონება ხელობს,
გრძნობა ბობოქრობს, აზრი ირევა,

წყვდიადი გმეფობს, ბოროტი გვახრჩობს,
მთელი ქვეყანა თითქოს ინგრევა!..
რა უკუღმართი დღე დაგვდგომია,
ჩვენივე ხელით მოგიღეთ ბოლო?!.
ქვეყნად შერცხვენილთ, დღეს დაკნინებულთ
ნუ თუ ჩვენც გვიყვარს ჩვენი სამშობლო?!.
შენ მოგკლეს ვერაგთ მზაკვრულის ხელით...
მაგრამ არ არის ეგ ხომ სიკვდილი...
მოკვდნენ ისინი, ვინც ბოროტებით
იყვნენ, არიან მარად მოსილნი.
დიდ-ბუნებოვან მგოსნის სიკვდილიც
ქართველ ერისთვის გზაა და ხიდი...
და ამ გზით ვიქლით დღეის შემდეგად
მის აზრისამებრ პატარა, დიდი.
აქ— ამ კუბოსთან—სწყდება წარსული—
ლაჩარი, უტყვი და ქედმოხრილი,.
სწყდება უკუღმა ნაგრეხი ძაფი
გარეწრობისა, აზრი მოქნილი.
დღეს ვიწყებთ ახალს, ხალხურს ცხოვრებას,
ჩვენ შევერთდებით ვით მტკიცე ერი;
მხნედ წავალთ წინა შეგნების გზაზედ
და ეგებ გავხდეთ ჩვენც ბედნიერი.
ჩვენო ილიავ, შენი სიცოცხლე
ქვეყნისთვის იყო საღვთო კანდელი;
შენი სიკვდილიც იქნება ჩვენთვის
საჭე დიდების—დაღუპულთ მხსნელი.
ვემშვიდობებით თაყვანის ცემით
სისხლით შეღებილს შენსა ჰალარას;
გრძნობით აღსავსე მაღალს შუბლს ნაგვემს,
რაც კვალათ მოგვცემს ბედშავთ აღარას...
კიდევ მშვიდობით, ჩვენო დიდებავ,

ჩვენო მოძღვარო, მკვდარო მწარადო.,
ვერ დაგივიწყებს ვერა ქართველი...
ძეგლი ჩვენს გულში სდგას სამარადო!..

დ—ნ.

ჟუთაისის ქართული გიმნაზიის

მოსწავლის

ყორყოლიანის სიტყვა.

ჩვენო სასიქადულო მგოსანო, ქართველთა სახელოვანო პუბლიცისტო, ქართველი ერის საამაყო პოეტო, ჩვენი ლიტერატურის ბურჯო, საყვარელო მწერალო და ძვირფასო ცხედარო! რაღა უნდა გითხრა, რაღაზე უნდა გესაუბრო, რაღა უნდა ვსთქვა მე იმის შემდეგ, როცა ამდენი ცრემლით, ამდენი ბოდმით აღსავსე, სამგლოვიარო, გამოსათხოვარი, როცა ამდენი გრძნობების შემრყვევი სიტყვები წარმოითქვა აქ შენს უგრძნობელ გვამთან, უშენობით დაობლებული ერის შვილებისაგან.

შენი უღვთო, ტრადიკული სიკვდილი იმგვარი მოვლენაა ყველა ქართველისათვის, რომ ერთნაირი სამწუხარო და მზა-მზარეული სიტყვა უნდა ედგას ენაზე ყველა ჩვენის ხალხის შვილს. დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის, როცა სული და გული აღშფოთებული გვაქვს, როცა მხოლოთ გრძნობები უსწრებენ წინ გონებას, ამ შენ ძალით, ხელოვნურათ შექმნილის სიკვდილის გამო, შეუძლებელია. ამას სულის სიმშვიდე, გონების დასვენება ესაჭიროება, რასაც დღეს ჩვენი ოჯახანიზმი მოკლებულია.

ან-კი რაღა უნდა გითხრათ, როგორის თვალებით შემოგხედოო, სხივოსანო ადამიანო, შენს ახლახან ძრისანეთ გამოსყურე სახეს?!

რაღა დამრჩენია გითხრა მე, ახალგაზრდას, იმ ახალგაზრდას, რომელიც შენს ნაწარმოებებზე და შენს გონების ნაყოფზე აცისარდე? არაფელი; მხოლოთ ორიოდე

სიტყვას გეტყვი თვით ჩემის ცხოვრებიდან: წამოვიზრდე თუ არა, გამაგებინეს, რომ ამ ჩვენთვის ადვილათ, და სასიამოვნოთ დასასწავლ ნაწარმოების შემქნელი ცოცხალია, — მისადმი უზომო სიმპატია, უსაზღვრო სიყვარული აღმეძრა და პატარაობიდანვე სურვილი გამიჩნდა, რაც უნდა შემთხვევოდა წავსულვიყავი იქ, სადაც ეს ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ფეხს ადგამდა, ესე იგი ჩვენის ქვეყნის დედა ქალაქში, მტრებისგან ათასჯელ აოხრებულ, თფილისს. მსურდა იმ ადამიანის ხილვა, რომელსაც თავის «კაკო ყაჩაღში», «გლახის ნაამბობში», და «კაცია-ადამიანში» და სხვა მრავალ ნაწარმოებებში მოთხრობილ ამბებით ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოეხდინა. ერთის მხრით მინდოდა იმ ქალაქის ნახვაც, რომელშიც ყოველი ჩვენი ისტორიული დიდება თავს იყრიდა, სადაც ერთ დროს ალა-მამადხანი, თავის გამანადგურებელ ვერაგობით თარეშობდა, სადაც ყოველი ადგილი ჩვენის წინაპრების სისხლით იყო მორწყული, სადაც ჩვენი ცხოვრება ყვაოდა, მაგრამ მეორეს მხრით ჩემი წყურვილი, ჩემი უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ჩემის საკუთარის თვალებით დამენახა ის პოეტი, მასწავლებელი, ის სხივებით ბრწყინვალე და ჩირაღდანივით მოელვარე ადამიანის სახე, რომელიც თავის საქმეებით მიზიდვა მე. მსურდა ამგვარი კაცის ხელს თუ არა, ტანისამოსს მაინც მივკარებოდი და სიამოვნება მეგრძნო, მაგრამ სხვა და სხვა პირობებმა ხელი არ შემიწყვეს და ეს ჩემი მიზანი დამრჩა დღევანდლამდის განუხორციელებელი: ვერც თფილისი ვნახე აქამდი და ვერც შენ, — ძვირფასო მგოსანო!

მე მსურდა, პოეტო, შენი მოელვარე, შენი მხიარულით სურათით დანახულ მომდიმარე სახე, ცხადათ, აშკარათ მენახა, მე მწადდა შენი მაღალი, მირთხეულები შუბლი დაეჭმუნავათ მეხილა, მე მინდოდა შენი გაბრწყინვებულის, ჩვენთვის არა ერთხელ ატირებულის, გენიერი თვალების დანახვა; ჩემი სურვილი იყო იმ თავის მარღვების ფეთქას შევსწრებოდი, რომელნიც ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოთ, აზროვნებდა, ჩემს მიზანს შეად-

გენდა იმ სულის ამოთქმა-ჩათქმის მოწმეთ ყოფილვიყავ, რომელზედაც თითონ შენ ამბობ, დიდებულებივანო მგოსანო: რომ «ერის წყლული მაჩნდეს წყლულათ, მეწოდეს მის ტანჯვით სულიო», მე კესწრაფოდი იმ გულის ფეთქა-ძგერას შევსწრებოდი, იმ **მტკიცე** გულის ცემას დავყურადღებოდი, რომელზედაც თითონვე შენ ამბობ. «მის (ერის) ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გულიო, მე მსურდა იმ ადამიანის ორგანიზმის სავსებით დანახვა, რომლის პატრონი «ერის მოძმედ იყო ჭმუნვასა და სიხარულში».

მაგრამ რა, რა სურათს შევესწარი მე აქ, ამ ქალაქში პირველათ ჩამოსულ ყმაწვილ: სამგლოვიაროთ შემოსილა მთელი ქართველი ხალხი, სუნთქვა ჩავარდნია დიდ ქალაქს, დიდი, პატარა აშფოთებულ-შეწუხებულია და სასოწარკვეთილებას მისცემია; ნეტავ რატომ? ყველა ეს იმიტომ მოხდა, დირსეულო ქვეყნის შვილო, რომ შენ ისე ვერ დამხვდი, როგორადაც მე მოველოდი. მე მოველოდი შენის ბრწყინვალე სახის დანახვას, — შენ-კი უკმაყოფილოთ, მრისხანეთ გამოიყურები, მე ვფიქრობდი იმ ბაგეთ ვიხელდი, რომელიც ჩვენთვის არა ერთხელ ამოძრავებულა, მე-კი რას ვხედავ: ჩამავებულა ეგ ტუჩები და ერთი მეორეს მიგკვრია, შიგნით დაგდუმებია შენი მოჭიკჭიკე ენა, უმოქმედოთ გაუნძრევლათ დაგიგრეფია ის მადლიანი ხელები, რომელთაც უშუშევრობა, გაუნძრევლობა არ შეშვენის და რომელიც უწინ ჩვენთვის არა ერთხელ დაღალულა; მე მოველოდი შენ გულის, სათნოიან გულის ცემას მაგრამ რა, — გამწყდარა, იმ მკბილ ხმიან ჩანგის სიმები, რომელიც მელოდიურის ხმებით ჩვენთვის ყღერდა, მე მეჯონა შენს სათნოიან სულს მოძრაობს შევესწრებოდი, რომელშიც მოვტყუვდი — შენი. ჩვენს ხელში ისეც დატანჯული, არა ერთხელ შეწუხებული სული, სადღაც წასულა, — რადაც ძალას ერთბაშათ გაუჩერებია ამ დაუღალავ არსების მექანიზმი; გაყვითლებულა, ჩაშვებულა ის ძიმზიდველი თვალები, რომელნიც მტერს გულსაკლავათ, ფართოთ გაშლილი შეყურებდა. ვერ გიხილე, პოეტო, ვერა ისე,

რაგორც ძე ასურდა. უსინიდისოს უნამუსო სულებმა მაგვახადეს პატიოსნების ქუდი, მაგვჭრეს თავი ისტორიისა და კავშირობის წინამე; შენ შენსავე სიცოცხლეში აიგე ქართველთა გულში შენის საქმეებით იმგვარი ძეგლი, რომელიც ნაპოლეონის მატერიალურ კოშკისა, საბერძნეთის პირამიდებისა და შენს სატრფიალო მყინვარზე უფრო მაღალია, რა მოკლავს ცხოველ შენს აზრს, პოეტო; როცა შენ მოკვდი, მხოლოთ ახლა დაინტერესდა შენის ქმნილებით ჩვენი საზოგადოება, ჩვენი სალხის ფართო მასსა. ჩვენ გვმართებს ჩვენისავე მდგომარეობისა და, ერთის ქართველს დაპეშის არ იყვეს, « ჩვენისავე სირცხვილს ტირილი », თორემ ილია არ მომკვდარა! მოგვართავთ, ქართველნო ღედებო, უნდა თქვენც დამწუხრდეთ, კინაიდან ალარ არის ის მასწავლებელი, რომელიც **ძმობის, ერთობის,** თავისუფლების ჩანერგვას გიქადაგებდათ თქვენის შვილების გულში! ჩვენთანვე იტირეთ, თქვენც, პაწია აკვნის ბავშებო, რომელთათვის ილიამ თქვენს დედებს ტკბილი « ნანა » ასწავლა! ჩვენთანვე იტიროს ყველა გლახაკმა, დავრდომილმა, ყველა გლეხმა, რომელთა ყოფაცხოვრების განკარგების-თვის იბრძოდა ილია! ჩვენთან იგვლოვოს ყველა პატიოსანმა ჩვენი ქვეყნის შვილმა! დეე, იგლოვოს ქართველმა ერმა, რომ ამიერიდან ილიას ბიოგრაფიას შავი ჯვარი უნდა დაესვას და უნდა ითქვას: « ილია დაიბადა და მოკვდა ამა და ამ წელსა »-ო. შეიბრალეთ ის ბნელეთის შალხი, რომელთაც იუდის რიცი იკისრეს და რომელნიც ადგილი შესაძლოა აქა ზართ სადმე, სინიდისიც არ გქონდეთ, შეიძლება გულგრილათ, დიმილითაც შეყურებთ ამ საერთო გლოვას და თავს ცოცხლათვე არ იმარხავთ.

შენ-კი დიდებულო მგოსანო, რა პირით შემოგხედო და რით განუგემო, როცა « გზადავ ჩვენს ბედშავობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს, ჩვენსა წამხდარს მგზირობას, და მაძულს დაობლებულს », — არაფრით მხოლოდ შენის ანდერძისამებრ « მტერს დავცემით მეხათ ». უსირცხვილოთ გული გაგიგმირეს, კერაგულათ მოგკლეს, როგორც აკაზაკი შარა გზაზე დაგაგდეს უმწეოთ და ყვავ-ყორან-

თა საწიწკნავაი გაგიმეტეს. ვერაფერს ვერ გეტყვი, ვერა. წაგიღებთ ახლა დაგასვენებთ იქ, სადაცვერთი შენი ამხანაგი, დიმიტრი ყიფიანი გელოდება, რომელიც, მართალია, მისიანებს არ ძალუკლავთ, მაგრამ მაინც მასაც შენსავით ბედი ხვდა და მოისვენე მთაწმიდაზე, სანამ შენს სულს არ შეგატყობინებთ, რომ შენი ნაწარმოებით, უკვე ყველა დაინტერესდება და ნიადაგიც მომზადდა მათის ყველასთვის ხელმისაწდომათ, აწ-კი განისვენე, დიდსულოვანო, პოეტო, ახლა-კი მშვიდობით, გეთხოვები ჩვენი ქვეყნის ხალხის წინამძღოლთა წინამძღოლო.

მცირე განმარტება *)

(წერილი ,,ჩვენი გზის'' რედაქციისადმი)

საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვუძღვნა თქვენის გაზეთის შენიშვნას შესახებ ჩემის პაწია წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში, და იმედი მაქვს, რომ თქვენი რედაქცია არ დაიშურებს მცირეოდენ ადგილს ამ სტრიქონებისათვის.

ხსენებულს პაწია წერილში მე განსვენებულს ილიას შევეხე არა როგორც მგოსანს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს, არამედ როგორც წევრს თავად-აზნაურთა წოდებისას, და აღვნიშნე, რომ იგი ყოველთვის ებრძოლა ვიწრო ეგოისტურ წოდებრივს მიმართულებას,

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო გაზეთ ,,ჩვენ გზა''-ში შემდეგის კილოთი: რედაქცია ამ წერილს ბეჭდავს მიუხედავათ იმისა, რომ ავტორს ბევრში არ ეთანხმება.

რომელსაც არ ერიდებოდა დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურობისა. დავასახელე ორი შესანიშნავი ფაკტი. როცა სათავად-აზნაურო ბანკის წესდებას ადგენდენ, დიდს უმრავლესობას უნდოდა წმინდა მოგება მოხმარებოდა მხოლოდ მემამულეთ, რომელნიც აარსებდენ ბანკს. ილია წინ აღუდგა ამ აზრს და დიდი მეცადინეობის შემდეგ მიაღწინა ის აზრი, რომ მოგება ხმარდებოდეს როგორც მემამულეთ, ისე მხვნელ მთესველთა (**въ пользу землевладѣльческаго и земледѣльческаго сословій**). როცა სააზნაურო სკოლას აარსებდენ, აქაც ილია ეცადა, რომ სტიპენდიატებად ინიშნებოდენ არა მარტო კეთილშობილთა შვილები, არამედ მხვნელ-მთესველებისაც.

ამ ორ ფაქტს, ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილმა „ტფილ. ლისტოკ“-ში დაუმატა შემდეგი ფრიად დამახასიათებელი ფაქტი: ბატონ-ყმობის გაუქმების წინათ, თავად-აზნაურობამ მოახდინა საზოგადო კრება, რომელზედაც თითქმის ყველანი ითხოვდენ თურმე გლეხების განთავისუფლებას უმამულოთ, უმიწოთ. ილია თურმე მედგრად აღუდგა წინ ასეთს აზრსა და მოითხოვა განთავისუფლება გლეხებისა მიწა-წყლით. ამან თურმე მეტად გააბრაზა კრება, ასე რომ ილია კინაღამ დარბაზში ხანჯლით დაჩეხეს, და შემდეგაც თურმე მოსაკლავად დასდევდენ.

რაც შეეხება ილიას შეხედულებას წოდებათა არსებობაზე, ყოველი მისი ნაწერი, პროზით, თუ ლექსით მჭერ-მეტყველური ღაღადისია არ არსებობის წინააღმდეგ. დაწინაურებულს ქვეყნებში: ამერიკაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში წოდება აღარ არსებობს, მოსპობილია და ჩვენშიაც ასე უნდა მოხდეს მომავალში ეს კარგად იცოდა ილიამ და სრულიად თანაუგრძნობდა, მაგრამ ისიც კარგათ ესმოდა, რომ ეს ისე ადვილი არ

არის. ამის მაგალითია ევროპა საზოგადოთ და კერძოთ ინგლისი, მეზობელ ქვეყნებზე უფრო დაწინაურებული თავისუფლებით და კულტურით. ინგლისელებმა ძლიერი მეფობა მთლად დააუძლურეს, ფიქციათ გახადეს; მაგრამ ლორდები კი თავიდან ვერ მოიშორეს და ისინი დღემდის მაჯლაჯუნასავით აწვანან გლეხკაცობასაც, მუშებსაც, ბურჟუაზიასაც, ქვემო პალატასაც და თვით მეფესაც, მიუხედავად ამისა, ლორდების წინააღმდეგ ტერორს არავინა ხმარობს, რადგანაც სრული იმედი აქვთ, რომ მათ მშრალზე, გარიყამენ კულტურული ღონისძიებით.

ყველა კარგათ ხედავს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა აჩრდილიც არ არის ინგლისის ლორდებისა. მას დაკარგული აქვს ყოველი ძალა და მნიშვნელობა, და მამულიც კი ხელიდან აქვს წასული. თითქმის თავისი უძრავი ქონება დაგირავებული აქვთ დიდ ფასათ, შემოსავალი ძლივს ასდის სარგებელს, და წინანდელნი დიდნი მესაკუთრენი, დღეს უბრალო მოურავობის როლს ასრულებენ. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყველას მდიდარი გვეგონა, არ შეადგენდა გამოკლებას. ორივე მამული კახეთისა და საგურამოსი დაგირავებული ჰქონდა იმდენ ფასში, რომ შემოსავალი სარგებელს მთლად ვერ იხდიდა, და ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერის დროს შიმშილს გამოსცდიდა.

ასეთ ყოფაში ჩავარდნილს თავად-აზდაურობას დღენი დათვლილი ჰქონია ყველგან, და ჩვენშიაც იგი ახლო მომავალში გახდება მსხვერპლი უბრალო ევოლიუციისა, ან სიცოცხლეს შეირჩენს იმითი, რომ მშრომელი ხალხის თანასწორ და ღირსეულ მოძმეთ გადაიქცევა. ყოველი ძალმომრეობა, ყოველი ტეროროისტული აქტი, გარდა გაფიცვისა და ბოიკოტისა, აქ არამც თუ არ აჩქა-

რებს ამ ცვლილებების და ლიკვიდაციის განხორციელებას, არამედ შეაჩერებს და დააგვიანებს სწორედ სწორედ ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის ბარბაროსულმა მოკვლამ იგი კი არ დაამცირა, დიდათ დაეხმარა მისს სახელს, მისს დიდებას, მისს გავლენას და უკვდავებას...

პირადათ ჩვენ მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულ-წრფელნი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა, და ყოველგვარი ბატონობა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას: გვძულდა ბატონობა თავად-აზნაურობისა, ბიუროკრატიისა, ბურჟუაზიის ვერ თანაუგრძნობთ იმ მომავალს მოვლენასაც, რომელსაც ეძახიან პროლეტარიატის დიქტატურას. ყოველგვარი თვითმართველობა და დიქტატურა ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დიდ სიბოროტეთ და დიდ უბედურებათ, ვის ხელშიაც უნდა იყოს იგი. მშრომელის ხალხის სრულს განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და რაც კი შეგვეძლო, ვეხმარებოდით. ჯერ ისევ ოცდახუთის წლის წინათ, სახელდობ 1881 წელს, აპრილის თვეში გაზეთ „დროება“-ში ჩვენ დავსტამბეთ ორი მოწინივე წერილი, სადაც გავატარეთ ის აზრი, რომ ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვნელ მთესველთა ხელში, ზავოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაპიტალიზმში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლება-მეთქი, და დარჩება ახლანდელი აუტანელი მდგომარეობა, როდესაც მცირე ნაწილი კაპიტალისტებისა ჰყარს სიმდიდრისაგან და უმთავრესობა — სიღატაკისაგანაო“... ეს უკანასკნელი აზრი, მეტ-ნაკლებით მართალია ოცდახუთის წლის წინათ ქართველობის შესახებაც, ახლა საფუძველს არის მოკლებული, რადგანაც სიმდიდრით ჩვენში ეხლა თითქმის აღარავინა ყარს, და ყველას სიღატაკის ნატისუსალი ასდის.

იაკობ გოგებაშვილი.

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული ყვირილის საზოგადოების წარმომადგენელის თეოფ. ხუსკივაძისაგან თ. ილია გ. ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს ქ. თფილისში 9 სექტ.

„ვაი რა კარგი საჩინო, რა ავათ მიგიჩნიესო ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაარჩიესო“. ტანჯულ-წამებულო ჩვენო მოღვაწევ!..

მწუხარებით ვსრულებ ყვირილის საზოგადოების ბრძანებას... გულდამწყვრი გადგივარ ოსვზე და მეუბნებით მსურს გადმოგცე ის სულიერი აღშფოთება, რომელიც შენმა მოწამებრივმა სიზიზღრმა სიკვდილმა გამოიწვია....

მსურს ეს გრძნობები მწუხარების ნადგელში გავფესო და შეუშრეტელ ცრემლთა ნაკადულით დავფრქვიო შენს უძვირეს კუბოზე, მაგრამ ..... მაგრამ სიდგანლაც რადაც უცნაური ხმა მოისმის, გიდაცის ბრწყინვალე შარავანდედით მოცული ახალი მრისხანეთ მიდგია წინ და გულის წყრომით მიშტერებს თვალებს!....

ეს მრისხანე ხმა, ეს ბრწყინვალე შარავანდედით მოცული ახალი შენია, შენი ჩვენო წამებულო, სიზოგადო მოღვაწევ!...

ეს მრისხანე ხმაც — შენი ჩვენდამი სიყვედურია!.. დიახ!.

სრულიად მართალი ხარ!.. მართალი ხარ რომ გვისიყვედურო!..

ჩვენ მარტო ზიზღისა და დამცირების ღირსნი ვართ!. ჩვენ ვერ დავიფარეთ შენი დიდი პიროვნება... შენის სიკვდილით ჩვენი არსებობის დღენი მოგვკლით, თავი შევირცხვინეთ, ერთგული ამხანაგნები კავკარეთ, გავქარწყლეთ, მაგრამ.... კიდევ იმედი! კიდევ დიდებული შენი პიროვნება უნდა იქნეს თავდები იმისა, რომ უკეთესერს გვაპატიებთ და შენი უკვდავი გონების ნაწარმოები იქამდის იქნება ქართველი ერის აღმზრდელი, დამტკბობი და ბრძოლით მოცულ გზის

გამანათებელი, სანამდის საქართველოში უკანასკნელ ქართველს ხირში სული ედგმის...

მაშ დამშვიდდი, ნუ იდშფოთდები!!

კვლავ მაინც მშვიდათ და წყნარათ განისვენე, ტანჯულ-წამებულო მოხუცო!...

ძ. სოხუმი.

აქაურ ციხის პოლიტიკურნი პატიმარნი ვიზიარებთ დაობლებულ საქართველოს თავისუფლად მყოფთ ასულთა და ძეთა მწუხარებას, მათთან ერთად ძაძით ვიმოსებით და ვგლოვობთ ყველა წერაკითხვის მცოდნე ქართველთა, უებრო მასწავლებლის და მოქალაქებრივის შესანიშნავ მოძღვრის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებას. ჩვენს ზიზღს ვუგზავნით იმათ, ვინც საქართველოს ასე ვერაგულად მოსტაცა მისი სიამაყე და მისი დიდება. დარწმუნებული ვართ, რომ ავაზაკნი, რომელთაც მხცოვან მოხუცის წვინდა სისხლით ხელი შეიღებეს, და მათნი სულის ჩამდგმელნი სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გართხმულნი.

თ. სახოგია.

სამშობლოს ძმანო და დანო!

9 ამ თვეს უღმრთოდ და ვერაგულად სამშობლოსათვის წამებული ილია მშობელმა მისმა, როგორც ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი, ჩაიკრა სამარადისოდ თავის მშობლიურ გულმკერდში!.. მიისვენა იგი როგორც წინამორბედი თვისი ცხოვრებისა — თვისი არსებობისა!.. და გულამოსკვნილი ცხარისა ცრემლებითა და ნაღვლიანისა ხმითა, მიმართა თვის სანუგეშო და საიმედო შვილს ილიას მკვლელს — ბოროტ ავაზაკებსა:

აწ, თქვენთვის არამი იყოს ჩემი ამაგი! თქვენდამი ჩემი ზრუნვა, შრომა და ღვაწლი! ჩემი მშობლიური ტკბილი ძუძუ, რითაც გაიკვებენით! შიშვლები შეგმოსეთ, ობლები დაგვავაჟკაცეთ, ცოტათ თუ ბევრად ცხოვრების საასპარეზო მოედანზედ გამოგიყვანეთ, იქნებ მომშველებოდით და ჩვ[illegible]ს ძველს წყლულებს მალამოს დამიდებდით და მით ტანჯვა-მწუხარებას შემიმცირებდით და დამაიმედებდით — მეთქი, მაგრამ ამაოდ!.. თქვენისთანების შობასა, ქვა რომ მეშობა იქნებ სამშობლოს სახეიროდ სადგომებზე ანუ გზა-ტკეცილზედ მაინც მოხმარებოდა, ხოლო ამგვარი შემარცხვენი, საზარელი და თავ-ზარ დამცემი შემაძრწუნებელი საქციელი არ მომხდარიყო?!

თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემის ცხოვრებისა!. თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არე-მარისა!.. თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!.. თქვენ უარჰყავთ ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეულ ისტორიის საზღვარს იქითა!.. თქვენ დამასახიჩრეთ!.. თქვენ დამამახინჯეთ!.. ამომთხარეთ შანთებით ორთავ-თვალები! ამომგლიჯეთ ენა, გულღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალათმა!..

აწ, ძალ აღარ მიძს! დასტკბით ჩემის სისხლითა, გაიხარენით სამშობლოს მტრებოვო!

აი ამგვარის ცხარე ცრემლებითა და წყევა-კრულვით მოგმართათ სამშობლომ, ილიას სამარისაგან, ამ გულ შემზარავი საქციელის გამო, მაგრამ მშობლიურის კილოთი გამონათქვამი ნაღვლიანი გოდება თქვენ ყურთა სმენას ეჩოთირება! და არა გსურთ გაიგოთ ის, რაც თქვენთვის საინტერესო არაა და რაც თქვენთვის უმნიშვნელოა!..

ოჰ! ღმერთო ჩემო! ეს რა გადაჭარბებული, რა

მახინჯი და რა თავ-ზარ დამცემი მოვლენაა?.. განა მოსაზრებული უნდა ყოფილიყო ესეთი საზიზღარი საქციელი?.. ვინმე ვარდის კონითა რომ შეხებოდა ილიას, ესეც არ ეპატიებოდა!.. მტრებზედ შესატევი იარაღი, იხმარებოდა განა სამშობლოს საუკეთესო შვილზედ?.. სირცხვილი თქვენს ვაჟკაცობას!.. სირცხვილი თქვენ მამულიშვილობას, თქვენს ადამიანობას!.. განა დღეის იქითა შეგიძლიათ სთქვათ, რომ ჩვენც ვართ ადამიანიო?!. არა! ამის თქმის უფლება დღეიდან სამუდამოდ დაკარგული გაქვსთ!

აბა ერთი მითხარით, რას ერჩოდით იმ მწუხარეს და მშვიდობიანს მოხუცს?., რა დააშავა მან? რამ მოგაფიქრებინათ და გადაგაწყვეტინათ ეგ შხამიანი საქციელი? იქნებ იმისათვის მოჰკალით იგი, რომ დაუღალავათ იბრძოდა თავის სამშობლოსათვის? იქნებ იმისათვის მოჰკალით ის დიდებული მგოსანი, რომ იგი დიდს თაყვანს სცემდა დედა ენას და თავის ქვეყნის ერსა?.. იქნებ იმისთვის აწამეთ ის მეცნიერი, რომ იმან ყველას ამცნო და შთაუნერგა განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეროვნული გრძნობანი და სიყვარული?..

შეცდით, თქვე უგუნურებო! შეცდით და ვერ გაიგეთ მისი ცხოვრება, მისი მიმართულება, მისი სერიოზული აზრები და ოდნავადაც ვერ დააფასეთ იგი! მისთანა სულმნათ მოღვაწეებს სხვა განათლებულ ქვეყანაში სიცოცხლეშივე ძეგლს უგებენ, ხელით ატარებენ და სულში ისმენ. თქვენ კი გულს უგმირავთ და ზედ მეტ ჩირქსა სცსებთ! რისი იმედი გაქვთ? თუ დღეს ცხოვრების ჩარხი მრუდეთ ტრიალებს, ნუ გგონიათ რომ ეს ხანგრძლივი იყოს! ცხოვრება მალე ჩავარდება თავის კალაპოტში, ის მალე დაიწყებს ჩვეულებრივად ტრიალსა

ეკლესიის ინტერიერი

და პირუთვნელად აღწუსხავს ყოველივე იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მოიხვეჭეთ და დაიმსახურეთ!

დიაღ! დიდი დანაშაული მიგიძღვისთ, როგორც ილიას — ისე სამშობლოს წინაშეც, მაგრამ ჯერ კიდევ საშუალება გაქვთ, ოღონდ კი გულწრფელად მოინდომეთ და ხმა მაღლა აღიარეთ საქვეყნოდ:

„ჩვენ სინდისმა გვილალატა, უგუნურებმა შეგვაცდინა, შურმა დაგვძლია, გთხოვთ მოგვიტევოთ; თქვენ სულგრძელი და მომთმენი ბრძანდებით, მუხლ მოდრეკილი თქვენს წინაშე შენდობას ვითხოვთ — გვაპატიეთ შეგვინდეთ! ვიცი და მჯერა ილია ისეთი სულგრძელი და გრძნობა მაღალი არსება არის, რომ გაპატიებთ და თან სამშობლოს წინაშეც იშუამდგომლებს, რომ თქვენ აქაც იქმნეთ შენდობილნი!

აი თქვენდამი ჩემი რჩევა და დარიგება, თქვე უბადრუკნო და მუხანათნო!

მემედ-ბეგ აბაშიძე.

ბატონო რედაქტორო!

არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვსთქვათ ჩვენი მწუხარება საუკეთესო მგოსნის ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო, მოწიწებით მუხლს ვიყრით ყველა ქართველები მის ცხედრის წინაშე და ზიზღს ვუცხადებთ იმ უგუნურ მტარვალთ, რომელთაც ჩვენ მოგვაშორეს უბადლო მგოსანი ილია ჭავჭავაძე.

ყველა ქართველ სალდათების მონდობილობით ქალაქ გროდნიდგან **ს. გარაყანიძე**.

ილია ჭავჭავაძის სსოვნას.

ხვალ, ენკენისთვის 9-ში, ასაფლავებენ ჩვენ მეზობელ ქართველთა დიდ (პოეტ) ილია ჭავჭავაძეს.

ჩვენ უკვე დავბეჭდეთ მის ტრაგიკულ სიკვდილის შესახებ დაწვრილებითი ცნობები; დღევანდელ ნომერში კი ვბეჭდავთ ქართული პრესის სამგლოვიარო წერილებიდან და სხვა და სხვა ჯგუფებიდან და დაწესებულებათაგან მიღებულ დეპეშების ნიმუშებს.

ჩვენ არ ვეთანხმებოდით მიცვალებულის მსოფლიო მხედველობას, არ მოგვწონდა მისი შეხედულობა ეროვნებისა და განსაკუთრებით სომეხთა და ქართველთა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ვაფასებთ მის დიდ მნიშვნელობას ჩვენ მეზობელ ერისისათვის, მან გამოაღვიძა ქართველთა სალიტერატურო-ხელოვნება და წინ უძღოდა მას.

ის დიდი მწუხარება, რომელიც მოსდებია ქართველ საზოგადოების ყოველ წოდებას, ის წრფელი მწუხარე გრძნობები, რომელიც გადმოსჩქეფს ყოველ მხრიდან,— ცოცხალი საბუთია იმისა, თუ რა დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა ხალხში ი. ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს.

და ჩვენ სამძიმარს და მწუხარე პატივის ცემას უცხადებთ იმ ადამიანის ხსოვნას, იმ მწერალს, იმ ნიჭიერ პოეტს, რომელსაც შესძლებია ისე მოხიბლვა თავის მკითხველებისა.

მისი ნაწერები ის უკვდავი ძეგლია, რომელიც დიდხანს, ძრიელ დიდ-ხანს დაუვიწყრად შეინახავს ჭავჭავაძის სახელს ქართველ საზოგადოებაში და მის ლიტერატურაში.

„**ცნობის ფურცელი**“ № 6. ენკენისთვის 8-ში. 1907 წ.

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ხვალ ასაფლავებენ ქართველთა გამოჩენილ მწერალ პოეტ ილია ჭავჭავაძეს.

ჩვენი მეზობელი ქართველი ერი, რომლის რამდენიმე თაობა გაუწრთვნია და აღუფრთოვანებია ნიჭიერ მწერლის ნაწერებს, როგორც ერთი ადამიანი, ასე სდგას დღეს განსვენებული გვამის წინაშე. ის ესალმება თავის დიდ შვილს. რომელიც იყო მგოსანი თავის სამშობლოსი, თავისი ხალხისა და გამომხატველი ერის გულის წადებისა.

მაგრამ იმავე დროს დღევანდელი დასაფლავება თავის მრავალი დეპუტაციებით, დიდი ზნეობრივი ნუგეშია ქართველთა ერის საზოგადოებრივ თვითცნობიერობისა.

სამოცი წლებიდან დაწყობილი ჰავჰავაძე მოღვაწეობდა ქართველთა საზოგადო ცხოვრებაში და ის პირველი იყო იმ მოღვაწეებში, რომლებიც გამოვიდნენ განთავისუფლების დროს და ებრძოდენ ბატონყმობას.

ი. ჰავჰავაძე ქართველთა ახალი ლიტერატურის დამაარსებელი და მისი პირველი მუშაკთაგანი იყო.

მისი გრძნობიერი და აზროვანი ლექსები და ბელეტრისტული ნაწერები დიდი ხანია ქართველი ხალხის საყვარელი საკითხავი წიგნია.

დღეს, ჩვენი მეზობელი ქართველი ერი დიდს მწუხარეებაში იმყოფება და უცხადებთ სამძიმარს დიდი დანაკარგის გამო, და ვისურვებთ, რომ ი. ჰავჰავაძის სამშობლომ კიდევ შობოს ახალი ნიჭები, მიცვალებულის ნიჭიერის საქმის განსაგძობათ.

„მშაკი“ ენკენისთვის 8-ში. 1907 წ.

ქ-ნ მიროვიჩის სიტყვა.

როგორც რუსის ქალი და წევრი „სრულიად რუსეთის დედათა თანასწორ-უფლებიანობის კავშირის“, მე ვუერთებ ჩვენს ღრმა მწუხარებას ქართველ ერის

მგლოვიარობას. ჩვენ ყველანი, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მონაწილენი მხურვალედ თანაგვგრძნობთ, ჩვენ ყველანი გულში განვიცდით თქვენთან ერთად სისხლის დრამას, რომელმაც კავკასია მოჰფინა ასობითა და ათასობით უმანკო მსხვერპლით.... დღეს ჩვენ შევიკრიბენით თქვენის დიდებულის პოეტის საფლავთან. მხურვალე პატრიოტი და მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის, იგი დაეცა განგმირული უხეშისა და სასტიკის ძალისაგან. ეს ბოროტება აღაშფოთებს ყველას, ვისაც მოეპოვება აზრი და გრძნობა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ეროვნებასა და პარტიას ეკუთვნის. და მაინც ჩვენის არეულ-დარეულ ხანის ამ ახალის მსხვერპლის დაღუპვამ არ უნდა გამოიწვიოს სიძულვილი და შურის ძიების წყურვილი. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მომხდარი ბოროტ-მოქმედება, როგორც სხვა დანაშაულობანი, უმთავრესად ნაყოფია იმ უმეცრების სიბნელისა, რომელშიაც ხალხი ჩანთქმულია. ამ სიბნელის მოსასპობლად უძლურია საღრჩობელა. განათლება, აღზრდა ქრისტიანულს წესზედ, — აი ერთადერთი უტყუარი გზა, აი საით უნდა მივესწრაფებოდეთ ჩვენ ყველანი. ეგაა ის დიდებული მიზანი, რისთვისაც იბრძოდა დაღუპული პოეტიცა; და ჩვენ შეგვიძლიან საუკეთესოდ ვსცეთ პატივი მის ხსოვნას, მხოლოდ ამ იდეისადმი სამსახურითა. ჩვენ, ქალები, პროტესტს ვაცხადებთ იმ სასტიკის სისხლის ღვრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ბედნიერს მამულში ხდება; და დიდებულ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სახსენებლად ჩვენ ვიწვევთ ყველას მშვიდობიანობის მუშაობისათვის, ძმურის სიყვარულისა და სათნოების სახელითა. დაე, ჩვენი დევიზი იყოს: მეტი სინათლე,— სინათლე ჭეშმარიტის განათლებისა და ქრისტიანულის სიყვარულისა.

პანაშვიდი. 17 ენკენისთვეს ტფილისში, ებრაელთა თორაში, პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. ებრაელთა გარდა პანაშვიდს დაესწრნენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, წ. კ. საზოგადოებისა, ქართულ ბანკისა და სხ.

სიტყვა წარმოთქმული ტფილისის თორაში ებრაელთა რაბინის ი. ი. ლევინის 17 სექტ.

დღეს დავნიშნეთ ჩვენ დიდებული პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ქართველ პოეტის ილია გრიგოლის-ძის ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად, რომელზედაც მთელი ქართველობა სტირის და მოსთქვამს: „ვაი ჩვენ, გვირგვინი მოეხადა ჩვენს თავს. ილია გრიგოლის-ძის სიკვდილით ჩვენ მოგვაკლდა ბრძენი ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე და წარჩინებული წარმომადგენელი წევრი სახელმწიფო საბჭოისა. ამისათვის გვტკივა ჩვენ გული და თვალი გვიბნელდება..“ სიტყვა არ მოიძებნება ქართველ ერის ღრმა მწუხარების გამოსათქმელად ჰოი პატივცემულნო თანამოძმენო! ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენმა ერმა, თუ არა ჩვენ ებრაელებმა ქართველ ხალხის უბედურებას, რომელმაც დაჰკარგა ძვირფასი ილია გრიგოლის-ძე და მასთან ერთად მისი ეროვნული წარმომადგენელი. ჩვენ ებრაელები, რომელთაც არა გვყავს ასეთი სახალხო წარმომადგენელი მთავრობასთან, ძლიერ ვიტანჯებით, ვინაიდგან ჩვენი ავის მსურველნი ამითი სარგებლობენ და სცდილობენ ყოველთვის გაგვაშაყონ და დაგვადაბლონ ჩვენ მთავრობის თვალში, რომ შეაცილწროვონ ჩვენი უფლებანი და სხვა.

ჩვენზეა სწორედ ზედ-ჯამოჭრილი „ქებათა-ქების სიტყვები: „ნუ მიყურებთ, რომ შავი ვარ, ვინაიდგან მზემ დამწვა მე, დედის ჩემისა ე. ი ერთის მიწის შვილნი გამირისხდნენ და ცილი დამწამეს.“ აი რისთვის ჩვენ უნდა განსაკუთრებით თანაუგრძნოთ ქართველებს და მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა მათ თავს დამტყდარს უბედურებაში და გულით ვევედროთ ღმერთს რათა განუსვენოს წმინდა სული დიდებულის პოეტის ილია გრიგოლის-ძის ჭავჭავაძისა

გარდმოუვლინოს ცამან ქართველ ერს სრული ნუგეში მის აღუდგენელ დანაკარგისა გამოს. ამინ!

სიტყვა

თქმული ილიას მიმართ სიმონ ქვარიანისა წმ. დავითის მთაზედ.

— „ვხედავთ ჩვენს ბედშაობას,
ჩვენს ერთობის დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს“...

ეს მწარე სიტყვები აღმოხდა პოეტს გულიდან ამ 40 წლის წინათ, მაგრამ არას დროს არ ყოფილა ეს სიტყვები ქართველთა მიმართ ისე სიმართლით თქმული, როგორც ახლა. ძმანო და დანო! ვინ ვიგლოვოთ და ვინ ვიტიროთ! ძვირფასი ილია თუ ჩვენი თავი?! მხეცნაძირალების მიერ განგმირული დიდი მგოსანი, თუ ჩვენი შერცხვენა, ჩვენი სილაჩრე და არარაობა?!... ვინ ვიგლოვოთ! უკვდავი პოეტი, თუ ბედშავი ქართველი ერი?!...

მოჰკლეს ველურებმა დიდებული ილია, მოჰკლეს ერის ბრწყინვალება, შარა-გზაზედ დაანთხიეს ლაჩრებმა იმ

კაცის წმიდა სისხლი, რომელიც 50 წელს ჰფენდა აზროვნების სხივებს თავის დაობლებული ქვეყანას, რომელიც იყო ნახევარი საუკუნე ერის კანდელი და ბაირახტარი და რომელმაც შექმნა: „კაკო-ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“ და „განდეგილი“... დიახ, საზიზღარმა მხეცებმა მოჰკლეს ილია... მაგრამ მოჰკლეს კი იგი? **არა და არა!...** ამ სამარცხვინო მკვლელობით მხოლოდ უკვდავ ჰყვეს მგოსანი საუკუნოთ, ილიას აუგეს ერის გულში სპმარადისო ძეგლი. ამ მკვლელობით მიეკრენ თვით მკვლელნი თავიანთ დამჭაშებით სამარცხვინო ბოძზედ; ამ მკვლელობით თვით გაითხარეს შავი სამარე... — ზიზღი ნაძირალებს! ეს რა ვთქვი! ზიზღიო... არა, ზიზღი ბევრია მათთვის! **სიბრალული**! დიახ, სიბრალული მათ, რომ ასე ზნეობით დუხჭირნი შექმნა ისინი ბუნებამ და ულმობელმა ცხოვრებამ! **სიბრალული მათ, სიბრალული..**

კმარა! — დროა დაესვას წერტილი გარეწართა და ნაძირალათა საზიანო თარეშს და ნავარდობას! დროა მოეღოს ბოლო მათ საზიზღრობას!..

ქართველნო, დროა გავიღვიძოთ ახლა მაინც, დროა მოვიდეთ გონს და ვიცნოთ შინაური და გარეშე მტრები, დროა გავცეთ მათ შესაფერი პასუხი!... დეე ამ დიდებულმა მსხვერპლმა აღძრას ჩვენს გულში მიმქრალი ვაჟკაცობა, ერთობა, გმირული სული და ეროვნული გრძნობა! დეე ამ დიდებულმა მსხვერპლმა გვაქციოს ახლა მაინც ადამიანათ და მოსპოს ჩვენს შორის წვრილმანი კინკლაობა!...

ქართველებო, შევიფიცოთ ამ დიდებულ მცხედრის წინაშე, რომ ჩვენ საუკუნოთ შევიქმნებით მიმდევარნი იმ დიად გრძნობა — აზრების, რომელთაც მსახურებდა

პოეტი ამ ნახევარ საუკუნეს! ძმებო, დავაარსოთ ამ სამგლოვიარო დღის სახსოვრათ ილიას სახელზედ **საერო ფონდი**, რომელიც დაედება ფუძეთ ჩვენს მომავალს ეროვნულს კეთილდღეობას!

— და შენ დიდო სულმნათო, მღელვარე გულით მოვიდრეკ მუხლს შენს წინაშე და გევედრები შეუნდო უმეცართ თავიანთი სამარცხვინო საქციელი. შენ გახდი ფანატიზმის და უმეცრების მსხვერპლი, მაგრამ შენმა უმანკო სისხლმა, შენმა მაწამებრივმა სიკვდილმა მოიტანა დიდი ნაყოფი: აღძრა ქართველში კიდით-კიდემდე ეროვნული გრძნობა, აეხილა ბრმებს თვალები, დაანახა მკვლელ ავაზაკებს თავიანთი საზიზღარი სახე და აქ შეკრებით, საერთო გლოვით გვამცნო ქვეყანას, რომ კვლავ არსებობს ქართველი ერი, თუმც უბედური, მაგრამ სულით ისევ ძლიერი... შენ მოგკლეს ვერაგებმა დიდო მგოსანო, მაგრამ ქართველი ერის გული გარდიქცა შენთვის სამარადისო აკლდამათ, სადაც შეიმკე უკვდაების შარავანდედით... — სამშობლოს მიწავ, აჰა გაბარებთ ჩვენს ქება-დიდებას! მიუალერსე მას და ჩაიხუტე გულში შენი უუპირველესი შვილი, შენი დიდებული **ილია**...

სიტყვა ბეგლარ მამალაძისა.

დიდებულო მამულიშვილო ილია! ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს საზოგადოების გულს შემზარავი ხმა, ხმა საშინელი, ხმა დაუჯერებელი:

ვერაგულათ მოჰკლეს ჩვენი დიდება ილია ჭავჭავაძეო.

ვერ წარმოგვედგინა, ვერ შევრიგებოდით იმ აზრს, რომ ილიას ვინმე მოჰკლავდა, გაკვრვებით შევყურებ-

დით ერთი მეორეს და ველოდით ნამდვილს პასუხს ილიას შესახებ.

ვინ, რათ, რომელმა ჯგუფმა, რომელმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ წარმოშობა ისეთი ჯალათი, რომელმაც, ილიას უმანკო სისხლით თავის მურდალი ხელები დაიბანა?!

არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, არც ერთი საზოგადოება, ჩვენის შენგან დაობლებულის ქვეყნისა, რომ დღეს, სამწუხაროთ, თავსატეხ და საკვლევ საძიებელ საგნად არ ჰქონდეს ეს მხეცური მოქმედება; არ დარჩენილა არც ერთი შეგნებული და განვითარებული, არა სხვისი მონა და მორჩილი-ქართველი მოქალაქე, რომელიც ქართველს უწოდებს თავისს თავს და არ რცხვენია ამისა, რომ გულის სიღრმემდის არ აღშფოთებულ იყოს ასეთი საზიზღარ მოქმედების გამო.

ამას ამტკიცებს აქ, შენის დიდებულის ნეშტის გარშემო, გლოვის ზარით მოცული შემოკრებილი უთვალავი საზოგადოება, ამას ამტკიცებს საქართველოს ყველა კუთხიდგან მოსული ქართველი ხალხის წარმომადგენლები, გულ დაწყვეტილნი, განურჩევლათ კლასისა და წოდებისა.

დიაღ, დიდებულო მგოსანო, დღეს შენ გგლოვობს მთელი საქართველო, როგორც ერი, თავის საუკეთესო მამულიშვილს. შენში დიდებულო მგოსანო, ყველას აქვს წილი, როგორცა დიდებულ მოქალაქეში, შენში ყველამ დაჰკარგა თავისი წილი; მაგრამ.... ყველაზე მეტი დაჰკარგა შენში და ყველაზე მეტათ უნდა გიგლოვოს შენ მშრომელმა ხალხმა, მუშებმა, გლეხობამ და ჭირში და ლხინში მასთან მდგომმა ინტელიგენციამ.

შენ, დიდებულო მგოსანო, კანონიტათ გიწოდეს მეცხრამეტე საუკუნის შოთა-ქართველებისა.

შოთა რუსთაველი თუ მეთორმეტე საუკუნეში ქართველ ხალხის ბატონ-პატრონთ ძლიერის ხმით ეუბნებოდა თავის უკვდავის ვეფხის ტყაოსნის საშუალებით: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“-ო, შენც დიდებულო მგოსანო, მეცხრამეტე საუკუნეში, ამ შავბნელ დროს, აღიმაღლე ხმა, შეაქციე ზურგი ბრწყინვალე წოდებას, მიუხედავათ იმისა, რომ შენ მათ კლასს ეკუთვნოდი, მიემხრე ჰეშმარიტებას და „კაცია-ადამიან“-ში დაგმე შენ ლუარსაბ თათქირიძე და მისი ცოლი დარეჯანი, და, მიუთითე მაშინდელ გახრწნილ მებატონეებზე დაჩაგრულ ხალხს.

„გლახის ნაამბობში“ დახატე შენ, რა გამხრწნელი გავლენა ჰქონდა ადამიანზე ბატონ-ყმობას.

„დედა და შვილი“, შენ, მგოსანო, დიდის გრძნობით, ძლიერის ხელით დასწერე და აგრძნობინე, ასწავლე დაჩაგრულ ხალხს, ძმობა, ერთობის, სიყვარულის და თავისუფლებისადმი სიყვარული.

ამის შემდეგ, ნუ თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის, რომ ილია ღირსი იყო ასეთის წარმოუდგენელის სასჯელისა? მერე ვისგან, ჩვენ ქართველებისაგან?!

ნუ თუ ილია, ის ილია, რომელიც შავბნელ დროიდგან დაწყებული ორმოცდა ათი წლის განმავლობაში თავს გვევლებოდა, რომელიც ამოღებულ ბასრ ხმალივით დარაჯათ გვედგა, გვიფარავდა შინაურ უკუღმართობისა და სიბნელისა, გარეულ ჩაგვრისა და უსამართლობისაგან, ღირსი იყო იმისი, რომ ასე ვერაგულათ გაგვეგმირა მისთვის გული?!

ნუ თუ იმ ილიას, რომელმაც მთელი თავის ცხოვრება ჩვენ შემოგვწირა, არ დავაცალეთ ორი დღის სიცოცხლე რომ თავის დღით დაელია სული თავის ტანჯულ სამშობლოში, დაელოცნა ის, და ეთქვა უკანასკ-

ნელათ როგორც მოხუცებულს სიმონს: „აწ განუტევე მონა შენი“-ო?

თუ მართლა ისე დავეცით ჩვენ ქართველები, რომ ჩვენივე ხელით ტყვიით გაუგმირეთ ილიას გული, იმ შემთხვევაში სულ ტყუილია ზოგიერთების აზრი იმაზე, ვითომც ილია მოგვიტევებს და არ გაგვამხელს, დაფარვას ჩვენგან ტყვიით გახვრეტილს შუბლს ქართველ მოწამეთა წინაშეო.

მაგრამ მე კიდე იმედი მაქვს, რომ ქართველი ილიას არ მოჰკლავდა, ეს ტყუილია.

ილიას მკვლელი უსათუოდ გადაშენების გზაზე დამდგარი ამ უკუღმართ ცხოვრების ნაძირალი, შავ ბნელი ძალა იქნება და არა ქართველი!

სიბრალული, ზიზღი და წყევლა კრულვა მათ!

შენ არ მომკვდარხარ, მამულიშვილო, შენ ცოცხალი იყავი, ხარ და იქნები ჩვენს გულში და იქნები უკანასკნელი ქართველის გულშიაც, სანამ ის იარსებებს და არ გადაშენდება!

მშვიდობით, საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დიდებული მგოსანო ილია!

ჩემის სათაყვანებელის ილიას ხსოვნას.

———

არ მჯერა!... მაგრამ სინამდვილე კი
თვალ-წინ მიდგია, სასტიკი, ცივი:
მოჰკლეს ილია! ტანჯულს სამშობლოს
ჩაუქრა კვალად ბრწყინვალე სხივი!

———

მოჰკლეს ილია — ჩვენი აღმრზდელი,
ჰირის-უფალი ბედ-კრული ერის...

თმა-წვერს იხოჭავს მამული შვილი,
ვერაგ მტრის გული სიამით მღერის.

მოჰკლეს ვინ? ქართველთ აზროვნებისა,
თვით შემეცნების ძარღვი მთავარი;
ერის, მამულის ქომაგი მტკიცე,
მათთვის მებრძოლი შეუპოვარი!...

ქართულ ენისა, რწმენის, ზნეობის
განმწმედი, განმასპეტაკებელი;
გულ-წრფელ ერთობის, ძმობის, სიმართლის
თავ-გამოდებით მქადაგებელი!...

ჩვენი დიდება და სიამაყე,
უმაგალითო მამული შვილი,
საუნჯე დიდი — ფასდაუდები,
სწურ-უპოვარი მგოსანში ტკბილი!...

მგოსანო, სიყრმითვ გათაყვანებდი,
როგორც უფალსა, როგორც იდეალს...
ახლა?... დაგტირი, ნაძირალთ მსხვერპლო,
სხეულით მკვდარო, დიდებით ცოცხალს!...

ნუ თუ მურდალი, ბილწი ჯალათი
ქართულ ძუძუთი გამოზრდილია?
ნუ თუ ქართველმა — ვაი, სირცხილო —
მოჰკლა მოძღვარი თვისი ილია?!

ერო ტანჯულო, შემოკრბი ერთად,
გამოიგლოვე უბადლო შვილი!...
მამულო, მგოსნის სისხლით მორწყულო,
გულს ჩაიკონე შენი გაზრდილი!

ანტონ დარჩიაშვილი.

ა ჯ ა ზ ა კ ე ბ ს

—:—

ნუ თუ თქვენ, ბრიყვნო, ბინძურო,
გმირულათ მოჰკალთ ილია:
ჩვენი ქვეყნისა მნათობი
ხალხის ერთგული შვილია?!

—

გახსოვდესთ, ნაძირალებო,
ჩვენ არ შეგარჩენთ ამასა
და თუ მოგაგნეთ როგორმე
იქვე გაგითხრით საფლავსა!

—

ნუ თუ არ გრცხვენით, აფთარნო,
რომ მოგვიკალით მგოსანი,
სიმართლის მღაღადებელი
ყველგან დიდ სახელოვანი!

—

ახლა კი ვხვდებით, წყეულნო,
ქვეყნის დაღუპა გდომიათ,
ზიზღი და ფურთხი თქვენსა გზას
სინდისი აღარ გქონიათ!

მუშა ვანო ჩიხრაძე.

ტოლ უპოვარო საუნჯევ,
სინათლის სვეტო ილია,
ვისი მარჯვენა შეგეხო
და მით მოგვფინა ჩრდილია!

—

ვისაც შენ ნანა ასწავლე —
ვაჰ თუ იმ დედის შვილია!
შენ უკდავი ხარ მარადის,
ჩვენ დაგვრჩა ეგ სიკვდილია.

კარაკლისი **ს. გ.—ხა**

ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო

აღარ არის დიდი პოეტი და მოაზრე, აღარ არის ილია ჭავჭავაძე!

აღარ არის ის, ვინც ასეთის შეუდარებელ ხელოვნებით დაგვისურათა „კაცია ადამიან“-ში და „გლახის ნაამბობ“-ში ბატონ-ყმური უკუღმართი ურთიერთობა. იმისი იუმორი, მომხიბლელი, პოეზიით აღსავსე სურათებისა და ბუნებისა, განსპეტაკებული ჩაგრულთადმი მოყვარობითა და თანაგრძნობით და განაყოფიერებული ფილოსოფიურ-მეცნიერულ აზრებით, იტაცებს, ამდიდრებს და აკეთილშობილებს მკითხველს გულისა და გონებას.

ვის არ გამოუცდია განუზომელი ესტეტიური სიამოვნება „კაკო ყაჩაღ“-ში ალაზნის ხეობის მშვენიერის დასურათებით! ვისი გული არ აუტოკებია იმავე პოემაში მეურმის მწუხარე გულიდან ამოკვნესილ სიმღერას, კაკოს შავ-ბედითს თავ-გადასავალს?

აიღეთ მისი „გუთნის დედა“ და სხვა წვრილი ლექსები. ყველგან გამოხატულია იგივე მწუხარება, იგივე ღრმა თანაგრძნობა ჩაგრულთადმი ამა ქვეყნისა.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობდა გლეხს, იმის ბედსა და უბედობას. პოეტი საყვარელ დედასავით თავს ევლება მიწის-მუშას; მასთან ერთად აფრქვევს მდუღარე ცრემლებს, თან მისი ბედი და სიკეთე ახარებს, ანუგეშებს. ილია არის პოეტი-ხალხოსანი.

ზოგიერთ კრიტიკოსებს არ მოსწონთ ილიას უკანასკნელი მოთხრობა: „ოთარაანთ ქვრივი“. ჩემის ფიქრით კი ეს მოთხრობა შესანიშნავი თხზულებაა. მართალია, გლეხის ტიპი სინამდვილესთან შედარებით გადაჭარბებულ-გამშვენიერებულია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მწერალი სცდილობდა დაეხატა იდეალი, რომლი-

საკენაც მიისწრაფოდა გლეხი. რა ვუყოთ, რომ ცხოვრებას სავსებით ვერ გაემართლებინა ეს იდეალი, გლეხი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულიყო იდეალამდის. საქმე ის არის, რომ ცხოვრების მიმართულება ამ იდეალისაკენ მიაქანებდა გლეხობას. მაშასადამე, მწერლის პოეტურმა ყნოსვამ აღრე იგრძნო ნიშნები, ჩასახულნი ცხოვრებაში, და შთანასახის საშუალებით შეჰქმნა სრული სურათი მომავალისა. უკანასკნელი ამბები მოწმობენ, რომ პოეტი არა სცდებოდა.

ილია ჭავჭავაძის პოეზია ესარჩლებოდა აგრეთვე საზოგადოდ ყველა ჩაგრულ ერებს და კერძოდ ათას-გვარ ისტორიულ განსაცდელს გამოვლილ ქართველ ერს. იგი იყო მამულიშვილი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. „დიმიტრი თავ-დადებული“, „დედა-და-შვილი“, „იანიჩარი“ და სხ. მოწმობენ პოეტის ღრმა სიყვარულს დაჩაგრულ მამულისადმი. მაგრამ იგი არ იყო ცალმხრივი, ვიწრო „ნაციონალისტი“, მას ენატრებოდა თვისუფლება და ბედნიერება თავის ერისა ისე, როგორც ყოველ სხვა ჩაგრულ ერისა. ასეთი იყო მისი კეთილ-შობილი პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი. და მხოლოდ ცილისმწამებლებს შეუძლიანთ დასწამონ ილიას შოვინისტობა. არა, ილიასებურ დიდ-ბუნებოვანი კაცები ყოველგან და ყოველთვის ინტერნაციონალისტები ყოფილან და არიან.

ილია ჭავჭავაძემ გამოხატა თავის ლექსებში ღრმა თანაგრძნობა მუშათა თანამედროვე მოძრაობისადმი: იგი მგზნებარე, აღფრთოვანებულის სიტყვებით მიესალმა პარიზის კომმუნას და არა ერთხელ განიმეორა თავის პუბლიცისტურ წერილებში იგივე გრძნობა, იგივე გულისპასუხი.

როგორც იურისტი, ილია იყო მომხრე უფლებრივ თანასწორობისა და პიროვნების უკიდურეს თავისუფლებისა, როგორც პოლიტიკოსს, მას სწამდა უკიდურესი პო-

ლიტიკური დეცენტრალიზაცია და კერძოდ საქართველოს სრული ავტონომია. როგორც ეკონომისტი, იგი იმ აზრისა იყო, რომ თუ ქართველ ერს მიწა ხელიდან გამოეცალა, დაიღუპებაო, მიწაა ქართველი ერის ძალაო.

მხატვრულ თხზულებათა გარდა, ილიას აქვს აუარებელი პუბლიცისტური, ეკონომიური, ისტორიული და სოციოლოგიური წერილები.

იგი იყო აგრეთვე რედაქტორი სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებისა, ბანკის გამგე, სხვა და სხვა საზოგადოების თავმჯდომარე ან წევრი. იგი იყო შესანიშნავი ორატორი და მომხიბვლელი მოსაუბრე.


ჰანნიბალზე ამბობდნენ, სადაც კი გაჩნდებოდა, ყველა იმას მისჩერებოდაო. სწორედ იგივე ითქმის ილიაზედაც. მისი სახე, ენერგიით სავსე, ნიჭის გამომხატველი თვალები, დარბაისლობა, ტკბილად მოსაუბრე ხმა, ხან მქუხარე და ძლიერი, — ყველაფერი ეს ილიას ცენტრად ჰხდიდა ყოველ საზოგადოებაში.

და ყველა ამ ღირსებათა გამო იგი იყო ბელადი ქართველ ერისა რამდენიმე ათის წლის განმავლობაში. იმის ნაწერებს კი ექნებათ აღმზრდელი მნიშვნელობა საუკუნეთა განმავლობაში.

და ასეთ კაცს, თანამედროვე ქართულ ლიტერატურის შემქნელს და დიად მოღვაწეს, ტყვიით გული გაუგმირეს! რა იცოდა წუნკალმა, თუ როგორ შეურაცხჰყო მან ქართველი ერი?! რა იცოდა წუნკალმა, რომ ტყვია უძლურია ილიას წინააღმდეგ, რომ ილია უკვდავია სულით, რომ ილია ცოცხალია, ვიდრე სული უდგია ქართველ ერს! მხოლოდ ერი იმასა ჰგლოვობს, იმიტომ არის თავზარ-დაცემული, რომ ვიღაც უსულო ქვემძრომმა ასე ვერაგულად გამოაცალა ხელიდან თავის საყვარელი მამულიშვილი, რომ სიცოცხლეშივე ვერ უძღვნა თავის სახელოვან პოეტს ეროვნული საჩუქარი, ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, მხცოვანო მგოსანო, განგმირულო უკეთურის ტყვიით.

ზემო-იმერელი.



ილიას სახლი ტფილისში (ანდრეევის ქუჩაზე), რომელიც უანდერძა ქ. შ. წ.-კ. გ მ. საზოგადოებას.

გვირგვინები.

განსვენებულის ილია ჭავჭავაძის კუბო შეამკეს ვერცხლის გვირგვინებითა და ვერცხლისავე ხატებით შემდეგმა დაწესებულებებმა და პირებმა:

1. „მგლოვიარე კახეთისაგან“; „მშვენება კახეთისა შენს დიად სულში გამოიხატა“.

2. პეტერბურგის ქართველებისაგან: „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს.“

3. ბაქოს ქართველ საზოგადოებისაგან: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა, დეე გვძრახონ ჩვენ, მის ძებნითა დავლიოთ დღენი“.

4. სოხუმის ქართველებისაგან: „ხელთ უქმნელი ძეგლი დაიდგმის ყოვლის ქართველის გულში“.

5. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისაგნ: „მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა ჰირში და ლხინში წინ მიმიძღოდა“.

6. კავკასიის ნამესტნიკისაგან; ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.“

7. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთაგან: „დიდებულ ქართველის თ. ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“.

8. ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთაგან: გვირგვინი შავ ხავერდის ბალიშზე ზედ ოქროჩკედით ამოკერილ შემდეგის ლექსით:

„ვაი რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
ერის მოღვაწე დიდება ქვეყნის მტრად მაგიჩნიესო
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს გაგათრიესო,

მოგკლეს მცხოვანი უბრალოდ, ქვეყანა შეარყიესო
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გადგვანთხიესო,
ამას მოვთქვამთ დღეს ქართველნი ყმანი, ჭაბუკნი, მხცოვანი,
ნუ შეგვაშრენ ცრემლი თვალთაგან და გულთა შენი ხსოვანი

9. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან :

არც სიმდიდრის, არც დიდების, თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვყო მე ლოცვა წმინდა,
არამედ მინდა გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახ·
(ვარი მკრან,
გოხოვდე: შეუნდე არ იციან, ღმერთო, რას იქმან.

10. „კახეთის“ საზოგადოებისაგან : „თავდადებულ მამულიშვილს ილიას.“

11. ტფ. სათავად-აზნაურო ბანკისაგან : „ბანკის დაუვიწყარ მოამაგეს თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს“.

12. შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოსაგან „დიდებულ პოეტს და მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს.“

13. ჭიათურის საურთიერთო ნდობის ამხანაგობისაგან : „საქართველოს სიამაყეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს“.

14. ჭიათურის საზოგადოებისაგან : „თავდადებულ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს.“

15. ქუთაისის ქალებისაგან : „შენი სიკვდილით „დაობლდა ერი. ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა.“

16. ქუთაისის ვაჭრებისაგან : „დიდებულს მგოსანს და სახელოვან მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს.“

17. ჭავჭავაძეებისაგან : „საქართველოს უპირველეს შვილს, გვარის დამამშვენებლს ილიას“.

18. დ. და მ. სარაჯიშვილებისაგან :

როდემდის უნდა არა ვცნობდეთ სიკვდილის ფასსა,
როდემდის უნდა არ ვსცემდეთ ღვთიურ ნიჭს ღირსა
თაყვანსა

19. სამეგრელოდან მოსულს ორ ბავშვს ნ—ძეს, 5 წლის ვაჟს ლევანს და 6 წლის ქალს მედეას გვირგვინის

მაგიერად ხელში ეჭირათ გული ვერცხლისა, რომელსაც შუაზე ტყვია ეკიდა. ვერცხლის გულზე შემდეგი წარწერა იყო: „ვის არ რგებია უკვდავთა შორის, რომ შენ არ გრგებოდეს ბნელ ძალებისაგან“.

ვერცხლის ხატები იყო:

20. იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდისაგან.

21. ქართლ-კახეთის სამღვდელოებისაგან: „შეუნდე, არ იციან ღმერთო, რას იქმან.“

22. იმერეთის სამღვდელოებისაგან: „ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი“.

ცოცხალ ყვავილების და ლითონების გვირგვინები იყო:

23. წ--კ. გ. საზოგადოებისაგან (ორი გვირგვინი): „საზოგადოების საპატიო წევრს და თავმჯდომარეს“.

24. ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ
რომ წარუძღვე წინა ერსა.

25. ფილარმონიულ საზოგადოებისაგან: „გასწყდა ის სიმი, გაქვავდა ენა რომელმაც ერსა აუხსნა ენა“.

26. „ივერიის“ (1883—1893) თანამშრომელთაგან (გრ. ყიფშიძე, სოფ. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, არტემ ფირალოვი. ალ. ყიფშიძე და არტემ ახნაზაროვი): „შენი დიდი ნიჭი, მადლიანი კალამი, შენი წინამძღვრობა გვასულდგმულებდა და ნეტარებით ვმუშაობდით შენდა შევდომილნი.“

27. „ისრის“ რედაქციისაგან: „დიდებულ მგოსანს და ქართულ პრესის მამათ მთავარს ილია ჭავჭავაძეს“.

28. „ჩვენი გზის“ რედაქციისაგან: „სახელოვან მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

29. „ნაკადულის“ რედაქციისაგან:

„აღარა გვყევხარ! ულვთო იყო შენი სიკვდილი,
არა დედმამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი,
ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა“

30. „ჯეჯილის“ რედაქციისაგან: „ჯეჯილის პირველ ნომრის დამგვირგვინებელს, „ბაზალეთის ტბის“ ავტორს“

31. „ვოზრაჟდენიე — ზაკავკაზიე“-ს რედაქციისაგან: „Пѣвцу Иверіи Ильѣ Г. Чавчавадзе“.

22. „ტიფ. ლისტოკის“ რედაქციისაგან: „Ветерану Кавказской прессы“.

33. „მოლლა ნასრ-ედინის“ რედაქციისაგან: „Славному сыну грузинскаго народа“.

34. ს.-ფ სარევოლიუციო პარტიისაგან. „დიდებულ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

35. „მწუხარე ოსეთისაგან“: „Безсмертному сыну Кавказа, поэту гражданину“.

36. ტფილისელ მაჰმადიანებისაგან: „Славному поэту прекрасной Грузіи“.

37. რკინის გზის სოც.-ფედ. მუშებისაგან:

ამა ზვიადმა საუკუნემა
უნდა შეას იგი შრომისა სიტყვა,
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის იმონებ, არც ემონები!

38. ბაქოს სოც.-ფედერალისტებისაგან: „დიად ნიჭს, უგუნერების მსხვერპლად გამხდარს.

29. ქუთაისის პროფეს. კავშირების ცენტრალურ ბიუროსაგან: „დაუვიწყარ მგოსანს ილიას.“

40. ქ. ბათუმისაგან: „Незобвенному пѣвцу родной Грузіи, неутомимому общественному дѣятелю Ильѣ Григор. Чавчавадзе.“

41. წიგნების გამომცემელ ქუთათურ საზოგადოებისაგან:

ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენსა ბედსა და მშვიდობას
ველარ მოუმართავ ხელსა

42. ქართველ გამომც. ამხანაგობის სტამბის მუშების ერთი ჯგუფისაგან:

ვეღარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღზდილსა ბრძოლას
და დაიმსხვრევა იგი ბოროკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების
და ახალს თერგზე ახლად შობილი
ეს ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

43. ქართველ ქალთაგან:

აღარა გვყევხარ, უღვთო იყო შენი სიკვდილი,
ვინ უწყის რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა.

44. „იდეალის“ სტამბის მუშებისაგან:

აღმართე სიტყვა საქადაგებლად
სიმართლისა და სიყვარულისა,
ყოველ ჩემ მოძმემ შეუბრალებლად
შმაგად დამიწყო სროლა მე ქვისა.

45. ტფ. წვრილ ვაჭაროა პროფეს. კავშირისაგან: დიდებულ შვილს ივერიისას ილიას.“

46. ბათუმელ ქართველებისაგან: „მაგ სიკვდილით დაობლდა ერი“

47. ენისელის გლეხობისაგან:

ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა;
ჩვენს ბედსა და უბედობას
ვეღარ, მოუმართავთ ხელსა.

48. დიღმელ გლეხებისაგან:

ჩვენი წადილი და ჩვენი ბედი
ყოველთვის არის, ძმაო, საფრთხეში.
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში

49. ქუთ. ქართველ გიმნაზიის მოწაფეთაგან, „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს“.

50 ტფ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთაგან :

როდემდის უნდა არ ვსცნობდეთ სიკვდილის ფას ა ?
როდემდის უნდა არ ვსცემდეთ ღვთიურს ნიჭს, ღირსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ ?
და მის აქ ყოფნას ამაოებად რისთვისა ვსახავთ ?

51. ხონის საზოგადოებისაგან :

ერის წყლული გაჩნდა წყლულად,
გეწოდა მის ტანჯვით სული,
მის ბედით დ უბედობით
გედაგოდა მტკიცედ გული,

52. შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ჰიათურელ მოსამსახურეთაგან : „ქართველ ერის სასიქადულო შვილს“.

53. წალენჯიხის საზოგადოებისაგან : „დიდებულ პოეტს, დაუვიწყარ მამულიშვილს“.

54. ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან : „უკვდავი ხარ, საქართველოს დიდებავ !“

55. სადგურ ყვირილის და შორაპნის მოსამსახურე მუშებისაგან :

ზიზღი მის სახელს,
წყევა მის მაჯას,
ვინც შეაშფოთა შენი ჰაღარა
და დაადუმა ჩვენი დარაჯი,
შენი უებრო ჩანგი ნაღარა.

56. „გეორგიას“ ამხანაგობის მუშებისაგან : „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

57. კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან : „თავის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს“.

58, დაბა ცხინვალისაგან : „იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია, სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური“.

59. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან : „არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი“. — „ჩვენს მასწავლებელს დიდებულ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს“.

60. ოდესელ სტუდენტებისაგან : „კაცი უნდა სანთლად იწვოდეს“.

61. ტფილისში მყოფ ქართველ სტუდენტებისაგან: „ერმა რომ შვილი აღზარდოს, ემაგრე შენისთანაო“.

62. ზუგდიდელ მოქალაქეთაგან: „ძამულიშვილის. თვის არ ახსოვდა განსაცდელი განსაცდელში, „ტრფობა ჰქონდა გულში აბჯრად მოდარაჯეს კალმით ხელში“.

63. ფოთის ვაჭრებისაგან: „ქართველთა სიამაყეს, საუკეთესო მამულიშვილს, მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს ფოთის ხელოსნებ-ვაჭრებისაგან“.

64. ფოთის ქალაქის მუშებისაგან: „საქართველოს დიდებას და ხალხის მასწავლებელს“.

65. სოფელ ალის 'გლეხობისაგან: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთძლევა მოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრად იბრძვის“.

66. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგდოებისაგან: „უკვდავ მგოსანს და სასიქადულო შვილს საქართველოსას“.

67. არტურ ლეისტისაგან: „დაუვიწყარს პოეტს მეგობარს ილიას“.

68. სადგურ მიხაილოვის ქართველ მოსამსახურეთაგან და მცხოვრებთაგან: „დაუვიწყარ მგოსანს, საყვარელ მამას ილია ჭავჭავაძეს“.

69. ჯავახელ ქართველებისაგან: „საქართველოს ვარსკვლავს ილია ჭავჭავაძეს“.

70. ოზურგეთლებისაგან: „დიად მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

71. ბორჯომის ქართველ საზოგადოებისაგან: „დიდ ქართველ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს“.

72. ბორჯომის ქართველ მუშებისაგან: „ჩვენს ძვირფას და დაუვიწყარს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

73. სიღნაღის ქართველ საზოგადოებისაგან: „შენ არ მოკვდები: მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

74. თელავის საზოგადოებისაგან; „დაუვიწყარს მგოსანს და თავდადებულ მამულიშვილს ილიას“.

75. განჯელ ქართველებისაგან: „ერის სიამაყეს და ხალხის მოამაგეს, დიდებულ მგოსანს და დაუფასებელ მამულიშვილს“.

76. მამადავითის ქალთა სკოლის გამგეობისა და მოწაფეთაგან:

აღარა ცვყევხარ!.. უღვთო იყო შენი სიკვდილი!
არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაიბლდა ერი.
ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა ტანჯვა და ლხენა!

77 ტფ. საბაღოსნო სასწავლებლიძაგან: „უკვდავ ილია ჰავჰავაძეს“.

79. სათავად-აზნაურო ქარვასლის მუშებისაგან: .ჩვენი ქვეყნის უდიდეს ჰირისუფალს“:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდე!,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,!
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

80. ჰიათურის დრამატიულ საზოგადოებისაგან:

შენ დიდება უკვდაება,
ძაძულისთვის თავდადებულს,
მკვლეს სირცხვილი იუდისა,
ტანჯვა სულით დაბრმავებულს!

81. ტფ. სახალხო უნივერსიტეტისაგან: „Безсмертіе пріявшему поэту народныхъ думъ Ильѣ Г. Чавчавадзе“.

82. ყვირილის ქართველ მუშათა ჯგუფისაგან:

„აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.

83. თავისუფალ სვანეთისაგან: „თავისუფლების მუშაკს — ილია ჰავჰავაძეს“. (სვანების გვირგვინი გაკეთებულია ჯიხვის რქისა და ცოცხალ ყვავილებისაგან).

84. ქუთაისის სავაჭრო გიმნაზიელებისაგან: „ჩვენს ეროვნულს სიამაყეს ილიას“.

85. ქუთ. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისაგან: „დიდებულ მწერალს და ჩვენ მოძღვარს“.

86. გორის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთაგან: „უკვდავ ილიას“.

87. პროფესორ პეტრიაშვილისგან. „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს“.

88. ტფ. დედათა მეორე გიმნაზიის ქართველ მოსწავლე ქალთაგან.

89. აბასთუმნის ქართველებისაგან: „ცხარე ცრემლით ვსტირით შენს დაკარგვას“.

90, სოფელ ქვიშხეთის მცხოვრებლებასაგან: „სასიქადულო მამულიშვილს“.

91. ტფ. ქალთა მეოთხე გიმნაზიისაგან: „მაგრამ, პოეტო, საყვარელო, ხარ ბედნიერი, რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა!

92. ქუთ. რეალურ სასწავლებლის მოწაფეებთაგან: „საქართველოს დიდებას, განსპეტაკებულ ზნის, ენის და სამშობლოსადმი სიყვარულისა ილია ჰავჰავაძეს“.

93. ტფ. ქალთა მესამე გიმნაზიის უმფროს მოწაფეთაგან: „დიდებულს მგოსანს ილია ჰავჰავაძეს“.

94. ტფ. ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისაგან:

«საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც რომ ბედისგან დაჩაგრულია».

95. თელავის წმ. ნინოს სასწავლებლისაგან; „მტერთათვისაც, რომელთა თუნდ ლახვარი მკრან, გთხოვდე შეუნდე, არ იციან, რასა იქმან“.

96. ტფ. მონარდეთა პროფესიონალურ საზოგადოებისაგან.

97. მოსკოვის ქართველ საზოგაოებისაგან: „საქართველოს დიდებულ შვილს“.

98. მეტეხის ციხის პატიმართაგან: „დაუვიწყარს მგოსანს ილიას“.

99. ქუთაისის ფარმაცევტებისაგან: „შენი სიკვდილით დაობლდა ქართველი ერი“.

100. წიგნის მაღაზია „იმერეთისაგან“: „ერის კულტურის დამმშვენებელ მესამოცე წლების ნიჭიერს ილია ჭავჭავაძეს“.

101. სოფ. შილდის გლეხებისაგან:

ვაჟკაცად იმას არ ვაქებთ,
ვინც რომ ავისა მქნელია,
ვაჟკაცად იგი გვიქია,
ვინც უბედურთა მხსნელია!

102. ტფ. საკომერციო სასწავლნბლის ქართველ მასწავლებლებთა და მოსწავლეთაგან: „ქართველ ერის დიდებულ და დაუვიწყარ მგოსანს“.

103. სურამის ქართველ საზოგადოებისაგან: „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მგოსანო ჩემო, მაინც დარჩება“.

104. ნაძალაველთაგან: „რომ ბედში მეღოფი შენ ძმად ჰიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია: საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

105. ს. რუისპირის საზოგადოებისაგან: „ჩვენს განათლებულს დაუვიწყარ მამას“.

106. ტფ. ნაფიც ვექილებისაგან: „Пусть арфа сломана, а поэтъ еще рыдаетъ“.

107. წინამძღვარიანთ სასოფლო სამეურნეო სკოლისაგან: „დაუვიწყარ მეგობარს სკოლისას“.

108. ტფ. რეალურ სასწავლებლის მოსწავლეთაგან: „ქართველ ერის დაუვიწყარ მგოსანს“.

109. მცხეთის საზოგადოებისაგან: „ჩვენს მეზობელს, დიდ მოღვაწეს პოეტს ი. გ. ჭავჭავაძეს“.

110. ქუთ. ექიმთა საზოგადოებისაგან: „დიდებულ ილიას“.

111. დაობლებულ მსახიობთაგან: „ულმრთო იყო შენი სიკვდილი“.

112. ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგ. საბჭოსა და გამგეობისაგან.

113. ქალაქ ფოთისაგან: „ილია ჭავჭავაძეს“.

114. ტფ. ქართველ ვაჭრებისაგან: „ჩვენი ქვეყნის და ერის დიდებულ მგოსანს და თავდადებულ მოღვაწეს, მსხვერპლს ხალხის უგუნურ მტრებისას ილია ჭავჭავაძეს. ზიზღი შენს მკვლელებს“.

115. ტფ. სასტუმროების და სხვა ამგვარ სავაჭროების პატრონთა საზოგადოებისაგან: „კაცი უნდა კაცად იყოს, სანთელივით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათვიდეს“.

116. „გეორგიას“ ამხანაგობისაგან:

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩვენ ქვეყანას ეალერსება;
ოჰ ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება!

117. ტფ. პარიკმახერთა კავშირისაგან:

შენ გვასწავებდი მოძმის სიყვარულს,
სიმართლესა და ძმობა-ერთობას:
შენ გვასწავებდი განსპეტაკებულს
დედა ენასა ახალ თაობას;
შენ უგალობდი მარად ქართველსა
სულ ძილისაგან გამოღვიძყბას;
შენ გვასწავლებდი კაკოს პირითა
მონა გლეხების თავისუფლებას.

118. ექიმ ივანე გომართელისაგან: „უკვდავ ადამიანს ილიას ჭავჭავაძეს“.

119. იაკობ გოგებაშვილისაგან:

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო ნიჭით ცხებული,
მის მხსნელად ღვაწლი არს კეთილ,
მით მხარე დამშვენებული.

120. ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიისაგან: „Жемчужинѣ Грузіи поэту Ильѣ Г. Чавчавадзе“.

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია.

ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინც უბედურთა მხსნელია.

121. გორის ქალაქის თვითმართველობისაგან: „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს, ქართველ ერის სიამაყეს ილია გ. ჭავჭავაძეს“.

122. ქუთ. გაბრიელის სახელობის სასწავლებლის მასწავლებელ და აღმზდელთაგან: „არ დაგივიწყებთ არა, ვიდრე ფეთქს გული, ვიდრე გვიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული“.

123. ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის მასწავლებელთაგან: „Славному питомцу ея“.

124. ტფ წმ. ნინოს სასწ. ქართველ მოსწავლეთაგან: „დიდებულ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

125. ტფ. ვაჟთა პირვე გიმნაზიის მოსწავლეთაგან: „Славному поэту — художнику“ „მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებეთ, რომლისთვისაც ვსტირი? იგი აღარ გვყავს“!..

126. ქართველ ქალთა ამხ.ს საწავლებლისაგან:

«დმერთო თან სდევდე უსუსურ ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაელიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცხრატანი მაინც მან არ მოსწმინდოს.

127. ტფ. ქალთა საეპარქიო სასწავლებლი მოწაფეთა და მსახურთაგან:

ღმერთო, არ გთხოვ, მინდა წამება
აქ წამებით შემიმცირო;
გთხოვ რომ სისხლი, აქ დაღვრილი,
ჩემი სხვისთვის შეიწირო.

128. ქალთა ქართულ გიმნაზიისაგან:

ხმალი იმოდენს ვერას იქმს.
მრისხანე და ძლიერიდ,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

129. ხამეგ. სას.-სამეურნეო ამხანაგობის „შრომისაგან“: „დაუვიწყარს მგოსანს, ილია ჭავჭავაძეს“.

130. ტფ. სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან: „ერის დაუვიწყარ ილია ჭავჭავაძეს“.

131. ტფ. ვაჟთა მესამე გიმნაზიისაგან: „Незабвенному Груз. поэту“.

132. ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეთაგან: „Славному Груз. поэту Ильѣ Гр. Чавчавадзе“.

133. ნავთლულისა და მამუკას სოფლის მცხოვრებთაგან:

მშვიდობით, ვწუხვართ, ჩვენო მგოსანო,
შვილებმა მამას გიძღვნეს სალამი,
ზიზღი და კრულვა იმ ნაძირალებს,
ვინც გადატეხა შუა კალამი.

134. ყვირილის საზოგადოებისაგან: „როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა, როდემდის არ ვსცეთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა“.

135. ვალერიან გუნიასაგან: „დაუვიწყარ ილიას, მოძღვარს და მასწავლებელს“.

136. გურიის თავად აზნაურობისაგან:

სამშობლოს ძუძუ, დედავ მშობელო,
ამ გვარ გმირებსა რომ არ გვიზრდიდე,
ტანჯული ერის ტანჯულ შვილებსა,
მთლად შეგვხუთავდა სულს სიწყვდიადე.

137. ტფ. საარტისტო საზოგადოებისაგან: „Гордости Грузинской поэзіи.

138. სიონის ბაზრის წვრილ ვაჭრებისაგან: „უკვდავ მგოსანს და შეუდარებელ საზოგადო მოღვაწეს“.

139. თავადთა გრუზინსკებისა და თარხან-მოურავებისაგან: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი ბნუხრის ზეწარი გადაეფარა“.

140. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდისაგან“; „უკვდავ მგოსანს“.

141. საგარეჯოს საზოგადოებისაგან:

და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,

და ახალს ნერგზე ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღჰყვავდების.

142. წიგ. გამომც. ამხანაგობის სტამბის კანტორისაგან.

143. ნ. ნიკოლაძისაგან: „ძვირფასს და საყვარელ ილიას“.

144. შავი ქვის კრების საბჭოს ქუთათურ მოხელეთაგან: „დიდებულ მგოსანს და სახელოვანს ილიას“.

145. ზემო ციციშვილებისაგან: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“.

146. ქუ-ათურ ვექილებისაგან: „დიდებულ ქართველს ილია ჭავჭავაძეს“.

147. ტფ. ვაჟთა ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთაგან: „მოკვდა და თავისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია“.

148. ტფ. ქალთა პირველ გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან: „არ დაგივიწყებთ ილიავ, არა, ვიდრე ფეთქს გული, ვიდრე გვიდგია ძარღვებში სისხლი და პირში სული; ვიდრე სიცოცხლის ჩვენი ძაფი სულ არ გამწყდარა, შენი, ილიავ, ხსოვნა ეგე უკვდავ იქნება“.

150 ავლაბრის ქართველთაგან:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.“

151 ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ზედ. კომიტეტის და გამგეობისაგან: „ერის წყლული გიჩნდა წყლულად, გეწოდა მის ტანჯვით გული“.

152. „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების მუშა წევრთაგან: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა“.

153. ქართველ აფიცრებისაგან:

„ამას ვტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,

ჩვენს ერსა და მშვიდობასა
ველარ მოუმართავ ხელსა“.

154. მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობისაგან: „დიდებულ უკვდავ მგოსანს“.

155. ძმათა დიასამიძეებისაგან: „წამებულს საქართველოს სიამაყეს, დიდებულ მგოსანს ილიას“.

156. ტფ. საკანტროლო პალატის მსახურთაგან: „Члену Гос. совѣта, безсмертному поэту Грузіи И. Г. Чавчавадзе“.

157. ქუთ. ქართულ გიმნაზიის მოსწავლეთაგან: „ვხედავთ ჩვენს ბედშაობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს, ჩვენსა წამხდარს გმირობას და მამულს დაობლებულს“.

158. მარიამ და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიან. თაგან:

«არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია«.

159. სენაკის სათავად-აზნ. სკოლისაგან: „ქართველ ერის მოჭირნახულე უკვდავ ი. ჭავჭავაძეს“.

160. საზოგადოების „ძმობისაგან“: „ძმობის მოციქულს“.

161. თფ. სახაზინო პალატის ქართველ მოხელეთაგან: „არ არის მკვდარი და სხვ.“.

162. მესამე „უჩასტკის“ ღვინის მოვაჭრეთაგან; დაუვიწყარს მგოსანს“.

163. ქუთ. სახაზინო პალატის მოხელეთაგან: „ერის დიდებას და სიამაყეს“.

164. ფარმაცევტებისაგან: Гордости Грузинской литературы“.

165. ქუთ. მიწათ-მოქმედების და სახ. ქონებათა გამგეობის მოხელეთაგან: „мученической смертью угасшей гоѣдости Грузіи“.

166. გორის მაზრის მემამულეთაგან და მიწათ-მოქ-საზოგადოებისაგან: „დიდებულ მგოსანს და მოქალაქეს“.

167. რუსს ამომრჩეველებისაგან: „Поэту публицисту и общественному дѣятелю Грузинскаго народа“.

168. ტფ. საგუბერნიო გამგეობის და სახალხო დაწესებულებათა მოხელეებისაგან: „Мировому посред. нику перваго призыва Кн. Ильѣ Г. Чавчавадзе“.

169. მცხეთის მონასტრისაგან: „კაცი უნდა კაცად იყოს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს“.

170. თავ. დავ. ზაქ. მელიქიშვილისაგან: „лучшему грузину и другу“.

171. ბარბარე და ვსევოლოდ სტაროსელსკებისაგან: „дорогому дядѣ“.

172. თავ. პეტრე, გიორგი, მიხეილ გრუზინსკები: „უძვირფასეს საქართველოს შვილს და დაუვიწყარ საყვარელ ძმას და მეგობარს“.

173. ივანე სუმბათაშვილისაგან დებით.

174. ესტატე ლ. ციციშვილის ოჯახისაგან:

»არა არ მოკვდი, მგოსანო,
მზოლოდ გულს მოგზვდა ნაღველი,
და წმინდა ბრძოლის ტალღებზე
კვლავ ბრწყინავს შენი სახელი».

175. მ. რ. ერისთავებისაგან: „როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიკვდილის ფასსა; როდემდის უნდა არა ვცემდეთ ნიჭსა ღირსეულ ფასსა“.

176. ტფ. ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტისაგან.

177. კ. ვ. და გ. ი. სერებრიაკოვებისაგან.

178. სტაროსელსკებისაგან.

179 მხატვართა და ხელოსანთა საზოგადოებამ მოუძღვნა გვირგვინი ამ წარწერით: „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილსა შავი ზეწარი გადაეფარა“. „ერთ ბედს ქვეშა ვართ ლაბავ მედაშენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.



სამგლოვიარო დეპეშები, ლექსები და წერილები

როგორც დეპეშები, აგრეთვე სხვა სამგლოვიარო წერილები ისეთი დიდ-ძალი რიცხვია მიღებული, რომ მათი შინაარსის მოყვანა ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ მოგვყავს მხოლოდ მათი უბრალო სია და ისიც არა სრული.

ა) დეპეშები:

მოსკოვი. სიტყვით ვერ გამომითქვამს სასოწარკვეთილება და დარდი. ილია ჭავჭავაძის მოკვლა. გონებას მირევს, სინიდისს მიბოძკავს. მოჰკლეს ერის დიდება, ბრწყინვალე პოეზია, ერის გული.

ალექსანდრე სუმბათაშვილი.

პეტერბურგი. ცხარე ცრემლით ვგლოვობ სამშობლოს სირცხვილს.

კიტა აბაშიძე.

ლეობენელ (ავსტრ.) პოლონელებისაგან: „გულითად სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ერს მისი დიდებულ მამულიშვილისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის ხაღხის თავისუფლებისთვის ბრძოლაში ტრაგიკულ სიკვდილის გამო. ლეობენელი პოლონელები".

ბრიუსელი. გულითად სამძიმარს ვუთვლით ჩვენს მგლოვიარე ხალხს მისი უდიდესი მამულისშვილისა და მხცოვან პოეტის დაღუპვის გამო. ნუგეში და სამძიმარი აგრეთვე დაქვრივებულ ოლღა თადეოზის ასულს.

ბრიუსელელი ქართველობა.

ოდესა. საშინელმა ამბავმა შეგვაძრწუნა. დარდი ჩვენი უსაზღვროა.

პეტრიაშვილნი.

მოსკოვი. სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დიდებულ მგოსნის დაკარგვას.

ხახანაშვილი.

ვენა. ვენის ქართველი სტუდენტები უზომო მწუხარებამ მოგვიცვა, როცა გავიგეთ ქართულ პოეზიის ბურჯისა და საყვარელ ილიას ტრაგიკული სიკვდილი. ობლად დარჩენილ სამშობლოს გლოვას ჩვენი ცრემლიც მიუმატეთ. წყევლა-კრულვა და ზიზღი მკვლელებს.

ვენის ქართველი სტუდენტები.

ბერლინი. აუწერელია ჩვენი წუხილი და გლოვა ჩვენი აღმზრდელის ილიას დაკარგვის გამო. ნუ თუ ილია და ამისთანა საზიზღრობა!!

ბერლინელი ქართველი სტუდენტობა.

პარიზი. სამშობლოს მოშორებულნი ვსტირით სასტიკსა და ასე მოულოდნელ დანაკარგს — უებარ მგოსანსა და თავის ქვეყნის ნამდვილ შვილს ილიას

ნიკოლოზ ღოღობერიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი.

იალტა. სამძიმარს ვუთვლით ქართველ ერს ილია ჭავჭავაძის ვერაგულ სიკვდილის გამო.

რაზმაზოვი, დემუროვი, ვოლობუევი, მესხი და ბაჰაშვილი.

მოსკოვი. მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტებს თავზარი დაგვცა ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა. საქართველომ დაჰკარგა პირველი მამულიშვილი.

კ ევი. კიევის ქართველთა კოლონია ღრმად აღშფოთებულია მგოსნის ილია ჭავჭავაძის საზიზღარის მოკვლით. ვგლოვობთ ქართველ ერის დანაკარგს. ქართულ ლიტერატურას გამოეცალა პირველი ბურჯი. ჩვენს გულში საუკუნოდ დაიბუდეს იმ იდეალებმა, რომლებსაც მგოსანი ემსახურა ბოდა. იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი ერი გამოფხიზლდება და ჯალათებს შესაფერ პასუხს გასცემს.

ენოტაევსკი დამსახურებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა უკიდურეს მწუხარებაში ჩაგვაგდო ენოტაევსკის პოლიტიკური გადმოსახლებულნი; მონაწილენი ვართ ჩვენის სამშობლოს საერთო მწუხარებისა; წყევა-კრულვა მგოსნის მკვლელებს.

პოლიტიკური გადმოსახლებულები: გრიგოლაშვილი, დედაბრიშვილი, კოკზირიძე, მეიფარიანი, პუბაბრია რაზმაძე, ჩაჩიბაია, ფულავი კალაშნიკოვი, თვალიძე, მიქაძე, ბერეშვილი ჩაბიევი, გამდლიშვილი, ქურდოვანიძე, ტაიგაძე, ფუტაშვილი, კოზმანიშვილი, ტერ-მინასოვი, სუმბათაშვილი, გვენეტაძე, ბაზაშვილი.

ქუთაისი. ქუთაისის საგუბერნიო სასყრობილის პატიმარნი აღშფოთებულნი ვართ მგოსან-ბელეტრისტის ილია ჭავჭავაძის საზიზღარის მოკვლით. ილიას ვგლოვობთ, ხოლო მკვლელებს წყევლა-კრულვას ვუგზავნით.

პატიმართა მინდობილობით დ. ღუდაძე, ილია ბახტაძე და პლატონ კორძაია.

მეტეხის ციხე. არსებულ უსამართლობით რკინის ჩარჩიან კარ-ჩაკეტილ საკრმელში მომწყვდეული გული დაგვიკლდა მხეცკოვან პოეტის მოჭირნახულეს ილიას ვერაგულად სიკვდილმა; გულის სიღრმემდის შეგვაშფოთა და შეგვაძრწუნა იმ მკვლელობამ, რომელმაც წაართვა დ-დაბოძი ქართულ მწერლობას. ვგმობთ გონება დაბნელებულთ მკვლელთ და თვით ილიას ვუძღვნით ცოცხალის ყვავილებით შემკულს გვირგვინს და თან ვატანთ ჩვენს გულწრფელ ხსოვნა-სიყვარულს.

მეტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილი.

შორაპანი. გულის სიღრმემდის აგვაშფოთა ღა აგვაღელვა ძვირფას და დაუვიწყარ პოეტის ილია ჭავჭავაძის მოკვლამ. არ ვიცით, რა სიტყვებით გამოვხატოთ ჩვენი მძულვარება მკლელებთადმი, რომელთაც ასე უდროოდ წაგვართვეს ქართველებს მამა და დამრიგებელი. სადგურ შორაპნის მოსამსახურენი და მუშები

ქუთაისი. სულითა და გულით ვწუხვართ დიდებულ მგოსნის ილიას დაკარგვას, ზიზღი იმ მხეცს, რომელმაც მოუსპო სიცოცხლე დიდებულ ადამიანს და მით შეურაცხჰყო მთელი ერის თავმოყვარეობა. ქუთაისის სტამბის მუშები

ქუთაისი. ღრმა მწუხარებამ მოგვიცვა პოეტის ილია ჭავჭავაძის საზიზღარ მკვლელობის გამო. ზიზღი იმათ, ვინც ხელი შეახო ილიას და სისხლით შეღება მისი ჰაღარა. ხელზე მოსამსახურენი.

დარკვეთი. ჩვენ, დარკვეთის რკინის გზის მუშები, გამოუთქმელის აღშფოთებით შევხვდით ქართველთა საუკეთესო მამულიშვილის მგოსნის, პუბლიცისტის და დაუღალავ საზოგადო მოღვაწის ილია გ. ჭავჭავაძის გარდაცვალებას. არ გვყოფნის სიტყვები ზიზღი გამოუცხადოთ იმ ცხოვრების ნაძირალებს, რომელთაც იმსხვერპლეს ილია.

მინდობილობით ნ. ბუაჩიძე.

ქუთაისი. გულის სიღრმემდის აგვაშფოთა დიდებულ მგოსნის ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მხეცურმა და საზიზღარმა მკვლელმა. არ ვიცით, რა სიტყვებით შეიძლება შერცხვენა მათი, ვინც ქართულ ლიტერატურას ასეთი ძვირფასი მგოსანი წაართვა.

ქუთაისელ ნოქართა მონდობით შელიტონ ასათიანი.

ფოთი. ჩრდილოეთის სანავსნო საზოგადოების ქართველ მუშების არტელი სულის სიღრმემდე აღშფოთებულია ძვირფას პოეტისა და მასწავლებლის, „გლახის ნაამბობის“ შემქნელის ილია ჭავჭავაძის მხეცურის მკვლელობით. საუკუნო წყევა-კრულვა მხეც მკვლელებს, რომელთაც ხელი შეახეს მთელის ერის სიამაყეს.

არტელის მონდობილობით ესაია.

ქუთაისი. ჩვენ, მ. ლაღიძის ქარხნის (ქუთაისში) მუშები, ენით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით ქართველ საზოგადო საუკეთესო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაკარგვით და წყევა-კრულვას ვუგზავნით იმათ, რომელთაც ჩაიდინეს ამ ნარი ვერაგული საქციელი. ზიზღი, ათასჯერ ზიზღი მათ, რომელთაც თავიანთ ბინძურის ხელით მოგვაშორეს ქართველთა ეს საუკეთესო მოღვაწე, პატიოსანი ადამიანი და მით მოუწყვიმლეს ქართველ ხალხს ისედაც მძიმე სული და გული. ჩვენ, მუშები, ილიას ვიცნობდით ერთ საუკეთესო ქართველად და ვაფასებდით და პატივს ვცემდით იმის ნაწერებს. დღეს ეს ადამიანი დაგვეკარგა, მაგრამ სახელი მისი არ დაიკარგება ქართველ ხალხის ხსოვნაში. მშვიდობით, პატიოსანო კაცო, შენი სახელი მუშებშიაც უკვდავი იქნება.

მუშების მონდობილობით მუშა პროკოფი.

ფოთი. ღრმად მწუხარენი ვართ საყვარელ მგოსნისა და პუბლიცისტის ტრაგიკულ სიკვდილის გამო. ხსოვნა მისი სამარადისოა. ზიზღი და წყევა-კრულვა მხეც მკვლელებს.

ფოთელ ხელოსნების მინდობილებით შულავია.

